საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№22 (113)
22 – 28 ივნისი, 2011

# საქართველო მსოფლიოში

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

5 ¡VIVA LA TIRANIA, VIVA LA REPUBLICA BANANERA!



მეუფე ეფრემი (ბოლნელი ეპისკოპოსი):

## ხმამაღლა და მკაფიოდ უნდა ვთქვათ, 26 მაისის ღამე იყო ბოროტება! ეს იყო კაენის ცოდვა და არა მხოლოდ ცოდვა, ეს დანაშაული იყო!

«...როცა 26 მაისის ღამის კადრებს ვუყურებდი, წინასწარ რომ არ მცოდნოდა, საქართველოში რომ ხდებოდა ეს ყველაფერი, ნამდვილად ვიფიქრებდი, რომ შაჰ-აბასის რომელიღაც შემოსევას მაჩვენებენ ან რომელიღაც მტრულად განწყობილ სახელმწიფოსთან ომი ატყდა...»

16

კონსტანტინე ფორჩხიძე: ვუსამძიმრებ ხელისუფლებას მოკავშირე «რვიანის» გარდაცვალებას 2

ნანა დევდარიანი: მეც ქართველი პრეზიდენტი მინდა! 8

10 მოკვდი, მაგრამ გადაიხადე!

სკამთაყვანის-მცემლების ქვეყანა 12

შოთა გლურჯიძე: საქართველოში პროსომხური მთავრობაა 20



## სტაბილური დიქტატურა ქალიშვილობის სანაცვლოდ

9

## ფრანგული გილიოტინა ჭკუამხიარული პრეზიდენტისთვის

6





გურამ ფირცხალავა: 14



## ესენი ხალხს სამოქალაქო ომისკენ უბიძგებენ

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**რესპუბლიკელების 30-წლიანი „მოღვაწეობის“ რეიტინგი მაქსიმუმ 3%-ია. პირადად მე, რესპუბლიკელები პოლიტიკურ პარტიად არ მიმაჩნია. იგი იმ 20-კაციანი ბირთვითაა დაკომპლექტებული, რომელიც ნებისმიერ ხელისუფლებასთან გარიგებაში შედიოდა, ეროვნული მოძრაობის დასაწყისიდან დღემდე. ოპოზიციურ სპექტრში გაიძვერულად აღწევდნენ და ოპოზიციის ყველა რეალურ გაერთიანებას საფუძველშივე კლავდნენ. ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ ყოველთვის, ოღონდაც საკუთარი ამბიციები დაეკმაყოფილებინათ, იმავეს აგრძელებენ დღესაც. მაგრამ, მიუხედავად მათი დიდი მცდელობისა, პოლიტიკური გაერთიანება „რვიანი“ დღეს „მკვდარზე ვენოკია“. მინდა, ხელისუფლებას მოკავშირის გარდაცვალება მივუსამძიმრო.**

# კონსტანტინე ფორჩხიძე: ვუსამძიმრებ ხელისუფლებას მისი მოკავშირე «რვიანის» გარდაცვალებას

**მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ „რვიანის“ სქემას შიფრავს და მას ხელისუფლებასთან ვაჭრობაში ადანაშაულებს. თავად „რვიანის“ შიდა სამზარეულოში არსებული ქაოსის მიზეზად ისინი „რვიანში“ შემავალ რესპუბლიკურ პარტიას მიიჩნევენ. როგორც მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ გამგეობის წევრი კონსტანტინე ფორჩხიძე გვატყობინებს, მოძრაობის წევრები ამერიკის საელჩოსთვის „რვიანისა“ და მისი საყრდენი რესპუბლიკური პარტიის წინააღმდეგ შეგროვებული მამხილებელი დოკუმენტაციის გაგზავნას აპირებენ.**



**კონსტანტინე ფორჩხიძე:**

— „რვიანი“ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების ნაცვლად ვაჭრობაზე გადავიდა. ამ კომბინაციის მთავარი ამოცანა ახლა ხელისუფლების ქმედების გაპრავებაა. ამის დასტურია ისიც, რომ „რვიანი“ პრობლემატური საკითხების რეგიონებში გატანას აპირებს. არადა, ყველას მოეხსენება, როგორ მთვარდება მსგავსი მცდელობები. გავიხსენოთ თუნდაც ფორუმის მაგალითი. მის მიერ განხორციელებული გეგმა საზოგადოებისთვის კრახით დამთავრდა და პრობლემა რეგიონების კულუარებში ჩაიკარგა. **„რვიანიც“ იმავეს იმეორებს, ამბობენ, პრობლემები რეგიონებში უნდა გადაწყდესო, ახლა ამ მოტივით გაიხიზნებიან მთებში, ზღვაზე, წამოწვებიან მხართეძოზე მთელი ზაფხული დაისვენებენ, მერე სექტემბერში თბილისში ჩამოვლენ და წინამორბედებივით თავის მართლებას მოჰყვებიან, ჩვენი შესაძლებლობები მაქსიმალურად ამოვწურეთ და ვერაფერს გავხდითო.** დიდი ხანია, მსგავს ზღაპრებს გვასმენინებენ. არადა, „რვიანმა“ თავის დროზე ძალიან მნიშვნელოვანი მოთხოვნა წაუყენა ხელისუფლებას ბიომეტრიულ სიებთან დაკავშირებით, მაგრამ ბოლოს „რვიანმა“ საზოგადოებას უღალატა და მოლაპარაკება განგებ ჩაშალა.

**— მაგრამ რა სარგებელი უნდა ენახა თავად „რვიანს“ მოლაპარაკების ჩაშლით?**

— სწორედ ამ ნაბიჯის შემდეგ წავიდა „რვიანი“ ხელისუფლებასთან გარიგებაზე. მან ბინძური პოლიტიკური თამაში წამოიწყო, ხელისუფლებას მანდატებზე ვაჭრობა დაუწყო. ამას სრული პასუხიმგებლობით ვაცხადებ.

**— რა არგუმენტები გაგაჩნიათ ამ ბრალდების დასადასტურებლად?**

— ჩვენი არგუმენტები საღად დანახული რეალობა და მდგომარეობის ობიექტური ანალიზია. „რვიანი“ პარლამენტში საკუთარი ხალხის შეღწევაზე მუშაობს. ამ მოტივით არ მოვიდა 30 მარტს მოლაპარაკების მაგიდასთან, რითაც ხელისუფლებას მოლაპარაკების ჩაშლის საბაბი მისცა. ამ მოლაპარაკებაზე აღნიშნა ზუსტად პალიკო კუბლაშვილმა — რადგან „რვიანი“ არ გამოცხადდა, მოლაპარაკება ინდივიდუალურ რეჟიმში გაგრძელდებაო, ანუ ხელისუფლებამ დანარჩენი ოპოზიციური სპექტრი ძალლად არ ჩაგვაგდო. ეს წინასწარ დადგმული სპექტაკლი იყო, „რვიანის“ ინტელექტუალური ბირთვის — რესპუბლიკელების მიერ შემუშავებული.

**—რის საფუძველზე ასკვნით, რომ მაინც და მაინც რესპუბლიკელები არიან მოღალატენი, იქ ხომ კიდევ შვიდი პარტია ფიგურირებს...**

— „რვიანის“ ყველა ინიციატივას დავით უსუფაშვილი და დანარჩენი რესპუბლიკელები ახმიანებენ მხოლოდ. მათ მიერაა შემუშავებული ყველა ის გეგმა, რაზეც დღეს ეს გაერთიანება დგას. **„რვიანში“ შემავალი ყველა პარტია აქამდე რესპუბლიკელების დაკრულზე ცეკვავდა და მისი დავალებების უბრალო შემსრულებელი იყო, მაგრამ დღეს საპირისპირო სურათი გვაქვს, „რვიანში“ კონსესუსი აღარ არსებობს. ამ გაერთიანების კრახი სწორედ რესპუბლიკელების დამსახურებაა. სადაც არის რესპუბლიკური პარტია, იქ არასოდეს იქნება ოპოზიციური ერთობა.**

**რესპუბლიკელების 30-წლიანი „მოღვაწეობის“ რეიტინგი მაქსიმუმ 3%-ია. პირადად მე, რესპუბლიკელები პოლიტი-** ▶

## «ვიბრძოლებთ, სანამ «ყველა მინუს რესპუბლიკელებს» არ მივაღწევთ!»

# ჯუზიკანტები, ანუ რით ჯობია ნიფხავი «ჩაკრულოს»



**ტურიზმის ეროვნული სააგენტო საქართველოს ტურისტულ მექად გადაქცევისთვის ყოველწლიურად ახალ-ახალ იდეებსა და ღონისძიებებს იგონებს. როგორც ქვეყნის მამამთავარმა, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, წელს საქართველოს 3 მილიონი ტურისტი უნდა ეწვიოს. 3 მლნ ტურისტი ხუმრობა არ გეგონოთ, სერიოზული სამუშაოებია შესასრულებელი, თორემ ქალბატონი სიდამონიძე საყვედურს მიიღებს. ტურიზმის სააგენტომ რკინის ქალამნები უნდა ჩაიცვას, 3 მლნ ტურისტი რომ როგორმე მოაგროვოს და საქართველოში „ჩამორეკოს“. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია!**

15 ივნისს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ევროპის მოედნიდან სტარტი აიღო ტურნემ სახელწოდებით „Georgia comes to you“ (საქართველო მოდის შენთან). როგორც პროექტის ორგანიზატორები აცხადებენ, მონაწილეები ქვეყნიდან ქვეყანაში ავტობუსის საშუალებით გადაადგილდებიან მარშრუტით: აზერბაიჯანი-სომხეთი-პოლონეთი-უკრაინა-ლატვია და ამ ქვეყნების მცხოვრებლებს წარუდგენენ საქართველოს ეროვნულ კულტურას, სუვენირებს, ქართულ ხელნაკეთ ნივთებს, ქართულ თანამედროვე მუსიკას, ღვინოს, სამზარეულოსა და საქართველოს კურორტების ფოტოსესიას.

**ტურნე მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, პოპულარიზაციას მიზნობრივ ბაზრებზე, ქართული კულტურის, ტრადიციებისა და ტურისტული პოტენციალის გაცნობას ფართო მასებისთვის, ჩვენს ქვეყანაში ტურისტული ნაკადების ზრდას.**

საქმეში ჩახედული ადამიანებისთვის გასაკვირი არაა, ალბათ, ღონისძიების „ალტერვიჟენ გრუფის“ თანაორგანიზატორობა, სხვა ვინ, თუ არა „ალტერვიჟენ გრუფია“?! სავარაუდოდ, სწორედ მათ შეარჩიეს პროექტის მონაწილე ჯგუფები, თუმცა — რა კრიტერიუმებით, უცნობია. „String“-ი, „Green Rooom“-ი და „The Forest“-ი — ასე გამოიყურება პროექტის მონაწილე მუსიკალური ჯგუფების სია, რომლებმაც ჩვენს ქართულ ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებს პროპაგანდა უნდა გაუწიონ!

საქართველოში შეიძლება ყველამ არა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, უკრაინაში, პოლონეთსა და ლიტვაში ყველამ კარგად იცის, რომ **სტრინგი** ერთობ პიკანტური საცვლის — **ტანგას** სინონიმია. **არ ვიცი, რამდენად კარგად იცნობთ ჯგუფ „სტრინგის“ რეპერტუარს, მაგრამ, როგორც აჩიკო გულედანი ამბობს, ეს თანამედროვე ქართული მუსიკაა. „სტრინგი“ როკ-ჯგუფია, მუსიკალურად უფრო გასაგები რომ იყოს, მასში ბრიტანული როკ მუსიკის გადმონაშთი იგრძნობა. ჯგუფი ჯერ კიდევ 2000 წელს დაარსდა, ბევრჯერ შეიცვალეს მუსიკოსები, თუმცა მისი სოლისტი და ჯგუფის ყველაზე პოპულარული ვოკალისტი დათო ლომიძე დღემდე შეუცვლელია.** ამ ჯგუფის საწინააღმდეგო, პრინციპში, არაფერი მაქვს — ვისაც რა და როგორ გამოსდის, იმას აკეთებს. უბრალოდ, ის მაინტერესებს, როდის აქეთ იქცა ჩვენს ეროვნულ კულტურად და ტრადიციად როკი და რატომ გადაწყვიტეს ორგანიზატორებმა ამით საქართველოს პოპულარიზაცია და ყურადღების მიქცევა, მაშინ, როცა არაერთი ქართული ხალხური ანსამბლია ქვეყანაში?!

**რაც შეეხება „მწვანე ოთახს“, რატომღაც მეგონა, რომ ეს ჯგუფი დიდი ხნის წინათ დაიშალა, ყოველ შემთხვევაში, ბოლო დროს მათი აქტიურობა ქართულ მუსიკალურ სამყაროში თვალშისაცემი და აქტიური ნამდვილად არ ყოფილა. მოგეხსენებათ, „ალტერვიჟენ გრუფი“ აჩიკო გულედანთან ასოცირდება, აჩიკომ კი, როგორც ჩანს, ეს შანსი და პრივილეგია ხელიდან არ გაუშვა და თავისი ყოფილი ჯგუფიც, რომელშიც ახლა უკვე 2 კაცია, პროექტში „შეტენა“.**

მესამე ჯგუფ „The Forest“-ის არსებობა, ჩემდა „სამწუხაროდ“, სტატიის წერისას შევიტყვე. მე, ალბათ, თანამედროვე ქართულ მუსიკას „ჩამორჩენილი“ ვარ. ინტერნეტში ჯგუფის მხოლოდ ერთი ჩანაწერი ვიპოვე. აღმოჩნდა, რომ ეს ჯგუფი ქართულ ელექტრომუსიკას ქმნის.

**ღრმად ვარ დარწმუნებული, 5-ვე ქვეყანაში როკსაც და ელექტრო მუსიკასაც, ჩვენზე კარგად თუ არა, უარესად ნამდვილად არ ასრულებენ. ქართული როკითა და ელექტრონიკით მათ ვერც გავაკვირვებთ და ვერც იმდენად მოვხიბლავთ, რომ მოსმენისთანავე თავქუდმოგლეჯილები გამოიქცნენ „საოცნებო ქვეყანა საქართველოში“!**

**გიორგი დონაძე, ანსამბლ „ბასიანის“ ხელმძღვანელი:**

— ვისაც უნდა სთხოვოთ ამ თემაზე კომენტარი, ყველა იტყვის, რომ აუცილებლად უნდა წასულიყო ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ერთი ანსამბლი მაინც. ქართველებს თუ რამე ღირებული შემოგვრჩა მსოფლიოსთვის საინტერესო, ეს არის ჩვენი ფოლკლორი. **სლოგანი „საქართველო მოდის შენთან“ საკმაოდ ამბიციურია და საქართველო მიდის მათთან როკითა და ელექტრომუსიკით? ეს უნდა წარადგინონ?!**

**ყველაზე ეფექტური იქნებოდა ქართული სიმღერა, ცეკვა წარგვედგინა. როკი ისე განვითარებულია მსოფლიოში, ჩვენ რით უნდა გავაკვირვოთ?! ამით ჩვენ ვაჩვენებთ, ნახეთ, რა მაგრები ვართ, თქვენნაირები ვხდებითო. როკ ჯგუფთან ერთად წაეყვანათ ერთი ფოლკლორული ანსამბლიც.**

**ჯემალ ჭკუასელი, ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი:**

— ჯერ მსოფლიოს ქართულ ხალხურ სიმღერაზე უკეთესი არაფერი შეუქმნია. ეს მე არ მომიგონია, იუნესკო ამბობს, რომ ქართული ხალხური სიმღერა ეს არის მსოფლიო მუსიკალური აზროვნების შედევრი! ფოლკლორის გარეშე ქართული ეროვნული კულტურის სადმე წარდგენა მე ხუმრობა მგონია. ეს, უბრალოდ, არ შეიძლება. უმდიდრესი ფოლკლორული მემკვიდრეობის, ჩვენი ეროვნული საუნჯის ნაცვლად მსოფლიოსათვის საქართველოს გასაცნობად როკისა და ელექტრომუსიკის წარდგენით მხოლოდ თავს შევირცხვენთ. არ გეგონოთ, სხვადასხვა მუსიკალური მიმდინარეობების განვითარების წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ არაა ჩვენთან ეს ჟანრები ისე განვითარებული, რომ ამით წარვადგინოთ ჩვენი კულტურა. როდესაც ეროვნულ კულტურაზეა საუბარი, არ შეიძლება ქართულ ხალხურ მუსიკას გვერდი ავუაროთ. მუსიკის, რომელიც კოსმოსშია გაგზავნილი, წარდგენა ნებისმიერ ქვეყანაში ჩვენთვის საამაყო უნდა იყოს.

მოამზადა
**თეო ტაბატაძე**

**P.S. მეოცე საუკუნის უდიდესმა კომპოზიტორმა იგორ სტრავინსკიმ ბრძანა: „ქართული ხალხური სიმღერა ყველა დროში ყველაზე თანამედროვე სიმღერაა, ქართული პოლიფონიური მუსიკა მსოფლიოს გაცილებით მეტს აძლევს, ვიდრე თანამედროვე მუსიკის ყველა მიღწევა“. როგორც ჩანს, ეს მართლაც ჯუზიკანტები, ანუ ხელისუფლების პროპაგანდისტული მუშაკები, სტრავინსკის ავტორიტეტად არ თვლიან... აბა, რა მოსატანია ვიღაც სტრავინსკი „ნაცმოძრაობის“ ყოვლისმცოდნე დირიჟორ სააკაშვილთან?!**

## «ეროვნული» მუსიკის «ერევნული» ვოიაჟი

**როგორც ხედავთ, კანონის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ოპერატიულ ღონისძიებებს (სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერა) მოსამართლის ბრძანება მხოლოდ ფორმალურად სჭირდება, რადგან, ამავე კანონის მეოთხე მუხლის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ტელეფონის მოსმენაც და ფარული გადაღებაც „შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე“, რაც შეეხება კანონის „ი“ ქვეპუნქტს, ინტერნეტ აქტივობისა და მათ შორის პირადი ელექტრონული მიმოწერის კონტროლის განსახორციელებლად შსს-ს მოსამართლის ბრძანებას აპრიორი აღარ სჭირდება.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**◀ კურ პარტიად არ მიმაჩნია. იგი იმ 20-კაციანი ბირთვითაა დაკომპლექტებული, რომელიც ნებისმიერ ხელისუფლებასთან გარიგებაში შედიოდა, ეროვნული მოძრაობის დასაწყისიდან დღემდე. ოპოზიციურ სპექტრში გაიძვერულად აღწევდნენ და ოპოზიციის ყველა რეალურ გაერთიანებას საფუძველშივე კლავდნენ. ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ ყოველთვის, ოღონდაც საკუთარი ამბიციები დაეკმაყოფილებინათ, იმავეს აგრძელებენ დღესაც. მაგრამ, მიუხედავად მათი დიდი მცდელობისა, პოლიტიკური გაერთიანება „რვიანი“ დღეს „მკვდარზე ვენოკია“. მინდა, ხელისუფლებას მოკავშირის გარდაცვალება მივუსამძიმრო.**

**— მიუხედავად ზემოთქმულისა, პოლიტიკოსების გარკვეული ჯგუფი „რვიანს“ პოზიტიურად აფასებს, მეტიც, ღიად საუბრობენ, რომ სააკაშვილის შემცვლელს დასავლეთი „რვიანში“ ეძებს...**

— მინდა, გაცნობოთ, რომ ახლო მომავალში ჩვენ ამერიკის საელჩოს „რვიანისა“ და მისი ბირთვი რესპუბლიკელების წინაალმდეგ იმ მამხილებელ დოკუმენტაციას გავუგზავნით, რომლითაც დასავლეთი ამ პოლიტიკური გაერთიანების რეალურ სახესა და მოტივებს გაიგებს. ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტი, 2001 წელს სოჭში გამართულ კონფერენციაზე, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებელ ერთეულად აღიარებას ეძღვნებოდა, როგორ აღიარა თინა ხიდაშელმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. შეხვედრას დავით ბერძენიშვილი და პაატა ზაქარეიშვილიც ესწრებოდნენ. გაგვაჩნია სხვა სერიოზული დოკუმენტაციაც, რომლის შინაარსიც მხოლოდ აშშ-ის საელჩოში გადაგზავნის შემდეგ გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი.

რაც შეეხება ალასანიას, გაუგებარია, როგორ დაივიწყა საკუთარი ოჯახის ტრაგედია და როგორ ზის რესპუბლიკელებთან ერთად, რომლებმაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარეს?! იგი იმდენად ღრმად ჩაითრიეს ბინძურ გარიგებებში, რომ მიზნის მისაღწევად ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებზე გადავიდა.

ვიბრძოლებთ, სანამ „ყველა მინუს რესპუბლიკელებს“ არ მივაღწევთ. ეს, ფაქტობრივად, მიღწეულიც არის.

**ესაუბრა**
**ეკა რობაქიძე**

# ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთში წასვლას აიძულებენ

**21 ივნისს 70 წელი შესრულდა სამამულო ომის დაწყებიდან, იმ ავბედითი ომის დაწყებიდან, რომელსაც ასი ათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა. ეს იყო დიადი ომი, დიადი სულისკვეთებით და, სამწუხაროდ, დიდი მსხვერპლით.**

სააკაშვილის იდეოლოგ-პროპაგანდისტი და კარის ისტორიკოსი სვიმონ მასხარაშვილი ერთ-ერთია, ვინც მეორე მსოფლიო ომში ქართველების პატრიოტული სულისკვეთება და სამშობლოსათვის თავდადება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, და ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე განაცხადა: **„ქართველებისთვის ეს არანაირად არ იყო სამამულო ომი. ეს იყო ქართველი მძევლების გაყრა ფრონტის ხაზზე. ამ ომს ჩვენ არავინ გვეკითხებოდა. სამასი ათას ქართველს, რომლებიც ამ ომში დაიღუპნენ, თავის დროზე რომ ებრძოლათ, იმ უბედურებას, რასაც კომუნიზმი ჰქვია, ავცდებოდით“.**

მაშინ, როცა მასხარაშვილისთვის სამამულო ომი „სხვისი ომია“, რაც მასში ზიზღს იწვევს, რატომღაც ავღანეთის სამხედრო მისიაში ქართული ჯარის მონაწილეობა და უაზროდ დაღვრილი სისხლი ეროვნულ საქმედ მიაჩნია.

20 ივნისს თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ცნობა ავღანეთში ქართველი ჯარისკაცის, რიგითი გია გოგუაძის დაღუპვის თაობაზე. ის უკვე მე-9 ქართველი ჯარისკაცია, რომელიც ავღანეთში სააკაშვილის რეჟიმის ანტიეროვნული პოლიტიკის გამო დაიღუპა.

ქართველი სამხედრო ექსპერტები უკვე ღიად საუბრობენ, რომ ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთში წასვლას აიძულებენ. ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში და სამხედროთა უფლებების დამცველი ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ **„ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც ჯარისკაცებს ავღანეთში გამგზავრებაზე უარის შემთხვევაში ფიზიკურად უსწორდებიან“.** მაგრამ „ნაც-პროპაგანდისტ“ მასხარაშვილს ამის გამო პრეტენზია არ გამოუთქვამს.




რაც დრო გადის, ავღანეთის მისიის გარშემო სულ უფრო მეტი კითხვის ნიშანი ჩნდება და უკმაყოფილება იზრდება ქართულ საზოგადოებაში; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ქართული კონტინგენტის 1600 ჯარისკაცამდე გაზრდა გადაწყვიტა. უკვე საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ეს სააკაშვილის ძალაუფლების შენარჩუნებისთვის კეთდება და საქართველოს ინტერესები აქ არაფერ შუაშია. როგორც ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, **„დასავლეთს აქვს საფუძველი, რომ სააკაშვილი გააკრიტიკოს და მისგან დემოკრატიული ნაბიჯების გადადგმა მოითხოვოს. სააკაშვილი ამ მითითებას იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ შეასრულებს, რომ ნებისმიერი დემოკრატიული სვლა მისი ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი იქნება. ამიტომ, დასავლეთის კეთილგანწყობის შენარჩუნების მიზნით, ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომელიც ამერიკას ძალიან სჭირდება. ამერიკას კი ახლა საქართველოსგან ყველაზე მეტად სამხედრო ძალა სჭირდება და ისიც ისე იღებს ქართველ სამხედროებს, როგორც „ჩუპაჩუპსებს“. რაც მეტ ქართველს გაგზავნის სააკაშვილი ავღანეთში, მით მეტი მხარდაჭერა ექნება მის დიქტატორულ რეჟიმს ამერიკისგან, ე.ი. სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტს ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლის ხარჯზე ინარჩუნებს“.**

როგორც იტყვიან, „a la guerre comme a la guerre“... (ომში — როგორც ომში), და რადგან საქართველოს ხელისუფლება, დიდი ხანია, ეწევა ომს საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ, გასაკვირი სულაც არ არის, რომ კერპთაყვანისმცემელი ქურუმივით სწირავს ქართველი ჯარისკაცების სიცოცხლეს ოკეანისგაღმელ „ღვთაებას“...

**ზურაბ ჯამბურია**

# SOS მერაბიშვილის უწყებამ ინტერნეტის ტოტალური კონტროლი დააკანონა

**„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ალბათ, იცით, თქვენი ტელეფონი რომ ისმინება. თუ ხელისუფლება დაინტერესდება, საკუთარ სახლშიც შეუძლია „ჟუჩოკი“ დაგიმონტაჟოს. ესეც ცნობილია. სახელმწიფო დაწესებულებები რომ ვიდეო სათვალთვალო კამერებით არის აღჭურვილი, ესეც იცით და, ალბათ, ერიდებით პოლიტიკური შეხედულებების პირად საუბრებში ხმამაღლა გამოხატვას, რადგან ეს შეიძლება თქვენი კარიერის დასასრული აღმოჩნდეს. მაგრამ ჯერ, ალბათ, არ იცით, რომ არათუ ხმამაღლა, ჩუმად, პირად მიმოწერაშიც კი შეიძლება გამოგიჭირონ, რადგან კანონში გაჩენილი ცვლილება, შს სამინისტროს თანამშრომელს უფლებას აძლევს, თქვენი პირადი საუბარი ამოიკითხოს სხვადასხვა სოციალურ ქსელებში, ელექტრონულ ფოსტაზე ან სულაც თქვენი კომპიუტერის დოკუმენტებში და ამისთვის მას მოსამართლის ნებართვაც კი არ სჭირება, ისევე, როგორც პოლიციის ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია გაგჩხრიკოს გონივრული ეჭვის საფუძველზე. ქვეყანაში ნებისმიერ სივრცეზე კონტროლი მყარდება.**

ვერ გეტყვით, სააკაშვილისეული დემოკრატიის რომელ ტალღას მივაწეროთ, მაგრამ ფაქტია, საქართველოში საკუთარი აზრის გამოთქმა უკვე ინტერნეტის საშუალებითაც კი საშიშია, რადგან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის“ კანონში შესული ცვლილებებით, რომელიც აქამდე მოსამართლის ბრძანებით კავშირგაბმულობის არხიდან და კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნას, ფიქსაციასა და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაციას ითვალისწინებდა, ცვლილება შევიდა, **„ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი — გლობალურ საინფორმაციო ქსელში (ინტერნეტში) მიმდინარე ღია და დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვება და მათში მონაწილეობა“ ახლა უკვე მოსამართლის ბრძანებასაც აღარ მოითხოვს.**

ქართულ კანონმდებლობაში ქაოტური ცვლილებების შეფასება ადვოკატ ქეთი ბექაურს ვთხოვეთ:

— ეს არის მიხეილ სააკაშვილის პირდაპირი განკარგულება, რომ საერთოდ ვერავინ შეძლოს ვერც პროტესტისა და ვერც თავისუფალი აზრის გამოხატვა. არ შეიძლება ასეთი კანონის მიღება, რადგან ეს არის პირდაპირ ნულოვანი ტოლერანტობისა და ტერორის დაკანონება ქვეყანაში, ამასთანავე — კონსტიტუციის 25-ე მუხლის უხეში დარღვევა. ხელისუფლება, რომელმაც ბართლომეს ღამე მოუწყო სამოქალაქო საზოგადოებას 26 მაისს, აგონიაშია. მან იცის, რომ აქციის დარბევისას არაერთი სისხლის სამართლის დანაშაული იქნა ჩადენილი, მათ შორის ისეთი დანაშაული, როგორიც განზრახ მკვლელობაა. კარგად იცის, რომ, სავარაუდოდ, ექვსი პირი არის განზრახ მოკლული, იცით, როგორ დასდევდნენ ჟურნალისტებს რეზინის ტყვიებით. რა თქმა უნდა, ხელისუფლება ხვდება, რომ დაუსჯელი არ დარჩება და ამიტომაც იღებს ასეთ დრაკონულ კანონებს. შეიძლება მოკლე ხანში ჰაერით სუნთქვა აგვიკრძალოს. „ნაციონალებს“ ერთი დიდი მავთულხლართი უნდა შემოავლო გარშემო და დააწერო: **საგიჟეთი! ფრთხილად, საშიშია!**




მუბარაქი რომ მუბარაქია, ისიც კი გამოვიდა და მოსახლეობას, რომელიც დაარბია და სისხლიც დაიღვარა, ბოდიში მოუხადა. ესენი ბოდიშს იხდიან კი არა, იღებენ უფრო დრაკონულ კანონებს და ანტიკონსტიტუციურ გარემოს ქმნიან — გნებავთ, სისხლის და გნებავთ, ადმინისტრაციულ სამართალში.

**— ინტერნეტ საშუალებებზე კონტროლის დამყარებას როგორ შეაფასებთ?**

— ესეც კონსტიტუციის უხეში დარღვევაა. არ შეიძლება სოციალურ ქსელებზე იბატონო, მედიაზე იბატონო, ჟურნალისტებს ტყვიებით სდიო, ადვოკატები დააშინო.

საქართველოში ყველაფერი პოლიტიკური მოტივით კეთდება, ყველა ეს საკანონმდებლო ცვლილება პოლიტიკური ოპონენტების დათრგუნვას, მათ დევნასა და ანგარიშსწორებას ემსახურება, რადგან ასეთია ხელისუფლების პოლიტიკური ნება, მას უნდა ნულოვანი ტოლერანტობა!

**მოამზადა**
**სოფო გელაშვილმა**

## ამონარიდი საქართველოს კანონიდან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ

**თავი 2. მუხლი 7. პუნქტი 2. ქვეპუნქტი „თ“**

... ინფორმაცის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილთა (გარდა დიპლომატიური ფოსტისა) კონტროლი...

ი) ... ელექტრული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს;

მ) ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი – გლობალურ საინფორმაციო ქსელში (ინტერნეტში) მიმდინარე ღია და დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვება და მათში მონაწილეობა, ასევე უკანონო კომპიუტერული მონაცემის მიღების სიტუაციის შექმნა, რომელიც ემსახურება დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის დადგენას.

**თავი 2; მუხლი7; პუნქტი** 4.

**ამ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომელთა ჩატარებაც საჭიროებს მოსამართლის ბრძანებას, გადაუდებელი აუცილებლობისას, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, პროკურორის მოტივირებული დადგენილებით შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე.**

(როგორც ხედავთ, კანონის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ოპერატიულ ღონისძიებებს (სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერა) მოსამართლის ბრძანება მხოლოდ ფორმალურად სჭირდება, რადგან, ამავე კანონის მეოთხე მუხლის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ტელეფონის მოსმენაც და ფარული გადაღებაც „შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე“, რაც შეეხება კანონის „ი“ ქვეპუნქტს, ინტერნეტ აქტივობისა და მათ შორის პირადი ელექტრონული მიმოწერის კონტროლის განსახორციელებლად შსს-ს მოსამართლის ბრძანებას აპრიორი აღარ სჭირდება. — ს.გ.).

# შსს მოქალაქეების პირად ელექტრონულ მიმოწერას, სოციალურ ქსელებში აქტივობას მოსამართლის ბრძანების გარეშე გააკონტროლებს

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ავტობუსის გაჩერებაზე ერთხელ ასეთ საუბარს შევესწარი: — ერთი ბოკერია მაცემინა, მეტი არაფერი მინდაო! — უთხრა შუახნის მამაკაცმა მეორეს. მან კი სიცილით უპასუხა: — მაგის ცემაზე იმხელა რიგია, შენ აღარ მოგიწევსო! ამის გათვალისწინებით დაცვის სამსახური, ალბათ, უზომოდ გაფართოვდება, რადგან გასული შვიდი წლის განმავლობაში, ბოკერიას გარდა, კიდევ არაერთმა თანამდებობის პირმა გაუღვიძა ხალხს მათი ცემის სურვილი.**









## 451 გრადუსი ფარენგეიტით

# კალიკოს, აკოსა და ჩიორას ქვეყანა

**2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ ნაციონალურმა პარლამენტმა დააკანონა ყველა ის სპეციალური საშუალება, რომელთა გამოყენება მანამდე აკრძალული იყო და რომელიც კანონმდებლობის უხეში დარღვევით გამოიყენა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. მას შემდეგ ეს პრაქტიკა დამკვიდრდა: ხელისუფლებისთვის ნებადართული ხდება ყველაფერი, ხოლო ხალხისთვის აკრძალვების ჩამონათვალი სულ უფრო ფართოვდება. ჩემს ბავშვობაში საბჭოთა მთავრობა კარაქს „მშრომელთა მოთხოვნით“ აძვირებდა, დღეს ანტისაბჭოთა ქართული ხელისუფლება გულმოდგინედ იქმნის საკუთარი კეთილდღეობისა და დღეგრძელობის გარანტიებს და საფუძველშივე სპობს ყოველგვარ საფრთხეს, რომელიც მის ერთმმართველობას თეორიულადაც კი შეიძლება დაემუქროს.**

ახლაც, ვიდრე ჩვენი ოპოზიცია მორიგი უშედეგო აქციებით (ან მოლაპარაკებით) მიყენებულ სულიერ და ხორციელ ჭრილობებს იშუშებს, ხელისუფლება სასწრაფო წესით „აუმჯობესებს“ კანონმდებლობას, რომელიც, „ნაციონალთა“ რწმენით, საკუთრივ მათი ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის არის მოწოდებული. პალიკო კუბლაშვილის, აკო მინაშვილის, ჩიორა თაქთაქიშვილისა და „ხალხის რჩეული“ კიდევ რამდენიმე ნაციონალი დეპუტატის წინადადებით, **„პოლიციელზე, ხელისუფლების წარმომადგენელზე ან მათ სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე, ასევე სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმა, აგრეთვე, მათი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფა ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით შვიდიდან ოც წლამდე ან უვადოდ“.**

„კიდევ რამდენიმე ნაციონალი დეპუტატი“ იმიტომ ვახსენე, რომ მათი გვარები ამომრჩეველს არაფერს ეუბნება. ვინმე იცნობთ გიორგი ჩივიაშვილს, ზვიად კუკავას (კახაში არ აგერიოთ!) ან კახა ანჯაფარიძეს? მეზობლების გარდა, ალბათ, — არავინ. არადა, მათ რომ შეეხოთ, შეიძლება უვადო პატიმრობას გამოჰკრათ ხელი. **რატომ გვავალდებულებს კანონმდებელი, ჩვენთვის უცნობი დეპუტატების ოჯახის წევრებსაც ვცნობდეთ სახეზე? რა სეპარატიზმია სახელისუფლო ელიტის ოჯახის წევრების ცალკე გამოყოფა და რატომ არის მათი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ყველა სხვა ადამიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებით სათუთი და ხელშეუხებელი?**

2008 წელს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონში დასაცავ პირთა ჩამონათვალს იუსტიციის მინისტრი დაემატა. მის გარდა, ჩვენგან იცავენ პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელებს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს, პრეზიდენტობის კანდიდატებს. რაც შეეხება პრეზიდენტს, მას და მისი ოჯახის წევრებს დაცვა სიცოცხლის ბოლომდე უნარჩუნდებათ.

კანონში ვრცელი ჩამონათვალია იმ პირებისა, რომელთაც, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, დაცვა შეიძლება დაენიშნოთ, აგრეთვე, მათი ოჯახის წევრებსაც, „თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ მის ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება“.

ავტობუსის გაჩერებაზე ერთხელ ასეთ საუბარს შევესწარი: **— ერთი ბოკერია მაცემინა, მეტი არაფერი მინდაო! — უთხრა შუახნის მამაკაცმა მეორეს. მან კი სიცილით უპასუხა: — მაგის ცემაზე იმხელა რიგია, შენ აღარ მოგიწევსო!**

**ამის გათვალისწინებით დაცვის სამსახური, ალბათ, უზომოდ გაფართოვდება, რადგან გასული შვიდი წლის განმავლობაში, ბოკერიას გარდა, კიდევ არაერთმა თანამდებობის პირმა გაუღვიძა ხალხს მათი ცემის სურვილი.**

პრეზიდენტს შეუძლია დაცვა დაუნიშნოს უმაღლესი თანამდებობის პირების ოჯახის წევრებს, ოღონდ თუ ეს პირი გარდაცვლილია. საგანგებოდ ზურაბ ჟვანიას ოჯახისთვის 2005 წლის 10 მარტს მიღებული კანონი „საქართველოს ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ ასევე გვამცნობს, რომ გარდაცვლილი პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის ან პრემიერ-მინისტრის ოჯახის წევრების სიცოცხლე და ჯანმრთელობა სავალდებულო დაზღვევით არის უზრუნველყოფილი.

დაზღვევა ითვალისწინებს ყოველწლიური სამედიცინო გამოკვლევის ხარჯებს, სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯებს, სამედიცინო კონსულტაციების ხარჯებს, ამბულატორიული მკურნალობის, მკურნალი ექიმისა და სპეციალისტების, ჰოსპიტალური მკურნალობის, მათ შორის, საოპერაციო ხარჯებს. რამდენს გაქვთ ამის საშუალება, ხელი აწიეთ! პირადად ჩემთვის ამგვარი დაზღვევა საბჭოთა წარსულს ჩაბარდა.

**ერთი სიტყვით, ქვეყნის პირველი სამი პირისთვის კომუნიზმი კარგა ხნის აშენებულია. სავარაუდოდ, ამ პირთა წრეც მალე გაფართოვდება, რადგან ცოცხლადდარჩენილ უმაღლესი თანამდებობის პირებსაც დასჭირდებათ ამგვარი „ოქროს“ დაზღვევა. თავისთავად ცხადია, რომ ამ დაზღვევას სახელმწიფო ბიუჯეტი (ანუ ჩვენ) უზრუნველყოფს.**

საკმარისზე გაცილებით მაღალი ხელფასის (და მასზე უფრო მაღალი ხელფასის დანამატის) მქონე პარლამენტარები ასევე სრული დაზღვევის პაკეტით სარგებლობენ. მათ არც მინისტრები და მათი მოადგილეები, გუბერნატორები და გამგებლები ჩამორჩებიან, რომლებიც საკუთარ თავს ყოველ თვეში ხელფასის ოდენა პრემიებს უწერენ. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ფასიანი (და, რაც მთავარია, ძვირფასი) ჯანდაცვის მაღალ ლობზე გადასვლას ვერ ახერხებს, ხელისუფლების წარმომადგენლები საკუთარ ძვირფას სიცოცხლესა და ჯანმრთელობას თვალის ჩინივით უფრთხილდებიან.

ყოფილ და ცოცხლადდარჩენილ პარლამენტის თავმჯდომარეს დაცვა არ ეკუთვნის, თუ პრეზიდენტმა თავად არ დაუნიშნა. პირიქით, „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილება შედის და საქართველოს პრეზიდენტს ახლა უკვე პერსონალური დაცვის მოხსნის უფლებამოსილებაც ენიჭება. **რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რომ ერთადერთი პირი, რომლისთვისაც სახელმწიფო დაცვის მოხსნაა დღეს აქტუალური, პრეზიდენტის მოვალეობის ორგზის შემსრულებელი, ორგზის პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეა.**

შესაბამისად, ნინო ბურჯანაძის დაცვაში მომუშავე პირები სახელმწიფო დაცვის სტატუსს დაკარგავენ. ახლახან შეტანილი კანონპროექტის მიხედვით, ისინი უკანონო ფორმირებად იქცევიან. უკანონო ფორმირების დაფინანსება კი **„იმის წინასწარი შეცნობით, რომ იგი გამოყენებული იქნება ან შესაძლებელია გამოყენებული იქნას უკანონო ფორმირების საქმიანობისთვის, დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან რვა წლამდე“**. მეტიც: ნებისმიერ უკანონო ფორმირებაში (შეიარაღებულიც რომ არ იყოს) მონაწილეობა დაისჯება. სხვადასხვა შეიარაღების გარდა, ახლა ნებისმიერი **„მოწყობილობა ან საგანი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ან გასანადგურებლად“**, ასევე გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ბურჯანაძის ეშმაკურმა ღიმილმა და შეგონებამ, რომ კანონით ჯოხი იარაღს არ განეკუთვნება, ნაციონალურ ხელისუფლებას კანონშემოქმედების მუზა მოჰგვარა და ეს ხარვეზიც სულ მალე აღმოიფხვრება. ფართო გაგებით კი, **ვისაც სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ ხმის აღტყინება არ ემართება, ყველანი „უკანონო ფორმირების“ წევრებად ვიქცევით.**

მერე რა, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გაერთიანებების შექმნის უფლება გარანტირებული გვაქვს! **ამიერიდან მხოლოდ ხელისუფლების მიერ შექმნილი ფორმირებები იქნება კანონიერი, სხვა ყველა კი — უკანონო.**

ეს იმას ჰგავს, კონსტიტუცია რომ ნებისმიერ ადგილზე შეკრების სრულ თავისუფლებას გვანიჭებს, მაგრამ ნაციონალური ხელისუფლება „არასანქციონირებულს“ რომ უწოდებს მის წინააღმდეგ გამართულ აქციას! თუ დღემდე უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯებოდა, ახლა სასჯელი ექვსიდან თორმეტ წლამდე იქნება. იმის გათვალისწინებით, რომ იარაღში შეიძლება ნებისმიერი საგანი იგულისხმებოდეს, გასაგებია, რომ ბურჯანაძეს (ამჯერად — გიას) „შეფიცულთა“ ხელმძღვანელობისთვის სავარაუდო სასჯელი 12 წლამდე გაეზრდება, ხოლო თუ ნაციონალურ ნოვაციას — სასჯელის შეკრებითობის პრინციპსაც გავიხსენებთ, მასაც და ნებისმიერ სხვა მოქალაქეს, რომელიც რაიმეს გაპროტესტებას დააპირებს, შესაძლოა, უვადო პატიმრობაც დაემუქროს.

**ყველა ახალი აკრძალვის ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა, კანონპროექტის ავტორებს ჩამოეთვალათ, რაღა დარჩა საქართველოს უკმაყოფილო მოქალაქისთვის ნებადართული. არ შეიძლება ისეთი საგნების გამოყენება, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ვინმეს, ალკოჰოლური სასმელის აღმოჩენა მანიფესტაციის დაუყოვნებლივ შეწყვეტის საფუძველი გახდება. თუ აქციის მონაწილეები სამართალდამცველების მითითებას არ გაითვალისწინებენ, 15 წუთში აქციის დაშლა კანონიერი იქნება (თითქოს ამ კანონპროექტის დაწერამდე არ დაუშლიათ!).**

შეკრებისა და მანიფესტაციების დროს საერთოდ აიკრძალება ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება. და რაც ყველაზე მომხიბვლელია, შეკრებისა და მანიფესტაციის ადგილის განსაზღვრის უფლებამოსილება ენიჭება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზეც აქცია იმართება. **წარმოიდგინეთ, პარლამენტის ფანჯრიდან გადმოყუდებული დავით ბაქრაძე სათნო და სათუთი სახით როგორ მიუთითებს თავის წინამორბედს: — აქეთ მობრძანდით, ქალბატონო ნინო, 20 მეტრი რა მოსატანია, გამიმართეთ საპროტესტო აქცია, ჩვენ ყოველთვის გაგებით მოვეკიდებით თქვენს საპროტესტო განწყობასო!**

თუ კარგად დავიწყებულ საბჭოთა გაფრთხილებასაც გავიხსენებთ: „სამ კაცზე მეტი ნუ შეგროვდებით!“, განსაკუთრებით უფრთხილდით, რომელიმეს ჯიბეში სასმელი არ აღმოაჩნდეს და თან მეტრიანიც იქონიეთ, რომ აკრძალული შენობიდან 20 მეტრი ზუსტად გადაზომოთ! თუ კიდევ მოგინდებათ რამის გაპროტესტება, აქციები „რვიანსა“ და ბურჯანაძეს ჩაუტარეთ. ამაზე არავინ დაგსჯით, აქციაზე ბიოტუალეტებსაც კი დაგიდგამენ.

**ნანა დევდარიანი**

**დავით ბაქრაძე – ნინო ბურჯანაძეს:**

**აქეთ მობრძანდით, ქალბატონო ნინო, 20 მეტრი რა მოსატანია, გამიმართეთ საპროტესტო აქცია, ჩვენ ყოველთვის გაგებით მოვეკიდებით თქვენს საპროტესტო განწყობას!**

**P.S.** ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნეში ბერძენთა მხარდაჭერით მცხეთაში მოსულმა დამპყრობელმა აზომ ბრძანა: **„ყოველმან ქართველთაგანმან, რომელმან პოვოს საჭურველი, მოჰკალთ იგი“** (ანუ იარაღის მქონე ყველა ქართველი მოკალითო). ქართლის ცხოვრება გვეუბნება: **„ვინცავინ გამოჩნდეს ქართველთაგანი ქმნულ-კეთილი და ასაკოვანი, მოკლან იგი. და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა“.** მაგრამ აზოს ბატონობა ქართლში დიდხანს არ გაგრძელებულა. ქვეყანაში იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ედგა ფარნავაზი — **„მამულად ქართლელი, კაცი გონიერი, მხედარი შემართებული“.**

საქართველო აზოს ქვეყანა არ არის, ფარნავაზის ქვეყანაა!

**ვინაიდან კონსტიტუციის დედის რძესავით ტკბილი 25-ე მუხლის პირველი პუნქტი გვამცნობს, რომ ყველას (ძალოვანების გარდა) უფლება გვაქვს, წინასწარი ნებართვის გარეშე შევიკრიბოთ „საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ“, ხოლო „ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო“. კანონპროექტის ავტორებმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, ცნება „კანონსაწინააღმდეგო“ უსასრულობამდე გააფართოონ და თბილისში მიტინგის ჩატარება, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახადონ.**



## დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**სააკაშვილის ხელისუფლება რიგი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას გეგმავს. თუ მათი შეფასება ერთ წინადადებაში გახდებოდა აუცილებელი, ალბათ, ყველაზე უკეთ ამისთვის გამოდგებოდა რეპლიკა ელდარ რიაზანოვის ცნობილი ფილმიდან: „Этот тип замахнулся на самое святое, что у нас есть... на Конституцию!“, რადგან ძირითადი კანონის 25-ე მუხლით გარანტირებული უფლებების რეალიზება მალე, როგორც ჩანს, თითქმის შეუძლებელი იქნება.**




ერთი შეხდვით, უჩვეულო არაფერი ხდება: ბანანი ყვავის და ჩვენი „**La Republica Bananera**“ სახელმწიფოებრივი მარაზმის მორიგ სტადიაში შედის, თუმცა ცვლილებებში, რომელიც „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში უნდა შევიდეს, ალბათ, მაინც არის რაღაც გამორჩეული, რაღაც ისეთი, რასაც „განსაკუთრებულ ცინიზმსა და სისასტიკეს“ უწოდებენ.

კანონპროექტის მომზადებაზე ქართული პარლამენტარიზმის სამმა ტიტან(იკ)მა — პავლე კუბლაშვილმა, კახა ანჯაფარიძემ და აკაკი მინაშვილმა იზრუნეს. მაგრამ სამამულო იურისპრუდენციის ეს სამი კენტავრი, შესაძლოა, ვერ მიაღწევდა ასეთ გამაოგნებელ შედეგებს, რომ არა პროცესის მეოთხე მონაწილე, ჩიორა თაქთაქიშვილი; **დოკუმენტის ნებისმიერ სტრიქონს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი აღმაფრენა ეტყობა, კანონპროექტის გარეკანზე ისევე თამამად შეგვიძლია დავწეროთ: „აქ იყო ჩიორა“, როგორც ბაბილონელებმა თავიანთი კანონების კოდექსზე მეფე ხამურაბის სახელი ამოტვიფრეს.**

**ვინაიდან კონსტიტუციის დედის რძესავით ტკბილი 25-ე მუხლის პირველი პუნქტი გვამცნობს, რომ ყველას (ძალოვანების გარდა) უფლება გვაქვს, წინასწარი ნებართვის გარეშე შევიკრიბოთ „საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ“, ხოლო „ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო“. კანონპროექტის ავტორებმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, ცნება „კანონსაწინააღმდეგო“ უსასრულობამდე გააფართოონ და თბილისში მიტინგის ჩატარება, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახადონ.**

„კანონპროექტით დგინდება, რომ შესაბამის ორგანოს აქვს ვალდებულება, დაიცვას ბალანსი შეკრების თავისუფლებასა და იმ პირთა უფლებებს შორის, ვინც ცხოვრობს, მუშაობს, ვაჭრობს და აქვს ბიზნესი იმ ადგილებში, სადაც შეკრება მიმდინარეობს. კანონში ცალსახად ჩაიწერება, რომ ამ პირებს ხელი არ უნდა შეეშალოთ, რათა განაგრძონ თავიანთი საქმიანობა. ამ მიზნით შეიძლება დაწესდეს დროისა და ადგილის შეზღუდვა და მოხდეს ალტერნატიული ვარიანტების შეთავაზება“ („ინტერპრესნიუსი“).

**რა „შესაბამისი ორგანო“? „Какого Бориса-царя?!“; რომელი „ბალანსი“ და კოსმოსური წონასწორობა? წარმოვიდგინოთ, რომ რამდენიმე ათასი მოქალაქე შევიკრიბეთ იმისთვის, რომ დიქტატურა დავგმოთ, ამ დროს „შესაბამის ორგანოს“ მიმართავს სამი ადამიანი, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ პამიდვრის გაყიდვაში ხელს ვუშლით, კიდევ რამდენიმე ამბობს, რომ დაძინების საშუალებას არ ვაძლევთ. გამორიცხული არაა, რომ ისინი წინასწარ მომზადებული პროვოკატორები იყვნენ; რამდენიმე ათეული ასეთი ტიპის მოძებნა საქართველოში, ქვის ხანიდან მოყოლებული, პრობლემა არაა.**

**ამის შემდეგ „შესაბამისი ორგანო“ ვალდებულია (!), „ჩვენ თავისუფლებასა და მათ უფლებებს შორის“ ბალანსის დაცვა დაიწყოს. ძალიან დიდი ალბათობით, ის აქციის სხვა ადგილას გადატანას შემოგვთავაზებს. ეს სქემა, იდეაში, ხელისუფლებას ნებისმიერი მიტინგის ჩაშლის შესაძლებლობას აძლევს, თუ, ცხადია, ის უდაბნოში არ გაიმართება.**

თუმცა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ უდაბნოში ვინმე მოგვასვენებს, სავარაუდოდ, ცდება. გამორიცხული არაა, ახლო მომავალში, ეგვიპტეს ცნობილი ფარაონი ამათთან შედარებით ერთ ჩვეულებრივ ეგოცენტრისტ ბავშვად მოგვეჩვენოს. **„თუ აქციის მსვლელობისას მასობრივად აქვს ადგილი იმ გარემოებას, რომ მონაწილეებს აქვთ ისეთი საგნები ან ნივთიერებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ან შეუძლია შეუქმნას შეკრების ან მანიფესტაციის სხვა მონაწილეებს ან სხვების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას; ასევე, თუ აქვთ ცრემლსადენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების და მომწამვლელი ნივთიერებანი ან ალკოჰოლიანი სასმელები, შეკრება და მანიფესტაცია დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მოთხოვნისთანავე. თუ მანიფესტაცია არ შეწყდა, კანონპროექტში ცალსახად წერია, რომ „სამართალდამცავი ორგანოები შეკრების ან მანიფესტაციის მსვლელობის შესაწყვეტად და მის მონაწილეთა დასაშლელად გამოიყენებენ საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ზომებს“ („ინტერპრესნიუსი“).**

წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც აქციას უერთდება ათიოდე „agent provocateur“-ი (მაინც რა ლამაზი ენაა ფრანგული) არყის ბოთლებით ხელში, სახელისუფლო ტელევიზიები სხვადასხვა პოზებში აჩვენებენ, ისე, რომ „მასობრიობის“ შთაბეჭდილება შექმნან. შემდეგ „უფლებამოსილი პირი“ მოდის და გვეუბნება, რომ დაუყოვნებლივ უნდა დავიშალოთ. **ამასთანავე, ჩნდება ფანტასტიური ცნება „საგანი, რომელმაც სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას“, „უფლებამოსილი პირის“ აღგზნებულმა წარმოსახვამ შეიძლება ასეთად პრაქტიკულად ნებისმიერი საგანი განიხილოს — დროშიდან დაწყებული, ხელჩანთითა და გამაგრილებელი სასმელის ბოთლით დამთავრებული. მან ასევე შეიძლება ჩათვალოს, რომ ჩვენი შარფებით ვინმეს დახრჩობას ვაპირებთ, იმპერატორ პავლე I-ის არ იყოს. ლოგიკას თუ მივყვებით, გამოვა, რომ აქციაზე არა მხოლოდ ხელცარიელები, არამედ ლამის შიშვლები უნდა მივიდეთ.**

## როგორ დავადგინოთ, ვინაა ხელისუფლების წარმომადგენლის ოჯახის წევრი? ალბათ, რაიმე განმასხვავებელი ნიშანი ექნებათ, მაგალითად, წითელი ჰალსტუხი ან ყვითელი შარვალი

თუმცა ჯერ სად ვართ, ეს მხოლოდ დასაწყისია; ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსშიც შედის. უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა დაისჯება ექვსიდან თორმეტ წლამდე (ადრე 9-მდე იყო), მისი წევრობა სამიდან შვიდ წლამდე (ადრე 5-მდე იყო), თავისუფლების აღკვეთით. ზოგადად, უკანონო შეიარაღებული ფორმირება ძალიან ცუდი რამ არის, მაგრამ ყურადღება მივაქციოთ ერთ ნიუანსს: **დღეს უკანონო შეიარაღებულ ფორმირებად ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დაჯგუფება განიხილება, ცვლილებებში ცეცხლსასროლ იარაღს ემატება „საბრძოლო მასალა, ფეთქებადი და ადვილად აალებადი ნივთი, ასაფეთქებელი მოწყობილობა, ცრემლსადენი, რადიაქტიური, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან მომწამვლელი ნივთიერება, ცივი იარაღი, ანდა (ციტატის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი!) ნებისმიერი მოწყობილობა ან საგანი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცოცხალი ან სხვა ობიექტების დასაზიანებლად ან გასანადგურებლად“.**

თვალი გადავავლოთ საგნებს ჩვენ გარშემო და ვნახავთ, რომ მათი უმრავლესობა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც პოტენციურად საშიში იარაღი: **სანთებელა, ჩაქუჩი, მაკრატელი და ყავის ფინჯანიც კი, რომელიც ვინმემ ცხელ გულზე შეიძლება აკაკი მინაშვილს თავში გაუქანოს. ამ რაკურსით ნებისმიერი ოჯახი უკანონო შეიარაღებული ფორმირებაა, ხელოსნები კი თავიანთი ინსტრუმენტებით — ფარბუნდო მარტის სახელობის ეროვნული გათავისუფლების ფრონტი.**

ხუმრობა იქით იყოს და, თუ ეს ნორმა „ნებისმიერი მოწყობილობის ან საგნის შესახებ“ ამოქმედდება, ხელისუფლებისთვის არასასურველი ადამიანების გასაღება უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრებად, პრაქტიკულად, უპრობლემო გახდება.

თუ ამ კანონპროექტს მიიღებენ, საკონსტიტუციო სასამართლოს, ფაქტობრივად, თავზე გადაახევენ 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებას, რომელიც ავადსახსენებელი „20-მეტრიანი შეზღუდვის“ გაუქმებას ითვალისწინებდა; სახეცვლილი ეს ნორმა კვლავ გვიბრუნდება, აგრეთვე, მკაცრდება წესები ქუჩების გადაკეტვასთან დაკავშირებით. ხოლო თუ რომელიმე ძლიერ მონდომებული ოპოზიციონერი ყველა წესს ზედმიწევნით ზუსტად დაიცავს, იგება კიდევ ერთი ხაფანგი, რომელსაც თავს ძნელად თუ დააღწევს: **„დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის მიმდინარეობისას ისტორიული, არქეოლოგიური, არქიტექტურული ან სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე შენობა-ნაგებობის, ძეგლის ან მემორიალის ვიზუალური მხარის დამახინჯება, დაზიანება ან მათ მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება“.**

**თუ ვინმეს შეუძლია ახსნას, რას ნიშნავს „არქიტექტურული ან სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე შენობა-ნაგებობის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება“ საკუთარი ხელით ნობელის პრემიაზე წარვადგენ და სიცოცხლეშივე ისტორიული მნიშვნელობის ძეგლს დავუდგამ.**

## ხელისუფლება საკუთარ თავსა და საზოგადოებას შორის ღობეს კი არა, «ბერლინის კედელს» აშენებს. ამით კი, ფაქტობრივად, აღიარებს, რომ დღეს ის იზოლირებული და ალყაშემორტყმულია

ამ კანონპროექტმა დიდი აურზაური და აღშფოთება გამოიწვია. მსგავს სიტუაციებში კი, როდესაც პირობით „ცენტრში“ (მათ შორის „კონსტრუქციული ოპოზიციის“ მონაწილეობით) დიდი ხმაური იწყება, სამხედროები, სპორტსმენები და სხვა გამოცდილი ადამიანები დაჟინებით გვირჩევენ, ყურადღება „ფლანგებს“ მივაქციოთ, რადგან მთავარი საფრთხე, როგორც წესი, სწორედ იქიდან მოდის, ხოლო მთელი ფოიერვერკი ჩვენ თვალწინ სწორედ ამ ფლანგური მანევრის გადაფარვას ემსახურება. „ფლანგზე“ კი სრული კატასტროფა ხდება, თითქმის არავინ აქცევს ყურადღებას კიდევ ერთ მოსალოდნელ ცვლილებას სისხლის სამართლის კოდექსში: **„პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე, ასევე მათ საცხოვრებელ შენობებზე, სატრანსპორტო საშულებებზე თავდასხმა, აგრეთვე, მათი ოჯახის წევრთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფა თავისუფლების 7-დან 20 წლამდე აღკვეთით, ან უვადო პატიმრობით დასჯება“ („პირველი“).**

იმ შემთხვევაში, თუ „თავდასხმას“ ისეთივე ფართო ინტერპრეტაცია მიეცემა, როგორც „წინააღმდეგობის გაწევას“, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის მრავალწლიანი დატუსაღების პერსპექტივა ძალზე რეალური გახდება. **ჩამონათვალში „ოჯახის წევრთა“ შეყვანა, ფაქტობრივად, შუა საუკუნეებში გვაბრუნებს, როდესაც განსხვავებული სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებთან დაკავშირებით სხვადასხვა სამართლებრივი ნორმა მოქმედებდა. წარმოიდგინეთ, რად გადაიქცევა ნებისმიერი კონფლიქტი ყოფით ნიადაგზე, ავტოსაგზაო შემთხვევა ან, უბრალოდ, სიტუაცია, როდესაც ვიღაც ამოუცნობი კრეტინი მოდის, გაგინებს და ქვებს გესვრის, თუ ერთ-ერთ მხარეს მეორეზე „თავდასხმისთვის“, „მისი საკუთრების ხელყოფისთვის“ გაცილებით მძიმე სანქციები დაეკისრება. ფეოდალიზმია თუ მონათმფლობელობა? ან როგორ დავადგინოთ, ვინაა ხელისუფლების წარმომადგენლის ოჯახის წევრი? ალბათ, რაიმე განმასხვავებელი ნიშანი ექნებათ, მაგალითად, წითელი ჰალსტუხი ან ყვითელი შარვალი, თუ არა და ეს ნორმა სრული ძალით ვერ ამოქმედდება.**

შიში ოხერია, ხოლო იმის შეგრძნება, რომ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის ადრე თუ გვიან დაგსჯიან, ალბათ, ძალიან მძაფრი რამ არის. თუმცა ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, როდესაც მსგავსი იურიდიული წინალობების აღმართვით ძირგამომპალი რეჟიმების გადარჩენა მოეხერხებინათ; შესაძლებლობათა მაქსიმუმი აგონიის გახანგრძლივებაა.

**საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მიღებასაც ხელისუფლება გეგმავს, ცხადყოფს, რომ ის საკუთარ თავსა და საზოგადოებას შორის ღობეს კი არა, „ბერლინის კედელს“ აშენებს. ამით კი, ფაქტობრივად, აღიარებს, რომ დღეს ის იზოლირებული და ალყაშემორტყმულია. ეს პრინციპულად მნიშვნელოვანი მომენტია და ჩამოთვლილი კანონპროექტების ავტორები, შესაძლოა, ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ, თუ როგორ გაშიფრეს საკუთარი თავი როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**26 მაისის დარბევის შემდეგ, 27-ში ნიკოლა სარკოზიმ შემდეგი განცხადება გააკეთა: „რაც შეეხება ჩემს ქართველ მეგობრებს, მე მჯერა, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ 2008 წლის შეთანხმებასთან დაკავშირებით. მათ კარგად იციან, რომ ეს შეთანხმება დაიდო მაშინ, როდესაც საფრანგეთი ევროკავშირის თავმჯდომარე იყო და ამიტომ ახლა საქართველო სრულიად თავისუფალია რუსეთისგან („LA GEORGIE D'AUJOURD'HUI EST TOTALEMENT LIBRE DE LA RUSSIE")". ერთი შეხედვით, ამ განცხადებას 26 მაისთან არაფერი საერთო არ აქვს, მაგრამ საფრანგეთის პრეზიდენტმა პრაქტიკულად იდეალურად შეარჩია დრო, რათა (ფაქტობრივად) დაეფიქსირებინა, რომ ოფიციალური თბილისის განსხვავებული მოსაზრება აღნიშნულ თემაზე დიდად არ აინტერესებს.**

## გა[illegible]ზებულნი



**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

გარეგინ II ახალგაზრდა ადამიანია და, ალბათ, ჯერ მეტი გამოცდილება სჭირდება. ჭკვიანი კაცია, მაგრამ უნდა, ყველაფერი სასწრაფოდ გააკეთოს, რაც არ გამოდის. ვუთხარი, რომ მაქვს დიდი გამოცდილება, ამიტომ სიმშვიდე ყველაფერს სჯობს. მისივე თქმით, შეხვედრისას საუბარი შეეხო ორი ქვეყნის ეკლესიებს შორის ურთიერთობას... სომხებს აქვთ სურვილი, გახსნან კიდევ ტაძრები საქართველოში. ჩვენ შევთავაზეთ, რომ, თუ საქართველოში გაიხსნება სომხური ტაძრები, სომხეთშიც აუცილებლად უნდა გაიხსნას ქართული ტაძრები. შევთანხმდით, რომ მომავალში უფრო კარგი თანამშრომლობა გვექნება. მინდა ვთქვა, რომ საქართველოს ეკლესია ღიაა ყველასთვის, მაგრამ ქართული ეკლესია არ დაუშვებს, რომ დაიჩაგროს ქართველი ერი და ქვეყანა.

*„ინტერპრესნიუსი"*



**ზაზა ფირალიშვილი,**
**ფილოსოფოსი:**

რადიკალური ოპოზიციის მიერ ინიციატივის აღებამ და მისმა მარცხმა, რისი გათვლაც იოლად შეიძლებოდა, გააშიშვლა ის, რაც ისედაც ცხადი იყო: ქართულ საზოგადოებას, რეალურად, თურმე ხელისუფლების ალტერნატივა არ გააჩნია, არადა ხელისუფლება 26 მაისის აღლუმის შემდეგ, კიდევ უფრო გაუცხოვდა თავისი საზოგადოებისგან.

*„მთელი კვირა"*



**მანანა ნაჭყებია,**
**„ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი:**

პირდაპირ შეიძლება ითქვა, რომ დღეს ერთადერთი გზა, რომელიც შეცვლის ამ ხელისუფლებას, არის არჩევნები.

*„ახალი თაობა"*



**გიგი უგულავა,**
**თბილისის მერი:**

კითხვა იმის შესახებ, ვის კანდიდატურას დააყენებს „ნაციონალური მოძრაობა" საპრეზიდენტო არჩევნებზე, ღიაა და ამის პროგნოზირება ჯერჯერობით ნაადრევია.

*„ტელეგრაფი"*

# ფრანგული გილიოტინა ჭკუამხიარული პრეზიდენტისთვის

**გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო, დაღმართზე ხომ საუბარიც ზედმეტია.**
**ჩნდება სულ უფრო მეტი ნიშანი იმისა, რომ ჩვენი მდგომარეობა საგარეო არენაზე რთულდება, სააკაშვილის ხელისუფლებას კი ამ ვითარების გამოსწორებისთვის სათანადო რესურსი არ აქვს. სამამულო დიპლომატიის ზოგად ოლიგოფრენიულობას თავი რომც დავანებოთ, ფაქტია, ხელისუფლებას, რომელიც საკუთარ მოსახლეობას ისე უსწორდება, როგორც მოსისხლე მტერს, უცხოელი პარტნიორები არა მხოლოდ ხელებს, არამედ დანარჩენ კიდურებსაც შეაწმენდენ. გასულ კვირას, ამ ტენდენციის ერთ-ერთი ნათელი გამოვლინება საფრანგეთის ელჩის ერიკ ფურნიეს სკანდალური ინტერვიუ გახდა.**



## საააკაშვილი 26 მაისის სახელობის ხელკეტით ხელში დღეს გაცილებით დაუცველ პოზიციაში იმყოფება

### ორმოდან – ორმოში, ღუმპიდან – ღუმპეში

ვიდრე ფრანგი დიპლომატის გამაოგნებელ განცხადებებამდე მივალთ, ყოველი შემთხვევისთვის აღვნიშნოთ, **რომ ბოლო დროს, განსაკუთრებით კი 26 მაისის შემდეგ, სააკაშვილს ქვას ესვრის ყველა, ვისაც კი არ ეზარება.** „საქართველოში ყველა მსხვილი ბიზნესი კონტროლდება ხელისუფლების ან მათთან დაახლოებული პირების მიერ," — განაცხადა დისკუსიაზე „კარნეგის ფონდში" ბრიტანელმა ექსპერტმა თომას დე ვაალმა, რომელიც დღემდე სააკაშვილის ასე თუ ისე ერთგულ (მაქსიმუმ ორგულ) გულშემატკივრად ითვლებოდა. „მისი თქმით, საქართველოში ბოლო დროს განსაკუთრებით იგრძნობა დემოკრატიის ხარისხის გაუარესება, რაც გამოიხატება როგორც ბიზნეს-გარემოსთან, ასევე მედიასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით" („ამერიკის ხმა").

ამ ღირსმა ჯენტლმენმა სააკაშვილს ზემოთქმული არ აკმარა, დაეწია და „National Interest-ის ფურცლებიდან კიდევ ერთი ქვა სტყორცნა: **„საქართველოს შემთხვევაში შემაშფოთებელია ის, რომ მმართველი პარტია არა მხოლოდ მთავრობასა და პარლამენტს, არამედ ყველა რეგიონულ ხელისუფალს აკონტროლებს". მართალია, შემდეგ ავტორმა ტონი შეარბილა და დასძინა, რომ „სააკაშვილი ჰოსნი მუბარაქი არ არის", თუმცა საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციები ამ დღეებში ელაპარაკებიან სააკაშვილს არა მხოლოდ როგორც მუბარაქს, არამედ — როგორც ჩომბეს და მობუტუს ერთად აღებულს და მოუწოდებენ, „დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს დაკავებული და დაპატიმრებული მშვიდობიანი დემონსტრანტები და 2011 წლის 26 მაისს მშვიდობიან შეკრებაში მონაწილე პირების წინააღმდეგ ყველა სახის ადმინისტრაციული ბრალდება და ჯარიმა გააუქმოს. დაუყოვნებლივ დაიწყოს ამომწურავი და მიუკერძოებელი გამოძიება ძალის გადამეტებით გამოყენების, საპატიმროებში დემონსტრანტთა მიმართ ცუდი მოპყრობის გამო და ძალადობაში დამნაშავენი სასამართლოს გადასცეს. ყველა დაზარალებული კომპენსაციით, რეპარაციითა და რეაბილიტაციით უზრუნველყოს" და ა.შ.** (მიმართვას ხელს აწერენ „მსოფლიო ორგანიზაცია წამების წინააღმდეგ", „ჰელსინკის ნორვეგიის კომიტეტი", „ადამიანის უფლებების სახლი", „ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ფედერაცია").

სააკაშვილის ხელისუფლების პასუხი ამ მოწოდებებზე ძნელი ამოსაცნობი არ იყო. მაგალითად, რეკომენდაციას „გადახედოს 2009 წლის შეკრებებისა და მანიფესტაციის კანონს, რომელიც აწესებს შეზღუდვებს შეკრებებისა და დემონსტრაციების უფლებაზე, რათა ამ უფლებით თავისუფალი და დაუბრკოლებელი სარგებლობა უზრუნველყოს", მან ისეთი დრაკონული კანონპროექტით უპასუხა, რომელიც საქართველოში საპროტესტო აქციების ჩატარებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის (ეს თემა დღევანდელ ნომერში ვრცლად განიხილება).

საინტერესოა, რომ ეს იყო არა მხოლოდ ჩამოთვლილი ორგანიზაციების, არამედ გაეროს ადამინის უფლებების საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის რეკომენდაცია. კიდევ ერთი, ირიბი პასუხი „Amnesty Internaional"-ის და სხვა მსგავსი ორგანიზაციების შეშფოთებაზე, 14 ივნისის დემონსტრაციული ნაბიჯი იყო, როდესაც სახალხო დამცველს ადამიანის უფლებების მდგომარეობასთან დაკავშირებული ანგარიშის წარდგენა პარლამენტის თითქმის ცარიელ დარბაზში მოუხდა. „ინტერპრესნიუსის" ცნობით, მას ჯერ 39 დეპუტატი უსმენდა, რამდენიმე წუთში კი მათი რაოდენობა 28-მდე შემცირდა; არადა, მის გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე რეგისტრაცია 82 დეპუტატმა გაიარა. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ტუღუშმა კანონდარღვევის უამრავი ამაზრზენი ფაქტი ჩამოთვალა, ხოლო საპარლამენტო ოპოზიციამ მათზე გამოძიების დაწყება და დამნაშავეების დასჯა მოითხოვა, პარლმენტმა სახალხო დამცველის ანგარიში მხოლოდ ცნობად მიიღო.

ეს საკმაოდ ნათლად მიანიშნებს იმაზე, რომ სააკაშვილის ხელისუფლება „დემოკრატიობანას" თამაშს და მასთან დაკავშირებულ რიტორიკას სულ უფრო ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, თანაც ამისთვის რესურსი პრაქტიკულად აღარ დარჩა. **სქემა ძალზე მარტივია და „მესამე სამყაროში" არაერთგზის აპრობირებული: ავტორიტარული რეჟიმი მხარდაჭერას მხოლოდ თავისი პროამერიკულობისთვის მოითხოვს; ყველაფერს წყვეტს ძალადობა, მხოლოდ ძალადობა და არაფერი ძალადობის გარდა. ამ ანტიდემოკრატიულ ტენდენციებზე მსჯელობისას, პროფესორმა ლინკოლნ მიტჩელმა „RFE/RL"-თან საუბარში თქვა: „ეს გახდება დაბრკოლება არა მხოლოდ ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე, არამედ, საბოლოო ჯამში, ამერიკასთან ურთიერთობაშიც პრობლემებს შექმნის".**

მართალია, **პატივცემულ პროფესორს არ დაუკონკრეტებია, თუ რამდენი** ▶

## საერთაშორისო ურთიერთობებში «მესამე სამყაროს» ავტორიტარული რეჟიმი განიხილება როგორც არარაობა, რომლის მიმართ ცივილიზებულ სახელმწიფოს შეუძლებელია, რაიმე სერიოზული ვალდებულებები ჰქონდეს

## „ანტი-მიშადან" — „გაუმჯობესებულ მიშამდე"

**თბილისის მერმა გიგი უგულავამ რიგაში ვიზიტის დროს "ტელეგრაფს" ინტერვიუ მისცა და განაცხადა:** „ჩვენთვის — ჩემთვის, მიხეილ სააკაშვილისა და პარტიის სხვა ლიდერებისთვის უფრო მნიშვნელოვანია არა ის, სად ვიქნებით ჩვენ 2013-2014 წლებში, არამედ როგორი იქნება სახელმწიფო. ამჟამად ჩვენი პარტიის საქმიანობას მოსახლეობის 75-78% იწონებს. ადამიანებისთვის აუცილებელია იმ კურსის გაგრძელება, რომელიც მიხეილ სააკაშვილის — მიშას დროს იქნა აღებული, როგორც მას უწოდებენ. აი, ამაშია ჩვენი ოპოზიციის მთავარი შეცდომა. ისინი „ანტი-მიშას" გვთავაზობენ, ხალხს კი „გაუმჯობესებული მიშა" სურს". **ჟურნალისტს მისთვის არ უკითხავს და, ბუნებრივია, უგულავასაც არ დასჭირდა იმის ახსნა, თუ რატომ არ სურს ხალხს არამხოლოდ „გაუმჯობესებული მიშა", არამედ მთელი „ნაცმოძრაობაც".**



## რა ღირს ნაგავი?

**დასუფთავების გადასახადი ელექტროენერგიის გადასახადს მიებმება — ნაგვის ფულს გადაიხდით შუქის ფულთან ერთად, ოღონდ არა ოჯახის წევრების რაოდენობის, არამედ გახარჯული კილოვატსაათების მიხედვით.** ფორმულა ასეთია: თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობა 5 თეთრზე გამრავლდება და ოჯახის მოსაკრებელიც ამის მიხედვით განისაზღვრება. თბილისის მერიის ახალ ინიციტივას საკრებულო თვის ბოლომდე განიხილავს.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# თუ ვინმე „წარმოსახვითი ერის“ ხსენებაზე გამწარდება და იმის გახსენებას დაიწყებს, რომ ქართველების, როგორც ერის, ისტორია გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე მესიე ერიკის შორეული წინაპრები თავის ხლოდვიგთან ერთად ხეებიდან ჩამოძვრებოდნენ, ალბათ, უნდა გაითვალისწინოს, რომ ფრანგული სიტყვა „NATION (და მის უკან მდგომი ცნება) ერს ახალი დროის სახელმწიფოებრიობასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. ფურნიე ამ შემთხვევაში, ალბათ, უფრო „წარმოსახვით“, თანამედროვე გაგებით, „არშემდგარ“ სახელმწიფოზე საუბრობდა.

**◀ ბარელი სისხლი უნდა დაიღვაროს საქართველოში იმისთვის, რომ სააკაშვილის ურთიერთობა ვაშინგტონთან გაფუჭდეს, თუმცა აქ, ალბათ, სხვა რამ არის მნიშვნელოვანი.**

საერთაშორისო ურთიერთობებში „მესამე სამყაროს“ ავტორიტარული რეჟიმი, რომლის ჩამოყალიბებას საქართველოში ძალიან ცოტა აკლია, განიხილება როგორც არარაობა, რომლის მიმართ ცივილიზებულ სახელმწიფოს შეუძლებელია რაიმე სერიოზული ვალდებულებები ჰქონდეს. საფრანგეთის წარმომადგენლების ბოლოდროინდელი განცხადებები, სავარაუდოდ, სწორედ ასეთ მიდგომაზე მიანიშნებს. უშუალოდ 26 მაისის დარბევის შემდეგ, 27-ში ნიკოლა სარკოზიმ შემდეგი განცხადება გააკეთა: **„რაც შეეხება ჩემს ქართველ მეგობრებს, მე მჯერა, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ 2008 წლის შეთანხმებასთან დაკავშირებით. მათ კარგად იციან, რომ ეს შეთანხმება დაიდო მაშინ, როდესაც საფრანგეთი ევროკავშირის თავმჯდომარე იყო და ამიტომ ახლა საქართველო სრულიად თავისუფალია რუსეთისგან („la Georgie d'aujourd'hui est totalement libre de la Russie“)“**. ერთი შეხედვით, ამ განცხადებას 26 მაისთან არაფერი საერთო არ აქვს, მაგრამ საფრანგეთის პრეზიდენტმა პრაქტიკულად იდეალურად შეარჩია დრო, რათა (ფაქტობრივად) დაეფიქსირებინა, რომ ოფიციალური თბილისის განსხვავებული მოსაზრება აღნიშნულ თემაზე დიდად არ აინტერესებს.

**იმ მომენტში, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებას ხელში სისხლიანი ხელკეტი ეჭირა, მას სარკოზისთან არ მარტო პოლემიკის გამართვის, არამედ მისი განცხადების კომენტირების თავიც არ ჰქონდა. ხოლო მოგვიანებით, შესაძლოა იმისთვის, რომ „შერიფის და ინდიელების“ ურთიერთობების ნიუანსები საბოლოოდ გარკვეული ყო, ელჩმა ერიკ ფურნიემ ჟურნალ „თბილისელებს“ ძალზე ნიშანდობლივი ინტერვიუ მისცა.**

## ჟობდა, გილიოტინა ეხმარა

როგორც ჩანს, იმ დღეს ერიკ ფურნიემ გადაწყვიტა, „Appeler un chat un chat“ („კატისთვის კატა ეწოდებინა“, ანუ ყველაფრისთვის თავისი სახელი დაერქმია). 12 აგვისტოს და 8 სექტემბრის შეთანხმებებთან დაკავშირებით, მან დაახლოებით ისეთივე აქცენტები დასვა, როგორც სარკოზიმ: **„მათი დამსახურებაა კონფლიქტის შეწყვეტა და რუსული სამხედრო ძალების გასვლა მათ მიერ დაკავებული ზონებიდან. ეს დიდხანს გაგრძელდა და გადაუჭრელი პრობლემებიც რჩება, მაგრამ არსებობს ჟენევის ფორმატი დიალოგის გასაგრძელებლად“.**

**ალბათ, მიშელ პლატინისაც შეშურდებოდა ის ელეგანტურობა, რომლითაც ელჩმა გვერდი აუარა ოფიციალური თბილისის თეზისს იმასთან დაკავშირებით, რომ რუსები ომამდელ პოზიციებს არ უბრუნდებიან და ამით შეთანხმებას არღვევენ. ან სხვა რა უნდა ექნა, როდესაც მისი ქვეყნის მეთაური საქვეყნოდ აცხადებს:**



**სცენა ლუის ბუნიუელის „ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლიდან“: «— მესიე, თქვენ რესპუბლიკა მირანდას შეურაცხყოფა მიაყენეთ! — მე კი ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ რესპუბლიკა მირანდა პატივისცემას არ იმსახურებს!»**

**„ახლა საქართველო სრულიად თავისუფალია რუსეთისგან“.**

თუმცა გაცილებით რეზონანსული ფურნიეს სხვა განცხადება გამოდგა:

**„ვინ წამოიწყო ომი? ვინ ისროლა პირველმა ცხინვალის მიმართულებით? თქვენ ვერ შეძლებთ ისტორიის ხელახლა დაწერას და პასუხისმგებლობის ძებნას სხვაგან და არა იქ, სადაც ის არის. ამასთან დაკავშირებით, თუ ცოტა შორს მოვძებნით, ახსნა-განმარტება უნდა მოსთხოვოთ მენშევიკურ რესპუბლიკას, რომელმაც 1921 წელს ოსეთის მოსახლეობა გაჟლიტა (4000 დაღუპული, 25000 ლტოლვილი) და არა საფრანგეთს ან სხვა სახელმწიფოებს. ამ საქმეში რეალური პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე მხარის ნაციონალიზმს, რომელიც ევროპის ომების უმრავლესობის საფუძველი იყო, რომელიც, საბედნიეროდ, გადავლახეთ და ავირჩიეთ სხვა ღირებულებები, რომლებიც წარმოსახვითი ერების ოცნებებზე მაღლა დგას“.**

ამ განცხადებასთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ მოკრძალებული კდემამოსილებით თუ კდემამოსილი მოკრძალებით, მოკლედ, ფართოდ გახელილი თვალებით თქვა: **„ძალიან ძნელია ნებისმიერი სახის შეფასების გაკეთება მანამ, სანამ ჩვენ არ გავესაუბრებით თავად ელჩს და არ ვკითხავთ, თუ რა იგულისხმა მან ან რა ფორმით იყო ამ ტიპის განცხადება გაკეთებული. მითუმეტეს, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ იმ ქვეყნის წარმომადგენელზე, რომელსაც წამყვანი როლი ჰქონდა რუსეთ-საქართველოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევაში“.**

ნინო კალანდაძის ზოგადი მოკრძალებულობის გამო „თავისუფლება ბარიკადებზე“ ამჯერად პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ განასახიერა: „წესით, ხელისუფლებამ, ერიკ ფურნიე პერსონა ნონ გრატად უნდა გამოაცხადოს და მას საქართველოს დატოვება უნდა მოსთხოვოს“, — განუცხადა მან „კვირის პალიტრას“.

**კაცმა რომ თქვას, მთელ ამ სიტუაციას ძალიან მოუხდებოდა სცენა ლუის ბუნიუელის „ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლიდან“ ცნობილი დიალოგით:**

**„— მესიე, თქვენ რესპუბლიკა მირანდას შეურაცხყოფა მიაყენეთ!**

**— მე კი ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ რესპუბლიკა მირანდა პატივისცემას არ იმსახურებს!“.**

ვიდრე ელჩის განცხადების არსებით განხილვაზე გადავალთ, ერთ ნიუანსს აუცილებლად უნდა შევეხოთ. **თუ ვინმე „წარმოსახვითი ერის“ ხსენებაზე გამწარდება და იმის გახსენებას დაიწყებს, რომ ქართველების, როგორც ერის, ისტორია გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე მესიე ერიკის შორეული წინაპრები თავის ხლოდვიგთან ერთად ხეებიდან ჩამოძვრებოდნენ, ალბათ, უნდა გაითვალისწინოს, რომ ფრანგული სიტყვა „nation (და მის უკან მდგომი ცნება) ერს ახალი დროის სახელმწიფოებრიობასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. ფურნიე ამ შემთხვევაში, ალბათ, უფრო „წარმოსახვით“, თანამედროვე გაგებით, „არშემდგარ“ სახელმწიფოზე საუბრობდა.**

რაც შეეხება აგვისტოს ომის დაწყებას, აქ ფურნიეს მოსაზრება არ განსხვავდება „ტალიავინის კომისიის“ პოზიციისგან: **„მისიის თვალსაზრისით, ომი გამოიწვია საქართველომ, როდესაც შეუტია ცხინვალს მძიმე არტილერიით, 2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამით“** და ახალი ამაში არაფერია. მაგრამ მენშევიკების დროინდელ ამბებზე საუბარი დასავლელი დიპლომატის მხრიდან მართლაც უპრეცედენტოა და სააკაშვილის ხელისუფლებისთვის, სავარაუდოდ, შოკისმომგვრელი იყო. რატომ გააკეთა ეს განცხადება საფრანგეთის ელჩმა?

## შენ ეს გინდოდა, ჟორჟ დანდენ...

**როდესაც ქართველი პარლამენტარები ჩერქეზების გენოციდის საკითხს განიხილავდნენ, წინდახედული ხალხი მათ აფრთხილებდა, რომ ამას მოსკოვის მხრიდან მკვეთრი საპასუხო ნაბიჯი მოჰყვებოდა. 1920 წლის ამბები წინა პლანზე კრემლს აგვისტოს ომის დროსაც არ წამოუწევია, თუმცა ახლახან მოსკოვში ამ საკითხის განხილვა მეცნიერების დონეზე (საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის ბაზაზე) დაიწყო, შემდეგ შესაბამის დადგენილებას, ალბათ, რუსი პარლამენტარები განიხილავენ.**

**ერიკ ფურნიეს განცხადების მიღმა შეიძლება ძალიან მარტივი პოლიტიკური ქვეტექსტი იდგეს: «თამაშის წესები შეიცვალა. თქვენი ხმა არ გავიგონო!»**

აქამდე მსოფლიოში ამ თემაზე პრაქტიკულად არ საუბრობდნენ, თუმცა თუ საქმეში რუსეთის საინფორმაციო მანქანა ჩაერთვება, ვითარება, ცხადია, შეიცვლება. ეს კი, თავის მხრივ, კოკოითის ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს, სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი საზღვარგარეთ მისთვის გაცილებით ხელსაყრელ საინფორმაციო ფონზე წამოაყენოს. ვერაფერს ვიზამთ, „Tu l'as voulu, Georges Dandin!“ (შენ მართლა ეს გინდოდა, ჟორჟ დანდენ, როდესაც „ჩერქეზული საკითხი“ წამოწიე?!)

**ისე, როდესაც თავის დროზე ოსებმა დაიწყეს საუბარი, რომ 1920-ში მათ სასტიკად გაუსწორდნენ, მათთვის, როგორც მინიმუმ, უნდა მოგვესმინა, შემდეგ, ალბათ, შეგვექმნა ქართველი, ოსი და, შესაძლოა, უცხოელი ისტორიკოსებისგან შემდგარი კომისია, რომელიც ჭეშმარიტების დადგენაზე იმუშავებდა.** ასეთ საქმეებში იმის გამოძიება, თუ რა მოხდა სინამდვილეში, რას აკეთებდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, შეგროვებული ინფორმაციის გააზრება შერიგების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ორი მოძმე ერის ურთიერთობის ისტორიაში კითხვის ნიშნების დატოვება კი, უბრალოდ, არ შეიძლება. დღეს, ომის შემდეგ, საუბარი პრობლემების ერთობლივ, მშვიდობიან გადაწყვეტასა და შერიგებაზე შეიძლება ერთობ არააქტუალურად მოგვეჩვენოს, თუმცა, საბოლოო ჯამში, ამ გზას ალტერნატივა არ აქვს.

**რაც შეეხება, ერიკ ფურნიეს განცხადებას, მის მიღმა შეიძლება ძალიან მარტივი პოლიტიკური ქვეტექსტი იდგეს: „თამაშის წესები შეიცვალა. თქვენი ხმა არ გავიგონო!“**

როგორც უკვე ვთქვით, პატარა ქვეყნის, პირობითი „რესპუბლიკა მირანდას“ ავტორიტარულ რეჟიმს საერთაშორისო არენაზე ხმის ამოღების უფლება, ფაქტობრივად, არ აქვს, თუნდაც საქმე მის სასიცოცხლო ინტერესებს ეხებოდეს. ადეკვატურ, დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას კუთხეში ასე ვერავინ დააყენებდა, მაგრამ სააკაშვილი 26 მაისის სახელობის ხელკეტით ხელში დღეს გაცილებით დაუცველ პოზიციაში იმყოფება.

**სააკაშვილთან საუბარი დასავლელ პარტნიორებს, როგორც ჩანს, უკვე საუკეთესო კოლონიურ სტილში შეუძლიათ: „შერიფს ინდიელების პრობლემები არ ეხება“ და „ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ“. ეს, ალბათ, „ქართული დიპლომატიის მორიგი გამარჯვებაა“, მორიგი აღმაფრენა, მორიგი ტრიუმფი...**

**დიმიტრი მონიავა**

## გამოხმაურებანი

**ერიკ ფურნიე, საფრანგეთის ელჩი საქართველოში:**



▼ ვინ წამოიწყო ომი? პირველმა ვინ ისროლა ცხინვალის მიმართულებით? თქვენ ვერ შეძლებთ ისტორიის ხელახლა დაწერას და პასუხისმგებლობის ძებნას სხვაგან და არა იქ, სადაც ის არის. ამასთან დაკავშირებით თუ ცოტა შორს მოძებნით, ახსნა-განმარტება უნდა მოსთხოვოთ მენშევიკურ რესპუბლიკას, რომელმაც 1921 წელს ოსეთის მოსახლეობა გაჟლიტა (4 000 დაღუპული, 25 000 ლტოლვილი) და არა საფრანგეთს ან სხვა სახელმწიფოებს. ამ საქმეში რეალური პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე მხარის ნაციონალიზმს, რომელიც ევროპის ომების უმრავლესობის საფუძველი იყო, რომელიც, საბედნიეროდ, გადავლახეთ და ავირჩიეთ სხვა ღირებულებები, რომლებიც წარმოსახვითი ერების ოცნებებზე მაღლა დგას.

*„თბილისელები“*

**კარლ ბილდტი, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი:**



▼ საქართველომ ჟენევის მოლაპარაკებები არ უნდა შეწყვიტოს. ეს უწყვეტი და ძალიან მიშვნელოვანი პროცესია, მიუხედავად იმისა, რომ მასში დიდი პროგრესი ჯერჯერობით არ ჩანს. ეტაპობრივად ამ პროცესის ფარგლებში მთელი რიგი საკითხების მოგვარებაა შესაძლებელი.

*„საქინფორმი“*

**რაულ ხაჯიმბა, აფხაზური ოპოზიციის ლიდერი**



▼ ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული სირთულეები მხოლოდ მაშინ გადაწყდება, თუ საქართველო დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობის ფაქტს აღიარებს.

*„პირველი“*

**დავით უსუფაშვილი, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე:**



▼ არ მაქვს ილუზია, რომ ჩვენი შეგონებებით ხელისუფლება გამოსწორდება. ის იძულებული უნდა გახდეს, სწორი ნაბიჯები გადადგას. იძულებული კი მაშინ გახდება, თუ დაინახავს, რომ სხვა გზა არა აქვს და სხვა მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა უარესი იქნება.

*„კვირის პალიტრა“*

მოკლედ

## საფრანგეთმა რუსეთს ყველა ტექნოლოგია გადასცა

**საფრანგეთმა მისტრალთან დაკავშირებული კონტრაქტის გაფორმებით რუსეთს მისთვის საინტერესო ყველა ტექნოლოგია გადასცა.** ამის შესახებ „როსობორონექსპორტის“ ხელმძღვანელმა ანატოლი ისაიკინმა განაცხადა. „ფრანგულმა მხარემ რუსულს ყველა ტექნოლოგია გადასცა, მათ შორის - სისტემა „ზენიტ 9“ და კიდევ ორი სხვა“, — თქვა მან. რუსეთისთვის ნატო-ს სტანდარტების ორი სისტემის გადაცემა მოლაპარაკებების დროს ყველაზე რთული საკითხი იყო. საუბარია საბრძოლო საინფორმაციო მართვით სისტემა „ზენიტ-9“-სა და ფლოტის კავშირის მართვის სასარდლო სისტემა „SIC-21“-ზე.



## აფხაზეთი საქართველოს ადანაშაულებს

**საქართველომ აიძულა ვანუატუს ახალი ხელისუფლება უარი ეთქვა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე.** ამის შესახებ აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა მაქსიმ ღვინჯილიამ განაცხადა. მინისტრი დარწმუნებულია, რომ კუნძულოვანი სახელმწიფოს დროებითი მთავრობა თბილისისა და მისი დასავლელი პარტნიორების გავლენის ქვეშ მოექცა.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ელენა ბონერის ვერცხლისმოყვარეობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ ყველაზე ფენომენალური მაინც ის არის, რომ ამ ქალმა თვით ბორის ბერეზოვსკის „გადაგდება“ მოახერხა! როდესაც სახაროვის მუზეუმს უსახსრობის გამო გაუჭირდა და თანამშრომლების ხელფასებსაც კი ვერ იხდიდა, ბორის ბერეზოვსკიმ გულმოწყალება გამოიჩინა და 3 მილიონი დოლარი გამოუყო. ბონერმა ეს თანხა შეერთებულ შტატებში გადარიცხა, თუმცა სახაროვის ფონდი რუსეთშიც არის რეგისტრირებული. მუზეუმს ეს თანხა არ მოხმარებია.**

# მეც ქართველი პრეზიდენტი მინდა!

**18 ივნისს ბოსტონში 88 წლის ასაკში გარდაიცვალა ელენა ბონერი, აკადემიკოს სახაროვის ქვრივი. წყალბადის ბომბის შემქმნელი და შემდეგ განთქმული დისიდენტი ანდრეი სახაროვი საქართველოში 90-იანი წლებიდან მოიძულეს, როცა მან საქართველოს „მცირე იმპერია“ უწოდა. ელენა ბონერის გავლენა სახაროვზე უზარმაზარი იყო. აწ გარდაცვლილი ჩემი ერთი უფროსი მეგობრის აზრით, რომელიც პირადად იცნობდა ელენა ბონერს, სახაროვმა მხოლოდ გაახმიანა ის უარყოფითი განწყობა, რომელიც მის მეუღლეს საქართველოს მიმართ ჰქონდა.**

იყო სხვა ეპიზოდიც: 1991 წლის სექტემბერში, როდესაც საქართველოში სიტუაცია დაიძაბა, რუსეთის უმაღლესი საბჭოს ერთბაშად სამმა კომიტეტმა ერთობლივი განცხადება გააკეთა, რომელშიც საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო შეშფოთება იყო გამოთქმული. საკუთარი დამოკიდებულება პერსონალურად გამოხატა ელენა ბონერმაც, რომელმაც საქართველოს მოსახლეობას მიმართა და ფაშისტური რეჟიმის ჩამოყალიბების საფრთხის შესახებ გააფრთხილა. **სახაროვმა შიგნიდან — პარლამენტიდან, ხოლო მისმა მეუღლემ გარედან ერთობლივი შეტევა განახორციელეს გუშინდელ თანამოაზრეზე — ზვიად გამსახურდიაზე.**

**დღეს თბილისშიც კი ბევრს აღარ ახსოვს, რომ ელენა ბონერის ნამდვილი სახელია ლუსიკ ალიხანიანი, თუმცა არც ეს არის სრული სიმართლე; თბილისელმა სომეხმა გევორქ სარქისის ძე ალიხანიანმა გოგონა იშვილა, ხოლო მისი ნამდვილი მამა, ლევონ სარქისის ძე ქოჩარიანი, ყარაბაღელი დაშნაკი იყო.**

ზოგიერთი წყაროს მითითებით, რობერტ ქოჩარიანი, ყარაბაღის ლიდერი და შემდგომ სომხეთის პრეზიდენტი, სწორედ ბონერის მამის ნათესავია. სახაროვი და ბონერი არც აზერბაიჯანში უყვართ, რადგან ყარაბაღის კონფლიქტის დასაწყისიდანვე სახაროვის „რეგიონთაშორისმა სადეპუტატო ჯგუფმა“ სსრკ უმაღლეს საბჭოში აშკარად პროსომხური პოზიცია დაიკავა.

**„თბილისელი სომხის“ ხსენებაზე ბოკერიას ცოლი რომ არ შემომედავოს, აქვე დავაზუსტებ, რომ ეს გამოთქმა თავად ელენა ბონერის მოგონებიდან არის აღებული, ისევე, როგორც მისი ვერსია, რომ დედის, რუთ ბონერის გვარი ძველი და ცნობილი ებრაული გვარია, რომელიც ბაიკალისპირეთში მკვიდრობდა (?!). ლუსიკა 1923 წელს თურქმენეთის ავტონომიის ქალაქ მარიში დაიბადა. მალე პარტიული მუშაკი რუთ ბონერი პატარა გოგონასთან ერთად თბილისში გადმოსახლდა და კომინტერნის (კომუნისტური ინტერნაციონალის) ერთ-ერთ ხელმძღვანელს — გევორქ ალიხანიანს მისთხოვდა.**

1938 წელს ალიხანიანი დააპატიმრეს და დახვრიტეს, ხოლო მისი მეუღლე გადაასახლეს. ამის შემდეგ ლუსიკა ლენინგრადში გადადის საცხოვრებლად და იქვე 1940 წელს ამთავრებს სკოლას. მშობლების მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიუხედავად, ლუსია ბონერი (ამ დროისთვის ის უკვე დედის გვარზე გადავიდა) კომკავშირული აქტივისტია, ხოლო ომის დროს, მისივე მოგონებებით, პოლიტხელის თანაშემწედ მუშაობდა. **ვინც არ იცის, რას წარმოადგენდა პოლიტხელი საბჭოთა არმიაში, განვმარტავ: ეს იყო სამხედრო პირი, რომელიც პოლიტიკურ მეცადინეობებს უტარებდა ჯარისკაცებს, რათა საბჭოთა ხელმძღვანელობის გენერალური ხაზის მართებულობაში დაერწმუნებინა ისინი.**

როგორც ჩანს, ლუსია ბონერმა ამ ამოცანას თავი გაართვა, რადგან 1943 წელს იგი იმავე სანიტარული მატარებლის უფროსი მედდა გახდა, რომელშიც მანამდე პოლიტმეცადინეობების ჩატარებაში ეხმარებოდა პოლიტხელს. მას ეს გამოცდილება გამოადგა და ლენინგრადის I სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო სწავლა (1947-53 წ.წ.). ქალიშვილი — ტატიანა 1950 წელს შეეძინა, ხოლო ვაჟი — ალექსეი 1955 წელს. მათ მამად ელენას (იმ დროისთვის ლუსიამ სწორედ ეს სახელი აიღო და არა ლუდმილა, რომლის კნინობით ფორმასაც წარმოადგენს ლუსია) ინსტიტუტის თანაჯგუფელი ივან სემიონოვი ითვლებოდა, თუმცა არის სხვა ინფორმაციაც, რომ ქალიშვილი მას სახელიწზე მცხოვრები



**სახაროვმა შიგნიდან — პარლამენტიდან, ხოლო მისმა მეუღლემ გარედან ერთობლივი შეტევა განახორციელეს გუშინდელ თანამოაზრეზე — ზვიად გამსახურდიაზე**

ვინმე მოისეი კისელმანისგან შეეძინა. ასე იყო თუ ისე, სემიონოვს ელენა 1964 წელს გაშორდა.

**იმავე წელს იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი გახდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ — პარტიის წევრი. კომპარტია მან 1972 წელს დატოვა, როდესაც აკადემიკოს სახაროვს გაჰყვა ცოლად.**

სახაროვის კოლეგებს ელენა ბონერი არ უყვარდათ, ზოგიერთი მას „სახაროვის ბოროტ გენიასაც“ კი უწოდებდა. სახაროვის 80 წლის იუბილეზე მათ ბონერი არც მიიპატიჟეს. გორკში გადასახლებისას სახაროვმა მეორე შიმშილობა გამოაცხადა იმის მოთხოვნით, რომ ელენა ბონერის ვაჟის საცოლე გაეშვათ ამერიკაში. ამ დროისთვის ბონერის ორივე შვილი უკვე შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა. მისი ვაჟი, დიმიტრი სახაროვი იგონებს: **„გასაგები იქნებოდა, რომ მას შიმშილობა ბირთვული იარაღის აკრძალვის ან დემოკრატიული ცვლილებების მოთხოვნით დაეწყო. ის კი მხოლოდ იმას მოითხოვდა, რომ ლიზა ამერიკაში გაეშვათ ალექსეი სემიონოვთან. მას რომ ლიზა ჰყვარებოდა, არ დატოვებდა და არ გაიქცეოდა. მამას გული სერიოზულად აწუხებდა და, შესაძლოა, მის ორგანიზმს ფიზიკური და ნერვული დატვირთვისთვის ვერ გაეძლო. როცა ამაზე ველაპარაკე, მიპასუხა, რომ ასე იყო საჭირო. ვისთვის იყო საჭირო? რა თქმა უნდა, ელენა ბონერისთვის. იგი მოითხოვდა, რომ მამა ასე მოქცეულიყო. მას უგონოდ უყვარდა ელენა და მის გამო სიკვდილზეც იყო წამსვლელი. ბონერს მშვენივრად ესმოდა, რამდენად ძლიერი იყო მისი გავლენა მამაზე და სარგებლობდა ამით“.**

პირველი ცოლის — კლავდია ვიახირევას გარდაცვალების შემდგომ სახაროვი თავის ორ ქალიშვილსა და ნაბოლარა ვაჟთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ ელენა ბონერის გაცნობის შემდეგ შვილების მოყვარული მამა სრულიად შეიცვალა. მან ბავშვები დატოვა და ახალ ცოლთან გადავიდა საცხოვრებლად. მისი ვაჟი, მწარედ იგონებს: **„მაშინ ის-ის იყო, 15 წელი შემისრულდა. უფროსი და გათხოვდა, მე კი დედის მაგივრობას ჩემი 23 წლის და — ლუბა მიწევდა. იმ სახლში, სადაც მამა ბონერთან ერთად ცხოვრობდა, არ მეპატიჟებოდნენ. ძალიან რომ მომენატრებოდა, თვითონ მივდიოდი, მაგრამ ელენა არასოდეს მტოვებდა მამასთან მარტო. მე კი მისი მკაცრი კონტროლის ქვეშ ვერ ვახერხებდი მამასთან ჩემს ბიჭურ პრობლემებზე საუბარს. მართალია, მე და ჩემს დას საფოსტო გზავნილით თვეში 150 მანეთს გვიგზავნიდა, მაგრამ, როგორც კი 18 წელი შემისრულდა, ეს დახმარება შეწყდა“.**

სულ სხვა იყო ბონერის შვილების მდგომარეობა. ისინი სახაროვის სიცოცხლეშიც და მისი სიკვდილის შემდეგაც სარგებლობდნენ მამინაცვლის სახელითა და არცთუ მცირე შემოსავლებით. ერთხელ ჟურნალისტს მისმა ღვიძლმა შვილმა კითხვა შეუბრუნა: **„აკადემიკოს სახაროვის ვაჟი გნებავთ? იგი ამერიკაში, ბოსტონში ცხოვრობს და მისი სახელია ალექსეი სემიონოვი“.**

სახაროვის გარდაცვალების შემდეგ ელენა ბონერმა მისი სახელობის ფონდი დააარსა, რომელსაც ის და მისი შვილები განაგებენ. სახაროვის ღვიძლი შვილი — ტატიანა ამერიკელზე გათხოვილ თავის ქალიშვილთან გადავიდა საცხოვრებლად. ახლა ისიც ბოსტონში ცხოვრობს და ხშირად ისმენს, რომ ტატიანა სახაროვა ამა თუ იმ ღონისძიებას მართავს. ერთხელ პირადადაც შეხვდა და უთხრა, რომ უხერხულია, სხვისი სახელით სარგებლობა, რაზეც სეხნიამ მიუგო: „შენ თვითონ შეიცვალე გვარი და უხერხულობაც აღარ გექნებაო!“

**ელენა ბონერის ვერცხლისმოყვარეობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ ყველაზე ფენომენალური მაინც ის არის, რომ ამ ქალმა თვით ბორის ბერეზოვსკის „გადაგდება“ მოახერხა! როდესაც სახაროვის მუზეუმს უსახსრობის გამო გაუჭირდა და თანამშრომლების ხელფასებსაც კი ვერ იხდიდა, ბორის ბერეზოვსკიმ გულმოწყალება გამოიჩინა და 3 მილიონი დოლარი გამოუყო. ბონერმა ეს თანხა შეერთებულ შტატებში გადარიცხა, თუმცა სახაროვის ფონდი რუსეთშიც არის რეგისტრირებული. მუზეუმს ეს თანხა არ მოხმარებია.**

მართალია, ზურაბ ჟვანიას ქვისლი, ცნობილი რუსი ჟურნალისტი მატვეი განაპოლსკი მიიჩნევს, რომ ელენა ბონერი „ყველა ჩვენგანის თავისუფლებისთვის იბრძოდა“ და იგი ხშირად გამხდარა უსაფუძვლო ჭორების ობიექტი, მაგრამ პირადად ჩემთვის ბონერის გვარი ბავშვობაში გახდა ცნობილი. სახლში ლევ შეინინის „გამომძიებლის ჩანაწერებს“ გადავაწყდი და ინტერესით წავიკითხე კიდეც. ერთ-ერთ მოთხრობაში აღწერილია ქმრის მიერ მოკლული ფეხმძიმე მეუღლის ისტორია. მკვლელი მხოლოდ მას შემდეგ გამოტყდა, როცა მისი საყვარლისთვის, ლუსია ბონერისთვის მიწერილი მისივე ბარათი აჩვენეს.

ელენა ბონერმა შეინინიც და იაკოვლევიც, რომელმაც მისი სასიყვარულო ისტორიები აღწერა, სტალინისტ-ბრეჟნევისტებად მონათლა, მაგრამ საინტერესო სულ სხვა რამ არის: შეინინის წიგნის არც ერთ შემდგომ გამოცემაში ლუსია ბონერი ნახსენები აღარ არის!

თავად შეინინი 1951 წელს დააპატიმრეს. იგი აბაკუმოვთან ერთად იჯდა კამერაში. მეგობრის დასმენის საფუძველზე შეინინს ბრალი ებრაელ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებთან ერთად შეთქმულებაში წაუყენეს. სტალინის სიკვდილის შემდეგ შეინინი გაათავისუფლეს, ხოლო ელენა ბონერის მშობლებმა რეაბილიტაცია მიიღეს. აბაკუმოვს, რომელიც 1946-დან 1951 წლამდე საბჭოთა უშიშროების მინისტრი იყო, ბედმა არ გაუღიმა. იგი განაჩენის გამოტანის დღესვე, 1954 წლის 19 დეკემბერს, დახვრიტეს. საბრალდებო დასკვნაში იგი „ბერიას ბანდის წევრად“ არის მოხსენიებული.

**მინდა, მჯეროდეს, რომ უფლებადამცველი, რომლის გვარი, 30 წელია, მესმის, სწორედ 26 მაისის მიტინგის დარბევის გამო გახდა ცუდად. მინდა, მჯეროდეს, მაგრამ არ მჯერა. საზოგადოდ, არ მჯერა იმ უფლებადამცველების, რომლებიც დარღვევებს მხოლოდ მაშინ ხედავენ, როცა ეს ხელს აძლევთ; არც იმ ლიბერალებისა და ჟურნალის რედაქტორების მჯერა, რომლებიც თეატრში არ დადიან, მაგრამ რობერტ სტურუას პროფესიონალიზმში ეჭვი ეპარებათ; არც იმათი, ვისაც ჰგონია, რომ სიტყვები — ქსენოფობია და სექსიზმი მხოლოდ მათ იციან; არც იმათი, ვისაც უცენზურო ლექსიკის გარეშე აზრის გამოხატვა არ შეუძლია; მით უფრო არ მჯერა მათი, ვინც ლიბერალური დემოკრატიის მოკლე კურსი გაიარა და პაწაწა თავი დაზეპირებული ფორმულებით აქვს სავსე.**

განმარტებისთვის: **რასიზმი, მაგალითად, დიდი ხანია, აღარ ნიშნავს დისკრიმინაციას ოდენ კანის ფერის მიხედვით. იგი ნებისმიერი დისკრიმინაციის აღმნიშვნელი გახდა, მათ შორის, ასაკობრივი, პროფესიული, მსოფლმხედველობრივი თუ ნებისმიერი სხვა ნიშნით. ადამიანების გარჩევა მარტო ეთნიკური ნიშნით კი არ არის სამარცხვინო, არამედ იმ ნიშნითაც, რომ შენზე უფროსია, შენზე მეტი იცის, შენგან განსხვავებით კაცობრიობის წინაშე აქვს დამსახურება. თუმცა... რენი ჰარლინის ფანებს არ შეიძლება რობერტ სტურუა მოსწონდეთ. არც მე მომწონს ჩერგოლეიშვილის ფანები. მეც ქართველი პრეზიდენტი მინდა!**



დიმიტრი სახაროვი, ანდრეი სახაროვის ვაჟი:

**მამას უგონოდ უყვარდა ელენა და მის გამო სიკვდილზეც იყო წამსვლელი. ბონერს მშვენივრად ესმოდა, რამდენად ძლიერი იყო მისი გავლენა მამაზე და სარგებლობდა ამით**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**მთავარია, რიჩარდ ნიქსონის არ იყოს, ამ პატარა კავკასიური ქვეყნის ხელმძღვანელი უწინდებურად „ჩვენი ძაღლიშვილი“ იყოს, მთავარია, მან გააგზავნოს კონტიგენტი ავღანეთში, სცადოს ვითარების ამღვრევა ჩრდილოეთ კავკასიაში... ერთი სიტყვით, იყოს მორჩილი პროკონსული და უპირობოდ შეასრულოს მეტროპოლიის ნებისმიერი ავანტიურისტული დავალება, დანარჩენი კი... სულაც ტანკითა და ტყვიამფრქვევით რომ დაერიოს საკუთარ მოსახლეობას, ამ „კავკასიელ სომოსას“ წარბსაც არავინ შეუხრის, ვინაიდან მას იცავს ამერიკული ჟავშანჟილეტი, თანამედროვე ინდულგენცია, კოდური სახელწოდებით „ჩვენი ძაღლიშვილი“...**



# დემოკრატიის რადარიდან გამქრალი საქართველო, ანუ სტაბილური დიქტატურა ძაღლიშვილობის სანაცვლოდ

**საქართველოში დემოკრატიის მზე ჩაესვენა. „დემოკრატიის შუქურამაც“ დაკარგა ფარული ხიბლი; სააკაშვილის ავტორიტარული მმართველობის გამო ოკეანის გაღმა ფორმალურ შეშფოთებასაც აღარავინ გამოხატავს, თითქოს საქართველო დასავლეთის „რადარიდან“ გაქრა... მზარდი ავტორიტარიზმი, რომელსაც სააკაშვილმა 26 მაისს ჩაუყარა საფუძველი, ისეთი სისასტიკით ამოქმედდა განსხვავებული აზრის დასათრგუნად, რომ, თუ ასე გაგრძელდა, ხელისუფლების „დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის“ სიმბოლოს, ანუ „მიშუშულ“ თავისუფლების ხიდს საზოგადოება მხოლოდ მტკვარში გადასახტომად თუ გამოიყენებს.**

სააკაშვილმა უკვე დაამტკიცა, რომ ის არა ხელისუფალი, არამედ „ძალისუფალია“ და მისი მმართველობის წყაროს არა ხალხი, არამედ სპეცრაზმის „რეზინის ხელკეტი“ წარმოადგენს. ეს ჩვენი ტრაგიკული დღევანდელობაა, რასაც კიდევ უფრო ამძიმებს ამერიკელ და ევროპელ დემოკრატიის მქადაგებელთა სიჩუმე. როგორც ჩანს, ამჯერადაც „სიჩუმე თანხმობის ნიშანია“ და, რომ დასავლეთი სააკაშვილის ავტორიტარულ მმართველობას სინდისის ქენჯნის გარეშე შეეგუა.

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის, ანალიტიკოს ლინკოლნ მიტჩელის შეფასებით, ამ ეტაპზე ამერიკის ადმინისტრაცია საქართველოს ხელისუფლების არადემოკრატიულ მმართველობას პრობლემად არ განიხილავს, რადგან მისი პრიორიტეტი საქართველოს სტაბილურობა და ავღანეთის სამხედრო მისიაში ქართული კონტინგენტის მონაწილეობაა. მისი აზრით: **„საქართველო რჩება არადემოკრატიულ, მაგრამ სტაბილურ ქვეყნად, მხარს რომ უჭერს ამერიკის საგარეო პოლიტიკას და სამხედროებს გზავნის ავღანეთში. ეს ამერიკას და ბევრ ევროპულ ქვეყანას ხელს აძლევს“.**

მიტჩელი სააკაშვილის რეჟიმის „უძლეველობის“ მიზეზზეც საუბრობს: **„ვფიქრობ, საქართველოში ბევრი არაფერი შეიცვლება. მგონია, რომ ეს ხელისუფლება საკმარისად ფესვგადგმულია... ამ ეტაპისთვის საქართველოს ხელისუფლება, იმ საგარეო დახმარების წყალობით, რომელსაც ის იღებს, ახერხებს, ძალაუფლება მუდმივად შეინარჩუნოს. სანამ დასავლეთი გააგრძელებს ფულის დაბანდებას საქართველოს ხელისუფლებაში და მისგან სანაცვლოდ დემოკრატიულობას არ მოითხოვს, ცვლილებები მოსალოდნელი არ არის“.**

სააკაშვილი ავღანეთის სამხედრო მისიაში ქართული კონტინგენტის მონაწილეობას რომ დასავლეთთან სავაჭროდ იყენებს, ეს კარგად გამოჩნდა რომში ბაიდენთან მისი შეხვედრისას, როცა, პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ, ერთპიროვნულად მიიღო სახიფათო გადაწყვეტილება ავღანეთში დამატებითი სამხედრო კონტინგენტის გაგზავნის თაობაზე. შედეგმაც არ დააყოვნა. თეთრი სახლის განცხადებით, ბაიდენმა **„სააკაშვილისადმი მადლიერება გამოხატა იმ ახალი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, რომელიც საქართველოს ავღანეთის უსაფრთხოების ძალებში (ISAF) შეაქვს და რომელიც საქართველოს ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს შორის ISAF-ის ყველაზე დიდ კონტრიბუტორად გახდის“.**

ამჟამად ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს შორის ყველაზე დიდი კონტიგენტი — 1550 ჯარისკაცი – ავღანეთში ავსტრალიას ჰყავს. მალე ქართული კონტინგენტი ავღანეთში 1600 ჯარისკაცამდე გაიზრდება (ამ ეტაპზე ავღანეთში 950 ქართველი ჯარისკაცი იმყოფება), ანუ „დავეწევით და გავუსწრებთ ავსტრალიას“. **ალბათობის თეორიას თავი რომ დავანებოთ და მარტოდენ მარტივი არითმეტიკა მოვიშველიოთ, მეტი ჯარისკაცი, სამწუხაროდ, მეტ მსხვერპლს გულისხმობს; მსხვერპლს, რომელსაც სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი საკუთარი მერკანტილური და ავანტიურისტული პოლიტიკური მიზნების უზრუნველსაყოფად წარმატებით იყენებს. ბოლო ასეთი მსხვერპლი რიგითი გია გოგუაძე აღმოჩნდა, რომელიც ჰელმანდის პროვინციაში თალიბების თავდასხმის დროს დაიჭრა, თუმცა ჭრილობების სიმძიმის გამო მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. რიგითი გოგუაძე მე-9 ქართველი ჯარისკაცია, ვინც ავღამეთში დაიღუპა.**

დამატებითი სამხედრო კონტინგენტის ავღანეთში გაგზავნა აბსურდული გადაწყვეტილებაა, რაც არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება, მაშინ, როცა ავღანეთის სამხედრო კამპანიის წამომწყები ქვეყნის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ავღანეთიდან ამერიკელი სამხედროების გაყვანის აუცილებლობაზე საუბრობს, სააკაშვილი კი პირიქით — „საზარბაზნე ხორცად“ სულ უფრო მეტ ჯარისკაცს აგზავნის ავღანეთის დაწყევლილ მიწაზე.

სააკაშვილის არაადეკვატურობა იქიდანაც ჩანს, რომ დამატებით კონტინგენტს გზავნის ავღანეთში, იმ დროს, როცა ამერიკის მარიონეტი — ჰამიდ ყარზაიც კი უკიდურესად შეშფოთებულია კოალიციის ჯარების თავნებობით და მათ ოკუპანტებად გამოცხადებით ემუქრება: **„იმ შემთხვევაში, თუ ნატო არ შეწყვეტს ავიაიერიშებს, რომელთა შედეგადაც ჩვენი მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება, კოალიციურ ძალებს ოკუპანტებად მივიჩნევთ, რომლებიც ავღანეთის სურვილის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ“.**

გარდა ამისა, „ნაც-პროპაგანდა“ როცა მუდმივად რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე საუბრობს და მომავლის მწარე რეალობას გვიხატავს, თუ ეს საფრთხე რეალურია, მაშინ გაუგებარია, რატომ იგზავნება ასე შორს, უცხო მიწაზე, სხვის ომში ქართული არმიის ყველაზე ბრძოლისუნარიანი ნაწილი, რომლის უპირველეს სამხედრო ამოცანას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა წარმოადგენდეს?! **თუ კი „ნაც-პროპაგანდა“ მართალი აღმოჩნდა და რუსეთმა მოულოდნელად განახორციელა საქართველოზე თავდასხმა, მაშინ ვინ დაიცავს საქართველოს უსაფრთხოებას: კადაფის ვერმორეული NATO თუ ამერიკული ჰიბრიდული სიმინდი?!**

**სააკაშვილმა ამ გადაწყვეტილებით დაამტკიცა, რომ მისთვის მთავარი არა ქართველი სამხედროების სიცოცხლე და სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არამედ — ძალაუფლების მუდმივად შენარჩუნებაა, რომლის მისაღწევადაც უკან არაფერზე დაიხევს.**

ხოლო არადემოკრატიული „სტაბილურობა“, რაც ამერიკისთვის მისაღები აღმოჩნდა, სააკაშვილის რეჟიმის მიერ დამყარებულ ტერორში გამოიხატება. **პერსპექტივა იმისა, რომ რამე უკეთესობისკენ შეიცვალოს, ჯერჯერობით არ ჩანს, რადგან, თუ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი მოახერხებს, არ დაუშვას პოლიტიკური პროცესების რადიკალიზაცია და შეინარჩუნებს „სტაბილურობას“, თუნდაც დიქტატურის გზით, მაშინ ამერიკა თვალს დახუჭავს ბევრ უკანონობაზე, მთავარია, მის ინტერესებს საფრთხე არ დაემუქროს.**

**მთავარია, რიჩარდ ნიქსონის არ იყოს, ამ პატარა კავკასიური ქვეყნის ხელმძღვანელი უწინდებურად „ჩვენი ძაღლიშვილი“ იყოს, მთავარია, მან გააგზავნოს კონტიგენტი ავღანეთში, სცადოს ვითარების ამღვრევა ჩრდილოეთ კავკასიაში... ერთი სიტყვით, იყოს მორჩილი პროკონსული და უპირობოდ შეასრულოს მეტროპოლიის ნებისმიერი ავანტიურისტული დავალება, დანარჩენი კი... სულაც ტანკითა და ტყვიამფრქვევით რომ დაერიოს საკუთარ მოსახლეობას, ამ „კავკასიელ სომოსას“ წარბსაც არავინ შეუხრის, ვინაიდან მას იცავს ამერიკული ჟავშანჟილეტი, თანამედროვე ინდულგენცია, კოდური სახელწოდებით „ჩვენი ძაღლიშვილი“...**

აქედან კი ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ქართველ ხალხს „თავს აყოფინებენ“ კოლონიურ უღელში, თავისუფლება ისევ სანუკვარ ოცნებად და მიუწვდომელ მიზნად რჩება.

**ზურაბ ჯამბურია**

**„რიჩარდ ნიქსონმა ერთხელ განაცხადა: „სომოსა, რა თქმა უნდა ძაღლიშვილია, მაგრამ ვისი? — ჩვენი ძაღლიშვილი!“. ზოგი ირწმუნება, რომ „ჩვენი ძაღლიშვილი“ პირველმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კორდელ ჰალმა უწოდა დომინიკის რესპუბლიკის დიქტატორს — რაფაელ ტრუხილიოს. თუმცა გაბატონებულია ვერსია, რომლის მიხედვითაც ეს ფრაზა პირველად ფრანკლინ დელანო რუზველტმა წარმოთქვა და ის ნიკარაგუის პრეზიდენტს — ანასტასიო სომოსა-უფროსს ეხებოდა“**

*(ფრაგმენტი წიგნიდან „ამერიკის 13 მეგობარი“).*

**P.S.** **დროის საკითხია, თორემ ამერიკის პოლიტიკა „სტაბილურობა და ავღანეთის სამხედრო კამპანიაში მონაწილეობა დემოკრატიის სანაცვლოდ“ ქართულ საზოგადოებაში უკურეაქციას გამოიწვევს, რადგან, ერთის მხრივ, იდეალიზებული და საოცნებო ამერიკული დემოკრატია, მეორეს მხრივ კი, ამერიკული დემოკრატიის მიერ მხარდაჭერილი ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც საკუთარი ხალხისათვის განუზომელ საფრთხეს წარმოადგენს, თვითგადარჩენის ინსტიქტს უსათუოდ აამუშავებს, რაც დიდი ალბათობით ანტიამერიკულ ისტერიაში გადაიზრდება და უკმაყოფილო ხალხის „მრისხანებას“, სავარაუდოდ, იგრძნობს არა მარტო სააკაშვილის რეჟიმი, არამედ — მისი მფარველებიც.**

მოკლედ

## საზოგადოების მტერი №1

**ჟურნალ „ფორბსის“ მიერ შედგენილ ყველაზე საშიში დამნაშავეების ათეულში მუდმივი პირველადგილოსანი, ცოტა ხნის წინათ მოკლული უსამა ბენ ლადენი მექსიკელმა ნარკობარონმა ხოაკინ გუზმანმა, მეტსახელად ჩაპომ, ჩაანაცვლა.** ამერიკის ძალოვან უწყებებზე დაყრდნობით, გამოცემა იუწყება, რომ გუზმანი მექსიკიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკული საშუალებების შეტანის ყველა კორიდორს აკონტროლებს. ამერიკული მედია კი მას ნარკოსამყაროს ნათლიმამად მოიხსენიებს.



## 12 მილიონი გამორიყულ სეიფებში

**იაპონიის პოლიციამ ზღვის სანაპიროზე გამორიყულ სეიფებში 12 მილიონ დოლარზე მეტი იპოვა.** ამჟამად პოლიცია მიწისძვრისა და ცუნამისგან დაზარალებულ რაიონებს ასუფთავებს. უცხოური მედიის ინფორმაციით, თანხის დიდი ნაწილი საოჯახო სეიფებში იყო შენახული. სეიფებში იდო, აგრეთვე, პირადი დოკუმენტებიც, რამაც გააადვილა მეპატრონეების დადგენა და მოძებნა. ტელეეთერით აჩვენეს, როგორ დაალაგეს პოლიციელებმა ნაპოვნი თანხა ქაღალდის დიდი ზომის ფურცლებზე და დააუთოვეს კუპიურები.

საქართველო და მსოფლიო
ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„მთელი ორი თვის მანძილზე მეზობლებისა და ნათესავების იმედად ვიყავი. ისინი მაძლევნდნენ მონაცვლეობით საკვებისა და წამლების ფულს. ხელისუფლებამ ჩემი ეს გაძაღლებული მდგომარეობა არ იკმარა და ბოლოს ჯიხურიც ამაღებინა, ტერიტორიის იერსახეს აუშნოებსო. ასე გამიმეტეს სააკაშვილის გამოზრდილმა ლეკვებმა. მინდა, სააკაშვილს ვუთხრა (თუ, რა თქმა უნდა, პრესას ეცნობა): — არ შეგრჩება გაჭირვებული ხალხის ლუკმა, ჩვენით ამდიდრებ ბიუჯეტს? ღმერთის გეშინოდეს!“**

# მოკვდი, მაგრამ გადაიხადე!

## ექსპრემიერმინისტრ გურგენიძის მართულმა ბანკმა სოციალურად დაუცველი ია ასათიანის ოჯახს უკანასკნელი ლუკმაპურის ფული დაუყადაღა



**ცაგერის რაიონის მკვიდრ ია ასათიანს, რომელიც სოციალურად დაუცველი გახლავთ, „ლიბერთი ბანკის“ ცაგერის ფილიალმა საარსებო მინიმუმი — პენსია და სოციალური დახმარების თანხა, ჯამში 140 ლარის ოდენობით, ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე, 2 თვით დაუყადაღა. ქალბატონ იას ოჯახში ორი მძიმე ავადმყოფი — ინსულტიანი მეუღლე და შიზოფრენიით დაავადებული მული ჰყავს, თუმცა მისი მძიმე ეკონომიური მდგომარეობა სახელმწიფოს ფეხზე ჰკიდია. მეტიც, სახელმწიფომ ქალბატონი იას ოჯახი მის დაქვემდებარებაში არსებულ სტუქტურებსა და ე.წ კერძო „ლიბერთის ბანკს“ საჯიჯგნად მიუგდო.**

**ია ასათიანი:**

— ხელისუფლებამ და „ლიბერთი ბანკმა“ ჩემს ოჯახს უკანასკნელი ლუკმაპურის ფული წაართვეს. ორი უმძიმესი ავადმყოფი 2 თვის მანძილზე ალალბედზე, უწამლოდ და უსაკვებოდ დამიტოვეს. ქმარს ინსულტი აქვს გადატანილი, მული კი შიზოფრენიითაა დაავადებული, ორთავეს თვეში 400-500 ლარის მხოლოდ წამლები სჭირდება, საკვებზე რომ აღარაფერი ვთქვა. მათი შემყურე მხოლოდ პენსიისა და სოციალური დახმარების იმედად ვერ ვიქნებოდი, ამიტომ სკოლის წინ ჩემი ძმის შეჭედილი ჯიხური დავდგი, რომელშიც ნისიად აღებულ რვეულებს, ავტოკალმებსა და ფანქრებს ვყიდდი. მეგონა, ამით ოჯახს ცოტათი მაინც დავეხმარებოდი, მაგრამ ამ ქვეყანაში გაცლის ვინმე სულის მოთქმას? სალარო აპარატის უქონლობის გამო საგადასახადომ 500 ლარით დამაჯარიმა. როგორ უნდა მეყიდა სალარო აპარატი, როცა ჯიხური თვეში მხოლოდ 80-90 ლარს მიტოვებდა მოგებას.

**საგადასახადოს წარმომადგენლებს ლამის დავუჩოქე — ჯარიმა არ დამაკისროთ, ისედაც არაფერი მიდევს ამ ჯიხურში უფულობის გამო-თქო, ოჯახის მძიმე მდგომარეობაც ავუხსენი, მაგრამ რას შეაგნებინებ უგულო ცინიკოსებს. მაინც გამომიწერეს 500-ლარიანი ჯარიმა, 500 ლარი, ერთად დაწყობილი, ამ მთავრობის შემხედვარეს არც კი მინახავს.**

ჩემი პენსია და სოციალურად დაუცველობის დახმარება სულ 140 ლარს შეადგენს, ჯიხურიდან კი თვეში, როგორც გითხარით, 80-90 ლარი მრჩება. როგორ დამეფარა ამ სახსრებით 500-ლარიანი ჯარიმა, ჯიხურის ვალები ან როგორ მეყიდა ორი ინვალიდისთვის წამლები?! სხვა რა გზა მქონდა, ჯარიმის გადაფარვა ყოველ თვეში 5 ლარის ოდენობით დავიწყე. გარკვეული თანხა ასე წვალებ-წვალებით გადავიხადე.

ერთ დღეს კი, როცა პენსიის ასაღებად, ჩვეულებისამებრ, „ლიბერთი ბანკში“ მივედი, აღმოჩნდა, რომ პენსიაც და სოციალური დახმარებაც დაყადაღებული იყო. მიზეზად 500-ლარიანი ჯარიმის დაფარვა დამისახელეს. მაშინვე „ლიბერთი ბანკის“ ფილიალის მმართველის ნახვა მოვითხოვე. როცა მასთან კაბინეტში ამიყვანეს, დაყადაღების ნებართვის დოკუმენტის ჩვენება მოვთხოვე, თუმცა მსგავსი ვერაფერი წარმომიდგინა, მაგრამ არც კუთვნილი თანხის აღების ნება მომცა. მაშინვე სოციალური მომსახურების სააგენტოს ცაგერის რაიონული განყოფილების ხელმძღვანელს — ჯონი ხალიანს მივმართე, რომელიც აღნიშნული ფაქტით გაოგნდა და მითხრა, ბანკს არანაირი უფლება არ აქვს, საარსებო მინიმუმი დაგიყადაღოსო. შემდეგ ცაგერის აღმასრულებელთან მივედი. მანაც იგივე გამიმეორა. **ჩემ თვალწინ დაურეკა „ლიბერთი ბანკის“ მმართველს, რომელთანაც მე გახლდით, და უთხრა, ამ ფაქტის გამო პრობლემები შეგექმნებათო, მაგრამ მმართველმა უტიფრად უპასუხა, ჩემს პრობლემებს ნუ დაეძებ, ეს ბრძანება ზემოდან მოდისო.**

არც ის აუხსნია ჩემთვის არავის, სად ზემოდან იყო გაცემული ბრძანება. რადგან აღმასრულებელიც ვერაფერს გახდა, ხელი ჩავიქნიე, აღარც ადგილობრივი ხელმძღვანელობისთვის მიმიმართავს, მაინც ყველანი ერთნი არიან, როდის იყო ძაღლი ძაღლის ტყავს ხევდა.

**მთელი ორი თვის მანძილზე მეზობლებისა და ნათესავების იმედად ვიყავი. ისინი მაძლევნდნენ მონაცვლეობით საკვებისა და წამლების ფულს. ხელისუფლებამ ჩემი ეს გაძაღლებული მდგომარეობა არ იკმარა და ბოლოს ჯიხურიც ამაღებინა, ტერიტორიის იერსახეს აუშნოებსო. ასე გამიმეტეს სააკაშვილის გამოზრდილმა ლეკვებმა.**

**მინდა, სააკაშვილს ვუთხრა (თუ, რა თქმა უნდა, პრესას ეცნობა): — არ შეგრჩება გაჭირვებული ხალხის ლუკმა, ჩვენით ამდიდრებ ბიუჯეტს? ღმერთის გეშინოდეს!**

აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარს ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი **კარლო კოპალიანი** აკეთებს:

— ეს ფაქტი უპრეცედენტო შემთხვევაა. ხელისუფლება საზოგადოებას ერთი ხელით დახმარებას აძლევს, თუ შეიძლება ამ გროშებს დახმარება დაერქვას; მეორე ხელით კი — ართმევს. პირადად ვიცნობ ია ასათიანს და მის უპატიოსნეს, საოცრად გაჭირვებულ და გაღატაკებულ ოჯახს. გაოგნებული ვარ ამ ფაქტით. კანონის მიხედვით, თუკი ოჯახს სახელმწიფო ვალი გააჩნია, ჯერ სასამართლო უნდა შედგეს, შემდეგ საკითხი საალმსრულებლო ბიუროს გადაეცეს და უნდა აღსრულდეს ის, რასაც აღმასრულებელი გადაწყვეტს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ასათიანის ოჯახს უკანასკნელი ლუკმაპურის შესაძენი თანხა უკანონოდ წაართვეს. ეს უკვე 37 წლის მეთოდების დანერგვაა... საგადასახადოს ვალის ამოღებისას ამგვარი გადამისამართების უფლება არავის აქვს. გამოდის, რომ „ლიბერთი ბანკი“ და საგადასახადო ერთ სისტემას წარმოადგენენ. „ლიბერთი“ რომ რეალურად ყოფილიყო კერძო ბანკი, მსგავს შემთხვევას არ დაუშვებდა — ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის გარეშე რომელი ბანკი აყადაღებს საარსებო მინიმუმს საგადასახადო ვალების გამო?!

**„საქართველო და მსოფლიო“ ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით „ლიბერთი ბანკის“ სათაო ოფისსაც დაუკავშირდა.** ბანკის პიარსამსახურმა ჯერ ინფორმაციის გაცემაზე გვითხრა უარი: **კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ სახის ინფორმაციების გასაჯაროება ბანკს ეკრძალებაო.** შემდეგ კი ბანკმა თავისი პოზიცია მაინც დააფიქსირა, თანხის დაყადაღება კატეგორიულად უარყო და ბანკის პრესამსახურის წარმომადგენელმა თითი ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სოციალურ სააგენტოსკენ გაიშვირა:

**„ჩვენ კერძო ორგანიზაცია ვართ. აქედან გამომდინარე, არანაირი უფლება არ გვაქვს, ვინმეს რამე დავუყადაღოთ. როგორც ჩანს, ქალბატონის თანხა ჩვენამდე არ მოსულა, ეგ სოცსააგენტოს საქმეა, დაყადაღების განკარგულებას ის გასცემდა. სხვათა შორის, არ ვარ დარწმუნებული, ნამდვილად უარყო თუ არა სოცსააგენტოს წარმომადგენელმა თანხის დაყადაღება ქალბატონთან საუბარში, შესაძლოა, რომ ეს კონკრეტული პიროვნება სულაც არ იყო საქმის კურსში თანხის დაყადაღებასთან დაკავშირებით.**

**რაც შეეხება „ლიბერთი ბანკის“ ცაგერის ფილიალის განმარტებას, რომ თანხის დაყადაღება ზემოდან დაავალეს, მან, უბრალოდ, სწორად ვერ გადმოსცა რეალობა, დოკუმენტაცია კი ნამდვილად უნდა წარედგინა ქალბატონისთვის. ჩვენ ცაგერის ბანკის მმართველს ეს წუთია ვესაუბრეთ. მან აღნიშნა, რომ ქალბატონმა ბანკი უპრეტენზიოდ დატოვაო.**

**მინდა, გითხრათ, რომ თქვენ მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ მთელი ბანკი ააფორიაქა და აღნიშნული შემთხვევის დეტალური შესწავლა დაიწყო. თუ ქალბატონს ამ კონკრეტულ საქმეში რაიმე დარღვევა არ აქვს და მხოლოდ გაურკვევლობის მსხვერპლია, ჩვენ მას აუცილებლად დავეხმარებით. ხომ უნდა დავანახოთ ამ პიროვნებასაც და თქვენც, რომ თანხა ჩვენ არ ჩამოგვიჭრია“.**

მოამზადა
**ეკა რობაქიძე**

# დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი

**როგორც ჩანს, მთელი დუნია უხილავი მიზეზშედეგობრივი ჯაჭვითაა გადახლართული! ჰოდა, თერაპიის ინსტიტუტის დახურვამ არა მხოლოდ მისი პერსონალი „გამოკიდა ჰაერში“, არამედ 52 წლის ბიჟუტერიის გამყიდველი ია გაჩეჩილაძეც ძალზე დააზარალა!**

## უმუშევარი ია გაჩეჩილაძე: «ნაციონალების» ხელისუფლებას მხოლოდ სამარე გამოასწორებს!

— დავიბადე ქალაქ ასტრახანში, მეზღვაურის ოჯახში. — **მიყვება ქალბატონი ია,** — მამას დიდი თანამდებობა ეკავა — კასპიის სამხედრო-საზღვაო ფლოტილიის შტაბს მეთაურობდა. მისი ხელფასი უზრუნველი ცხოვრებისთვის სავსებით საკმარისი იყო. დავამთავრე ასტრახანის პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფია-ბიოლოგიის განხრით. ორი წელი ვმუშაობდი მასწავლებლად სკოლა-ინტერნატში. მერე გავთხოვდი და თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად.

**აქაც, თავის წინაპართა მიწაზე, ია გაჩეჩილაძე პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ ქვეყნის ნგრევამ მას ახალი პროფესიის შეძენა აიძულა.**

— ალბათ, კოშმარულ სიზმარშიც არ დამესიზმრებოდა, რომ ბიჟუტერიით მოვაჭრე გავხდებოდი, თუმცა გაჭირვება მანახეო...

ჩემი ძირითადი კლიენტები იყვნენ საჯარო სკოლებისა და საავადმყოფოების თანამშრომლები. სკოლების კარი ჩემთვის დაიკეტა მანდატურების „გამოჩეკვისთანავე“. შენობაში რომც შევაღწიო, არავინ გამეკარება. მასწავლებლები და დირექტორი დაშინებული ჰყავთ! ყოველ კუთხე-კუნჭულში ვიდეოკამერებია დამონტაჟებული. ტოტალური თვალთვალი დააწესეს ამ წყეულმა „ნაციონალებმა“! ორი თვის წინათ კი თერაპიის ინსტიტუტიც დაკეტეს!

**— რამდენს შოულობდით?**

— შევარდნაძის დროს, დაახლოებით, 500 ლარს; სააკაშვილის მოსვლის შემდეგ, საქმე თანდათან ცუდად წამივიდა. შემოსავალი 300 ლარამდე შემიმცირდა. ახლა კი 200 ლარამდე ძლივს გამომდის. არ ვიცი, რა ვქნა! მარტო კომუნალურ გადასახადებში 70-80 ლარი მიდის, ტრანსპორტშიც — 20-30 ლარი! დანარჩენი საჭმელზე მეხარჯება. ძირითადად, კარტოფილით ვიკვებები, ხანდახან თავს ვინებივრებ წიწიბურათი და ყველით. ხორცი და ხილი წელს არც კი მიჭამია...

**ია გაჩეჩილაძე ძველ, თბილისურ ეზოში ორ პატარა ბნელ, ნესტიან ოთახში ცხოვრობს, რომლებშიც მზის სხივიც ვერ აღწევს. ბინას არა აქვს საპირფარეშო და სააბაზანო...**

— განსაკუთრებით გამიჭირდა მეუღლის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ. — **ცრემლმომდგარი აგრძელებს ქალბატონი ია,** — მისი დაკრძალვის მერე თითქმის ორი ათასი დოლარი ვალი დამრჩა გადასახდელი. საიდან ვიშოვო ჩემთვის ეს ასტრონომიული თანხა, მითუმეტეს ახლა, როცა ცხოვრება ასე გაჭირდა?! გიორგი პროფესიით ინჟინერი იყო. სამსახური რომ დაკარგა, ნუმიზმატიკას მიჰყო ხელი, რაღაც ორ კაპიკს შოულობდა. ძალიან განიცდიდა, რომ ოჯახს ღირსეულად ვერ ინახავდა და მე რომ მიწევდა ასეთი მუშაობა...

**ია გაჩეჩილაძე ყოველ დილას ღმერთს ევედრება, რომ ავად არ გახდეს, რადგან წამლები და მკურნალობა არნახულად გაძვირდა...**

**მან რამდენიმეჯერ მიმართა სათანადო სახელმწიფო ორგანოებს დახმარებისთვის, მაგრამ ამაოდ: „ტელევიზორი გაქვთო, მაცივარიც, ფარდებიც — მეტი რაღა გინდათო?!“**

— ყოველ ახალ დღეს უარესს ველოდები, „ბნელი გვირაბი“ არ მთავრდება! ეს ცხოვრებაა?! — **მართებულ კითხვას მისვამს ჩემი მოსაუბრე.**

**— კომპიუტერი რომ შეისწავლოთ და ინგლისური ენა?**

— ჩემს ასაკში სამსახურს ვერ ვიშოვი. აი, ჩემი და თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა, შემცირებაში მოყვა, ინგლისურიც იცის და კომპიუტერიც, მაგრამ რად გინდა! ორმოცდაათს გადაშორებულია. სიტყვამ მოიტანა და ეს ვაჟბატონი სააკაშვილი, 35 წლიდან დაწყებული ყველა რომ „ჩარეცხა“, თავად ხომ არის 43 წლის?! რატომ არ უთმობს ახალგაზრდებს ასპარეზს?! ჩამოწიოს თოკი და საკუთარი თავი „ჩარეცხოს“, ეს ხომ ასე ადვილია!

**ერთადერთი, რაც ია გაჩეჩილაძეს ცოტათი მაინც ანუგეშებს — ექვსი წლის კოკერსპანიელი „ჩარლია“. იგი თავისი ჭკვიანი თვალებით ყურადღებით გვიყურებს, თითქოს ესმის თავისი პატრონის გასაჭირი და უანგარო სიყვარულის გამოვლენით თანაუგრძნობს მას. საუბრის ბოლოს უჩვეულო სცენის მოწმე ვხდები. ქალბატონი ია ეკითხება ძაღლს: „ჩარლი, „ნაციონალებს“ ხომ მარტო სამარე გამოასწორებს?“**

**და... ჩარლი, თანხმობის ნიშნად, ყეფას იწყებს!**

**გიორგი კორძაძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

„ამოსუნთქვის გარეშე" იზრდება ფასები ყველაფერზე – სოფლის მეურნეობის ბრძენი მინისტრის გადაწყვეტილებით, საქონლის დაკვლასა და ხორცის დამზადებაზე შეზღუდვები დაწესდა. ქვეყანაში მხოლოდ ორი სასაკლაოა (თუმცა საკითხავია, მეტს ჩვენი ტერიტორია ვერ დაიტევს?!) და შედეგიც სახეზეა: აიკრძალა კერძო პირების მიერ საქონლის დაკვლა ხორცის შემდგომი რეალიზაციის მიზნით და ბაზარზე ხორცის ფასიც 20 ლარამდე გაიზარდა. აქვე პატარა საიდუმლოსაც გაგიმხელთ: ბაკურ კვეზერელი აქ არაფერ შუაშია. მისი გადაწყვეტილება ევროკავშირის მოთხოვნამ და ქართულმა მონოპოლისტურმა ბიზნესმა განაპირობა!

# პრემიერის ოპტიმისტური ნირვანა და 10 მილიარდამდე გაზრდილი საგარეო ვალი!

**გასული კვირის „პოლიტიკური ეკონომიკის" თუ „ეკონომიური პოლიტიკის" მიმოხილვას სწორედ ხელისუფლების მიერ განხორციელებული საკადრო ცვლილებებით დავიწყებ: „ვის უნდა 20 000"-ის წამყვანი მამუკა გამყრელიძე ჩინეთში საქართველოს ელჩად წარადგინეს. არავის ეგონოს, რომ მამუკამ მხოლოდ 20 000-მდე იცის ფულის დათვლა. გამყრელიძე 1989-91 წლებში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ერთობლივი საწარმო „ინტელექტის", 1994-96 წლებში — შპს „ნიკიტსკიე ვოროტას", ხოლო 1997-2009 წლებში — შპს „ნოვოია სლობოდას" გენერალურ დირექტორად მუშაობდა. 2010 წლიდან კი მამუკა გამყრელიძე შპს „გლობალ მედია ჯგუფის" დირექტორია. ასე რომ, შპს-ს გენ. დირექტორობიდან ელჩობამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია!**



ამავე დღეს ფინანსთა მინისტრს — კახა ბაინდურაშვილს სურვილი გაუჩნდა, თავისი სავარძელი, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ღირსეულად იკავებდა, კიდევ უფრო ღირსეული დიმიტრი გვინდაძისთვის დაეთმო, თვითონ კი იმ „საქართველოს ფონდის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ გადასულიყო, რომელიც საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაშია შეტანილი. როგორც პრემიერმა გილაურმა განაცხადა, გვინდაძის წარმატების საიდუმლო თურმე 2008 წელს საქართველოსთვის გამოყოფილი 4,5 მილიარდი დოლარის ათვისებაში ყოფილა! ნუ იტყვით და, ყველა დარწმუნებული ყოფილა, რომ საქართველო ამ თანხის ათვისებას ვერ შეძლებდა, მაგრამ 2 მილიარდზე მეტი უკვე საქართველოში ჩამოუტანია სწორედაც გვინდაძის მარიფათს, 2,5 მილიარდი კი ჯერ კიდევ დასახარჯი აქვს!

აქვე სულ „პაწია" ციფრებს შეგახსენებთ: **2011 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, ქვეყნის საგარეო ვალდებულებები 4 მილიარდ 176 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 21%-ით მეტია!**

სამწუხაროა, მაგრამ მარად ოპტიმისტი გილაურის დამაიმედებელი პროგნოზები ხშირად სრული კრახით მთავრდება. მაგალითად, მისი აზრით, მაისში შემცირებული და რეალურად კი საოცრად გაზრდილი (14,3%) ინფლაციაც საკმარისია!

არც ექსპერტების შეფასებები და არც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გამჭრიახობაა საჭირო იმისთვის, რომ რეალურად შევაფასოთ ქვეყანაში არსებული ფინანსური მდგომარეობა.

„ამოსუნთქვის გარეშე" იზრდება ფასები ყველაფერზე – სოფლის მეურნეობის ბრძენი მინისტრის გადაწყვეტილებით, საქონლის დაკვლასა და ხორცის დამზადებაზე შეზღუდვები დაწესდა. ქვეყანაში მხოლოდ ორი სასაკლაოა (თუმცა საკითხავია, მეტს ჩვენი ტერიტორია ვერ დაიტევს?!) და შედეგიც სახეზეა: აიკრძალა კერძო პირების მიერ საქონლის დაკვლა ხორცის შემდგომი რეალიზაციის მიზნით და ბაზარზე ხორცის ფასიც 20 ლარამდე გაიზარდა. აქვე პატარა საიდუმლოსაც გაგიმხელთ: ბაკურ კვეზერელი აქ არაფერ შუაშია. მისი გადაწყვეტილება ევროკავშირის მოთხოვნამ და ქართულმა მონოპოლისტურმა ბიზნესმა განაპირობა!

**მონოპოლია ნამდვილად არ იგრძნობა ნავთობბიზნესში, მაგრამ მათ, ყველას განურჩევლად, ერთნაირი დაავადება სჭირთ: როდესაც მსოფლიოში საწვავი იაფდება, ჩვენთან რატომღაც აუცილებლად ფასები იზრდება (არგუმენტიც მზად არის – ძვირად იყო ნაყიდი!)! თუმცა ეს პროცესი სულაც არაა შექცევადი — მსოფლიოში ბარელზე ფასის ზრდა პირდაპირპროპორციულია ჩვენს ბაზარზე ფასების ზრდასთან! აქ მეორე კითხვის ნიშანიც ჩნდება — რატომ მატულობს ტარიფი 5 თეთრით და არა 3 ან 7 თეთრით?**

თავს უფლებას მივცემ და აქაც პატარა „შპარგალკას" მოგაწვდით: ნავთობის შეძენა ბირჟებზე ფიუჩერსული სისტემით ხდება და 3-თვიანი გარიგებები იდება. შესაბამისად, თუ მაისის ბოლოს პროდუქცია უკვე შემოტანილი იყო გაიაფებული ფასებით, დღეს, როდესაც ამ თარიღიდან ერთი თვეც არაა გასული, მისი გაძვირება არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება. მით უფრო, რომ ამჟამად მსოფლიოში ნავთობის არა გაძვირების, არამედ გაიაფების ტენდენცია მიდის: ლონდონის ბირჟაზე ნავთობი 0,38%-ით შემცირდა და ბარელზე 113,59 დოლარამდე დაეცა!

საწვავი უკავშირდება ტრანსპორტს, ტრანსპორტი კი — ჩვენს მგზავრობას! ორიოდე კვირაში თბილისში „ნანატრი" მიკროავტობუსები გამოჩნდება. საგაზაფხულო აქციების მოლოდინის რეჟიმში მყოფმა „ტრანსპორტის მამებმა" დაგვაიმედეს, რომ არც მიკროავტობუსების პოტენციურ მძღოლებს შეექმნებოდათ პრობლემები და არც მგზავრობის ფასი გაიზრდებოდა.

გასულ კვირას უკვე გავრცელდა სასიგნალო ინფორმაცია: პიროვნებას, რომელიც წინასწარ ჩარიცხავს კომპანიის ანგარიშზე 500 ევროს და ყოველდღიურად 18 ევროსაც გადაიხდის (რატომ მაინც და მაინც ევრო?!), უფლება ექნება, ახალთახალ სამარშრუტო ტაქსის მძღოლად იმუშაოს. შედეგი: გაძვირებული მგზავრობა და უმუშევრად დარჩენილი „უევროო" მძღოლები!

**ალბათ, ეს გარემოება ვერ გაითვალისწინა ნირვანაში მყოფმა მერმა უგულავამ, როდესაც „ტელეგრაფთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ თურმე თბილისში უმუშევრობა 25%-ია, საერთოდ საქართველოში კი — საშუალოდ 16%! ეს, ალბათ, ის საქართველოა, სადაც უგულავა და „ძმანი მისნი" ცხოვრობენ, თორემ ჩვენს საქართველოში უმუშევრობის დონემ 50%-ს, დიდი ხანია, გადააჭარბა.**

არ შემიძლია სტატიის ბოლომდე მხოლოდ უარყოფით ტენდენციებზე გავამახვილო თქვენი ყურადღება, ამიტომ დიდი სიამაყით მინდა გამცნოთ, რომ საქართველოში კიდევ ერთი აეროპორტი ამბროლაურში აშენდება. ჩვენი ქვეყნის მცირე აეროპორტები ვერ იტევს უცხოეთიდან ნიაღვარივით წამოსულ ტურისტების ნაკადს.

ვერც საქართველოდან უცხოეთში დასასვენებლად გამგზავრებულ ბიზნესმენთა და პოლიტიკოსთა არმადას ჰყოფნის არსებული ინფრასტრუქტურა. თავმდაბალი ბიზნესმენები ჟურნალისტებთან საუბარში აუცილებლად საქართველოს კურორტებს ანიჭებენ უპირატესობას, თუმცა დასასვენებლად მაინც „ნაცნობ თვალს მიღმა", უცხოეთში გამგზავრება ურჩევიათ. მათ მიერ დასახელებული საყვარელი დასასვენებელი ადგილების რეიტინგი ასეთია: 1. თურქეთი; 2. ესპანეთი; 3. ხმელთაშუა ზღვის კურორტები; 4. ტაილანდი; 5. მალდივი.

მათთვის კი, ვინც გემოვნებას (და არა ფინანსებს!) უჩივის და საქართველოში რჩება, პატარა სიურპრიზი შემოვინახე: ჩვენმა ოპტიმისტმა პრემიერმა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში „ფეშენ TV"-ის პრეზიდენტთან ისაუბრა და გადაწყვიტეს, რომ ბათუმში „ფეშენ TV"-ის ეგიდით შავი ზღვის ქვეყნების სამოდელო კონკურსი ჩატარდება. დეტალები კი დაახლოებით ორ კვირაში გახდება ცნობილი.

**უკანასკნელ დღეებში ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული სტიქიური უბედურებების ფონზე თუ რამდენად საინტერესო და სასიხარულოა სამოდელო პროექტები, ეს უკვე ცალკე თემაა. ფაქტი ერთია — ტრაგიკულ ზაფხულს მშიერი შემოდგომა და ცივი ზამთარი შეცვლის!**

**მაგრამ არც ეს დაგავიწყდეთ: „გშია? — იცეკვე!".**

**ანი შონია**

# კონტროლის პალატის დასკვნით, საქართველოში არსებული ინფლაცია ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია

**მინისტრთა კაბინეტში მოულოდნელად სერიოზული ცვლილება განხორციელდა, როგორც პრემიერმა გილაურმა განგვიცხადა, ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა ფოსტაში გადასვლა მოინდომა სამუშაოდ. ეს ცვლილება საეჭვოდ დაემთხვა კონტროლის პალატის ანგარიშს, რომელიც გასულ კვირას გამოქვეყნდა.**

მართალია, მედიის ყურადღება მხოლოდ საავადმყოფოების შესახებ შენიშვნებმა მიიპყრო, მაგრამ ამ დასკვნაში სახელმწიფო სამსახურების არაერთ დარღვევასა და ფინანსთა სამინისტროს უგუნურ პოლიტიკაზეა საუბარი. კონტროლის პალატა აღნიშნავს, რომ თითქმის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ერთი და იგივე სიტუაციაა. განსაკუთრებით კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექცა სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლის დარღვევებზე და პროგრამების თანხების პრემიებად დარიგებასა თუ სხვა გადაცდომებზე განსაკუთრებით ვრცლადაა საუბარი.

**„აუდიტის შედეგებმა ცხადყო, რომ დროის მცირე მონაკვეთში საბიუჯეტო რესურსი მიემართება მანამდე დაუგეგმავი საჭიროებების დასაფინანსებლად და მარაგების (რომელთა საჭიროება არ არსებობს) შესაქმნელად. ამ პერიოდის შესყიდვების დიდი ნაწილი, როგორც წესი, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხორციელდება, რაც საბიუჯეტო რესურსის მართვის გამჭვირვალობის ხარისხზე დადებით გავლენას არ ახდენს. საკითხის პრობლემურობაზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ ამ პრაქტიკის შედეგების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაში ფულადი მასის ზრდის მდგომარეობაზე, საბიუჯეტო დეფიციტის ზრდაზე, სხვა უფრო საჭირო ხარჯების დაუფინანსებლობაზე, აგრეთვე, საჯარო ფინანსების მართვის გამჭვირვალობაზე,"** — ნათქვამია კონტროლის პალატის დასკვნაში.

წლის განმავლობაში დაუფინანსებელი ხარჯების (წლის გეგმასთან შედარებით) მოცულობამ 141 მილიონი ლარი შეადგინა. შრომის ანაზღაურების, პროცენტის, სუბსიდიების, გრანტების სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯების მუხლით ჯამურმა დაუფინანსებლობამ 174,7 მილიონი ლარი შეადგინა, სამაგიეროდ „საქონელი და მომსახურების" მუხლით გაწეულმა ხარჯებმა დამტკიცებულ გეგმას 104 %-ით, ანუ 33,7 მილიონი ლარით გადააჭარბა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საბიუჯეტო დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე. **მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, მუხლში "საქონელი და მომსახურება" გაწერილი თანხები ხმარდება ჩინოვნიკებისთვის ავეჯის, ავტომანქანების თუ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენას.**



**კვეზერელი და ხეთაგური სახელმწიფო პროგრამისთვის გაწერილ თანხებს პრემიებად არიგებენ**



კონტროლის პალატის მასალებით კი ირკვევა, რომ მადა ჩვენს ჩინოვნიკებს საკმაოდ კარგი აქვთ. **გასულ წელთან შედარებით გაზრდილია შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები 24,1 მილიონი ლარით, მივლინებები — 24,9 მილიონი ლარით, სხვა საქონელი და მომსახურება — 42,8 მილიონი ლარით, ოფისის ხარჯები — 54,6 მილიონი ლარით.**

სოფლის მეურნეობის მინისტრს ადმინისტრაციაში შემავალი პროგრამებიდან („სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია" და „სოფლის მეურნეობის დარგის გამოფენების მოწყობის ღონისძიებები") 27 ათასი ლარი პრემიებად დაურიგებია. პროგრამა „რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარება" კანონში პირველივე ცვლილებების შემდეგ ამოღებული იქნა ისე, რომ სამინისტროს არც დაუმტკიცებია და არც განაცხადით არ მოუთხოვია. **მოკლედ, კონტროლის პალატის მასალებში კარგად ჩანს სახელმწიფო სახსრების თვითნებური განკარგვა ბაკურ კვეზერელის მიერ.**

**კონტროლის პალატის დასკვნით, საქართველოში არსებული ინფლაციაც ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია: გარე ფაქტორებთან (მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ენერგორესურსებზე ფასების ზრდა) ერთად, ინფლაციის ზრდის ერთ-ერთ მიზეზად იგი მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ზრდას ასახელებს.**

**სოფო გელაშვილი**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



ხალხი „ზონდერებს“ კი არ შეუშინდა, არამედ უფრო მეტად შეაშფოთა (და, შესაბამისად, გაემიჯნა) ბურჯანაძის „ტრუბიტალისტურმა“ თუ „დროშისტარისტულმა“ რიტორიკამ — „ჩხუბი მორევაზეაო“. მისი გამოცდილების პოლიტიკოსს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ სახელმწიფო მანქანასთან ძალით დაპირისპირება ხეირს არც მას დააყრიდა და არც მის „ხელტრუბიანებს“. ბოლოს და ბოლოს რამდენიმე წლის მანძილზე ეს მოძალადე რეჟიმი სწორედ ბურჯანაძის ხელისუფლებაში ყოფნისას, მის თვალწინ ძლიერდებოდა და, თუ ხელს არ უწყობდა, არც უშლიდა.

## გაფრიზებულნი



**ნონა გაფრინდაშვილი, „სახალხო კრების“ თავმჯდომარე:**

ვერავინ დამარწმუნებს, რომ მოლაპარაკებას არ აწარმოებენ, როგორ მოხდება არჩევნების დროს პროცენტების გადანაწილება. ხელისუფლება კი სწორედ მაგ „რვიანს“ „გადააგდებს“ ზუსტად, იმის მესამედსაც არ მისცემენ, რასაც ჰპირდებიან.

*„ვერსია“*



**სოსო შატბერაშვილი, ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი:**

სირცხვილი დასავლეთის სახელმწიფოებს, რომლებიც სიტყვით აცხადებენ, რომ მათთვის მთავარია დემოკრატიული ღირებულებები, ხოლო საქმით ხელს უწყობენ სააკაშვილის დიქტატურის გამყარებას!

*„საქინფორმი“*



**გიორგი ცაგარეიშვილი, პარლამენტის წევრი:**

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელში საკანონმდებლო ორგანო ფაქტობრივად არ არსებობს... 26 მაისს დატრიალებული უბედურების თანამონაწილეები არიან ბაქრაძეც და თორდიაც. მართალია, არც ხელკეტებით დარბოდნენ და არც რეზინის ტყვიებს ისროდნენ, მაგრამ მათი საქციელი უარესია, რადგან სადისტებსა და მკვლელებს უმაგრებენ ზურგს. 26 მაისს მომხდარი უბედურების მორალური მხარდაჭერა ყველაზე დიდი დანაშაულია ერისა და საზოგადოების წინაშე.

*„კვირის პალიტრა“*



**ზურაბ მანჯავიძე, მომღერალი:**

ვისაც სააკაშვილის პრეზიდენტობა ბედნიერებას ანიჭებს, მის ნამუსზე იყოს. თუმცა ბუბას ვეთანხმები: სააკაშვილი მართლა ღმერთმა გამოგვიგზავნა, ოღონდ ჩვენს დასასჯელად!.. სააკაშვილის მეხოტბეები და „ზონდერები“ არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. „ზონდერები“ ქართველ ხალხს „დუბინკებით“ უსწორდებიან, მეხოტბეები კი — მლიქვნელობით.

*„ყველა სიახლე“*

# სკამთაყვანისმცემელთა

**წერილი პირველი:**

# თვითრეალიზაციის პრობლემა და ნაციონალური კონსენსუსი

**26 მაისის დარბევამ ბევრს აღუძრა წინმსწრებ მოვლენათა შეფასების სურვილი. ბევრიც პერსპექტივაზე ალაპარაკდა. ზოგიერთმა შეფასებას „მეტ-ნაკლებად ზუსტი აღწერა“ ამჯობინა. მათ შორის არიან ილიას უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე და ამავე უნივერსიტეტის პროფესორი დავით აფრასიძე. მათი დიალოგი გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა და „თეორიების ის ცოდნა და გამოცდილება“, რომელიც „მათ გააჩნიათ“, მკითხველს ხელისუფლების სამომავლო მოქმედების კონტურებს უხაზავს.**

**ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ნოღაიდელი ისევ სააკაშვილის გაძლიერებას უწყობენ ხელს**



**„ინტელექტუალური ახსნა და გაგება იმისა, რა მოხდა, რატომ მოხდა, რას ველოდით, სად მივიღეთ ის, რასაც ველოდით, სად — არა“, როგორც გიგი თევზაძე ამ დიალოგის დასაწყისში ამბობს, ნათლად გვიჩვენებს, რომ 26 მაისის დარბევას ამყარებდა კარგად მომზადებული იდეოლოგიური საფუძველი და მომავალშიც უნდა ველოდოთ პროცესების გარკვეული მიმართულებით განვითარებას.**

გიგი თევზაძე და დავით აფრასიძე არც მალავენ, რომ ნეიტრალურ შემფასებლებად ვერ გამოდგებიან, რადგან ხელისუფლების მხარდამჭერები არიან, თუმცა ამას „სამოქალაქო პოზიციას“ უწოდებენ. იქვე კი აღნიშნავენ, ეს არ ნიშნავს, რომ ამავე დროს ჩვენი „თეორიული პოზიციაც“ ეს არისო.

დიალოგი საინტერესოდ ვითარდება: ორი „ბრძენი“ ადამიანი დამჯდარა და განსჯის, ყველაფერი ისე უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა თუ — სხვანაირად. თუკი თევზაძე თეორიული სიღრმეებისკენ (მომხდარის სოციალური მიზეზები, ფსიქოლოგიური მიზეზები, პოლიტიკური მიზეზები) ექაჩება აფრასიძეს, ეს უკანასკნელი თანამოსაუბრეს პირდაპირ პოლიტიკური ძალების თვითრეალიზაციის პრობლემას სთავაზობს განსასჯელად.

**„საქართველოში ჯერ კიდევ მიმდინარეობს პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და ამ ინსტიტუტების კონსოლიდაციის პროცესი. პოლიტიკური ჯგუფები ამ ინსტიტუტებიდან უცბად ამოვარდებიან ხოლმე და ასევე უცბად აღმოჩნდებიან გაზრდილი მოლოდინებისა და ძალიან შეუთავსებელი რეალობის წინაშე. ასე დაემართა, მაგალითად, ბურჯანაძეს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო პარლამენტის თავმჯდომარე, პრეზიდენტის მოვალეობის ორგზის შემსრულებელი და უცებ, ერთი ნაბიჯით აღმოჩნდა ისეთ პოლიტიკურ სივრცეში, რომელშიც აბსოლუტურად დაკარგა ყველაფერი — არ ვგულისხმობ მაინცდამაინც ქონებრივ საკითხებს ან პოლიტიკურ სტატუსს. ამდენად, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მისი რადიკალიზაციის გზაზე დადგომა წინასწარ იყო განსაზღვრული. სამწუხაროა, რომ ჩვენი პოლიტიკური სისტემა ასეთ რადიკალიზმს შობს,“** — წუხს დავით აფრასიძე.

ერთმაც და მეორემაც ძალიან კარგად იციან, რომ პოლიტიკური ძალების თვითრეალიზაციის პრობლემა მმართველი „ნაციონალური მოძრაობის“ ერთპარტიულმა დიქტატმა წარმოშვა, პოლიტიკური პროცესიც ჩიხში მან შეიყვანა და პოლიტიკურ ძალებში რადიკალიზმიც მისმა ავტორიტარიზმმა გააჩინა. **პრეზიდენტ სააკაშვილისთვის ამ პროცესში სადავეების ხელიდან გაშვება ძალაუფლების დაკარგვასთან ასოცირდება და მისი, როგორც მმართველის, შეცდომაც სწორედ ესაა.** მთავარი დამამუხრუჭებელი სწორედ სააკაშვილის ფაქტორია, რომელსაც თავისივე იდეოლოგებმა (მათ შორის თევზაძემაც) მყარად ჩაუნერგეს, რომ თუნდაც ერთი დათმობა, ერთი ნაბიჯი უკან, ანდა ოპონენტების აღქმა არა მტრებად (ერთი სული რომ აქვთ, როდის აიყვანენ ეშაფოტზე ახლანდელ მმართველს), არამედ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებად, ვისაც ზუსტად იმდენივე უფლება აქვს, პრეტენზია გამოთქვას ქვეყნის მართვაზე, რამდენიც „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის ლიდერს, ამ უკანასკნელისთვის სამყაროს დასასრულს უდრის.

გიგი თევზაძე კი ფიქრობს, რომ „საზოგადოების ცხოვრებაში პოლიტიკური კონსენსუსი ძალიან დიდ როლს ასრულებს“, მაგრამ მისთვის კონსენსუსი ნიშნავს საკუთრივ მისი „სამოქალაქო პოზიციის“, ანუ ნაცპროპაგანდის უპირობოდ გაზიარებას. **რასაკვირველია, ძალაუფლების დაკარგვა გარკვეულ სირთულეებს უქმნის ავტორიტარ მმართველს და მის თანამებრძოლებს, რადგან მათ მიერ ერთპიროვნულად (და ხშირად გაუაზრებლად) მიღებულ გადაწყვეტილებებს ადამიანების ჯანმრთელობა და სიცოცხლეც კი ეწირება ხოლმე. ადრე თუ გვიან პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება და, რაც ადრე, მით უკეთესი: ნაკლებს დააშავებენ და სასჯელიც შედარებით მსუბუქი იქნება.** მაგრამ ძალაუფლებით ტკბობის პროცესი უკონტროლოა და ვერ ხვდებიან, რომ პოლიტიკურ ძალებს თვითრეალიზაციისთვის ასპარეზი სჭირდებათ.

**დღეს საქართველოში ყველამ იცის და, უპირველესად, ხელისუფლებამ, რომ პოლიტიკურ ძალებს არსებული კანონმდებლობით და „ნაცმოძრაობის“ მონოპოლიის პირობებში, ფაქტობრივად, არანაირი პერსპექტივა არ გააჩნიათ, თუკი ხელისუფლების მიერ დაწესებულ თამაშის წესებს არ დაემორჩილებიან.** ამის საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც „ქრისტიან-დემოკრატების“ გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში. მათ თავიანთი სამთვიანი სტაჟით 2008 წელს პარლამენტში მოხვედრის შანსი არ ჰქონდათ (ჟურნალისტიკაში ყოფნა გარკვეულწილად პოლიტიკურ გამოცდილებას კი სძენს ადამიანს, მაგრამ პოლიტიკოსისთვის საკმარისს — ვერა), თუმცა დღეს საპარლამენტო უმცირესობას სწორედ მისი ლიდერი უდგას სათავეში. ეს მაგალითი კარგად გაითვალისწინა მაშინდელი „გაერთიანებული ოპოზიციის“ რამდენიმე წარმომადგენელმა და დეპუტატობას დათანხმდა. ლეიბორისტულმა პარტიამ კი ისეთი სალტო-მორტალე შესთავაზა ხელისუფლებას, თვით ყოვლისმნახველი ხათუნა გოგორიშვილიც კი გააოცა. ამის შემდეგ არავისთვის ყოფილა გასაკვირი კოკო გამსახურდიას „პრიჩინით“ შესვლა თუ ახლა უკვე გაელჩება.

ეს ისტორია ასე ვრცლად მხოლოდ იმიტომ გავიხსენე, რომ დავით აფრასიძის „პოლიტიკური ძალების თვითრეალიზაციის პრობლემას“ ჩავუფიქრდეთ და გიგი თევზაძის „პოლიტიკური კონსენსუსის“ მასშტაბურობაც განვსაზღვროთ.

გიგი თევზაძეს ეგონა, რომ **„2008 წლის ომის მერე პოლიტიკური კონსენსუსისკენ, იმ ჩარჩო-იდეისკენ წავედით, რომელსაც ყველა ფენისა და სტატუსის ადამიანი იზიარებს. მეგონა, ომის მერე ეს არსებობდა, მაგრამ სწორედ ბურჯანაძისა და ოქრუაშვილის აქტიურობამ და შემდეგ იმ პროტესტმა „ძალადობის წინააღმდეგ“, რომელიც 27 მაისს** (სინამდვილეში 28 მაისს — ზ. მ.) **პარლამენტის წინ მოეწყო, დამიტოვა შთაბეჭდილება, რომ თუნდაც წარმოსახვითი პოლემიკა ეროვნული კონსენსუსის არსებობა-არარსებობისა და საერთოდ მიზანშეწონილობის შესახებ ისევ მიმდინარეობს. ახლა ისევ დაიწყო ლაპარაკი — ერთი მხარე და მეორე მხარე. ომის შემდეგ კი ვერც ერთი პარტია ვეღარ საუბრობდა, რომ არსებობს ორი გზა — ჩრდილოეთით და დასავლეთით, ანუ დემოკრატიის გზა და ე.წ. სუვერენული დემოკრატიის გზა, რასაც პუტინი ამბობს. ამაზე ვერავინ ლაპარაკობდა. მაინც ვფიქრობ, რომ რუსეთმა გარკვეული აზრით მიზანს მიაღწია და კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ საქართველოში ნაციონალური კონსესუსი ჯერ კიდევ არ არსებობს“.**

„საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის (პოლიტიკოსების გარეშე)“ ორგანიზებულმა 28 მაისის საპროტესტო აქციამ ნათლად გვიჩვენა, რომ **საზოგადოება** ▶

---

მსოფლიო

## 21 წლის პრეზიდენტობის კანდიდატი

**სომხური წარმოშობის 21 წლის სტუდენტი მაქსიმ ვერნერი საფრანგეთის 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს.** მან თავისი საპრეზიდენტო პროგრამა, რომელიც 89 წინადადებას აერთიანებს, უკვე წიგნადაც გამოსცა. სტუდენტი მიზნად ისახავს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ფრანგი ახალგაზრდების მხარდაჭერით წარდგეს. იგი მსოფლიოში ახალგაზრდების სოლიდარობის ორგანიზაციის შექმნის ინიციატივითაც გამოდის. ვერნერის გამოჩენამ პარიზში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, მას ხშირად იწვევენ სატელევიზიო შოუებსა და გადაცემებში.




## დაქტილოსკოპია ტურისტებისთვის

**ყველა ტურისტი, რომლებიც ისრაელში ჩასვლას გადაწყვეტენ, აეროპორტში დაქტილოსკოპიის პროცედურას გაივლის.** სავალდებულო დაქტილოსკოპია ისრაელის პარლამენტმა დააკანონა. დაქტილოსკოპია წარმოადგენს მეთოდს, რომელიც გამოიყენება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაში პირის იდენტიფიკაციისთვის. როგორც კანონმდებლები ამბობენ, ეს პროცედურა საშუალებას იძლევა, ისრაელის საზღვართან უფრო სერიოზული შემოწმება თავიდან იყოს აცილებული.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც მანამდე სასტიკად აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას, მორატორიუმი გამოაცხადეს სააკაშვილის დამღუპველი ქმედებების შეფასებაზე. ყველამ კარგად იცოდა, რომ რადიკალური პოზიციის დაკავება მთლიანად შეცვლიდა მოვლენათა განვითარებას, მაგრამ ვერავინ გაბედა სამარცხვინოდ დამფრთხალი მთავარსარდლის გაძევება.**

# ქვეყანა

**ძალადობის წინააღმდეგია, ვისგანაც უნდა მოდიოდეს იგი — ხელისუფლებისგან თუ ოპოზიციური ძალებისგან. ამ საკითხზე საზოგადოებამ კონსესუსს, დიდი ხანია, მიაღწია.** თუ ხელისუფლებას დანახვა უნდოდა, კარგად ჩანდა, რომ 21 მაისს, როცა „სახალხო კრებამ" აქცია დაიწყო, გაცილებით ბევრი ადამიანი მივიდა, ვიდრე შემდგომ დღეებში, როცა ტელევიზიასთან აქციებზე ერთ მხარეს შსს-ს სპეცრაზმელები იდგნენ, ხოლო მეორე მხარეს — „ხელტრუბიანი ვაჟკაცები", გარშემო კი აფთრებივით უვლიდნენ „ნაცზონდერები", რომლებიც სწორედ ვითარების დასაძაბად გაგზავნეს იქ.

**ხალხი „ზონდერებს" კი არ შეუშინდა, არამედ უფრო მეტად შეაშფოთა (და, შესაბამისად, გაემიჯნა) ბურჯანაძის „ტრუბიტალისტურმა" თუ „დროშისტარისტულმა" რიტორიკამ — „ჩხუბი მორევაზეაო". მისი გამოცდილების პოლიტიკოსს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ სახელმწიფო მანქანასთან ძალით დაპირისპირება ხეირს არც მას დააყრიდა და არც მის „ხელტრუბიანებს". ბოლოს და ბოლოს რამდენიმე წლის მანძილზე ეს მოძალადე რეჟიმი სწორედ ბურჯანაძის ხელისუფლებაში ყოფნისას, მის თვალწინ ძლიერდებოდა და, თუ ხელს არ უწყობდა, არც უშლიდა.** რაც შეეხება ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მათ, ალბათ, არ იციან და ახლა გაიგებენ ანზორ ბიწაძის გულისწუხილს — „ამათ რაღა ჩარეცხავსო", ახალგაზრდული სიბრიყვით რომ წამოსცდა. „სიბრიყვე" აქ პირობითად შეიძლება ვთქვათ, თორემ მან ბურჯანაძეების გულისთქმა გაახმიანა.

ამ პირობებში, **კარგად ინფორმირებულ ხელისუფლებას სწორედ ხალხის კონსენსუსის არსებობა უნდა გახსენებოდა და ყოველგვარი დარბევა-დაწიოკების, უმოწყალოდ ცემისა და შეურაცხყოფის გარეშე შეძლებდა რადიკალების მარგინალიზაციას. მითუმეტეს, რომ მათ სხვა პოლიტიკური ძალები მკვეთრად გაემიჯნენ.** აქ ორი ვერსია არსებობს: ან თავიდანვე მიხვდნენ, რომ ბურჯანაძე ხელისუფლებას ძალადობისკენ პროვოკაციულად იწვევდა და თავიდანვე განწირული იყო, ანდა ისინიც ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგნი არიან; თუ მეორე ვერსიას მივყვებით, მაშინ ეს პოლიტიკური ძალები და ხალხი ადვილად გამონახავენ საერთო ენას, რადგან **ძალადობის წინააღმდეგ გაერთიანება გაცილებით მეტ სარგებელს მოუტანს ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, ვიდრე ძალადობის პროვოცირება.**

მაგრამ აქ სად არის ხელისუფლების, უფრო სწორად, „ნაცმოძრაობის" ადგილი? ფაქტია, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ხალხის სიყვარულზე (როგორც 2004 წელს) კი არ დგას, არამედ სწორედ ძალას ეყრდნობა და როგორც კი ოდნავ სისუსტეს შეამჩნევენ, მისი ძალაუფლებაც მაშინვე დამთავრდება. მთელი შვიდი წელი მოანდომა სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ ამ ახალი ფენის ჩამოყალიბებას, არ დაიშურა ფული და პრივილეგიები და, ბუნებრივია, ყველაფერს ილონებს, რომ მათში კიდევ უფრო განამტკიცოს საკუთარი უძლეველობის განცდა. **ამის თვალსაჩინოებად გამოდგება საკანონმდებლო ცვლილებების ახლახან გახმიანებული ინიციატივაც, ხელისუფლების წარმომადგენლების, მათ შორის პოლიციელების ოჯახის წევრების დანარჩენი საზოგადოებისგან იზოლირებას რომ აკანონებს მათთვის ხელშეუხებლობის გარანტიის მიცემით და პოტენციური „ხელშემხების" მკაცრად დასჯის მუქარით.**

სრული პროფესორები კი წუხან, რომ **„რუსეთმა გარკვეული აზრით მიზანს მიაღწია და კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ საქართველოში ნაციონალური კონსესუსი ჯერ კიდევ არ არსებობს".**

რა შუაშია რუსეთი?

ეს მართლაც ვრცელი საუბრის თემაა და შესაძლოა ისეთი მოსაზრებაც გამოიკვეთოს, რომ **სააკაშვილსა და მის იდეოლოგებს 2008 წლის აგვისტოს ომი სწორედ „ნაციონალური კონსენსუსის" მიუღწევლად დასჭირდათ.** ამ ომით ისინი არაფერს კარგავდნენ — თუკი ცხინვალში წინასწარ მომზადებული დროშების გაშლას შეძლებდნენ და გამარჯვებას იზეიმებდნენ, ხალხი სააკაშვილს 2007 წლის დარბევის (და ბევრ სხვა) ცოდვას აუცილებლად მიუტევებდა. გამარჯვებულ მთავარსარდალს კი რამდენიმე წლის მანძილზე სალაპარაკო არ დაელეოდა. პირდაპირ თუ ვიტყვით, ამ შემთხვევაში საფუძველიც ექნებოდა თავის მოსაწონებლად; ხოლო თუ ვერაფერს მოახერხებდნენ, მაშინ მიღწეული იქნებოდა მეორე მიზანი — პოლიტიკური კონსენსუსი, „რომელსაც ყველა ფენისა და სტატუსის ადამიანი იზიარებს" — გარე საფრთხის წინაშე გაერთიანება. აქ უკვე სათვალავში ჩასაგდები არ არის ადამიანების მსხვერპლი და ათეულობით სოფლის დაკარგვა. ასევე, რაც კიდევ უფრო სავალალოა, თვითგამოცხადებული რესპუბლიკების — საქართველოს რეგიონების რუსეთის მიერ სახელმწიფოებად აღიარება. ეს ვა-ბანკი საქართველოს დაუჯდა ძვირად, თორემ საკაშვილს არაფერი დაუკარგავს, თუ არ ჩავთვლით ერთწლიან პაუზას საპრეზიდენტო ტურებს შორის.

**აგვისტოს ომში საშინელი მარცხის მიუხედავად, სააკაშვილმა შეძლო პრეზიდენტის სავარძლის შენარჩუნება და პოლიტიკური ძალებისა და ხალხის კონსოლიდაცია, რადგან რუსეთის მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენებამ, სამხრეთ ოსეთის საზღვრებიდან გამოსვლამ და საქართველოს შუაზე გახლეჩამ ისევ სააკაშვილს არგო. თან შეაშინეს და ამ შეშინებით გააძლიერეს კიდეც.** ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც მანამდე სასტიკად აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას, მორატორიუმი გამოაცხადეს სააკაშვილის დამღუპველი ქმედებების შეფასებაზე და მას მანევრირებისთვის ფართო ასპარეზი მისცეს. ეს, ალბათ, მოულოდნელი იქნებოდა რუსეთისთვისაც. **ყველამ კარგად იცოდა, რომ რადიკალური პოზიციის დაკავება მთლიანად შეცვლიდა მოვლენათა განვითარებას, მაგრამ ვერავინ გაბედა ღიად გამოსვლა და სამარცხვინოდ დამფრთხალი მთავარსარდლის გაძევება.**

ალბათ, ფიქრობდნენ, რომ იმ დროს სააკაშვილთან დაპირისპირება ერთმნიშვნელოვნად აღიქმებოდა სამშობლოს ღალატად. შესაძლოა, ასეც ყოფილიყო, მაგრამ **რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ის ადამიანები, ვინც მაშინ ყველაფერი გააკეთა სააკაშვილის გადასარჩენად, ახლა მას აცხადებენ ქვეყნის პირველ მტრად?!** სხვათა შორის, მათ შორის იყვნენ თევზაძის მიერ დასახელებული ბურჯანაძე და ოქრუაშვილიც. პირველი ძალისხმევას არ იშურებდა ქართული სიმართლის საერთაშორისო არენაზე გასატანად, მეორე კი პარიზიდან ეხმიანებოდა ყოფილ(?) თანამებრძოლებს და რიგით ჯარისკაცობას სთავაზობდა.

**მეტყვით, აბა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენო... რასაკვირველია, შენს სამშობლოში შემოჭრილ მტერთან თანამშრომლობა მიუღებელია. მაგრამ, როცა იმ ომის შემდეგ ეს თანამშრომლობა დისკომფორტს არ გიქმნის და საერთოდ რომ არ გაქვს უფლება, ხალხის სახელით ილაპარაკო სხვა ქვეყნის ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლებთან და მაინც მართავ ამგვარ შეხვედრებს? ანდა, ახლა რომ გახსენდება სააკაშვილის ხელისუფლებისგან ტერორისტების მფარველობა და სატელევიზიო ინტერვიუებში ღიად საუბრობ კონკრეტულ ფაქტებზე, ამას რა გამართლება აქვს?**

ეს დეტალებია, მაგრამ ამ დეტალებისგან შედგება მთლიანი მოზაიკა, რასაც სააკაშვილის ხელისუფლება ჰქვია. **ეროვნული კონსენსუსი, რის შესახებაც თევზაძე საუბრობს, ხალხში, დიდი ხანია, არსებობს, ნაცხელისუფლებაში კი, სამწუხაროდ** (სამწუხაროდ მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლებაში არიან!), **არ არსებობს და არც იარსებებს, რადგან მათ ქართული იდეა არ აერთიანებთ.** „ნაციონალების" ფავორიტკა პარლამენტის თავმჯდომარე ბურჯანაძე, „ნაციონალების" ფავორიტები — პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელი და თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი სწორედ იმ ვექტორისკენ გადაიხარნენ, რომლის წინააღმდეგიც წლების მანძილზე იყვნენ და რომელ მხარესაც, ვთქვათ პირდაპირ, გულიანად იფურთხებოდნენ. ეს ადამიანები სანამ ხელისუფლებაში იყვნენ, სააკაშვილის კრიტიკას კი არა, მისი პოზიციების განმტკიცებას ახმარდნენ ძალასა და ენერგიას, ახლა კი ცდილობენ, ხალხის ინტერესების მსახურებად წარმოაჩინონ თავი, თუმცა ისევ სააკაშვილის გაძლიერებას უწყობენ ხელს.

**დავუბრუნდეთ რუსეთის მიერ მიზნის მიღწევას და იმის გაგებას, კიდევ ერთხელ აჩვენა თუ არა, რომ საქართველოში ნაციონალური კონსენსუსი ჯერ კიდევ არ არსებობს.**

ზემოთ ვთქვი და გავიმეორებ — ეს მართლაც ვრცელი საუბრის თემაა. რასაკვირველია, რუსეთს არ სურს, რომ საქართველოში ნაციონალური კონსენსუსი არსებობდეს. და ეს არც არის გასაკვირი. საოცარი ის იქნებოდა, ეს რომ სურდეს. მას თავისი ინტერესები აქვს მთლიანად კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. არ ვაპირებ, ამ მიმართულებით ისტორიული წიაღსვლებით დაგღალოთ, მით უფრო ამ სფეროს სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ თუკი თვალს გადავავლებთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას (განსაკუთრებით ბოლო 230 წლის მანძილზე), ნათლად დავინახავთ, რომ ეს ქვეყანა, მნიშვნელობა არა აქვს, ცარისტული იქნება, კომუნისტური თუ დემოკრატიული, გარკვეულ პოლიტიკას ახორციელებს მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. იგი ერთადერთი იმპერიაა, რომელიც მხოლოდ თავისი საზღვრების გარშემო ფართოვდება (კალინინგრადის ოლქი პოსტკომუნისტური ნაშთია) და შორეული კოლონიები არ აქვს.

**ასევე გასათვალისწინებელია რუსეთ-თურქეთის ომების ისტორია ნატოს შექმნამდე 100 წლით ადრე. მაშინ ჯერ კიდევ არცთუ ბებერი კურტიზანი ევროპაც გაფაციცებული ადევნებდა თვალს ამ პროცესს და გამორჩენასაც ელოდა. ეს ბრძოლები სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა და არა ქართველთა განსაკუთრებული სიყვარულის გამო, არამედ მისი სტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით. და თუ ყველა გარემოებას ჩავუღრმავდებით, მივხვდებით, რომ მოქმედების ფორმულა ჩვენც უნდა შევიმუშავოთ და სწორედ ამ ფორმულის გარშემო უნდა შევძლოთ კონსენსუსის მიღწევა.**

სხვათა შორის, ჩვენს წინაპრებს ეს ფორმულა ჰქონდათ და ამიტომაც შევძელით დღემდე მოღწევა. მაშინ თევზაძეები და აფრასიძეები არ მუშაობდნენ ამ მიმართულებით და შედეგიც ხელშესახები იყო, ახლა კი ახლადგამომცხვარი იდეოლოგების გამოისობით უმძიმეს მდგომარეობაში ვართ და გამოსავალი სასწრაფოდ მოსაძებნია. უპირველესად კი, ეროვნული თანხმობის მიღწევა უნდა მოვახერხოთ. სხვა შემთხვევაში მუდმივად ვიქნებით ვიღაცის ხელის შემყურენი და გამორიცხული არ არის, ყოფილი ერის სტატუსიც „დავიმსახუროთ", თუკი უარს არ ვიტყვით სკამთაყვანისმცემლობაზე.

**და მაინც „რისი ბრალია, რომ არ არის ასეთი თანხმობა?" — ეკითხება პროფესორი აფრასიძე პროფესორ თევზაძეს. ეს უკანასკნელი პასუხს საინტერესო წიაღსვლებით იწყებს. მაგრამ ამის შესახებ მეორე წერილში ვისაუბრებთ.**

**ბონდო მძინარაშვილი**

**ეროვნული კონსენსუსი სკამთაყვანისმცემელ ხელისუფლებაში არ არსებობს და არც იარსებებს, რადგან მათ ქართული იდეა არ აერთიანებთ**



## გამონათქვამები

**ანდერს ფოგ რასმუსენი,**
**ნატოს გენერალური მდივანი:**



ნატოს არსებობის აუცილებლობა ახლა გაცილებით მწვავედ დგას, ვიდრე ოდესმე, ამიტომ ევროპულმა ქვეყნებმა ორგანიზაციის მომავალზე პასუხისმგებლობა უნდა აიღონ. ჩვენს ბრძოლისუნარიანობაში ინვესტირება გვჭირდება.

*vsekommentarii.com*

**სერგეი შამბა,**
**აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერი:**



არ გამოვრიცხავ, რომ აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ. თუ არჩევნებში მეც მივიღებ მონაწილეობას და ანქვაბიც, თითოეული ჩვენგანი სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების შედეგებს აღიარებს.

*rosbalt.ru*

**ლუკა კურტანიძე,**
**მსოფლიო ჩემპიონი:**



ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა შეწყდეს ქვეყნის გადაგვარების პროცესი?! ხელისუფლების ნათქვამ ტყუილს — „სახალხო კრების", გაფრინდაშვილისა და კურტანიძის უკან რუსები იდგნენო, არავინ დაიჯერებს. არ დამიმსახურებია, რომ ვინმემ სამშობლოს მოღალატე მიწოდოს.

*„ყველა სიახლე"*

**მიხეილ ყაველაშვილი,**
**მოძრაობა „ჩვენი ფეხბურთის" ერთ-ერთი დამფუძნებელი:**



დღეს ის კი არ არის პრობლემა, „პოზიცია" ხარ თუ „ოპოზიცია", მთავარი პრობლემა უპოზიციობაა, როცა საკუთარი პოზიციის გამოხატვის გეშინია.

*„ყველა სიახლე"*

**ბაჩუკი ქარდავა,**
**ედპ-ს ლიდერი:**



ედპ ნეგატიურადაა განწყობილი რევოლუციების მიმართ. იმისათვის, რომ ხელისუფლებასთან გარიგებაში არ დაგვადანაშაულონ, არ უნდა ვთქვათ, რომ არ გვინდა რევოლუცია?.. ჩვენ შეიძლება არ მოგვწონდეს მიშა, მაგრამ გვიყვარს საქართველო.

*„საქინფორმი"*

მოკლედ

## საფრანგეთიდან 28 ათას რუმინელს გააძევებენ

**საფრანგეთის შს მინისტრმა კლოდ გეანმა განაცხადა, რომ ქვეყანა 2011 წელს 28 ათასი არალეგალი რუმინელის დეპორტაციას გეგმავს.** „ქუჩის ძარცვების 80% რუმინელ არასრულწლოვანთა მიერ არის ჩადენილი. საფრანგეთის სამართალდამცველებს ეს კრიმინალური შემთხვევები მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის," — განმარტა გეანმა. შეგახსენებთ, რომ 2010 წლის ზაფხულში საფრანგეთიდან არალეგალების გამოძევებამ საფრანგეთსა და ევროკომისიას შორის ურთიერთობა დაძაბა.



## ჩე გევარას უცნობი დღიური

**ცნობილი ლათინოამერიკელი რევოლუციონერის — ერნესტო ჩე გევარას დღემდე უცნობი დღიური გამოაქვეყნეს. მასში 1959 წლის მოვლენებია აღწერილი.** ჩე გევარას ქვრივის — ალეიდა მარჩის თქმით, მან დღიურის წიგნად გამოქვეყნება რედაქტირების გარეშე გადაწყვიტა, რათა მკითხველმა უფრო კარგად გაიაზროს, როგორი პიროვნება იყო მისი მეუღლე. დღიურში აღწერილია გენერალ ბატისტას დამარცხების ისტორიაც. გამომცემლებმა მასმედიას განუცხადეს, რომ ტექსტის გარჩევას ძალიან დიდი დრო დასჭირდა, რადგან დიდ რევოლუციონერს გაურკვევლად წერა ჰყვარებია.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

პოლიკარპე კაკაბაძის პიესა გენიალური ნაწარმოებია. ყვარყვარე თუთაბერი ამათთან შედარებით ერთგვარად კეთილიც კია. საცოდავი იყო ის, თავის თავის უბედური. მაგრამ როგორ შეიფერა დიდკაცობა! ყვარყვარე ამათთან შედარებით ნორმალურია. თუმცა... ჩვენი პრეზიდენტი და ყვარყვარე ძალიან გვანან ერთმანეთს.

## გამოხმაურებანი



**ლაშა ჩხარტიშვილი,** კონსერვატიული პარტიის წევრი:

მიუხედავად იმისა, თუ რამდენჯერ დამაპატიმრებენ პოლიტიკური მიზნით, მე მაინც, ბუნებრივია, ვიბრძოლებ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დასრულებისა და ადამიანის უფლებების დასაცავად.

*obieqtivi.net*



**დავით მაღრაძე,** პოეტი:

საქართველო დღეს არის კუნძული, სადაც კვლავაც გრძელდება „ცივი ომი“ ორ დიდ სახელმწიფოს შორის. „ნაციონალური მოძრაობა“ ამისათვის იღებს დაფინანსებას, რაზეც საქართველოს მოსახლეობას არ მიუწვდება ხელი. ამ ფინანსების სანაცვლოდ სააკაშვილი და მისი ხროვა აგრძელებენ ორი დიდი სახელმწიფოსთვის „ცივი ომის“ ასპარეზად საქართველოს შეთავაზებას. აი, ამით ინარჩუნებენ თავს ხელისუფლებაში.

*„ყველა სიახლე“*



**გიორგი ყარყარაშვილი,** ყოფილი თავდაცვის მინისტრი:

უნდა იფიქრო, როცა ხალხის, თუნდაც ერთი კაცის, პასუხისმგებლობა გაკისრია. არ იფიქრეს, სხვამ იფიქრა მათ მაგივრად და ამიტომაც შეფასდა ყველაფერი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად, ხოლო მსხვერპლად შეეწირა გულწრფელი, სხვადასხვა მიზეზების გამო ქუჩაში გამოსული ასობით და ათასობით უკმაყოფილო, გაჭირვებული ადამიანი, მათ შორის, ბევრი ღირსეული ვეტერანი, ყოფილი პოლიციელი, რომელიც გარეთ უსამართლობამ და უპერსპექტივობამ გაიყვანა.

*„ვერსია“*



**ჯონდი ბაღათურია,** პარლამენტის წევრი:

„ხელისუფლებასთან „რვიანის“ მოლაპარაკებების შედეგი იქნება ნული. მოლაპარაკებები ჩიხშია შესული და, ჩემი აზრით, ამის მიზეზი ისევ „რვიანის“ წევრები არიან. ასე, ინდივიდუალურად კუბლაშვილთან შეხვედრითა და თვალის ჩაკვრით შედეგი ვერ მიიღწევა.

*obieqtivi.net*

### გურამ ფირცხალავა:

# მთავრობას უფლება თუ მივეცით, ჰიტლერი კრემატორიუმებში ებრაელებს რომ წვავდა, დედას გეფიცები, ამასაც გააკეთებს



**ცნობილ ქართველ კინომსახიობს, პოპულარულ ხელოვანს და კაი ყმას — გურამ ფირცხალავას ინტერვიუს ჩამორთმევაზე რომ ვუთანხმდებოდი, მობოდიშებით მითხრა — 26 მაისს თავს გადამტყდარი ამბების შემდეგ სმენა დამიქვეითდა და, თუ შეიძლება, ცოტა ხმამაღლა მელაპარაკეთო. დავყრუვდიო, იცინოდა. თან იმას წუხდა, გოგი ქავთარაძეს „არალეტალური იარაღის“ რეზინის ტყვია ყურში მოხვდა და, ნეტავი, კარგად გადარჩესო.**

**— 26 მაისის შემდეგ, — თავს უფლება მივეცი, „შავი იუმორი“ ჩამერთო, — ეგებ, უკეთესიც იყოს, არ გაიგონოს ადამიანმა ის, რაც საქართველოში ხდება.**

**პასუხად ბატონი გურამი ცოლის დისშვილის — თამარის ამბავს მომიყვა. თამარს ბავშვობიდან ზრდის. ყრუმუნჯიაო, მაგრამ მუნჯის ენა დედამ იცისო, და მუნჯის ენაზე ესაუბრება ამ ადამიანს გურამ ფირცხალავა.**

**— ბედნიერი ხარო, — უთქვამს მისთვის, — რომ არ გესმის, რა უბედურებაც ჩვენს თავს ტრიალებს.**

**— მესმისო, — უპასუხია და აუხსნია, პირველ არხზე, საინფორმაციო პროგრამას სურდოთარგმანი რომ მისდევს, იმის წყალობით საქმის კურსში ვარო.**

**— მაგ არხზე რასაც ამბობენ, ყველაფერი ტყუილია და ხელისუფლების წისქვილზე წყლის მიშვებასავითაა.**

**ამდგარა და წვრილად აუხსნია, სად, რა და როგორ ხდებოდა — მადლობა ღმერთს, მოვლენების ეპიცენტრში ტრიალებდა და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა და განიცადა.**

**— ბატონო გურამ, თქვენ მიერ განსახიერებული რომელი გმირის მდგომარეობაში იმყოფებით ამჟამად?**

— **(პაუზა).** გმირისა რა მოგახსენოთ, სიტუაცია კი იმაზე გაცილებით უარესია, რომელშიც ჩემი გმირი, ადგილობრივი რევკომის თავმჯდომარე ტრიალებდა.

შეუდარებლად უარესი!

ამ ფილმის სცენარისტსა და დამდგმელ რეჟისორს, ეტყობა, ფანტაზია არ ეყოთ, იმ დონის უბედურება გადმოეცათ, რომელიც 26 მაისს რუსთაველზე დატრიალდა.

**„მოცურავეში“, თუ გახსოვთ, ჩამშვები კაცი განვასახიერე. ის ამათთან შედარებით გლუკოზაა. ჩვენს სასამართლოს ნორმალური ადამიანი რომ დაესწროს, ან გაგიჟდება, ან — „სროკს აიკიდებს“, ჟარგონი რომ ვიხმარო.**

**— ვინ უწერს ამათ ისეთ სცენარებს, რომელთა შესაქმნელად პროფესიონალი კინემატოგრაფისტების ფანტაზია საკმარისი არ აღმოჩნდა?**

— მე მგონი, უნიჭო დრამატურგს უფრო გამოსდის ასეთი რამ. რადგან ნორმალური პროფესიონალი, უწინარეს ყოვლისა, თავის თავს არ აკადრებს ასეთი ბოროტების გადმოცემას. რეგვენი კი ისეთ რამეს დაწერს, ნორმალურ ადამიანს შიში აიტანს. მე მინახია ასეთი გიჟები.

**— „ყვარყვარეში“ თქვენ თამაშობთ თავადს, რომელიც თუთაბერს იჭერს.**

— პოლიკარპე კაკაბაძის პიესა გენიალური ნაწარმოებია. ყვარყვარე თუთაბერი ამათთან შედარებით ერთგვარად კეთილიც კია. საცოდავი იყო ის, თავის თავის უბედური. მაგრამ როგორ შეიფერა დიდკაცობა! ყვარყვარე ამათთან შედარებით ნორმალურია. თუმცა... ჩვენი პრეზიდენტი და ყვარყვარე ძალიან გვანან ერთმანეთს.

**— დღეს თქვენ კინომსახიობზე არანაკლებ ცნობილი საზოგადო მოღვაწე ხართ...**

— დიდი კომპლიმენტია!.. **(იცინის).**

**— მინდა გკითხოთ, როგორც საზოგადო, გნებავთ, პოლიტიკურ, მოღვაწეს.**

— სცადეთ, სცადეთ **(იცინის).**

**— შარშან, ნოემბერში „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში განაცხადეთ, რომ თუ ახლა არ შევცვალეთ ეს ხელისუფლება, შემდეგ შეუძლებელი იქნებაო. ჰოდა, სცადეთ, მაგრამ ხელისუფლება თავის ადგილზეა. გაქრა იმედი მომავლის?**

**— რასაც ახლა ვიტყვი, თუ ასე არ არის, მაშინ მართლა დაღუპულები ვართ. მე მგონი, 26 მაისით თავი დაიმარხა ამ მთავრობამ.**

**ის, რაც ამათ მოიმოქმედეს, ის დაუნდობლობა და დაპირისპირება ხალხთან, რისი მოწმეც მთელი მსოფლიო გახდა, საკუთარი ხელით ყელის გამოჭრაა.**

**რამდენი დაიღუპა, ჯერ კიდევ არ ვიცით, ეძებენ თურმე. გული მისკდება. სოსო ჯაჭვლიანი შიმშილისგან ისეა დასუსტებული, გუშინ ერთ ადგილას რომ მოვყევი მისი ამბავი, კაცებმა იტირეს.**

**— ინახულეთ?**

— ყოველთვის ვნახულობ. სოსოს ვუთხარი, ნუ იზამ ამასმეთქი, სოსო, იქნებ ჯობდეს, რომ შიმშილობა შეწყვიტო, რადგან ამათ უფრო გაუხარდებათ, შენ რაც უფრო დასუსტდები. არაო, არ შემიძლია ამათ ისევ ვუყურო და ჩემი თავი რაღაცით უნდა დავსაჯოო. ჩემი ქვეყნისთვის ვაკეთებ, გურამიო.

კარგი, სოსო-მეთქი. იმ წუთასვე დავეთანხმე.

**— თავგანწირვაა.**

**— რა თქმა უნდა. ძალიან მანერვიულებს ჩვენი საოცარი კაცის, ლუკა კურტანიძის მდგომარეობა, რომელსაც არნახული შეურაცხყოფა მიაყენეს. მაგრამ ვაჟკაცია და, იმედია, გადაიტანს. არ მინდა იმის მოყოლა, რაც აკადრეს თემურ შაშიაშვილს — თავში რომ ურტყამდნენ და ბორკილები რომ დაადეს... გოგის ყურში რომ მოარტყეს ტყვია, ხომ შეიძლება, საფეთქელში მოხვედროდა!**

**— პირაქაფებულები ამტკიცებენ, რომ ლიდერები პირველები გაიქცნენო...**

— მაგ სიმართლით იარონ!

**— რაჟა სარჩიმელიასთან — თქვენს კინოგმირთან, ყაჩაღთან შეგიძლიათ პარალელი გაავლოთ?**

— რაჟას თავისი წესები ჰქონდა და იმათ არ გადააბიჯებდა. ჩვენი მთავრობის სურვილსა და „გაქანებას“, ეტყობა, ვერ აკმაყოფილებს მოქმედი სახელმწიფო კანონები. ამიტომ არღვევენ. 26 მაისმა ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა. ჩვენმა საზოგადოებამ ამათ უფლება რომ მისცეს, როგორც გინდათ, მოიქეცითო, დახვრეტასაც შემოიღებენ. ჰიტლერი კრემატორიუმებში ებრაელებს რომ წვავდა, დედას გეფიცები, ამასაც გააკეთებენ. ამათი მისწრაფება ბოროტებისკენ უსაზღვროა. არავითარი მორალური ნორმა და სამართალი ამათთვის არ არსებობს. **იმას, რაც ხელისუფლებამ და სპეცრაზმმა 26 მაისს გააკეთა, პირდაპირ გეტყვით, რაჟა სარჩიმელია არ იკადრებდა, არც რაჟა, არც ის მეორე ყაჩაღი — ბონდო. არც ერთი ყაჩაღი არ იკადრებდა.**

თვითონ ჭედენ კანონებს, როგორიც ხელს აძლევთ, ისეთებს. ახლა კიდევ აპირებენ ახალი წესების შემოღებას ჯერ ოცი მტრის მანძილზე არ შეიძლება სამთავრობო შენობსათან პროტესტის გამოთქმაო, მერე 100 მეტრიო, მერე სამუდამო პატიმრობით დაგსჯით, თუ პოლიციელს ან მისი ოჯახის წევრს თითს დააკარებთო...

**— სხვებს — მიდი და ურტყიო?**

— მე მგონი, ესენი ხალხს სამოქალაქო ომისკენ უბიძგებენ. არა მგონია, ქართველები ამაზე წავიდნენ. ამიტომ, ვფიქრობ, წინააღმდეგობა და შეურიგებლობა მუდმივი დაპირისპირებით უნდა გამოვხატოთ. ხომ გახსოვთ, რაჟა სარჩიმელიას მიერ დაყაჩაღებულ ქალბატონ ნანოს მონათხრობი, მის დღეში მყოფ ქალებს რომ მიმართა, ვიყვიროთ, ეგებ, გზიდან მოგვეშველოს ვინმეო, მაგრამ არ აჰყვებიან, და ერთი ყაჩაღი ამის გამო ეტყვის: „ქალბატონო, რა გაყვირებს, ნეტავი! იმის იმედად თუ ხარ, რომ აგენიც იყვირებს — აგენი მორჩილებას არიან მიჩვეული“.

პირდაპირ გეტყვით: ეგებ, ქალების დრო დადგა საქართველოში, რადგან კაცებმა მაინც და მაინც ვერ ვივარგეთ. დედასაქართველო დედაკაცებმა უნდა გადაარჩინონ! ასე მგონია მე.

ამ დღეში ვართ. ან უნდა ვიკივლოთ, ვიბღავლოთ და ვიდგეთ, ან დავიბანოთ ხელი, ჩავწვეთ ლოგინებში, ვუყუროთ და შევეგუოთ ამათ.

**— გიორგი შენგელაიას ფილმში „მიდის მატარებელი“ სარდალი ხართ...**

— გენერალს ვთამაშობ.

**— ამ ფილმთან დაკავშირებით, რაიმე ასოციაცია ხომ არ გაგჩენიათ?**

— როგორ არა! გიორგის ვენაცვალე, „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ბრმების გუნდს რომ ამღერა, ხომ გახსოვთ? აი, ზუსტად ასეთი იყო მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრა ონში: თითქმის ხელებზე ჰკოცნიდნენ კარგად ორგანიზებული და გახარებული რაჭველები. ამის დაპირებები — დედაქალაქი აგერ ყურის ძირში გექნებათო, ავაშენეო ქვეყანა, ბატონებოო! ამ ხალხს რომ ვუყურებდი, იმ პატარა ბავშვებს, რომლებსაც ცუდად დაზეპირებულ „მისა! მისას!“ აყვირებდნენ, ერთი სული მქონდა, მერჩია: დაიწყეთ ახლა „ჩემო კარგო ქვეყანავ!“.

ასეთი ასოციაცია გამიჩნდა.

**— ჰოდა, „მიდის მატარებელი“... ხომ გახსოვთ სააკაშვილის სენტენცია — ჩვენი მატარებელი მიდის, სანამ დროა, მოასწარით და ჩაჯექითო! მიდის სააკაშვილის მატარებელი და შლაგბაუმის ჩამკეტი არავინ ჩანს.**

**— შეშინებულ ადამიანთან, რომელსაც ძალაუფლება და იარაღი აქვს, დაპირისპირება რთულია. მაგრამ, თუ კაცი ხარ, თუ ზნეობის კანონებით მოქმედებ, არ უნდა გაჩერდე.**

რევოლუციას თავი დავანებოთ!

დავიწყოთ მოქმედება. კი, ბატონო, დავიწყოთ. „საარჩევნო გარემოს შესაცვლელად“, როგორც ცნობი- ▶

## ერაყში აშშ-ის 6 მილიარდი მოიპარეს



**ერაყში დახმარების სახით აშშ-ის მიერ გამოყოფილი 6 მილიარდი დოლარი მოიპარეს.** 2003 წელს ერაყში ამერიკის შესვლის შემდეგ ერაყის ხელისუფლებას კონგრესისგან 61 მილიარდი დოლარი უნდა მიეღო. აუდიტორების მონაცემებით, ამ თანხიდან 6.6 მილიარდი დოლარი გამქრალი, უფრო სწორად, მოპარულია. აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ არ იცის, სად წავიდა ეს ფული. „ეს სახელმწიფო დოტაციის ყველაზე მსხვილი ძარცვაა აშშ-ის ისტორიაში,“ — განაცხადა გენერალურმა ინსპექტორმა ერაყისთვის განკუთვნილი სახსრების ხარჯვის კონტროლის საკითხებში, სტიუარტ ბოუენმა. როგორც გაირკვა, ერაყისთვის გამოყოფილი თანხა ნაღდი ფულის სახით გადაჰქონდათ.

## «ალ ქაიდას» ახალი ლიდერი ჰყავს

**„ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, ტერორისტულ დაჯგუფება „ალ ქაიდას“ ახალ ხელმძღვანელად აიმან აზ-ზავაჰირი დაინიშნა.** იგი წარმოშობით ეგვიპტელია და დაჯგუფების ყოფილი ლიდერის, უსამა ბენ ლადენის უახლოესი თანაშემწე იყო.

შეგახსენებთ, ბენ ლადენი მაისში ამერიკელმა სამხედროებმა პაკისტანში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლეს.

ექსკლუზივი

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**26 მაისით თავი დაიმარხა ამ მთავრობამ. ის, რაც ამათ მოიმოქმედეს, ის დაუნდობლობა და დაპირისპირება ხალხთან, რისი მოწმეც მთელი მსოფლიო გახდა, საკუთარი ხელით ყელის გამოჭრაა. რამდენი დაიღუპა, ჯერ კიდევ არ ვიცით, ეძებენ თურმე. გული მისკდება. სოსო ჯაჭვლიანი შიმშილისგან ისეა დასუსტებული, გუშინ ერთ ადგილას რომ მოვყევი მისი ამბავი, კაცებმა იტირეს.**






# გურამ ფირცხალავა: ესენი ხალხს სამოქალაქო ომისკენ უბიძგებენ

ლია, „რვიანი" მოქმედებს: **ისე იქცევიან, თითქოს ამ ხელისუფლებას პატიოსან სიტყვაზე ნდობით შეიძლება ელაპარაკო. ამ ბოლო დროს კი საერთოდ გაუგებრად იქცევიან: ჯერ ბითუმად მოვილაპარაკოთო, „ოპტომ", შემდეგ — ცალ-ცალკეო. შოშიას ბარტყივით პირს აბჩენენ, ლუკმის ჩადებას ელოდებიან.**

**ყმაწვილობისას შოშიას ბუდე ვიპოვე და, თითი რომ გავუწოდე, ბარტყებს ეგონათ, დედაჩიტი მოფრინდაო და აწივწივდნენ, ნისკარტები დააბჩინეს. მოტყუვდნენ.**

**ასე ატყუებენ „რვიანს".**

შეშინებულ ადამიანებთან ბრძოლა რაღაც სხვა მეთოდებითაა საჭირო. ერთხელ ვთქვი, ჩავიცვათ თეთრი ხალათები, როგორც ფსიქიატრებმა, და ისე გავიდეთ აქციაზე-მეთქი.

არაორდინალურად უნდა ვიმოქმედოთ.

გოდერძი ჩოხელის ფილმში „ადამიანთა სევდა" სარდალს ვთამაშობ. კინოსატირაა. სოფლებს ვიპყრობ ქალების „ლაშქრით". მივადექით ერთ კულტურულ სოფელს. გოდერძიმ მკითხა, რა ვქნათ, როგორ ავიღოთ ეს სოფელი ისე, რომ სხვების აღებას არ დაემსგავსოს? კულტურული სოფელი უკულტუროდ უნდა ავიღოთ-მეთქი. როგორო? როგორ და სახით წინ კი არ შევუტიოთ, არამედ — უკან-უკან სვლით, ზურგშექცევით. მოეწონა. უკაცრავად და, წავიკუზეთ და გადავედით შტურმზე. ავიღეთ ეს სოფელი.

ზუსტად ასეთი ამბავია ჩვენთან.

**— წავიკუზოთ და შევუტიოთ?**

— *(იცინის).*

**— ბატონო გურამ, 2009 წლის ერთ-ერთ პუბლიკაციაში თქვენ გაკიცხეთ მავანი ქალბატონი, რომელიც თავისი „ჯიპით" სანაპიროზე მიმავალ საპროტესტო აქციის მონაწილეთა კოლონაში შეიჭრა.**

— მახსოვს. მთავრობის რომელიმე წევრის ან დედა, ან სიდედრი იქნება-მეთქი.

**— დიახ, დიახ... ოფიციალურ ვერსიას თუ ვენდობით, 26 მაისს ნინო ბურჯანაძე „ჯიპით" შეიჭრა სპეცრაზმელთა როგებში.**

— „ჯიპი" არ შევარდნილა. ტყუიან. კიდევ კარგი, რომ ეს მომენტი გადაღებულია. სპეცრაზმელები თვითონ შეახტნენ მანქანას, ძალიან უნდოდათ თავის გამოჩენა ხელმძღვანელების წინაშე, ერთგულების დამტკიცება უნდოდათ. ერთი უკნიდან შეახტა, სამი — მარჯვნიდან, სამი — მარცხენა მხრიდან. თავისუფლების მოედანზე, სადაც რუსთაველის პროსპექტის ასფალტი ქვაფენილს უერთდება, მანქანა შეხტა. ამ დროს ჩამოიფერთხნენ ესენი. ის საწყალი პოლიციელი, უბედური, ღმერთმა აცხონოს იმისი სული, უკანა მხრიდან იყო შემხტარი მანქანაზე, ის რომ ჩამოვარდა, უკან მიმავალმა მანქანამ გადაუარა, გვერდი ვერ აუქცია შოფერმა.

ნინოს დააბრალეს... მასეთები შეუძლიათ კი არა... გაოგნებულია მთელი ხალხი.

**— ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთან თქვენ ნორმალური დამოკიდებულება გქონდათ...**

**— ყოველთვის — არა. უწინ ამათ, როგორც ყოველთვის, ვლანძღავდი. ნინოზე უარყოფითი რეაქცია მქონდა, იმიტომ, რომ ეს ჭკვიანი ქალი ამათთან როგორ ძლებს-მეთქი?! ამათთან როგორ უნდა იმუშაოს ნორმალურმა ადამიანმა?! ამას ვამბობდი ყოველთვის. სახალხო კრებაში ერთმანეთს რომ შევხვდით, ვუთხარი, არ მიყვარდი-მეთქი.**

**— ახლა?**

— საოცარი ქალები არიან. ისეთი მამაცი ქალები, როგორებიც აჭარაში, ბათუმში ვნახე, მხოლოდ წიგნებში თუ წამიკითხავს. ვაჟკაცებივით იქცეოდნენ. მეორე საოცრება კი ნინო და ნონა იყო. ასეთ სიმამაცეს ბევრი კაცი ვერ დაიტრაბახებს.

თემურ შაშიაშვილის ვაჟკაცობამ გამაოცა. ადრე ახლო ურთიერთობა არ მქონია. მაგრამ, რაც ბათუმში ვიხილეთ, მე და ელიზბარ ჯაველიძე ერთმანეთს გამოვუტყდით, ასეთი თუ იყო, არ გვეგონა.

მაგრამ ქალებმა გადამრიეს! მოწიწებით თავსა ვხრი მათ წინაშე.

ბათუმში, ტელევიზიასთან ვიწრო ქუჩაა. იქ რომ მივედით, რამდენიმე წუთით პირდაპირი ეთერით გამოსვლა მოვითხოვეთ. შევუგზავნეთ წერილი და ველოდებით. ამ დროს წამოვიდა ქვების წვიმა: ჩვენს აქციას შერეულმა პროვოკატორებმა დაიწყეს მიღებული დავალების შესრულება — ქვები დაუშინეს ტელევიზიას, პოლიციას რომ მისცემოდა მიზეზი აქციის მონაწილეთა დასარბევად.

**ვაი, ჩემი ბრალი-მეთქი, ვაი, საქართველო! ეს ხომ აჭარაა, ერთი ოჯახივითაა, ყველა ერთმანეთის მოყვარე და ნათესავია. ასე როგორ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს?!**

**შემდეგ გავიგე, რომ პროვოკატორები სხვა რეგიონებიდან ჩამოჰყავთ. ძალიან ცუდ საქმეს აკეთებენ ეს უპატრონოები.**

იქ მე ვნახე ქალების ბრძოლა: ვინ მოუშვა ჩვენამდე პოლიცია! დატრიალდნენ, ერთი — განსაკუთრებით. კუდით ქვა ასროლინესო, რომ ამბობენ, ისე იყო. სასწაული!

შემდეგ ის ქალბატონები თბილისში ჩამოვიდნენ, ყველა წინააღმდეგობა გადალახეს, რაც გზაზე აღუმართეს. პარტიზანებივით ჩამოვიდნენ. მათ გმირობაზე კარგი მწერალი დაწერს, ალბათ. აღფრთოვანებული ვარ ამათით, ნონათი, ნინოთი! ახლა არჩევნები რომ იყოს, ორივეს ავირჩევდი.

პოეტების მშურს — ლექსებს ვერ ვწერ. ერთი გოგო მიყვარდა ყმაწვილობისას. ძალიან მოვინდომე, მიმეძღვნა ლექსი. დავიტანჯე. არაფერი გამომივიდა. ვერც სხვას ვთხოვე.

ვერ ვწერ ამ ლექსს, თორემ დავუწერდი ნინოსაც, ნონასაც.

**— ლევან თუთბერიძის ფილმში „წარსულის აჩრდილები" თქვენ თამაშობთ ავღანეთში ლაშქრობიდან დაბრუნებულ ქართველ მეომარს, რომელიც ფლობს და ინახავს ქართული, ტრადიციული საბრძოლო ხელოვნების საიდუმლოს. იგი და მისი საბრძოლო მეგობრები ყოველ წუთს მზად იყვნენ თავიანთი ხელოვნება სამშობლოს დასაცავად გამოეყენებინათ. დღეს ბრძოლის ეს ნიჭი, ცოდნა და უნარი ქართველ ერში ფერფლწაყრილია, მაგრამ ღვივის. მგონი, ასეა?**

— გეთანხმებით.

**— მაშინ მიპასუხეთ: მზად ხართ თქვენ და თქვენი მეგობრები იშიშვლოთ ხმალი მაშინ, როცა სამშობლოს ღირსების დაცვა ამას მოითხოვს?**

— პირდაპირი მნიშვნელობით რომ არ ლაპარაკობთ ხმლის ამოღებაზე, მესმის. მაგრამ სულიერი ძალა რომ უნდა ავამოქმედოთ, ძალა, რომელიც ერშია მინავლებული, ვფიქრობ, დროა უკვე.

ვაი, იმ ქვეყანას, იმ საქართველოს, სადაც ხალხია დაშინებული. მაგრამ როდემდე იქნება დაშინებული ხალხი?

**— არიან კი საქართველოში „წარსულის აჩრდილების" გმირების მსგავსი ადამიანები, რომლებიც უანგარო თავგანწირვისთვის იქნებიან მზად? სულიერებისკენ მიმყავს საუბარი.**

**— „სახალხო კრების" წარმომადგენლები და დარბაზის წევრები რუისურბნისის მეუფე იობთან ვიყავით, და უნდა ვთქვა, რომ თვალწინ ისტორიული, ძველი ქართველი მამულიშვილი წარმოიდგა. იმიტომ მიხარია სიცოცხლე, რომ მეუფე იობივით კაცები არსებობენ ამ ქვეყანად.**

ხშირად იტყვიან, ცოტანი არიანო ასეთები.

მაგრამ, ჯერ ერთი, ერისთვის, როგორც მაგალითის მიმცემი, ეს ცოტანიც საკმარისია. მეორე. არც ისე ცოტანი არიან.

მეუფე იობმა გამაკვირვა თავისი შემართებით. დაგვლოცა. სულიერი ოკუპაცია მიმდინარეობსო, შვილებო, უნდა შევებრძოლოთ ამ სიავეს. წმინდა გიორგის ხატი გადმოგვცა. დააბრძანეთ თქვენს ოფისში და თქვენ გაიმარჯვებთო.

**— ოკუპაცია ახსენეთ. თავგამოდებული ლანძღვით შევძლებთ რუსეთის დამარცხებას?**

— ბავშვმაც კი იცის, რომ ასეთი პოლიტიკა არაფრის მომცემია. მე პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ იმდენი კი მესმის, რომ ასეთი უგნურობა დანაშაულია. მე მგონი, განგებ იქცევიან ასე, თავიანთი შეცდომების თუ სიბრიყვის გასამართლებლად. აბა, სხვა რა იყო ახალგორის დაკარგვა? ის ქმედება, რაც ამას წინ უსწრებდა?!

დასვეს ჯაყოსავით კაცი, ეს „ნაჩალნიკიაო" სამხრეთ ოსეთის, დალის ხეობიდან გააგდეს საოცარი ვაჟკაცი ემზარ კვიციანი. დასვეს იქ აფხაზეთის დევნილობაში მყოფი მთავრობა. არაფრის მაქნისები — ერთიც და მეორეც. და — ჩააბარეს კოდორის ხეობა, ზემო აფხაზეთი რომ დაარქვეს, აფხაზეთს, ახალგორი — ე.წ. სამხრეთ ოსეთს.

გეკითხებით, მე ვარ მოღალატე, თუ ესენი?!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ბატონო გურამ! წააკითხეთ ეს ინტერვიუ თქვენს გაზრდილ თამარს და, ვფიქრობ, უკეთ გაიგებს, რა უბედურებაც ტრიალებს ჩვენს თავს.**

## რაც ხელისუფლებამ და სპეცრაზმმა 26 მაისს გააკეთა, რაჭა სარჩიმელია არ იკადრებდა... არც ერთი ყაჩაღი ამას არ იკადრებდა!

## გაფხიზლებულნი

**დიმიტრი მედვედევი, რფ-ის პრეზიდენტი:**



რუსეთი წელს მსო-ს წევრი აუცილებლად გახდება, თუკი გარკვეული პოლიტიკური თამაშები არ დაიწყება. ჩვენ, დიდი ხანია, უფრო მეტად მზად ვართ მსო-ში შესასვლელად, ვიდრე სხვა, დიდი და არც თუ ისე დიდი ქვეყნები; მაგრამ ცდილობენ, ზღვარგადასული დათმობები გამოგვტყუონ. ასეთი მიდგომა მიუღებელია და რუსეთისთვის არახელსაყრელ გადაწყვეტილებებზე ჩვენ არასდროს წავალთ.

*gazeta.ru*

**ვლადიმერ პუტინი, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი:**



ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოსთან ურთიერთობების წარმოება შვეიცარიის შუამავლობით გვიწევს, თუმცა ამისათვის შვეიცარიის მადლობელი ვარ.

*rbc.ru*

**გრიგორი კარასინი, რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე:**



ბოლო თვეებში ქართული სპეცსამსახურები ნამდვილად ძალიან გააქტიურდნენ... თბილისის მიზანი ნათელია: ქვეყანაში შექმნილი სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური და შიდაპოლიტიკური პრობლემებიდან ქართული მოსახლეობის ყურადღების გადატანა და ამ პრობლემებზე პასუხისმგებლობის „გარეშე მტრისთვის" დაკისრება წარმოადგენს.

*rg.ru*

**რობერტ გეიტსი, აშშ-ის თავდაცვის მინისტრი:**



ალ-ზავაჰირს ისეთივე ბედი ელის, როგორიც „ალ ქაიდას" ყოფილ ლიდერს ხვდა წილად. აიმან ალ-ზავაჰირი, რომელიც „ალ ქაიდას" ახალ ლიდერად გამოცხადდა, ვერ შეძლებს, ბენ ლადენი გახდეს, რადგან მას ქარიზმა აკლია და ოპერაციების ჩატარების გამოცდილება არ აქვს. ალ-ზავაჰირი მხოლოდ შეხსენებაა იმისა, რომ არ შეიძლება მიღწეულით დაკმაყოფილება და ტერორისტულ დაჯგუფებებთან ბრძოლა უნდა გაგრძელდეს.

*km.ru*

მოკლედ

## ხუთი აგენტი — პაკისტანისთვის

**პაკისტანელმა სამართალდამცველებმა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სადაზვერვო სამსახურის 5 აგენტი დააკავეს.** დაკავებულებს ბრალი ედებათ ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებაში „ალ ქაიდას" ლიდერ უსამა ბენ ლადენის ადგილსამყოფელის დასადგენად და სალიკვიდაციო ოპერაციის ჩატარებისას. აშშ-სა და პაკისტანს შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პაკისტანის მაღალჩინოსნები უსამა ბენ ლადენის მფარველობაში დაადანაშაულა.



## ობამა კარგი იდეების მქონეებთან ისადილებს

**ბარაკ ობამასთან სადილი აშშ-ის განვითარების კარგ იდეაზე იყიდება. სულ პრეზიდენტთან სადილობის საშუალება 4 ადამიანს მიეცემა. თუმცა ეს პატივი მარტო იდეის სიკარგეზეც არაა დამოკიდებული.** ამისთვის გარკვეული თანხის გაღებაც არის საჭირო. სადილი ბიზნესმენებს 5 მილიონი აშშ დოლარი დაუჯდებათ. ვაშინგტონში გადაფრენისა და რესტორნის ხარჯს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აანაზღაურებს. „ყველაფერი, რაც მჭირდება, ეს არის თქვენი იდეები იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ჩვენი ქვეყანა ამერიკელებისთვის უკეთესი გავხადოთ," — სწერს ობამა ამერიკელ ბიზნესმენებს.

ჩელიბია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**აზერბაიჯანელს საქართველოში ყველაფერი უნდა ჰქონდეს — მეჩეთიც, სკოლაც, არ უნდა ვაწყენინოთ, ჩვენი მეგობარია, ჩვენი ძმაა. არ ვარ ამის წინააღმდეგი, მაგრამ ერთხელ მათმა ხელისუფლებამაც გვიმეგობროს და თანაც საქმით, რომ საინგილოში ეთნიკურმა ქართველმა დაჩაგრულად არ იგრძნოს თავი! მაგრამ სათანადოდ არ ითხოვს, ალბათ, ის, ვინც უნდა მოითხოვოს, რადგან საქართველოში აზერბაიჯანული მოსახლეობა მისი მიზნებისთვის უფრო გამოსადეგია, ვიდრე აზერბაიჯანში მცხოვრები ჩვენი ქართველები! ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ ჩვენ ჩვენსას არ დავაფასებთ. შენ თუ შენსას არ დააფასებ, არც სხვა დააფასებს. ერს, ისევე, როგორც ყველა ადამიანს, თავისი ღირსება აქვს და, თუ შენ არ დადექი შენს სიმაღლეზე, შენ არ დააფასე შენი ეროვნული ღირსება, ამას შენს მაგივრად არავინ გააკეთებს.**



### ბოლნელი ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე):

# ხმამაღლა და მკაფიოდ უნდა ვთქვათ, 26 მაისის ღამე იყო ბოროტება! ეს იყო კაენის ცოდვა და არა მხოლოდ ცოდვა, ეს დანაშაული იყო!

**„საქართველო და მსოფლიო“ ამჯერად გთავაზობთ ბოლნელ ეპისკოპოსთან, მეუფე ეფრემთან (გამრეკელიძე) საუბრების ციკლს, რომელსაც უძღვება გაზეთის „მახვილი მესიისა“ მთავარი რედაქტორი შორენა სიხარულიძე.**

**— მეუფეო, ჩვენი ბოლო საუბრიდან თითქმის ხუთი წელი გავიდა. მაშინ ქოზიფის მამათა მონასტრის წინამძღვარი ბრძანდებოდით და, ალბათ, ვერც წარმოიდგენდით, რომ სულ ცოტა ხანში თქვენთვის ამ საყვარელი მონასტრის დატოვება ბოლნელი ეპისკოპოსის ხარისხში მოგიწევდათ. როგორი იყო თქვენი პირველი რეაქცია, როცა გაუწყეს, რომ წმინდა სინოდის განჩინებით ბოლნელ ეპისკოპოსად გამოგარჩიეს. ეს ხომ ურთულესი რეგიონია მუსლიმანი მოსახლეობის სიჭარბით?**

— კარგად მახსოვს დეკემბრის ის თოვლიანი დღე; მეუფე იობი და მეუფე ილარიონი ამობრძანდნენ ქოზიფაში და სიხარულით მაუწყეს წმინდა სინოდის გადაწყვეტილება;...თავდაპირველად, სიმართლე გითხრათ, ვერ დავიჯერე და, მეუფეს რომ არ ეთქვა, მართლა ვერ დავიჯერებდი... მეუწყა თუ არა ეს ამბავი, იმავე წამს ვიგრძენი ტვირთი და სიმძიმე და სიხარული ამან გადაფარა... თუმცა ჩვენი, ბერების, უპირველესი მოვალეობა მორჩილებაა. რადგან თავი უარვყავით, ეკლესიაში მოვედით და ბერად აღვიკვეცეთ, ღვთის ნებას უნდა დავემორჩილოთ...

... აღმოვჩნდი ჩემთვის აბსოლუტურად უცხო მხარეში, სადაც მანამდე ნამყოფიც კი არ ვიყავი და მასთან არანაირი შეხება არ მქონია. უწმინდესმა, როგორც მას სჩვევია, ძალიან დიდი სიყვარულით დამამშვიდა, დამლოცა და ასე შევუდექი ბოლნისის სიონისკენ მიმავალ მღვდელმთავრულ გზას. ბოლნისის სიონმა უდიდესი ნუგეში მომცა და დღემდე ასეა. ეს ტაძარი ჩვენი ისტორიის გადაშლილი წიგნია; ეს კუთხე დღეს ძალიან რთულ ვითარებაშია — ნაკლებობაა ქართველობის, ქრისტიანობის, საზღვრისპირა რეგიონია და ამიტომაც სწორედ ეკლესიას სჭირდება გაძლიერება, რადგან ისტორიულად ასე იყო ყოველთვის — ეკლესია აძლევდა იმ სულიერ ძალას ერს, რომლითაც მას ნებისმიერი განსაცდელისთვის უნდა გაეძლო, თავი გადაერჩინა ძნელბედობის ჟამს.

ამიტომაც, დღეს ყველაზე ჯანსაღი, სწორი მიდგომა ისაა,რომ აქ ეკლესია გაძლიერდეს, გაძლიერდეს ქრისტიანობა, ქართული სულისკვეთება, რომ ეს მხარე მყარად დადგეს საქართველოს ერთიანობის სადარაჯოზე. და იმედი მაქვს, უფლის შეწევნით, ეს ასეც იქნება.

**— მეუფეო, როგორ დაგხვდათ ადგილობრივი მოსახლეობა? საშობაო წირვის (მახსოვს, 22 გრადუსი ყინვა იყო და ძვლივს გავძელით) შემდეგ ტრაპეზზე თბილისიდან ჩამოსულ მრევლს ერთი აზერბაიჯანელი და ერთი სომეხი გვემსახურებოდა. თუმცა მეეჭვება, ყველა ასე დაგხვედროდათ. როგორი იყო არაქართული მოსახლეობის დამოკიდებულება ეპარქიაში ქრისტიანული ცხოვრების აშკარად გამოცოცხლების შემდეგ აღმავლობის გზას დაადგა და ეს უკვე თვალშისაცემი იყო თბილისიდანაც კი...**

— რა თქმა უნდა, კარგად მახსოვს და ან რა დამავიწყებს იმ პირველ შეხებას ბოლნისის სიონის დიდებულ ტაძართან, პირველ საშობაო წირვას. თუმცა, თქვენგან — მრევლისგან განსხვავებით, მე მაშინ ყინვასა და სიცივეს ვერ ვგრძნობდი, იმხელა ემოციებსა და განცდებში ვიყავი. იმხელა იყო მადლი ბოლნისის სიონისა. არც იმის დრო მქონდა, გამერჩია — ვინ სომეხი იყო, ვინ — აზერბაიჯანელი; ჯერ თვითგამორკვევის მდგომარეობაში ვიყავი — უცხო მხარეში ხარ, არც არავის იცნობ, ახლობელი არავინ გყავს. თუმცა, რომ წარმომედგინა, იმაზე უფრო ნათელი მდგომარეობა დამხვდა. ქართველ მართლმადიდებლებს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი სიხარული ჰქონდათ. ძალიან თბილად და სიყვარულით დამხვდა მოსახლეობა.

**მოგეხსენებათ, ეკლესიის იარაღი დაპირისპირება, მრისხანება და ეთნიკური ნიშნით გარჩევა არაა. ყველა ადამიანი ღვთის შვილია და ყველას სიყვარულით უნდა შეხვდე, ყველა სიყვარულით უნდა მიიღო. ჩვენი ხასიათიც და სარწმუნოებრივი მისწრაფებაც ესაა — სიყვარული, უპირველეს ყოვლისა! მერე კი დრო გამოაჩენს, ვინ მიიღებს, გაითავისებს ამ სიყვარულს, ვის სულს შეეხება სულიწმინდა. მერე ავტომატურად მოხდება გადარჩევა — ვინ დარჩება ამ სიყვარულთან, ვინ — წავა.**

... ჩვენ აზერბაიჯანულ ეთნოსთან, ისტორიიდან გამომდინარე, არ გვქონია (ყოველ შემთხვევაში, ქართველების მიზეზით) რაიმე სახის მცდელობა დაპირისპირებისა. და ეს ეტყობა კიდეც ჩვენს ქვეყანას — ამიტომაა ასეთი მრავალეროვანი, ამიტომაა ამდენი სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევარი. ამ რეგიონში კი კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ სიყვარულია ყველაზე დიდი და დაუმარცხებელი იარაღი. ის, რომ ბოლნისის სიონი დღეს აბსოლუტურად აზერბაიჯანულ გარემოცვაში დგას, ეს კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა, რომ ეკლესია მარადიულია, ურყევია და სწორედ ეკლესიიდან უნდა დაიწყოს ქვეყნის გადარჩენა და გაერთიანება; ეს ადამიანები, მართალია, სხვა სარწმუნოების მიმდევარნი არიან, თუმცა ზოგადად, ასე ვიტყვი, ღვთის შიში (ღმერთს ვის უწოდებენ თავიანთ წარმოდგენაში, ეს სხვა თემაა) აქვთ, ღვთისმოშიში ხალხია; იციან, რომ ეს ტაძარია — ღმერთის სახლია და მას ცუდად არ უნდა შეეხონ, იქიდან რაღაც არ უნდა მოიპარონ, შეგნებულად არ უნდა დააზიანონ. ამდენი წელია, აქ ვარ და არ მახსოვს, ბოლნისის სიონიდან რაიმე დაკარგულიყოს — ისინი შემოდიან ტაძარში, სანთელს ანთებენ (ჩემზე მეტი მამა ბესარიონმა იცის, უკვე 20 წელია, ღვთის მსახური და ბოლნისის სიონის წინამძღვარია), თავისებურად ევედრებიან ღმერთს. ყველასთვის ცნობილი ფაქტია, წმიდა გიორგის როგორ პატივს მიაგებენ მუსლიმანები, თუნდაც ქურმუხის წმიდა გიორგის მაგალითი რად ღირს. აქაც, ხატისუბანია სოფელი, სადაც გიორგობის დღესასწაული განსაკუთრებით აღინიშნება და 23 ნოემბერს, გიორგობას, აზერბაიჯანელი მუსლიმანებიც ცხვარს სწირავენ, სანთელსაც ანთებენ, თავისებურად ევედრებიან, სასოებენ წმიდა გიორგის და მიაჩნიათ, რომ წმიდა გიორგი არის სიძლიერის, გამარჯვების სიმბოლო და ყველა განსაცდელში მათი განსაკუთრებული მეოხი. და რახან უფალი ამას უშვებს, ეს შემთხვევით არ იქნება.

ქართული ეკლესიის ისტორიიდან ვიცით, რომ პირველი წმინდანები არაქართველები, არაქრისტიანები იყვნენ და, თუკი სხვა სარწმუნოების მიმდევარს აქვს სურვილი, ქრისტიანულ ტაძარში წმინდანებს ესასოოს, ეს ძაფი უხეშად არ უნდა გავწყვიტოთ.

... რამდენიმე მუსლიმანი მართლმადიდებლად მოინათლა კიდეც — ერთი ჩვენს ტაძარში სტიქაროსანია, ერთი გოგონა მედავითნეა. ჩემი აზერბაიჯანელი მართლმადიდებელი მძღოლიც დღემდე ჩვენ გვერდითაა და ნებისმიერ ქართველზე არანაკლები ერთგულებით ემსახურება ეკლესიას — ტაძრების მშენებლობაშიც იღებს მონაწილეობას. ასე რომ, ზოგადად ურთიერთობა ხალხის დონეზე ძალიან ნორმალური, სტუმართმასპინძლურია (ისინი მასპინძლებად მიიჩნევენ თავს). ხშირად მოსულან და უკითხავთ, რამე ხომ არ გვჭირდებოდა; ტყეებში, საზღვრისპირა რეგიონებში, სადაც ძველი ტაძრები და ნამონასტრალებია, ქართველი ადამიანი ფაქტიურად არ დადის, აზერბაიჯანელებმა კი ფეხდაფეხ იციან თითოეული ხე და ბუჩქი, თითოეული ბილიკი და ბევრჯერ დაუზარებლად მეგზურობას გვიწევენ, გზაც გვიჩვენებენ ჩვენი ტაძრებისკენ. ბევრჯერ თავიანთი სურვილითაც მოსულან და უთქვამთ — ამა და ამ ადგილას თქვენი ქილისაა (ქილისას ეკლესიას ეძახიან) და გაჩვენებთო. არავის არასოდეს დაუმალავს ეს, პირიქით — გვეუბნებოდნენ, რომ ეს თქვენია, ქრისტიანულიაო; არც თუ იშვიათად, ტაძრების გაწმენდაშიც, გზების გაკვალვაშიც გვეხმარებოდნენ. უკან არასოდეს დაუხევიათ. ალბათ, ღვთის შიშით.

**— და შიში შეიქმს სიყვარულსა?..**

— ეს რამდენად გადაიზრდება სიყვარულში, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მათში მზაკვრობა არ არის; ანტიგანწყობას, აგრესიას, სიუხეშეს, უპატივცემულობას ვერ ვგრძნობ უბრალო მოსახლეობისგან. თუმცა არის რაღაც დაჯგუფებები ან ცალკეული ადამიანები, რომელთაც ძალიან აღიზიანებთ, „არ აწყობთ“ ჩვენ შორის ასეთი თბილი, ადამიანური დამოკიდებულება; რომელთაც უნდათ, ეს ხალხი ჩვენ მიმართ აგრესიულად განაწყონ...

**— და ვინ არიან, მეუფეო, ეს დაჯგუფებები, ეს ადამიანები?**

— არ ვიცი... **მაინც და მაინც ნუ იფიქრებთ, რომ ისინი არაქართველები არიან, შეიძლება ქართველებიც იყვნენ ან რაღაც არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც ეთნიკური შუღლის ჩამოგდება სურთ ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის. ამ შემთხვევაში რელიგია და ეროვნება განუყოფელია — თუ ერთ საკითხთან მიმართებაში იქნება დაპირისპირება, ამას ავტომატურად მოჰყვება მეორე და პირიქით! რამდენიმე ადამიანი თუ ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც შოვინისტურად აზროვნებენ, ცდილობენ, მართონ აზერბაიჯანელები. იყო რამდენიმე შემთხვევა, ჯვარი აღვმართეთ. მოსახლეობისგან არანაირ წინააღმდეგობას არ წავწყდომივართ, მერე ვიღაცები უხეშად ჩაერივნენ (არ გამომიძიებია, ვინ იყვნენ) — იყო სატელეფონო ზარები, თურმე ამით აზერბაიჯანელებს შეურაცხყოფდით. ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად შემიძლია გითხრათ, რომ ეს მოსახლეობის განწყობა არ არის, ეს არის რაღაც მცირე ჯგუფის სურვილი და დამოკიდებულება, რომელიც ცდილობს, რომ ერთმანეთს გადაჰკიდოს ეს ორი ერი.**

**— თქვენი სულიერი გადასახედიდან როგორ ხედავთ, მეუფეო, იქნებ, ამ არაკეთილმოსურნე ადამიანთა შეშფოთება იმითაა გამოწვეული, რომ რამდენიმე ეთნიკურმა აზერბაიჯანელმა რჯული შეიცვალა და გაქრისტიანდა?**

— ზოგადად, მე არ ვიტყვი, რომ იმ პერიოდში, რაც მე აქ ვარ, რაღაც ისეთი მასშტაბური და გრანდიოზული ხდება. მაგრამ ეპარქია რომ გამოცოცხლდა, ამას ყველა დაინახავდა, ქართველიც და არაქართველიც, მტერიც და მოყვარეც — რამდენი ჯვარი აღიმართა, რამდენი ტაძარი აღდგა, მონასტერი გაიხსნა, სამღვდელოება მომრავლდა, მოძრაობაა მრევლისა, ეს ამ არაკეთილმოსურნე ადამიანებისთვის გასაკვირიც იყო და მოულოდნელიც, ამისთვის „მოუმზადებელნი“ აღმოჩნდნენ და მოსვენება დაკარგეს. მერე ხმას ავრცელებდნენ, რომ თითქოს ძალით გაქრისტიანება გვინდოდა ვინ- ▶

**...როცა 26 მაისის ღამის კადრებს ვუყურებდი, წინასწარ რომ არ მცოდნოდა, საქართველოში რომ ხდებოდა ეს ყველაფერი, ნამდვილად ვიფიქრებდი, რომ შაჰ-აბასის რომელიღაც შემოსევას მაჩვენებენ ან რომელიღაც მტრულად განწყობილ სახელმწიფოსთან ომი ატყდა-მეთქი...**

**„უთხრა უფალმა კაენს:.. ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან... დევნილი და მიუსაფარი შეიქნები ამ ქვეყანაზე“**
**(დაბ. 4:9,10,11)**

# რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



მეუფე ესაია — მიტროპოლიტი ნიქოზისა და ცხინვალისა;
მეუფე იობი — მიტროპოლიტი ურბნისისა და რუისისა;
მეუფე ეფრემი — ბოლნელი ეპისკოპოსი

## ხალხმა პოლიტიკოსების მიმართ ნდობა დაკარგა. ერთადერთი, დღეს ჯერ კიდევ ხალხის ნდობას რომ ინარჩუნებს და ყველზე მაღალი რეიტინგი აქვს, ეკლესიაა, ამიტომ სწორედ ეკლესიამ უნდა შეასრულოს ერის გამაერთიანებლის როლი

◀ მესი, ხალხს ეუბნებოდნენ: „ჯვრებს იმიტომ გიდგამენ, თქვენი ძალით გაქრისტიანება, თქვენთვის მიწების წართმევა, თქვენი უფლებების შეზღუდვა უნდათო“. შეგნებულად ასე თესავდნენ შუღლსა და ბოროტებას. ამ დროს ჩვენი იარაღი მხოლოდ ჯვარია უფლისა, ჯვარი და სიყვარული. მე ისიც კი არ გამომიძიებია, ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რადგან, ვინც უნდა ყოფილიყვნენ, ადამიანთა შორის მტრობის ჩამოგდება იმხელა ბოროტებაა, რომ ამ ბოროტებას მხოლოდ სიყვარულით თუ დაუპირისპირდები, ამხელა სიბოროტეს მხოლოდ სიყვარული ამარცხებს.

**— რამდენად იმოქმედა ამან მოსახლეობის განწყობაზე, დამოკიდებულებაზე თქვენ მიმართ?**

— მოსახლეობის განწყობა, უფლის წყალობით, ისევ ისეთია, არ შეცვლილა, რადგან მიხვდნენ, რომ არც ჯვარია მათი მტერი, არც მოქმედი ტაძარი და არც მღვდელი. ამიტომაც მივიჩნევ, რომ „ვიღაცას“ ჩვენი იარაღის — სიყვარულის შეეშინდა. ყველაზე გამართლებული და ძლიერი იარაღი ბოროტებასთან ბრძოლაში სიყვარულია... ბოროტი სიყვარულს ვერ ერევა! აი, რამ შეაშფოთათ! კიდევ ერთხელ გეტყვით: არ გამომიძიებია იმათი ვინაობა, ვინ ამღვრევდა წყალს, რადგან ვინც უნდა იყვნენ ისინი, მათ წინააღმდეგ ჩვენი იარაღი მხოლოდ ლოცვა და სიყვარულია..

**— მეუფეო, ცოტა უფრო სხვა ჭრილში განვიხილოთ ქართულ-აზერბაიჯანული საკითხი. აქ, საქართველოში, აზერბაიჯანელებს ყველანაირი საშუალება აქვთ, რომ სრულფასოვნად იცხოვრონ — აქვთ საკუთარი სკოლები, მიწა და, რაც ყველაზე მთავარია, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მეჩეთებს იშენებენ, აზერბაიჯანში ფერეიდნელ ქართველებს კი ადგილობრივი ხელისუფლება, ეკლესიების გახსნას კი არა, ლამის ქართული სახელების დარქმევას უკრძალავს. ცოტა უფრო მეტად ხომ არ უნდა ვიმოქმედოთ მათ დასაცავად? ისინიც ხომ ჩვენი სხეულის ნაწილები არიან და თანაც ყველაზე ტკივილიანი. იქნებ ,ჩვენ ყველანი ვცოდავთ ინგილოების წინაშე? აზერბაიჯანული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ფერეიდნელი ქართველების მიმართ ძალიან აგრესიულია, კატეგორიულია; მაშინ, როდესაც აგერ, ბოლნისის სიონის გვერდით, მეჩეთებს გვიშენებენ, ამის სანაცვლოდ ხომ არ ფიქრობთ, რომ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა მოეთხოვა თუნდაც ერთი ტაძრის გახსნა ფერეიდნელი ქართველებისთვის?**

— მართალი ბრძანდებით, ამ მხრივ ჩვენ ძალიან არათანაბარ მდგომარეობაში ვიმყოფებით. სახელმწიფოებრივად კი ვაღიარებთ, რომ თანასწორუფლებიანი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ აღმოჩნდება ისე, რომ ჩვენ ძალიან ბევრს ვთმობთ და სანაცვლოდ ძალიან ნაკლებს ან არაფერს ვიღებთ — თუნდაც საინგილოში, სადაც იქაური მთავრობა ხატისა და სასულიერო ლიტერატურის შეტანის უფლებასაც არ გვაძლევს. გვეუბნებიან, რომ ეს სხვა სახელმწიფოა და ჩვენთან ასეთი კანონებიაო, ჩვენ კი ვამბობთ, რომ მეტი დემოკრატები ვართ, მეტად შემწყნარებელნი, უფრო ტოლერანტები. მაგრამ ეს უკვე შემწყნარებლობა აღარ არის, ეს უკვე საკუთარის დაუცველობაა, სიბრიყვეა და ამ მხრივ ნამდვილად გამოსასწორებელია მდგომარეობა.

**— ჩვენი ეკლესია როგორ არ ითხოვს, რომ საინგილოში ამოქმედდეს ტაძრები?**

— არაერთგზის მოუთხოვია, მაგრამ აზერბაიჯანის მხრიდან ყრუ კედელს ვაწყდებით მუდამ — ჩვენ ასეთი სახელმწიფო კანონი გვაქვსო. რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ უფრო მკაცრად უნდა დააყენოს საკითხი და კიდევ ერთხელ შეახსენოს აზერბაიჯანულ მხარეს, თუ რა საოცარ, შეუზღუდავ პირობებში იმყოფებიან აქ, საქართველოში, აზერბაიჯანელები და სანაცვლოდ მათაც მოსთხოვონ ფერეიდნელი ქართველებისთვის ის, რაც ამ ხალხისთვის ასე აუცილებელია, მაგრამ ასე არ ხდება, სამწუხაროდ. ეკლესიის მხრიდან არის მზაობა, მცდელობა, მაგრამ აქ მხოლოდ ეკლესია სხვა სახელმწიფოში ვერაფერს გახდება... ეკლესიამ თავისი საქმე უნდა გააკეთოს, სახელმწიფომ კი თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს თავის თავზე და ასე, ერთობლივად გადაწყდება ერისთვის მნიშვნელოვანი საკითხები ქვეყნის სასიკეთოდ! მოვლენები კი ჩვენდა საზიანოდ ვითარდება, ამისათვის თუნდაც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მაგალითიც კმარა — დავით გარეჯი გაგვიხდა სადავო და დღემდე ბუნდოვანი განცხადებები გვესმის, რომ „მხოლოდ სტრატეგიული სიმაღლეები ეკუთვნით“ აზერბაიჯანელებსო. არადა, სწორედ ამ „სტრატეგიულ სიმაღლეებშია“ მოქცეული ჩიჩხიტურის კოშკი, აღდგომის ტაძარი. ჩვენ იმდენს ვთმობთ, ყველანაირ პირობას ვუქმნით აქ აზერბაიჯანელებს. საინგილოში ქართული ტაძრისა და მონასტრის გახსნას ვინ ჩივის, როცა გარეჯი გაგვიხდა მათთან სადავო?! ხელისუფლება ცდილობს, „დაგვამშვიდოს“, რომ ყველაფერი მოგვარდება, მაგრამ მოგვარების ნაცვლად დღითი დღე ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესები ილახება, ქართველი ხალხის უფლებები იზღუდება. ამასობაში ქართული მიწებიც იკარგება და ასე ბრმად „მივყვებით და ვეგუებით“ ამ ყველაფერს. იმას ვფიქრობთ, „სტუმრებს“ არ ვაწყენინოთ. კი, ბატონო, ნუ ვაწყენინებთ, მაგრამ, სტუმარსაც ხომ თავისი ადგილი აქვს? დღეს კი რა ხდება? ქართველს უფრო ნაკლები უფლება აქვს თავის საკუთარ მიწაზე, ვიდრე სხვა ეთნოსს. ჩვენთან სტუმარი უფრო პრივილეგირებულია „რაღაცის“ თუ „ვიღაცის პირადი ინტერესების“ გამო. ეს არის მტკივნეული, თორემ ჩვენ რომ ვიცით სტუმრის დახვედრა და მიღება, ისეთი მსოფლიოში არავინ იცის. ეს ხელოვნურად ხდება, რადგან „ვიღაცებს“ ეს ხალხი თავიანთი ამბიციური მიზნებისთვის სჭირდება. აზერბაიჯანელს საქართველოში ყველაფერი უნდა ჰქონდეს — მეჩეთიც, სკოლაც, არ უნდა ვაწყენინოთ, ჩვენი მეგობარია, ჩვენი ძმაა. არ ვარ ამის წინააღმდეგი, მაგრამ ერთხელ მათმა ხელისუფლებამაც გვიმეგობროს და თანაც საქმით, რომ საინგილოში ეთნიკურმა ქართველმა დაჩაგრულად არ იგრძნოს თავი! მაგრამ სათანადოდ არ ითხოვს, ალბათ, ის, ვინც უნდა მოითხოვოს, რადგან საქართველოში აზერბაიჯანული მოსახლეობა მისი მიზნებისთვის უფრო გამოსადეგია, ვიდრე აზერბაიჯანში მცხოვრები ჩვენი ქართველები! ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ ჩვენ ჩვენსას არ დავაფასებთ. შენ თუ შენსას არ დააფასებ, არც სხვა დააფასებს. ერს, ისევე, როგორც ყველა ადამიანს, თავისი ღირსება აქვს და, თუ შენ არ დადექი შენს სიმაღლეზე, შენ არ დააფასე შენი ეროვნული ღირსება, ამას შენს მაგივრად არავინ გააკეთებს. ახლა კი რა გამოდის? ადამიანი სახლში შემოუშვი, სტუმრად მიიღე და ისევ შენივე უნიათობით თუ ზომაზე მეტი ტოლერანტობით, შენივე ადგილს იკავებს ნელ-ნელა. ამ გადამეტებულმა ტოლერანტობამ რა შედეგამდეც მიგვიყვანა, ყველანი ვხედავთ.

**— კი, სამწუხაროდ, ტოლერანტი და მიმტევებელი რომაა ჩვენი ხელისუფლება, ოღონდ სხვების და არა საკუთარი ხალხის მიმართ, ეს ამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმაც ცხადყო. 26 მაისის ბართლომეს ღამეს ვგულისხმობ, როცა ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა საკუთარ ხალხს უკვე მერამდენედ! მე, როგორც ერთ რიგით ქართველს, არ მაინტერესებს ამ მოვლენების პოლიტიკური სარჩული, რადგან მე დავინახე საზარელი კადრები, როგორ გამეტებით, უმოწყალოდ ურტყამდა ათი სპეცნაზელი ერთ წაქცეულ, ხელებშეკრულ ქართველს — თავის ძმას, ვინც უნდა ყოფილიყო — „ძე-შეცდენილი“ თუ შეუმცდარი. როცა ცემით მოკლულ ადამიანებს შენობების სახურავებზე პოულობდნენ ან მტკვარში გადაყრილს, როცა დღემდე არ ვიცით, ზუსტად რამდენი ადამიანი დაიხოცა, უნდა დაეგმო თუ არა ხმამაღლა ეკლესიას ეს ფაქტი, ეს სისხლისღვრა, ერის ასე გამეტება? და რა მივიღეთ — საქართველოს საპატრიარქომ და ამერიკის საელჩომ თითქმის იდენტური განცხადება გააკეთეს. თქვენ გტკივათ საქართველო და ქართველობა და, ალბათ, ყველაზე უკეთ იცით, რას ნიშნავს თითოეული ქართველის სიცოცხლე! გავხდით თუ არა 26 მაისის ბართლომეს ღამის კაენის ცოდვის მომსწრენი და თქვენ, წმინდა სინოდის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი წევრი, რას ეტყვით ხალხს, რომელიც, ამდენი ხანია, ელის ხმას ეკლესიის?**

— ყველაზე აღმატებული და ძვირფასი ქმნილება ღვთისა — ეს ადამიანია, მისი სულია და თუნდაც ყველაზე უღირსი ადამიანის სიცოცხლე, სული არ ღირს არავის ამბიციად თუ პატივმოყვარეობად. ყველა ადამიანის სიცოცხლე, ბარიკადის ორივე მხარეს მდგომი, ჩვენთვის ერთნაირად ძვირფასია. სამწუხაროა, რომ ამ მოვლენებს არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და კიდევ ვიმეორებ, ერთი ადამიანის სიცოცხლედაც კი არ ღირდა ეს ყველაფერი. ქართველები მაქსიმალისტები ვართ — ან ძალიან ცუდი უნდა გავაკეთოთ, ისეთი საშინელი, საკუთარი თავის მიმართ თუნდაც, რომ გავაკვირვოთ ყველა, ან ძალიან დიდი სიკეთე — რადიკალები ვართ, უკიდურესობების ხალხი ვართ, ზომიერება ძალიან ნაკლებად გვაქვს ყველაფერში.

**როცა 26 მაისის ღამის კადრებს ვუყურებდი, წინასწარ რომ არ მცოდნოდა, რომ საქართველოში ხდებოდა ეს ყველაფერი, ნამდვილად ვიფიქრებდი, რომ XVII საუკუნის შაჰ-აბასის რომელიღაც შემოსევას მაჩვენებდნენ ან რომელიღაც მტრულად განწობილ სახელმწიფოსთან ომი ატყდა, მაგრამ ვაი, რომ ეს ყველაფერი რუსთაველზე ჩვენს დროში ხდებოდა!** თუმცა რა მნიშვნელობა აქვს საუკუნეს? ოცდამეერთე საუკუნეში თუნდაც იმავე რუსთაველზე არ დაღვრილა სისხლი ქართველისა ისევ ქართველის ხელით? ხშირად მტრის ხატს გარეთ ვეძებთ და აღმოჩნდება, რომ არანაკლებ ზიანს ერთმანეთს ვაყენებთ ქართველები. ამიტომაც თქვა ქართველთმოძულე შაჰ-აბასმა: „ქართველების ერთად ყოფნა არ მანახოს ღმერთმა და დანარჩენი მე ვიცი. ისინი თუ ერთად დადგნენ, მათი მომრევი არავინაა; ქართველს ისევ ქართველი თუ დაამარცხებსო“.

ამ „ფორმულას“ მტერი ჩვენ წინააღმდეგ საუკუნეების მანძილზე შესანიშნავად იყენებდა — ქვეყნის შიგნით პოულობდა მოღალატეს ან მოღალატე ხელისუფლებას დაგისვამდა. **რა მოუგვარებელი გვჭირს? რა ვერ გავიყავით? ეს ჩვენი ამბიციის, ამპარტავნების ბრალია — როცა ადამიანი რაღაც საფეხურზე შედგება, მერე თავი ძლიერი ჰგონია და ყველაფრის უფლებას ანიჭებს თავის თავს ამ საფეხურზე დიდხანს დგომისთვის...**

... იმ ადამიანთა უმრავლესობა გაჭირვებამ გამოიყვანა ქუჩაში, უპირველეს ყოვლისა კი, მორალურმა ტკივილმა და არა მხოლოდ მატერიალურმა გაჭირვებამ — შეურაცხყოფამ, ღირსების შელახვამ, რაც ფიზიკურ შიმშილზე უფრო ძნელი ასატანია ღირსების მქონე ადამიანისთვის. **ვერაფრით დავიჯერებ, რომ ნონა გაფრინდაშვილს ან ლუკა კურტანიძეს, ან სოსო ჟაჭვლიანს, ან ბევრ იმ ქართველს, რომელნიც იქ იდგნენ, საქართველოსთვის უფრო ნაკლებად უნდათ სიკეთე, ვიდრე იმათ, ვინც დღეს ხელისუფლებაშია.** სიტყვით თუ საქმით ღირსების შელახვაა სწორედ ის, რაც ღირსების მქონე ადამიანს პროტესტის გრძნობას გაუჩენს. და ეს ასეც უნდა იყოს! **ქართველი წლების მანძილზე მიეჩვია უშუქობას, უსამსახურობას, შიმშილს, გაჭირვებას, მაგრამ ითმენდა. მაგრამ, როცა ღირსებას შეგილახავენ, ამის მოთმენა ძნელია, ძალიან ძნელი. აქ მხოლოდ პიროვნულ ღირსებაზე ხომ არაა ლაპარაკი, აქ ეროვნულ ღირსებაზეა საუბარი!**

ამ ჟლეტვაში ისევ ეს უბრალო, ღირსებააყრილი ხალხი მოხვდა! მე არ ვიცი, ვინ ვინ არის, მაგრამ ერთი მხარეც და მეორეც ისევ ისე არიან. ხშირად მომხდარა, რომელიღაც პოლიტიკურ ძალას ხალხის პროტესტი, ავტორიტეტული ადამიანები გამოუყენებია სათავისოდ და ამიტომაა, რომ ხალხმა უკვე ამ ე. წ. პოლიტიკოსების მიმართ ნდობა დაკარგა. ერთადერთი, დღეს ჯერ კიდევ ხალხის ნდობას რომ ინარჩუნებს და ყველზე მაღალი რეიტინგი აქვს, არის ეკლესია, ამიტომ სწორედ ეკლესიამ უნდა შეასრულოს ერის გამაერთიანებლის როლი, ეს ორი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პოლუსი უნდა დააბრუნოს თავის ადგილზე. უწინაც ასე იყო, როცა ერთი პოლიტიკური ჯგუფი ჩაანაცვლებდა მეორეს, იგი რევანშს იღებდა წინაზე. არ ვიცით თანაბარი, ზომიერი გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეზე... თუმცა ყველას მინდა შევახსენო — დრონი მეფობენ და არა მეფენი!..

**და რადგან ამ დაძაბულ, არეულ ვითარებაში ხალხი მხოლოდ ეკლესიის იმედად დარჩა, ამიტომ ხმამაღლა და მკაფიოდ უნდა ვთქვათ — 26 მაისის ღამე იყო ბოროტება! ცოდვა! ცოდვას უნდა ეწოდოს ცოდვა! (და საერთოდ, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას) და არა მხოლოდ ცოდვა — ეს დანაშაული იყო! ძმამ მოკლა ძმა. დიახ, ეს იყო კაენის ცოდვა. არაფერი, არანაირი პოლიტიკა ამართლებს ამას! რაც უნდა ილაპარაკონ, რომ ეს იყო ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, ეს ხელისუფლების ქმედებას არ ამართლებს! მით უმეტეს, რომ იქ არ იყო გამოუვალი მდგომარეობა, მოდი პირდაპირ ვთქვათ — ერთი გასასვლელი მაინც ხომ უნდა მიეცათ ხალხისთვის?! მტერი აკეთებდა ამას — ალყაში მოაქცევდა და შემდეგ ხოცავდა ხალხს! მიეცათ გასასვლელი და ის ადამიანები დაიშლებოდნენ, გაიფანტებოდნენ და მსხვერპლიც ნაკლები იქნებოდა და ხელისუფლების მიმართ ზიზღიც.**

კიდევ გეუბნებით, ჩვენ არ გვაინტერესებს პოლიტიკური ახსნა ამ მოვლენებისა — რომ დამენახა, ათი მომიტინგე ერთ ხელებშეკრულ, წაქცეულ სპეცნაზელს თუ პოლიციელს სასიკვდილოდ ასე უმოწყალოდ, ასეთი სისასტიკით რომ იმეტებდა, ესეც უნდა დაგვეგმო, რადგან ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ რომელ მხარეს დგას. აქ ლაპარაკია ქართველობაზე, კაცობაზე, ვაჟკაცობაზე, ღირსებაზე. ბოლობოლო, ქართველი წაქცეულს და ხელებშეკრულს მოსისხლე მტერსაც კი არ ურტყამდა!

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

საქართველო და მსოფლიო
ნაც·რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**სწორია, არ მუშაობენ! მგლების „უსტაბაში“ — იასონ ბადრიძე ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში კათედრის გამგეა; მისი გამორჩენილი მოწაფე — გიგი თევზაძე მაგ სასწავლო დაწესებულების რექტორია, ზურაბ გურიელიძე კი თბილისის ზოოპარკის დირექტორია! მიუხედავად ასეთი „ბედნიერებისა“, სამინისტროში დარჩნენ მათი მიმდევრები, რომლებიც მათ „ნათელ“ იდეებს გააფთრებით იცავენ! ამ გრანტიჭამიებს პასუხისგებაში, ალბათ, ვერ მისცემ, მაგრამ იმ თანამდებობის პირებმა, რომლებმაც ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილებები მიიღეს და კომპეტენტური კომისიების რეკომენდაციები არაფრად ჩააგდეს, პასუხი უნდა აგონ.**



# საქართველოში პრობლემას მგელი კი არ წარმოადგენს, არამედ გარემოს დაცვის დაყრუებული სამინისტრო!



**მგელი ყოველთვის ესხმოდა თავს ადამიანს და დაუსჯელად ჭამდა მას, ვიდრე ადამიანმა „ხელები არ წაიგრძელა“ ჯერ შუბით, მერე მშვილდ-ისრით და ბოლოს — თოფით. მიუხედავად ამისა, თავს ესხმის დღესაც. შემიძლია ვთქვა, რომ მგელმა საქართველოს სოფლებიააწიოკა! ჩემი დღევანდელი სტუმარია, საპატიო მონადირე, იარაღმცოდნე ოთარ ლომთაძე, რომელიც 1985-90 წლებში „მონკავშირში“ ხელმძღვანელობდა ფაუნის დაცვის სექციას.**

## გრანტიჭამია ზოოლოგების წყალობით, მგლები საქართველოს სოფლებს შეესივნენ!

**— ბატონო ოთარ, თითქმის ორი ათეული წელია, რაც მგლის მოკვლისთვის პრემიალური სისტემის აღსადგენად იბრძვით. როგორ მიმდინარეობს თქვენი „ომი“ გარემოს დაცვის სამინისტროსთან?**

— საქმე იქამდე მივიდა, რომ მგლის პრობლემა იურიდიული გამოძიების გარეშე, ჩემი აზრით, ვერ გადაიჭრება!

**— თქვენ მიგაჩნიათ, რომ პრობლემა სამართალდამცავი ორგანოების ჩარევას იმსახურებს?**

— რასაკვირველია! თავად განსაჯეთ: **მგლების თავდასხმის შედეგად სოფლის მოსახლეობა დაშინებულია, დაღუპულია რამდენიმე ადამიანი, ათეულებმა კი სხეულის ფიზიკური დაზიანება მიიღო, ხოლო ზარალი მეცხოველეობაში მილიონობით ლარია! წარმოიდგინეთ, მთის მოსახლეობამ შემოსავლის ძირითადი წყარო დაკარგა და ტყეში ღორების გამოკვებას, ფაქტობრივად, თავი გაანება!**

**— ვისი ბრალია?**

— გარემოს დაცვის სამინისტროს პირდაპირი მოვალეობაა მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; მან კი საქმე იქამდე მიიყვანა, რომ შიშით ადამიანი ტყეში ვერ შესულა, მშობელს ბავშვი სკოლაში ვერ გაუშვია, მოსახლეს მგელი საკუთარ ეზოში უვარდება! კიდევ ვიცი ორი შემთხვევა, როცა მგლების შემოსევის გამო მოსახლეობამ სოფლიდან აყრაზე დაიწყო ფიქრი!

**— ბატონო ოთარ, ეს ემოციებია! სადაა ფაქტები?**

— მე თქვენთან მომზადებული მოვედი. აგერ, 2007 წლის 14 აგვისტოს „საზოგადოებრივმა არხმა“ გადასცა სიუჟეტი გურჯაანის რაიონის სოფელ ფხოველიდან. მოხუცმა ქალმა თქვა, რომ 5 ღორი მყავდა და ისიც მგელმა შემიჭამაო, შემდეგ დაგლიჯა ვირი და ჩოჩორიც ზედ მიაყოლაო. სოფლის გამგებელმა ბესო ნიბლაძემ კი განაცხადა, სოფელში 15 კომლიღა დარჩა და შიშით ისინიც აყრას აპირებენო.

2007 წლის სექტემბერში პრესაში გამოქვეყნდა წერილი ქვემო სვანეთის სოფელ უკლეშში დარჩენილ ერთადერთ, ტარიელ ბაბლუანის ოჯახზე, რომელიც აყრას აპირებდა: **„გავწამდით და დავიტანჯეთ. ზოგჯერ ბავშვებთან ერთად მარტო რომ დავრჩენილვარ ღამით სახლში, შიშით არ დამძინებია. რამე რომ გამიჭირდეს, რა უნდა ვქნა, ვინ დამეხმარება? ამ ზამთარს მგლები ისე ახლოს მოდიოდნენ, დღისით-მზისით ეზოდან ნეზვი გაიტაცეს. ჩვენი ძაღლი გაეკიდა. დიდი ამბავი ჰქონდათ, მაინც ვერ გააგდებინა. ღამეა და ლამის ეზოში ყმუიან მგლები. რაღა დაგვრჩენია. სხვა რას იზამდა ჩვენს ადგილას?!“**

აი, ფაქტები!

**— ბატონო ოთარ, თქვენ შეგიძლიათ კონკრეტულად დაასახელოთ ის ქმედება თუ უმოქმედობა, რომელსაც დანაშაულის კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს?**

— კი, ბატონო! პირველი პრემიალური სისტემის გაუქმებაა. რას წარმოადგენდა პრემიალური სისტემა? მოსახლეობა აზღვევდა პირუტყვს. დაზღვევის თანხიდან პიროვნებას, რომელიც ერთ მგელს მოკლავდა, ეძლეოდა 100 მანეთი. ეს არც თუ ისე დიდი თანხა იყო, მაგრამ...

**— რას ამბობთ, ბატონო ოთარ! მაშინდელი საბჭოური ასი მანეთი თავისი მყიდველუნარიანობით, მინიმუ, ახლანდელ ათას ლარს უდრიდა! აბა, დააწესონ პრემია — მოკლულ მგელში 1000 ლარი. ერთ წელიწადში თქვენ და მე, უთუოდ, მგლების დამცველთა რიგებში აღმოვჩნდებით!**

— **ხალხს ისე უჭირს, 100 ლარზეც თანახმა იქნება... ასე და ამრიგად, ყოველწლიურად 500 მგელს კლავდნენ. ეს კი უზრუნველყოფდა მგლის რიცხოვნობის უსაზღვრო ნიშნულზე შენარჩუნებას. კმაყოფილი იყო ყველა: სახელმწიფო, მოსახლეობა და ის მონადირეც, რომელიც ამ უაღრესად რთულ და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმისთვის გასამრჯელოს იღებდა!**

**— ვის სინდისზეა პრემიალური სისტემის გაუქმება?**

— ამ დივერსიას ავტორთა მთელი კოლექტივი ჰყავს, კონკრეტულად, გარემოს დაცვის სამინისტრო და „ნაკრესი“. მისი ხელმძღვანელი ლევან ბუთხუზი თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში წერს: „ორგანიზაციამ („ნაკრესმა“ — მ.კ.) ბევრი იბრძოლა იმისათვის, რომ მტაცებლების მოკვლისთვის დაწესებული საპრემიო სისტემა გაუქმებულიყო“. ეს წერილი მან დაბეჭდა ჟურნალ „ცხელ შოკოლადში“, №41-ში.

**— მორიგ დანაშაულად რა მიგაჩნიათ?**

— გარემოს დაცვის სამინისტროს მაშინდელი მინისტრის ნინო ჩხობაძის მიერ საქართველოს ინტელექტუალური და მეცნიერული ცენტრის, მეცნიერებათა აკადემიის ყველაზე კომპეტენტური სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული კომისიის რეკომენდაციების სრული იგნორირება!

**— შევახსენოთ მკითხველს, თუ რას ითვალისწინებდა ხსენებული რეკომენდაცია.**

— ხუთი რეკომენდაციიდან მე-4 ითვალისწინებდა მგლის რიცხოვნობის ევროპულ სტანდარტამდე დაყვანას.

**— დააკონკრეტეთ, რა სტანდარტია ეს?**

— მე წინააღმდეგი ვარ მგლის პრობლემის პოლიტიზირებისა. ჩვენ თუ ყველაფერში პოლიტიკა გავრიეთ, ვერასოდეს ნორმალურ ქვეყანას ვერ ავაშენებთ. ამიტომ ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო თანამდებობის პირებს ხელისუფლებაში. იმედია, ერთი მაინც წაიკითხავს ამ წერილს!

**— თქვენი ნებაა.**

— **ბატონებო, მიაქციეთ ყურადღება მგლის პრობლემას, რომელიც წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით გერგოთ. ამისათვის დააჭირეთ თითი თქვენს მაგიდაზე მოთავსებული კომპიუტერის კლავიშს WWW.WOLF.ORG. თქვენ ეკრანზე დაინახავთ, რომ 2009 წელს შვეიცარიას ჰყავდა 3-4 მგელი, გერმანიას — 5-10, ჩეხეთს — 20, უნგრეთს — 50, საფრანგეთს — 40-100 და ა.შ. სამ ქვეყანას: დიდ ბრიტანეთს, ჰოლანდიასა და ავსტრიას არც ერთი მგელი არ ჰყავდა!**

**ბატონებო, თქვენგან ხშირად გვესმის სიტყვათა ერთობლიობა — „ევროპული სტანდარტი“ და იმას მოგვიწოდებთ, რომ ქართულმა სახელმწიფომ „ევროპული სტანდარტებით“ ცხოვრება უნდა შეძლოსო. თუ მივბაძავთ ევროპის ქვეყნებს და მგლის რიცხოვნობას დავიყვანთ „ევროპული სტანდარტების“, ანუ 200-300 სულის დონეზე, მგლის პრობლემა აღარ იარსებებს და სოფლის მოსახლეობა შვებით ამოისუნთქავს! აგრეთვე, საფრთხეს აარიდებთ იმ ასი ათასობით უცხოელ ტურისტსაც, რომლებსაც ჩვენს ლამაზ მთებსა და ტყეებში უშიშრად სეირნობის საშუალებას არ აძლევს ეს კატასტროფულად გამრავლებული მტაცებელი.**

**— ბატონო ოთარ! ეს თქვენი მიმართვა ხელისუფლებისადმი, ჩემი აზრით, იმის კლასიკური მაგალითია, როცა მგელს „სახარებას“ უკითხავდნენ! მეც თქვენსავით ზედმიწევნით ვაგროვებდი ფაქტებს. 2010 წლის 1 ნოემბერს ყველა ტელეარხმა გადასცა ინფორმაცია საგარეჯოს რაიონის სოფელ კრასნოგორსკიდან: მგლებმა 50 (!) ცხვარი დაგლიჯესო. და, რა? „კურიერში“ გამოდის გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნონა ხელაია და აცხადებს: მიხედოს მოსახლეობამ თავის პირუტყვსო! არც მეტი — არც ნაკლები! აი, დაცინვა! აი, ცინიზმი! არ მესმის, ამ „მწვანეებს“ რამ შეაყვარა ეს, მართლაც, სასტიკი მტაცებელი! განსაკუთრებით „გრინფისელებს“... ამათი რადიკალიზმი, ზოგ შემთხვევაში, ექსტრემიზმშიც გადადის!**

— იცით, ევროპაში უთქვამთ: „მწვანეები“ საზამთროს ჰგვანანო — გაჭრი და შიგნით წითელიაო... დიახ იმ „წითელ“ ბოლშევიკებს ძალიან გვანან ქართველი „მწვანე“ რადიკალები — ზოგიერთი გრანტიჭამია ზოოლოგი, რომლებმაც საქართველოში მგლის რეაბილიტაცია მოახდინეს და ასე „დამოძღვრეს“ თავისი „უმცროსი ძმები — მგლები“: თქვენ ადამიანმა საკვები — გარეული ჩლიქოსნები — წაგართვათ და, სამართლიანი შურისძიების გამო, თავს ესხმით არამარტო შინაურ პირუტყვს, არამედ ადამიანსაც. გააგრძელეთ ყაჩაღობა, ჩვენ კი, ამას „სანიტრობას“ ვუწოდებთ და ყველა დონეზე ყველა ღონეს ვიხმართ, რომ საზიზღარმა ადამიანმა თქვენ ხელი არ გახლოთ! გამრავლდით, იბედნიერეთ და ჩვენც მატერიალურად გვახეირეთ!“ (იცინის).

**— ბრწყინვალეა, ბატონო ოთარ! მოდი დავუბრუნდეთ „ევროპულ სტანდარტს“...**

— ცნობილია, რომ ბუნებაში მოქმედებს კანონი, რომლის მიხედვითაც მგელი თავის რიცხოვნობას მსხვერპლის რიცხოვნობის შესაბამისად არეგულირებს, ანუ მყარდება მათ შორის ეკოლოგიური წონასწორობა, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში მათ მდგრად თანაცხოვრებას განაპირობებს. მსოფლიოს ავტორიტეტული ზოოლოგების მიხედვით, ეს წონასწორობა ნიშნავს 1 მგელზე 100-მდე ირმისოდენა გარეულ ჩლიქოსანს. ახლა დავითვალოთ. საქართველოში, დაახლოებით, და ისიც, უკეთეს შემთხვევაში, 20 ათასი გარეული ჩლიქოსანია. ეს ციფრი გავყოთ 100-ზე და მივიღებთ, რომ, ამ კანონის თანახმად, მგელს თავისი რიცხოვნობა უნდა დაერეგულირებინა 200-მდე; მაგრამ მან ეს არ გააკეთა!

**— გაუგებარია, რატომ? ჩვენთან ბუნების კანონი არ მოქმედებს?**

— **სწორედ ამ კანონის თანახმად, მგელმა თავისი რიცხოვნობა ასე დაირეგულირა — 20 ათას გარეულ ჩლიქოსანს „მიუმატა“ 5 მილიონი შინაური პირუტყვი, მოსახლეობას რაც ჰყავს!**

**— მგელი მათაც თავის მსხვერპლად აღიქვამს?**

— რა თქმა უნდა! **დღე არ გავა, რომ მგელი შინაურ პირუტყვს თავს არ დაესხას. მართალია, იგი ამ ხუთი მილიონიდან მხოლოდ ნაწილს თვლის მსხვერპლად, მაგრამ ეს ნაწილი 2 მილიონი მაინც იქნება. ამას გარდა, გრანტიჭამია ვაიზოოლოგებმა მგელი, ფაქტობრივად, დაცვაში აიყვანეს, შედეგად, ამ მტაცებელს ადამიანის შიში გაუქრა და თავს ესხმის მას!**

**— ბატონო ოთარ, ის, რაც თქვენ ახლა თქვით, იმ მგლების მომშენებელმა ბიოლოგებმა არ იციან?**

— **მათ იციან მხოლოდ ის, თუ როგორ გააკეთონ ფული! გაზეთში წავიკითხე, რომ მათ ნავთობსადენის ტრასაზე დათვის დასაცავად 250 ათასი დოლარის გრანტი აუღიათ. არადა, იმ ადგილებში დათვს რა უნდა?! წელიწადში შეიძლება ერთი გზააბნეული „ბაჯბაჯა“ შეეხეტოს, ხოლო ავტობუსზე პლაკატის — „დათვი არ მოკლათ“ მიკვირს, რად უნდოდა 250 ათასი დოლარი!** მერე, საქართველოს ბუნებაში დათვს მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს — ადამიანი, უფრო სწორად ბრაკონიერი. საუბარმა მოიტანა და თქვენ ხომ ჟურნალისტი ხართ? ჰოდა, მოითხოვეთ გარემოს დაცვის სამინისტროში, „ნაკრესმა“ რამდენი აქტი შეადგინა ბრაკონიერებზე.

**— მართლაც, საინტერესო თემაა! აუცილებლად ვეცდები. ისე, რატომ უნდა დამიმალოს სამინისტრომ ეს მონაცემები, მითუმეტეს მაშინ, როცა ეს ზოოლოგები იქ აღარ მუშაობენ?**

— სწორია, არ მუშაობენ! **მგლების „უსტაბაში“ — იასონ ბადრიძე ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში კათედრის გამგეა; მისი გამორჩენილი მოწაფე — გიგი თევზაძე მაგ სასწავლო დაწესებულების რექტორია, ზურაბ გურიელიძე კი თბილისის ზოოპარკის დირექტორია! მიუხედავად ასეთი „ბედნიერებისა“, სამინისტროში დარჩნენ მათი მიმდევრები, რომლებიც მათ „ნათელ“ იდეებს გააფთრებით იცავენ! ამ გრანტიჭამიებს პასუხისგებაში, ალბათ, ვერ მისცემ, მაგრამ იმ თანამდებობის პირებმა, რომლებმაც ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილებები მიიღეს და კომპეტენტური კომისიების რეკომენდაციები არაფრად ჩააგდეს, პასუხი უნდა აგონ.**

სწორედ ამიტომ ეწოდებათ მათ „პასუხისმგებელი პირი“. ამ შემთხვევაში, ესენია ყოფილი მინისტრები — ნინო ჩხობაძე და გიორგი პაპუაშვილი. ლოგიკურად მიჩნდება ასეთი აზრი, რომ საქართველოში ნაციონალურ პრობლემას იმდენად მგელი არ წარმოადგენს, რამდენადაც გარემოს დაცვის დაყრუებული სამინისტრო!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

**5 გარდაცვლილი და 90-მდე დაკავებული — ეს იყო დამოუკიდებლობის დღეს დამოუკიდებელი ხალხის დარბევის, ბართლომეს ღამის ოფიციალური შედეგი და ქართული ტელევიზია, რომელიც ერის ზომბირების საუკეთესო საშუალებაა, ამ ფაქტს ისე შეხვდა, როგორც სტატისტიკას. სამწუხაროდ, ჩვენ უკვე აღარ გვაქვს მოქალაქეობრივი პოზიცია. ქვეყანაში ინდივიდუალიზმის დიდი დეფიციტი, პიროვნების კრიზისია.**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# «საშოვარს-გადაგებული, გათითოკაცებული ყოფილი ერი ვართ»



## საბა მეტრეველი: იმას, რაც შერონ სტოუნის ჩამოსვლისას ტელეეთერში ხდებოდა, ჰქვია «უნახავმა რა ნახა»

**„ივენთი“, „ფართი“, „სვეცკობა“, „ტუსოვკა“… — ყველა მოდური ტერმინის ჩამოთვლა, ალბათ, შორს წაგვიყვანს… არ გეგონოთ, ამ „სვეცკური“, უცხო ტერმინებით თქვენი ცნობიერებისა და ლექსიკის გამდიდრებას ვაპირებთ. პირიქით, ჩვენ გვაინტერესებს, რა დაემართა ქართულ ენას და რატომ იქცა დღეს ტელევიზიებში, ქუჩაში, სახლში გამართული ქართული ენით მოსაუბრე ადამიანი იშვიათობა. ქართული ენის პრობლემებსა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ფილოლოგიის დოქტორი საბა მეტრეველი გვესაუბრება…**

**— ბატონო საბა, რამდენიმე კვირის წინათ, კერძოდ, 26 მაისს თბილისში ქვეყნისთვის ტრაგიკული და სამარცხვინო მოვლენები განვითარდა, თქვენ როგორ შეაფასებთ სპეცრაზმის მიერ აქცის დარბევას?**

— **5 გარდაცვლილი და 90-მდე დაკავებული — ეს იყო დამოუკიდებლობის დღეს დამოუკიდებელი ხალხის დარბევის, ბართლომეს ღამის ოფიციალური შედეგი და ქართული ტელევიზია, რომელიც ერის ზომბირების საუკეთესო საშუალებაა, ამ ფაქტს ისე შეხვდა, როგორც სტატისტიკას.** სამწუხაროდ, ჩვენ უკვე აღარ გვაქვს მოქალაქეობრივი პოზიცია. ქვეყანაში ინდივიდუალიზმის დიდი დეფიციტი, პიროვნების კრიზისია. შესაბამისად, სხვისი ჭირი ღობის ჩხირად იქცა, ამიტომაც წინა ღამეს თანამოძმეთა დაღვრილი სისხლის მიუხედავად, ალუმისა და ტაშ-ფანდურის ხასიათზე იყო საზოგადოების დიდი ნაწილი…

**— ქართველისთვის ყველაზე ძვირფასი ოდითგანვე ენა, მამული და სარწმუნოება იყო. დღეს მამული დანაწევრებული და დაქუცმაცებულია, არც სარწმუნოებაა უკეთეს დღეში (ბოლო დროს ძალზე მომრავლდა სხვადასხვა სექტა, რომელთაც გარკვეული პრივილეგიები ენიჭებათ და რომელთა არსებობას სახელმწიფო არათუ ხელს უშლის, უწყობს კიდეც). რაც შეეხება ენას — თქვენ, როგორც ფილოლოგიის დოქტორი, როგორ შეაფასებთ ქართული ენის დღევანდელ მდგომარეობას?**

— „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება“ — როცა ილია ჭავჭავაძე ამ სიტყვებს წერდა, გულისტკივილს გამოხატავდა იმის გამო, რომ სახელმწიფოებრიობა უკვე დაკარგული გვქონდა… ამის შემდეგ გავიდა ხანი და 1910 წელს ნიკო ლორთქიფანიძემ დაწერა „საქართველო იყიდება“, 1917 წელს ხვეწნამუდარით გვითხრა: „მოუარეთ საქართველოს“! ახლა, ერთი საუკუნის შემდეგაც, იმავე პრობლემების პირისპირ დგას ქვეყანა.

**მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ეკლესია შენდება და მრევლმაც იმატა, ღვთისმოსავი ერის სახე ჯერ მაინც არ გვაქვს, არც მორწმუნე ხელისუფლება გვყავს, ჩვენც ბევრი რამ გვიჭირს, მარადიულ შინაგან ბრძოლებში, ერთმანეთის განკითხვასა და სიძულვილში ვართ ჩაძირული – ეს, რა თქმა უნდა, აღარაა ქრისტიანული ცხოვრება!**

ჩვენს რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე დროში ყოველგვარი სულიერი ფასეულობის დევალვაცია მოხდა, აღარაფერი შემოგვრჩა მშვენიერი და ამაღლებული, „ენაი შემკული და კურთხეული“ ქუჩური, ჟარგონული, ბაზარხანული გახდა. **აღარსად ისმის „საამური ქართული სიტყვა“, ვერც თანამედროვე ქართულმა მწერლობამ და ვერც თეატრმა ფეხზე ვერ წამოაყენა ქართული ენა, მთელი თავისი მშვენებითა და სიმდიდრით. ვინ ვართ ჩვენ დღეს? – საკუთარი დედის მაგინებელი, ბილწსიტყვაობის უმძიმეს ცოდვაში ჩარჩენილი ერი! მეტი სასჯელი და უბედურება რაღა უნდა იყოს!**

**— როგორ ფიქრობთ, გამოიწვია თუ არა უცხო ენების, განსაკუთრებით ინგლისურის, პროპაგანდამ და პრივილეგირებამ ქართული ენის დაჩრდილვა?**

— უცნაურ დროში ვცხოვრობთ. პარადოქსია, რადგან, ერთის მხრივ, მშობლიურ ენას სკოლებში კარგი სახელმძღვანელოებით ასწავლიან, ყურადღება ექცევა პრაქტიკულ გრამატიკას, მართლწერის საკითხებს, მერე მისაღებ გამოცდებზეც საკმაოდ მაღალი მოთხოვნებია ამ მხრივ, უმაღლეს სასწავლებლებშიც ისწავლება აკადემიური წერა თუ სტილისტიკა, მაგრამ საშველი მაინც არ დაგვადგა. რატომ? – **უწიგნური თაობა მოდის, რომლის ცოდნა მხოლოდ ინფორმაციულია, შესაბამისად — ზედაპირული, არც სიღრმე და არც ფიქრის ანარეკლი ჩანს.**

სწორედ ამიტომაა ასე მწირი და ღარიბი ჩვენი ლექსიკური მარაგი. პირველკურსელ სტუდენტს არ აქვს საყვარელი ლექსი, უბრალოდ, სკოლაში სწავლის 12 წლის განმავლობაში ერთი ლექსიც კი არ იცის ზეპირად! არ შეიძლება სკოლა აქცენტირებული და ორიენტირებული იყოს მისაღები გამოცდების პროგრამებზე, რადგანაც ეროვნულ გამოცდებს სხვა ფუნქცია და მიზანი აქვს. რადგან საგამოცდო ტესტი არ მოითხოვს ლექსის ზეპირად ცოდნას ან ციტატის ჩასმას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სკოლაში ბავშვი არ უნდა სწავლობდეს იმაზე მეტს, რაც საბაკალავრო პროგრამითაა გათვალისწინებული. სირცხვილია, ბარათაშვილის, ვაჟას, გალაკტიონის ერთი ლექსი მაინც არ იცოდეს ქართველმა!

**რასაკვირველია, ამდენი უცხო სიტყვა, რომლებიც ასე მოეძალა ენას, სერიოზულ პრობლემას ქმნის, თუმცა არაქართული ინტონაციებით საუბარი, გადაპრანჭული და ბუნდოვანი ქართული ერთდროულად იმის მანიშნებელიცაა, რომ ფეხის ხმას აყოლილი და თანაც შინაგანი არასრულფასოვნების კომპლექსის მსხვერპლიც ვართ.**

წერა და აზროვნება ერთი მთლიანი პროცესია, ლოგიკა კი, დიდი ხანია, აღარ გვაქვს არაფერში, ამისი ნათელი მაგალითია „ანუ“-ს ასე ხშირად და უკონტექსტოდ გამოყენება, ვითომ რაღაცას ვუხსნით ერთმანეთს და ვაზუსტებთ ჩვენს ნათქვამს. ერთი უცხოელი, რომელიც რვა თვე ცხოვრობდა თბილისში, მეკითხება: რას ნიშნავს სიტყვა „რა“? ქართველები რასაც ამბობთ, ბოლოში ამ “რას“ უმატებთ: დავილალე რა, ძაან მაგარი იყო რა…

**აი, ასე „გავიბანძეთ“ თავი და ასე გადავგვარდით, გავლატაკდით… ზინაიდა კვერენჩხილაძისა და გურამ საღარაძის მსგავსი ქართული ზეპირმეტყველება უკვე საოცნებო წარსულად გვექცა. კარგი მოქართულე დიდი იშვიათობა გახდა!**

**— მოგწონთ თუ არა ის ქართული, რომლითაც დღეს საუბრობენ ტელევიზიებში?**

— გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ ქართული ტელევიზია პიროვნების მუტაციას ახდენს, რყვნის ადამიანებს, საკუთარს, ინდივიდუალურსართმევს და უკარგავს. ხშირად მინატრია, ვიცხოვრო იმ ქვეყანაში, რომელშიც არ არის ტელეისტერია. ჯერ ერთი, ამდენი გაყალბებული, არაფრისმთქმელი, უნიჭო და უკულტურო სახის ყურება; მათი ცხოვრების წესის გაპიარება და ვითომ კომპეტენტური აზრების ფრქვევა უკვე ვერანაირ კრიტიკას ველარ უძლებს. **ამდენი გასართობი შოუ პროგრამა, მათი ტაკიმასხარა წამყვანები, რომლებსაც არც ესთეტიკა აქვთ და არც სამყაროში ორიენტაცია შეუძლიათ, მათი ვითომ „სვეტური“ დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ მხოლოდ პოპულარობის სინდრომით შეპყრობილი ადამიანების უსუსურ ბორგვას მაგონებს.**

ტელევიზიების სახე განსაკუთრებულად საგანგაშო იყო, როცა „შერონსტოუნობა“ ვიზეიმეთ. იმას, რაც მაშინ, შერონ სტოუნის ჩამოსვლისას, ტელეეთერში ხდებოდა, ჰქვია „უნახავმა რა ნახა“! ქაჯების, ხამების ქვეყანა და სხვა არაფერი. ასეთი რა ჭირი შეგვეყარა, სნობიზმმა ისე როგორ დაგვრია ხელი, რომ „გოიმების პარადად“ ვაქციეთ მთავარი საინფორმაციო გამოშვებებიც კი. იმაში გასაოცარი არაფერია, რომ თაყვანისმცემლები და ფანები შეიკრიბნენ და რაღაც ისტერიკისმაგვარი ფონი იყო — ეს გასაგებია, მაგრამ გამაღიზიანებელი ისაა, რომ თითქმის ყველა ტელეარხზე იყო დაუმთავრებელი სიგიჟე — არიქა, ვისი ჩამოსვლა გველირსა და ამას რას ვხედავთო! **ამის შემდეგ აღარ მიკვირს, რომ მაია ასათიანის გადაცემა „პროფილს“, როგორც უესთეტიკობისა და მდარე გემოვნების საზომს საქართველოში, ასევე, ეკა ხოფერიას გაუგებარ აუდიტორიას, „ცნობად სახეებზე“ აგებულსა და ვითომ ინტელექტუალურ გადაცემას ან „დოდოშკას სიბრძნისმეტყველებას“ „დღის შოუში“ ამდენი შემფასებელი და დამფასებელი ჰყავს. ყველაფერში გვაკლია კომპეტენტურობა და აკადემიზმი.**

**— როგორ მივედით და რატომ იმ პრობლემებამდე, რაც დღეს განათლებაში და საერთოდ, მეცნიერებაშია? ხედავთ თუ არა გამოსავალს?**

— ქართული საზოგადოება გადაიღალა ამდენი კატაკლიზმითა და დაუსრულებელი დაპირისპირებით, ჩვენი ეროვნული სხეული სტრესშია, დროისა და შრომის კულტურა დავკარგეთ! ჭაბუა ამირეჯიბის თქმისა არ იყოს, „საშოვარსგადაგებული, გათითოკაცებული ყოფილი ერი ვართ“.

ყველაზე დიდი პრობლემა მენტალობის თავისებურებაშია. მთლად კარგად არ გვესმის, რა გვინდა და რატომ. თუ ჩვენ ვაშენებთ თავისუფალ საზოგადოებას, მაშინ სწორად გვმართებს თავისუფლების გააზრება. თავისუფლება სრულყოფილებისკენ სწრაფვაა და არა ყველაფრის უფლება ან იმის კეთება, რაც მოგინდება. თუ ასე გავიგებთ, მაშინ „მინდას“ ტყვეობიდან ვერასდროს გამოვალთ და საკუთარი ვნებებისა და სურვილების მონად ვიქცევით.

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

## ქართული ტელესივრცე პიროვნების მუტაციას ახდენს, რყვნის ადამიანებს









## «აღარ მიკვირს, რომ «დოდოშკას სიბრძნისმეტყველებას» ამდენი შემფასებელი და დამფასებელი ჰყავს»

საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**რობერტ სტურუა ძალიან საინტერესო პიროვნებაა. იგი ხშირად ცდილობს, ეპატაჟური ელემენტები შეიტანოს ცხოვრებაში და გამოაცოცხლოს მიძინებული ქართული საზოგადოება. შეიძლება ვიღაცებისთვის მისი განცხადებები ერთი შეხედვით მიუღებელი იყოს, მაგრამ, თუ დაფიქრდებიან, მიხვდებიან, რომ ის მართალია. პირველად სწორედ რობერტ სტურუამ ილაპარაკა ხელისუფლების ბოროტებაზე და საზოგადოებაში დამკვიდრებულ შიშზე, რაც მალე გამართლდა კიდეც. ძალიან ჭკვიანი კაცია და ტყუილად არაფერს ლაპარაკობს.**

# შოთა გლურჯიძე: საქართველოში პროსომხური მთავრობაა

**მხატვარმა შოთა გლურჯიძემ ქართველ ხალხს 1937 წლის შემოსვლა მიულოცა. რატომ ფიქრობს, რომ საქართველო ავბედით წარსულს უბრუნდება, რატომ არ არიან ქართველი ხელოვანები სოლიდარულები და როგორ აპირებს თანამოაზრეებთან ერთად ბრძოლის გაგრძელებას, „საქართველო და მსოფლიოს“ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მთავარი მხატვარი შოთა გლურჯიძე ესაუბრება.**

**— ქართველ ხალხს თქვენ 1937 წელი მიულოცეთ. რატომ ფიქრობთ, რომ ქვეყანაში მართლა ასე ცუდი ვითარებაა?**

— მიმდინარე მოვლენები ძალიან ჰგავს 1937 წელს მომხდარ ფაქტებს. საერთოდ, როგორც ტოტალიტარული ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, მაშინაც ადამიანების დასჯასა და დაპატიმრებას უცხო ქვეყნის აგენტობა ედო საფუძვლად და ხელისუფლების ნებისმიერი ქმედება იმით მართლდებოდა, თითქოსდა ქვეყანას გარე ძალების ჩარევისგან იცავდნენ.

მიმდინარეობს ხალხის დაშინების მცდელობა. ჩემი აზრით, დიდი ხანია, უკვე ლატენტური 37 წელი დადგა, უბრალოდ, საქართველოს ახლა მივულოცე ამის დაკანონება, ვინაიდან, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით, ხელისუფლებამ 37 წელი უკვე ოფიციალურად დააკანონა.

**— მაგრამ თქვენ პასუხიც მიიღეთ ხელისუფლებისგან — ახლა 1937 წელი რომ იყოს, თქვენ აქ არ იქნებოდითო...**

— მართალია, მერე კი დახვრიტეს, მაგრამ პოეტი ნიკოლაი გუმილიოვიც კარგა ხანს დადიოდა პეტერბურგის ქუჩებში და დაუფარავად გამოხატავდა საკუთარ აზრს. ახლა ოფიციალურად დახვრეტა მუდმივი პატიმრობით შეცვალეს. თანაც მუდმივი პატიმრობა შეიძლება მოგისაჯონ, თუ პოლიციელს წინააღმდეგობას გაუწევ. გააჩნია, როგორ განსაზღვრავს სასამართლო, რომელსაც, მოგეხსენებათ, თუ როგორც გამოაქვს განაჩენი. **სანდრო გირგვლიანის მკვლელები სამ წელიწადში ციხიდან გამოუშვეს, მაგრამ, თუ პოლიციელს შეეხები, შეიძლება მუდმივ პატიმრობაში აღმოჩნდე. გამოდის, რომ ორი ადამიანის სიცოცხლე თანაბარი არაა, პოლიციელის სიცოცხლე ხელისუფლებისთვის მეტად ფასობს**.

**— არსებულ ვითარებაში თქვენ ოპოზიციური პარტიებიც დაადანაშაულეთ.**

— **ყველას პატივს ვცემ, ვინც ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვის, მაგრამ ოპოზიციას, უბრალოდ, მეთოდები დაუძველდა. დროს ჩამორჩნენ. საკმაოდ მარგინალური გახდა ქართული ოპოზიცია, ისევე, როგორც ხელისუფლება, სწორედ ამიტომ არ აქვს ოპოზიციას ხალხის მხარდაჭერა.**

**— თქვენ 37 წლის მოახლოებაზე საუბრობთ, თუმცა, ხელისუფლების განცხადებით, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საქართველოს პოლიტიკა მოიწონა.**




— ან ინფორმირებულები არ არიან საქართველოში არსებული ვითარებით, ან იქაც სომხური ლობი მოქმედებს. კერკ კერკორიანი, სხვადასხვა ფონდები თუ საქართველოს ხელისუფლება უზარმაზარ თანხას ხარჯავენ უცხოეთში სააკაშვილის პიარისთვის. **მიხეილ სააკაშვილი სომხების დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. ტყუილი არ უთქვამს რობერტ სტურუას, საქართველოში პროსომხური მთავრობაა.**

**— რობერტ სტურუას განცხადება ზოგიერთმა ქსენოფობიურად შეაფასა.**

— ეს არის სტურუას წინააღმდეგ აგორებული კამპანია, რათა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამერიკაში თავიანთ პატრონებს (ამერიკაში კი, მოგეხსენებათ, ძლიერი სომხური ლობია) ერთგულება დაუმტკიცონ და ქართველი ხალხი ქსენოფობად წარმოაჩინონ. ამაზე მუშაობს მათი ელექტრონული მედია. თამარ ჩერგოლეიშვილი ქვეყნის ფაქტობრივად მეორე პირის მეუღლეა და ამ შემთხვევაში არ შეიძლება ხელისუფლების მიერ წარმოებულ კამპანიაზე არ ვისაუბროთ. ვფიქრობ, სტურუას მიზანმიმართული დევნა მიმდინარეობს.

არ მინდა, სტურუას მაგივრად ვისაუბრო, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ რობერტ სტურუა ძალიან საინტერესო პიროვნებაა. იგი ხშირად ცდილობს, ეპატაჟური ელემენტები შეიტანოს ცხოვრებაში და გამოაცოცხლოს მიძინებული ქართული საზოგადოება. შეიძლება ვიღაცებისთვის მისი განცხადებები ერთი შეხედვით მიუღებელი იყოს, მაგრამ, თუ დაფიქრდებიან, მიხვდებიან, რომ ის მართალია. **პირველად სწორედ რობერტ სტურუამ ილაპარაკა ხელისუფლების ბოროტებაზე და საზოგადოებაში დამკვიდრებულ შიშზე, რაც მალე გამართლდა კიდეც. ძალიან ჭკვიანი კაცია და ტყუილად არაფერს ლაპარაკობს.**

**— ზოგიერთი ქართველი ხელოვანი პოლიტიკური ნიშნით დევნას უჩივის. თქვენი პოლიტიკური შეხედულებების გამო პრობლემები თუ შეგქმნიათ?**

— **რა თქმა უნდა, მქონია პრობლემები. სრულიად უკანონოდ ორი თეატრი წამართვეს. თეატრალური სარდაფი რუსთაველზე და ვაკეში — ორივე გააუქმეს. ამჟამად, ძირითადად, უცხოელების შეკვეთებზე ვმუშაობ.**

**— სოსო ჯაჭვლიანი მძიმე მდგომარეობაშია, რატომ არ არიან ქართველი ხელოვანები სოლიდარულები?**

— თეატრალურმა საზოგადოებამ, რომლის პრეზიდიუმის წევრი მეც ვარ, მისი საპატიო თავმჯდომარის — გიგა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით ხელისუფლებას რეაგირებისკენ მოუწოდა, მაგრამ ამ ხელისუფლებისთვის ერთი ადამიანის სიცოცხლე არაფერს ნიშნავს.

**ხელოვანებიც დაახლოებით ისეთ მდგომარეობაში არიან, როგორც 1937 წელს იყვნენ. ზოგიერთმა ხელოვანმა სოსო ჯაჭვლიანის გათავისუფლების მოთხოვნას ხელი არ მოაწერა. რა თქმა უნდა, გული შეგვტკივა და თქვენს პოზიციას ვიზიარებთ, მაგრამ ხელს ვერ მოვაწერთო, — განაცხადეს.**

**— ვინ განაცხადა?**

— არ მინდა დავასახელო, რადგან მეცოდებიან. ისიც ეყოფათ, რომ ვაჟკაცობა ვერ გამოიჩინეს და შეშინებულები არიან. **გაცილებით უფრო მძიმე სიტუაცია ყოფილა დიქტატორული რეჟიმის მქონე ქვეყნებში, მაგრამ ხალხი ბრძოლას მაინც ახერხებდა. ხელისუფლება რაც უფრო მეტად მოუჭერს მარწუხებს, ხალხის უკმაყოფილებაც მით უფრო მალე იფეთქებს.**

# გულბაათ რცხილაძემ და ნანა დევდარიანმა არასამთავრობო ორგანიზაცია დააფუძნეს

**საქართველოში ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური თანამშრომლობა“ დაფუძნდა. ორგანიზაციის დამფუძნებლების — პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძისა და ჟურნალისტ ნანა დევდარიანის განცხადებით, მათ ძირითად მიზანს ქართველი და რუსი ხალხისთვის მართალი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს. ახლადშექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციის დანიშნულებისა და სამომავლო გეგმების შესახებ გულბაათ რცხილაძე გვესაუბრება.**

**— თქვენ ხელმძღვანელობთ „ევრაზიის ინსტიტუტს“, რატომ გადაწყვიტეთ ახალი არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბება და რა სიახლეს შესთავაზებთ საზოგადოებას?**

— 2009 წელს მოსკოვში დაარსდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰუმანიტარული თანამშრომლობის ცენტრი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რუსი პოლიტოლოგი და ისტორიკოსი, ჟურნალ „ექსპერტის“ პოლიტიკური განყოფილების რედაქტორი და მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის რექტორის თანაშემწე ნიკოლაი სილაევი. ცენტრის მიზანი, რომელიც შეიქმნა 2008 წლის ომის შემდეგ, ქართულ-რუსული ურთიერთობების შენარჩუნებაა, რათა ქართველ და რუს ექსპერტებს, პოლიტოლოგებს, ეკონომისტებს მაინც ჰქონოდათ ერთმანეთთან ურთიერთობა; უფრო მეტიც, ახალი მიმართულებით გაგრძელებულიყო მუშაობა, რაც მართლაც წარმატებით განხორციელდა. შეიქმნა სპეციალური ვებგვერდი — georgiamonitor.org, სადაც ორივე ქვეყნაში, ნებისმიერ სფეროში არსებული ვითარების შესახებ საინტერესო საინფორმაციო-ანალიტიკური მასალებია თავმოყრილი.

ვინაიდან პროექტმა გაამართლა, მე და ნანა დევდარიანმა გადავწყვიტეთ, დაგვეარსებინა ანალოგიური არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური თანამშრომლობა“. აღსანიშნავია, რომ ეს არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ორივე ქვეყანაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მაგრამ მჭიდრო თანამშრომლობით იფუნქციონირებს.

„კავკასიური თანამშრომლობის“ ეგიდით, თბილისში ჩვენ უკვე ორი სემინარი ჩავატარეთ. აპრილში გამართულ სემინარს, რომელიც ეკონომიკას ეძღვნებოდა, ესწრებოდნენ ცნობილი ექსპერტები: ნოდარ ჯავახიშვილი, დემურ გიორხელიძე, პროფესორი იოსებ არჩვაძე და სხვ. განსახილველი თემა ეხებოდა საქართველოს ეკონომიკას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და აგვისტოს ომის შემდეგ. მოწვეულ ექსპერტებთან და პროფესიონალებთან ერთად სიღრმისეულად გავაანალიზეთ ქვეყანაში არსებული პრობლემები, ვისაუბრეთ, რა პერსპექტივები გვაქვს მომავალში. 17 ივნისს სასტუმრო „ვერე-პალასში“ გაიმართა



ორგანიზაციის პრეზენტაცია, სადაც უკვე მეორე სემინარიც ჩავატარეთ. ამჟამად დემოგრაფიის პრობლემები განვიხილეთ, სასაუბროდ მოვიწვიეთ დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ავთანდილ სულაბერიძე, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლები გიორგი წულაძე და იოსებ არჩვაძე.

ჩვენ ყველა სფეროს წარმომადგენლებთან ვთანამშრომლობთ. აღსანიშნავია, რომ ეს მასალები ერთად აიკინძება და შემდგომში ბროშურის სახით გამოიცემა.

**— მიაწვდით თუ არა ორგანიზაციის ეგიდით დაბეჭდილ ბროშურებს ხელისუფლებას ან არასამთავრობო ორგანიზაციებს რეაგირებისთვის?**

— ორგანიზაციას არ აქვს პრეტენზია, რომ რაღაცის შეცვლას მოახერხებს. ჩვენი მიზანია, ორ ქვეყანას შორის მართალი ინფორმაციის გაცვლა, საზოგადოების ინფორმირება, რათა უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი რუსებმა და ქართველებმა. ჩვენ გვგონია, რომ ერთმანეთის შესახებ ყველაფერი ვიცით, სინამდვილეში კი ორივე მხარეს ერთმანეთის შესახებ არასერიოზული წარმოდგენები და შეფასებები გაგვაჩნია, რაც უფრო ამძიმებს ვითარებას და მომავალში ქართულ-რუსულ ურთიერთობებს პერსპექტივას უკარგავს.

**ერთმანეთის შესახებ არასერიოზული წარმოდგენები და შეფასებები ქართულ-რუსულ ურთიერთობებს პერსპექტივას უკარგავს**

**— ინფორმაციის მიწოდებას როგორ აპირებთ? თქვენ არაერთხელ განაცხადეთ თქვენს ინტერვიუში, რომ რუსი კოლეგების საქართველოში ჩამოყვანას ვერ ახერხებთ...**

— ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ისაა, რომ საქართველოში რუსების ჩამოყვანა ვერ ხერხდება. ქვეყანაში მხოლოდ ისინი შემოდიან, ვინც ხელისუფლებას აწყობს. საქართველოში მხოლოდ არაავტორიტეტულ, ანგაჟირებულ ლატინინას, ნოვოდვორსკაიასა და მისთანებს უშვებენ, მაგრამ გვაქვს ერთობლივი ვებგვერდი და, საბედნიეროდ, დღეს ინფორმაციის გაცვლის არანაირი პრობლემა არ არსებობს.

**— საქართველოში ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს, თუმცა საზოგადოების ნდობა მათ მიმართ არცთუ მაღალია. როგორ აპირებთ საზოგადოების ნდობის მოპოვებას?**

— ნდობა შეიძლება დაკარგოს საზოგადოებამ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ, რომელიც არჩევნებს აყალბებს და საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას ახდენს. ასეთი ტიპის ორგანიზაციებს შელახული აქვთ რეპუტაცია და სრულიად სამართლიანადაც. ამასთან, ქართული საზოგადოება მიეჩვია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები გრანტების ათვისების საუკეთესო საშუალებაა და მათ უკან, როგორც წესი, ამერიკელები და ევროპელები დგანან. ჩვენს ორგანიზაციას კი სრულიად განსხვავებული დანიშნულება აქვს. სახარებისეული ჭეშმარიტებაა, რომ ხე ნაყოფით შეიცნობა. ჩვენ ამ ჭეშმარიტების პრინციპით ვიმოქმედებთ და საზოგადოება ყველაფერს თავად შეაფასებს.

გვერდი მოამზადა **შორენა ცივქარაშვილმა**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ფსიქოლოგიური ომის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქცა „ოკუპაციის მუზეუმებისა“ და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების შექმნა, რომლებიც „საბჭოთა გენოციდის“ საკითხებს შეისწავლის. დღეისთვის ასეთი მუზეუმები გახსნილია პრაქტიკულად ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში. ამ საეჭვო ერთსულოვნების უკან დგას დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ შემუშავებული და დაფინანსებული ოპერაცია, რომლის მიზანია მეორე მსოფლიო ომის შეფასების დამკვიდრებულ წარმოდგენათა ძირფესვიანი შეცვლა ამერიკა-ინგლისის სასარგებლოდ.**

# ...და დღეს იყო ომი

**1941 წლის 22 ივნისს გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. 20 მილიონზე მეტი საბჭოთა მოქალაქე შეიწირა ამ ომმა. „საქართველო და მსოფლიო“ სისტემატურად აქვეყნებს წერილებს სპეკულაციური პუბლიკაციების საწინააღმდეგოდ, რომლებშიც მედროვე „პუბლიცისტები“ ცდილობენ, თავდაყირა დააყენონ ისტორიული სიმართლე ამ ომის შესახებ.**

## მოფარფატებდნენ ფურცლები ციდან

70 წლის წინათ, 1941 წლის 22 ივნისს, დღევანდელ დღეს დაიწყო დიდი სამამულო ომი.

დილით ქუჩაში სათამაშოდ გამოსული ბავშვები მოულოდნელმა „ატრაქციონმა“ გაგვახარა: ვერის უბანს დაბლა, ძალიან დაბლა გადაუფრინა მწვანე „უდვამ“ (У-2) და ქაღალდის დასტები გადმოაბნია.

მოფარფატებდა პატარა ოთხკუთხა ფურცლები ციდან და ვცდილობდით ბავშვები, მიწაზე დაშვებამდე, ჰაერშივე დაგვეჭირა.

ამ ბარათზე დაბეჭდილი რამდენიმე სტრიქონი იტყობინებოდა: „ფაშისტური გერმანია მუხანათურად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს...“

**70 წლის წინათ, 22 ივნისის იმ საათსა და იმ წუთს დაიწყო „ომის თაობის ბავშვების“ დღეების ათვლა.**

**დღეს გამარჯვებას არ-თმევენ გმირ ხალხს.**

„ცივი ომის“ შემდეგ ძალამოკრებილი საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის ჯვაროსნული ლაშქრობა სწორედ ამ ხალხის, უწინარეს ყოვლისა, მისი ახალთაობის ეროვნული თვითშეგნებისა და ისტორიული მეხსიერების წინააღმდეგ არის მიმართული.

## როგორ დაგვაშარდა ნიკიტამ

**ცნობილია, რომ სწორედ ომისწინა და ომის დაწყების პერიოდის დამახინჯებულად წარმოდგენა ნიკიტა ხრუშჩოვის ანტისტალინური კამპანიით დაიწყო. რა ბოლმაც ახრჩობდა ნიკიტას, ესეც ცნობილია. მაგრამ, ეგებ, ბევრმა არ იცის ის ამბავი, რომელსაც იხსენებს ბაკურ გულუა ცნობილი საზოგადო მოღვაწის დამიანე გოგოხიასადმი მიძღვნილ კრებულში:**

„ერთხელ, როცა ნიკიტა გაგრა-ბიჭვინთის ზღაპრულ სანახებს ეწვია, მისი მანქანების ესკორტი ბიჭვინთის შესასვლელთან მოულოდნელად, მკვეთრად გაჩერდა. ნიკიტას საქართველოში განსაკუთრებულად იცავდნენ: დაცვის მანქანების რაოდენობა ზოგჯერ რამდენიმე ათეულს აჭარბებდა. მკვეთრად დამუხრუჭებამ ავარიული სიტუაცია შექმნა, მაგრამ მაშინ ამის მიზეზს ვერავინ მიხვდა. მიხეილ ბღაჟბა (პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი) ნიკიტასთან ერთად იჯდა დაჯავშნული მრავალტონიანი „ЗИС“-ის სალონში, დამიანე გოგოხია მომდევნო მანქანაში იყო. რამდენიმე წუთში ესკორტი დაიძრა და, **როცა ნიკიტა ლიძავაში სამთავრობო აგარაკზე დატოვეს, ბღაჟბამ დამიანეს გაუმხილა შეჩერების მიზეზი:**

**— თქვენ არ იცით, რა კაციჭამიასთან და ანტიქართველთან გაქვთ საქმე, — უთქვამს ბღაჟბას.**

— როცა ბინჭვინთის ლამაზი ფიჭვნარი გამოჩნდა, ნიკიტამ მძღოლის გვერდით მჯდომ დაცვის ოფიცერს უბრძანა, გაეჩერებინათ მანქანა. იმან წინააღმდეგობა გაუწია: — მანქანები დიდი სიჩქარით მოგვყვება და ყველა ერთმანეთს დაეჯახებაო. მაშინ ნიკიტა დამუქრებია მძღოლსა და ოფიცერს, ახლავე მოგხსნით სამსახურიდანო.

გაჩერდა მანქანა. ნიკიტა გადავიდა ფიჭვნარში და მოშარდა. უკან მობრუნებულს კი გაკვირვებული ბღაჟბასთვის უთქვამს: **— არ გეგონოს, 3 წუთით ვერ შევიკავეო შარდი** (დაახლოებით ეს დრო იყო საჭირო ლიძავამდე მისასვლელად), — **XI არმიის რიგებში, როგორც ჯარისკაცმა 1921 წელს გავიარე ეს ფიჭვნარი და მოვშარდე. ახლაც მომინდა, დამეფსა ქართული მიწისთვისო.**

**ასეთი ნაძირალა ებრძოდა სტალინს, მაგრამ სისტემა იყო ისეთი, რომ მას აჰყვნენ და მხარი აუბეს.**

**ახალს არაფერს ვამბობ.**

## იყო სტალინი დამნაშავე?

სტალინს დააბრალეს, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომლებიც დასავლეთ საზღვართან იყო მობილიზებული, გაფრთხილებულიც არ იყო მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, რადგან ბელადი **კატეგორიულად მოითხოვდა, არ წამოგებოდნენ გერმანელების პროვოკაციებს და მიზეზი არ მიეცათ საომარი მოქმედების დასაწყებად.**



**გერმანელებმა ვერც ერთი სამხედრო ხომალდი ვერ ჩაძირეს. სამაგიეროდ, არაერთი სვასტიკიანი თვითმფრინავი ჩამოაგდეს იმ დღეს მეზენიტეებმა**

სტალინი, რა თქმა უნდა, აფრთხილებდა, არ აჰყოლოდნენ პროვოკაციებს, მაგრამ, ამასთან, სრული საბრძოლო მზადყოფნის ბრძანება გაცემული იყო; დირექტივა — დაგზავნილი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებში.

**სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარმა კუზნეცოვმა, დირექტივის თანახმად, საბედისწერო საათამდე კარგა ხნით ადრე გასცა ბრძანება, სრული საომარი მზადყოფნის რეჟიმზე გადასვლის შესახებ. და როგორც კი 22 ივნისის ღამის 3 საათზე გერმანულმა თვითმფრინავებმა საბჭოთა საზღვარი გადაკვეთეს, დაუყოვნებლივ ამოქმედდა ბალტიისა და შავი ზღვის ფლოტების საზენიტო არტილერია.**

**გერმანელებმა ვერც ერთი სამხედრო ხომალდი ვერ ჩაძირეს. სამაგიეროდ, არაერთი სვასტიკიანი თვითმფრინავი ჩამოაგდეს იმ დღეს მეზენიტეებმა.**

მაშ, რა მოხდა?

მოხდა ის, რასაც სახმელეთო ჯარების სარდლების უნიჭობა და სიჩლუნგე ჰქვია.

ღალატიც.

მაგალითად, **დასავლეთის სამხედრო ოლქმა, რომელსაც გენერალი პავლოვი სარდლობდა, არ შეასრულა გენერალური შტაბის დირექტივა ჯარების გაშლისა და ომისთვის მათი სრული მზადყოფნის შესახებ. პავლოვი სულაც არ იყო „პარალიზებული პროვოკაციებზე არაყოლის“ ბრძანებით. მან არ შეასრულა ბრძანება. გამოძიების დროს გამოაშკარავდება ამ საბჭოთა სარდლის გერმანოფილური მისწრაფება და პროგერმანული ორიენტაცია.**

ამის შედეგი იყო, რომ პირველივე დღეებში ამ სამხედრო ოლქის მსროლელთა ორმა და ერთმა სატანკო დივიზიამ ისეთი დანაკარგები განიცადა, რომ „როგორც გაერთიანებებმა, არსებობა შეწყვიტა“.

არც ასეთი ფაქტები უნდა იყოს ინტერესმოკლებული: ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში საბჭოთა არმიის გენშტაბმა ფართომასშტაბიანი გამოკითხვა ჩაატარა იმ პერიოდისთვის ცოცხლად დარჩენილი გენერლები, რომლებიც დასავლეთის ფრონტზე ომის პირველივე დღიდან იბრძოდნენ. შეკითხვა ასეთი იყო: **როდის მიიღეს დირექტივა შენაერთების საომარ მდგომარეობაში მოსაყვანად?**

**გენერალი პოლუბიაროვი, ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის ავტოჯავშანსატანკო ნაწილების სარდალი:** საბრძოლო მზადყოფნაში ჯარების მოსაყვანად დირექტივა **16 ივნისს** მიიღო.

**გენერალი სობენიკოვი, მერვე არმიის ყოფილი სარდალი:** სამხედრო ნაწილების გაშლის ბრძანება **ცხრამეტში** მიიღო.

**გენერალ შუმილოვს** კი დაცვისთვის მზადყოფნა **18 ივნისს** უბრძანეს.

**გენერალმა პურკაევმა,** 1941 წელს კიევის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა, მსროლელთა დივიზიების თავდაცვისთვის სრული მზადყოფნის შესახებ ბრძანება **14 ივნისს** მიიღო.

**გენერალი ბაგრამიანი** იხსენებდა, რომ იმავე ოლქის **ოპერატიულმა რეზერვებმა გაშლა ომამდე 5 დღით ადრე დაიწყო.**

და ა.შ.

ასეთია ფაქტები: ბრძანება, დირექტივა იყო, მაგრამ ხრუშჩოვის ნიშანზე გენერლების ერთმა წყებამ ომის პირველ პერიოდში წითელი არმიის წარუმატებლობა სტალინს გადააბრალა და ამით თავი იმართლეს. ასე სჭირდებოდა „პიროვნების კულტის“ საწინააღმდეგო კამპანიისთვის „ძვირფას ნიკიტა სერგეევიჩს“.

## „ჯვაროსნული ლაშქრობა“ – ისტორიის წინააღმდეგ

**ფსიქოლოგიური ლაშქრობის მედროშეებად, როგორც მოსალოდნელი იყო, დასავლეთის ლიდერები მოგვევლინენ. გამოიკვეთა მთავარი მიმართულება — გამართლების მცდელობა იმათი, ვინც წამოიწყო ომი და სამხედრო დანაშაულებში აქტიურად მონაწილეობდა.**

1985 წელს გერმანიის კანცლერმა კოლმა და აშშ-ის პრეზიდენტმა რეიგანმა დემონსტრაციულად მოინახულეს ქ. ბიტბურგის სასაფლაო, სადაც ესესელები არიან დამარხული. იმავე წელს კოლმა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ელცინმა სტალინგრადის ბრძოლის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით გაცვალეს წერილები, სადაც ფაშისტი აგრესორებისა და სტალინგრადის დამცველთა ცნებები ჩანაცვლებულია ორივესთვის მისადაგებული „ომის მსხვერპლთა“ ცნებით, რომლებიც სტალინგრადში დაეცნენ.

**ფსიქოლოგიური ომის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქცა „ოკუპაციის მუზეუმებისა“ და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების შექმნა, რომლებიც „საბჭოთა გენოციდის“ საკითხებს შეისწავლის. დღეისთვის ასეთი მუზეუმები გახსნილია პრაქტიკულად ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში.**

ამ საეჭვო ერთსულოვნების უკან დგას დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ შემუშავებული და დაფინანსებული ოპერაცია, რომლის მიზანია მეორე მსოფლიო ომის შეფასების დამკვიდრებულ წარმოდგენათა ძირფესვიანი შეცვლა ამერიკა-ინგლისის სასარგებლოდ.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრ ოკოროკოვის შენიშვნა. მეცნიერი იმოწმებს იერუსალიმის სიმონ ვიზენტალის ცენტრის დირექტორის — ზუფორდის შენიშვნას, რომელიც აცხადებს, რომ **ლიტველებმა, ლატვიელებმა და ესტონელებმა ჰიტლერელთა მხეცობა კომუნისტური რეჟიმის წარმომადგენელთა მოქმედებას რომ გაუთანაბრეს, ფაქტობრივად, თავი იმართლეს იმ დანაშაულობებში, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში თავად ჩაიდინეს.** ზუფორდის სიტყვებით, **„ბალტიისპირეთის ქვეყნების მანევრი მიზნად ისახავს, კომუნისტური რეჟიმების მიერ განხორციელებული „გენოციდის“ შესახებ ლაპარაკით ბალტიისპირელთა პასუხისმგებლობის გადაფარვას ებრაელი ხალხის ამოწყვეტის გამო ნაცისტური ოკუპაციის ჟამს“.**

ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, **ქუთაისის დიდების მემორიალის აფეთქება, რომელსაც უდანაშაულო დედა-შვილი შეეწირა, აშშ-ის მხარდაჭერით განხორციელდა.**

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის კიდევ ერთი მხარე.

ამერიკული „მანჰეტენის პროექტის“ (ატომური ბომბის პროექტის შექმნის) ერთ-ერთი მამისა და მთავარი მონაწილის, უნგრელი ემიგრანტი ფიზიკოსის — **ლეო შილარდის** აზრით, ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის გამო ამერიკელებმა ნიუნბერგის პროცესი და უმკაცრესი სასჯელი დაიმსახურეს. XXI საუკუნის დასაწყისისთვის კი იგივე ამერიკელები ლამის ღვთივმოვლენილ კეთილისმყოფელებად იქცნენ... ტრაგედიის მთავარი დამნაშავე კი, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირია. ჰიროსიმას მუზეუმშიც კი მითითებულია, რომ „ატომური დაბომბვის შემდეგ სტალინი მუხანათურად თავს დაესხა იაპონიას, რის შედეგადაც იაპონიამ დაკარგა ძირძველი ტერიტორიები“. უფრო მეტიც, ჰიროსიმას პრესსამსახურის ცნობით, იაპონელი მოსწავლეების 25 პროცენტი ფიქრობს, რომ ატომური ბომბი მათ ქვეყანაზე საბჭოთა კავშირმა ჩამოაგდო...

ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ ამის გამგონე ატომური აფეთქების მსხვერპლთა მასა რომ გადაბრუნდეს, ისე შებარბაცდება ეს კუნძულოვანი ქვეყანა, რომ ამასწინანდელი მიწისძვრა მონაგონი იქნება!

**„ფსიქოლოგიური ომი დიადი გამარჯვების წინააღმდეგ გრძელდება, ყოველგვარი „გადატვირთვის“ მიუხედავად“,** — ასკვნიან ექსპერტები.

უნდა დავეთანხმოთ.

**არმაზ სანებლიძე**



**ქუთაისის დიდების მემორიალის აფეთქება, რომელსაც უდანაშაულო დედა-შვილი შეეწირა, აშშ-ის მხარდაჭერით განხორციელდა**

კონფერენცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„ქართულ და აფხაზურ ინტერნეტფორუმებზე უნისონში მიმდინარეობს ჩემი ლანძღვა-გინება. FACEBOOK-ზე მომდის საშინელი წერილები, ძალიან საინტერესოა, რომ ზოგი კრემლის აგენტად, ზოგიც სააკაშვილის აგენტად მიმიჩნევს. აფხაზეთში გაჩნდა ისეთი ხასიათის პუბლიკაციები, როგორიცაა მაგალითად — პოლიტოლოგმა მამუკა არეშიძემ აფხაზეთის დაბრუნების „ეშმაკური გეგმა“ შემოგვთავაზა, ანუ ფიქრობენ, რომ ეს მათთვის წამგებიანია, მაგრამ მზად ვარ, ეს ყველაფერი ავიტანო“.**

# მამუკა არეშიძე: საქართველოს მიერ ჩერქეზების გენოციდის აღიარება დასავლეთის კარნახით მოხდა

**კავკასიის საკითხების ექსპერტის — მამუკა არეშიძის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ წამოჭრილმა იდეამ, როგორც ქართულ, ისე აფხაზურ საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. აღნიშნული იდეის განხორციელებაზე, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებსა და კავკასიაში არსებულ ვითარებაზე „საქართველო და მსოფლიოს“ მამუკა არეშიძე ესაუბრა.**



**— საქართველოს პარლამენტის მიერ ჩერქეზების გენოციდის აღიარება რას მოუტანს საქართველოს?**

— ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს მიერ ჩერქეზების გენოციდის აღიარება დასავლეთის კარნახით მოხდა. ჩერქეზების გენოციდის აღიარებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ მიიღო დამატებითი ქულები ჩერქეზების თვალში და დასავლეთის ერთ-ერთი დაკვეთაც შეასრულა, მაგრამ უარყოფითი შედეგი მივიღეთ უამრავი. როგორც ყოველთვის, საქართველო ჩვენი ამბიციურობის გამო, იყო და არის გარკვეული ცდების ლაბორატორია. ანტისაბჭოთა გამოსვლებიც პირველად საქართველოში დაიწყო. სხვები ჩვენს შეცდომებზე სწავლობენ. სავარაუდოდ, გენოციდის აღიარებას ახლა სომხები მოითხოვენ.

**— როგორ უნდა მოიქცეს საქართველო ამ შემთხვევაში?**

— არ ვიცი. **შესაძლოა, ქართველებსა და სომხებს შორის დაძაბულობის ახალი კერა გაჩნდეს. ჩერქეზების გენოციდის პოლიტიკური აღიარების კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. დღეს ჩვენ გაგვიჩნდა პრობლემები არამარტო სომხებთან და ოსებთან, არამედ პონტოელ ბერძნებთან (რომლებიც საქართველოდან გაასახლეს), თურქ მესხებთან, ქურთებთან, რომლებიც ასევე ითხოვენ მათი გენოციდის აღიარებას. რუსეთს შეუძლია საერთაშორისო დონეზე პრობლემები შეგვიქმნას, იმიტომ, რომ ჩვენი გადაწყვეტილება გამოჩნდა კონიუნქტურული. თუ არადა, ყველას გენოციდი უნდა ვაღიაროთ, რაც შეუძლებელია. მძიმე მდგომარეობაში ჩავიგდეთ თავი და არ ვიცი, ქართული დიპლომატია ამ საკითხს თავს როგორ გაართმევს.**

**— თქვენ არ გამორიცხეთ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომის დაწყების შესაძლებლობა. როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში საქართველო?**

— თუ ომი დაიწყო, ეს ომი აუცილებლად იქნება საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე გადის კომუნიკაციური სისტემა, რომელიც ორივე ქვეყანას სჭირდება. გარანტია აქვს ვინმეს, რომ დაპირისპირებული მხარეები ჩვენს ქვეყანაში დივერსიულ აქტებს არ

მოაწყობენ?

**— სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ომის დაწყების რეალურ საფრთხეს ხედავთ?**

— მალე ყაზანში სომხებს, რუსებსა და აზერბაიჯანელებს შორის გაიმართება შეხვედრა. აზერბაიჯანის ხელისუფლება პირდაპირ აცხადებს — თუ შედეგი ამ შეხვედრიდანაც ვერ მივიღეთ, სამხედრო გზით პრობლემების მოგვარების გარდა, სხვა გზა არ გვრჩებაო.

**— საქართველოს სომხეთის პატრიარქი გარეგინ მეორე სტუმრობდა, რომელმაც, გავრცელებული ინფორმაციით, სომხური ეკლესიების დაბრუნებისა და სომხური ეკლესიისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭების საკითხი წამოჭრა. რა შედეგები მოჰყვება ამ ვიზიტს?**

— გარეგინ მეორეს ავტორიტეტი საკმაოდ დაცემულია სომხეთში. მას ახლა სჭირდებოდა დემარში, ამიტომ ჩამოვიდა თბილისში და მოითხოვა ეკლესიების დაბრუნება. ამ მიზანს ემსახურებოდა ჯავახეთში მისი ვიზიტიც. მანამდე არც ერთი სომეხი პატრიარქი არ ყოფილა ჯავახეთში. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი ავტორიტეტის ვარდნას ხელს ისიც უწყობს, რომ სომხებს ორი საპატრიარქო აქვთ — ეჩმიაძინსა და კილიკიაში, სადაც ერთობა არ არის. **სომხურმა მხარემ არ მიიღო საქართველოს პატრიარქის წინადადებები და სომხებმა 16 ივლისს დანიშნეს სინოდის სხდომა, სადაც აუცილებლად დააყენებენ საკითხს საქართველოდან ჯავახეთის ეპარქიის გამოყოფის თაობაზე. არასასიამოვნო ეპიზოდი გველოდება. ამას მოჰყვება მათი გენოციდის აღიარების მოთხოვნა...**

**— ცოტა ხნის წინათ თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი უნდა განიხილოს. დავუშვათ და აღიარა საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ამ ნაბიჯით რა შედეგს მიაღწევს ქვეყანა?**

— დღეს რა ვითარებაა? აფხაზეთთან არანაირ მოლაპარაკებას არ ვაწარმოებთ და, უკვე მერამდენე წელია, არაფერი იცვლება. ჩვენ ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რა მდგომარეობაა დღეს აფხაზეთში. აფხაზებს რთული დემოგრაფიული ვითარება აქვთ. უკეთესი პირობების საძებნელად ბევრი აფხაზი ქვეყნიდან მიდის, მათ ადგილს კი სხვა ეთნიკური ჯგუფები იკავებენ. ვფიქრობ, სწორედ ამ ვითარების გათვალისწინებით, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების დაწყების დროა. თუ გვინდა, აფხაზეთის დაბრუნების ერთი შანსი მაინც გვქონდეს, ისეთი რამ უნდა შევთავაზოთ აფხაზებს, რაც მათ ჩვენს იძულებით მოკავშირეებად აქცევს.

**— რა გახდა აღნიშნული განცხადების საფუძველი? აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხთან დაკავშირებით ხედავთ ხელისუფლების ან საზოგადოების მზაობას?**

— არამარტო ამ საკითხში, საერთოდ აფხაზეთთან დაკავშირებით მე ვერ ვხედავ საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების მზაობას. ყველა ელოდება, რომ აფხაზეთს ჩვენ თვითონ კი არა, საერთაშორისო თანამეგობრობა დაგვიბრუნებს.

**— საქართველოს ხელისუფლებამ რომ აღიაროს კიდეც აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რა რეაქცია ექნება ქართულ საზოგადოებას, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას მტკივნეულად აღიქვამს?**

— ვიცი, ჩემნაირად ბევრი ფიქრობს, მაგრამ რატომღაც ყველა ჩუმადაა და თავის ავტორიტეტს უფრთხილდება. ხელისუფლებაც კი (რომელსაც დარწმუნებული ვარ, ამ თვალსაზრისით რაღაც მონახაზები აქვს) ვერ ბედავს ვერაფრის თქმას, ვერ ბედავს ვერც ოპოზიცია. მახსოვს, ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძე ამბობდა, კონფედერაციის იდეა რომ წამოვაყენო, ხალხი გამგლიჯავსო. მაგრამ დღეს სხვა რეალობაა. არადა, ვიღაცამ ხომ უნდა თქვას, რაღაცით ხომ უნდა დავიწყოთ? ის, რომ ეს საკითხი ასე მარტივად არ გადაწყდება, გასაგებია და ის, რომ აფხაზები შეიძლება ჩვენს წინადადებას საერთოდ არ დასთანხმდნენ, ესეც შესაძლებელია.

**— თქვენ გაქვთ აფხაზებთან ურთიერთობა, როგორია რიგითი აფხაზების დამოკიდებულება ქართველებისადმი?**

— აფხაზებს უარყოფით დამოკიდებულება აქვთ ქართველებისადმი, მაგრამ, ვანუატუასა და ვენესუელასთან ერთად საერთაშორისო ასპარეზზე რომ ვერ გავლენ, ცხადია. ხოლო ჩვენ, რასაკვირველია, ჩვენს პირობებს წამოვაყენებთ. თუ საქართველო აღიარებს აფხაზების დამოუკიდებლობას, მაშინ მათაც უნდა შეასრულონ რამდენიმე პირობა და ვიდრე ისინი ჩვენს პირობებს არ შეასრულებენ, არავითარ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე საუბარი არ შეიძლება იყოს.

**— თუ შეგეხმიანათ ვინმე საქართველოს ხელისუფლებიდან ან აფხაზეთიდან ამ იდეის გახმიანების შემდეგ?**

— ქართულ და აფხაზურ ინტერნეტფორუმებზე უნისონში მიმდინარეობს ჩემი ლანძღვა-გინება. Facebook-ზე მომდის საშინელი წერილები, ძალიან საინტერესოა, რომ ზოგი კრემლის აგენტად, ზოგიც სააკაშვილის აგენტად მიმიჩნევს.

აფხაზეთში გაჩნდა ისეთი ხასიათის პუბლიკაციები, როგორიცაა მაგალითად — პოლიტოლოგმა მამუკა არეშიძემ აფხაზეთის დაბრუნების „ეშმაკური გეგმა“ შემოგვთავაზა, ანუ ფიქრობენ, რომ ეს მათთვის წამგებიანია, მაგრამ მზად ვარ, ეს ყველაფერი ავიტანო.

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებას, როგორც ჟურნალისტებისგან შევიტყვე, როგორც იციან ხოლმე, ისე, რომ საქმის კურსშიც არ არიან, ხელისუფლების წარმომადგენლებს დაუწყიათ საუბარი, თითქოს მე მინდა, დავაკანონო ოკუპირებული ტერიტორიები. არადა, პირიქით — აფხაზეთის დაბრუნება მინდა.

**— თქვენ ამბობთ, რომ იცოდით, რა რეაქცია მოჰყვებოდა თქვენს წინადადებას. რატომ გაახმიანეთ ეს იდეა და რატომ მაინც და მაინც ახლა?**

— აფხაზეთში ახლა საპრეზიდენტო არჩევნებია და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის განხილვას. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩემს წინადადებას სხვა აზრიც აქვს. შეიძლება სულ არ დაიწყოს მოლაპარაკებები, მაგრამ აფხაზებს ეცოდინებათ, რომ საქართველოში ასეთი განწყობაა. **როდესაც მეკითხებით — ილუზორულია თუ არა ჩემი წინადადება, მე კარგად ვხედავ, რომ ამ იდეის განხორციელება ამ ეტაპზე, შესაძლოა, შეუძლებელი ჩანდეს, მაგრამ იმასაც კარგად ვხედავ, რომ დღეს არსებული პოლიტიკით აფხაზეთი დაკარგული გვაქვს და მისი დაბრუნების არანაირი შანსი არ არსებობს.**

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

# ჩერქეზების ე.წ. გენოციდის აღიარება — პოლიტიკური გადაწყვეტილება კონფრონტაციის გასაღრმავებლად



**2011 წლის 15 ივნისს სასტუმრო „BETSYS HOTEL“-ის საკონფერენციო დარბაზში სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გაიმართა თემაზე: „ჩერქეზი ხალხის ე.წ. გენოციდის აღიარება და მისი შედეგები საქართველოსთვის“. კონფერენციის ორგანიზატორები არიან არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ და ევრაზიის ინსტიტუტი. საინფორმაციო მხარდაჭერას ახორციელებენ გაზეთები: „საქართველო და მსოფლიო“, „ილორი“, ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, უფლებათა დამცველები, ჟურნალისტები და საზოგადოების წარმომადგენლები.**

როგორც თავის მოხსენებაში **„ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელი ტარიელ გაგნიძე** აცხადებს, **„სხვადასხვა საერთაშორისო ანალიტიკური ორგანიზაცია საქართველოს პარლამენტის მიერ ჩერქეზთა ე.წ. გენოციდის აღიარების ფაქტს რუსეთის მიმართ აგრესიულ ნაბიჯად აფასებს“.**

**„ჩერქეზთა გენოციდის თემამ 90-იანი წლებიდან წამოიწია. სხვადასხვა ინტენსივობით გააქტიურებდნენ მას მისი ავტორები, ხან მიჩუმდებოდა და, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად რუსეთთან კონფრონტაციის პოლიტიკა აირჩია, აქტიურად დაიწყო ამ თემის გამოყენება და მუსირება. რუსეთთან კონფრონტაციის პოლიტიკამ რა შედეგებამდეც მიგვიყვანა, ვნახეთ. ამის უკანასკნელი თვალსაჩინო მაგალითი 2008 წლის აგვისტოს მოვლენები და საქართველოს ტერიტორიების 20%-ის დაკარგვაა. ნაცვლად იმისა, რომ ამ ყველაფრიდან დასკვნები გამოეტანა, ხელისუფლება ჯიუტად აგრძელებს აღებულ კურსს, ამჯერად უკვე ჩერქეზთა ე.წ. გენოციდის აღიარებით.**

პირადად მე მიმაჩნია, რომ ამ ქმედებით გამოწვეული შედეგი არ იქნება განსხვავებული იმ შედეგებისგან, რომლებიც რუსეთთან კონფრონტაციით აქამდე მივიღეთ“, — განაცხადა ტარიელ გაგნიძემ.

კონფერენციის კიდევ ერთი ორგანიზატორის, **„ევრაზიის ინსტიტუტის“ დირექტორის გულბაათ რცხილაძის** შეფასებით კი, ჩერქეზთა ე.წ. გენოციდის აღიარება თითქმის არანაირი დადებითი შედეგის მომტანი ნაბიჯი არ არის. **„ჩვენი ქვეყანა სხვადასხვა რისკის წინაშე დგება. ჩრდილოეთ კავკასიაში ხალხი საქართველოს ხელისუფლების პროვოკაციებზე წამოსაგებად და ამით რუსეთთან ურთიერთობის გასაფუჭებლად მოწადინებული არაა. ნაცვლად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ქულები დაიწეროს, ამ ხალხთან ურთიერთობები გაუარესდება.**

საქართველოს პარლამენტს ე.წ. გენოციდის აღიარების თხოვნით რამდენიმე ვითომ დიასპორის წარმომადგენელმა მიმართა და, შესაბამისად, ეს არ შეიძლება ჩერქეზების ინტერესების გამოხატვად ჩაითვალოს“, — აღნიშნა გულბაათ რცხილაძემ.

მომხსენებლების შემდეგ კონფერენციაზე გამოვიდნენ ღონისძიების სხვა მონაწილეები, რომელთაც განსახილველი თემის ირგვლივ საკუთარი შეხედულებები დააფიქსირეს:

▶

კონფერენცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ისტორიული მეხსიერების აფორიაქების მცდელობა ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივების მიზნით, სისხლიანი კონფლიქტების პროვოცირება და მათი გამოყენება ცალკეული ქვეყნების გეოპოლიტიკურ ინტერესებში კატეგორიულად მიუღებელია. ეს განსაკუთრებით სახიფათოა კავკასიაში — მრავალეროვნულ რეგიონში, რომლის ხალხებს ერთმანეთთან ურთიერთობის რთული ისტორია აქვთ.**

# ქ. თბილისში 2011 წლის 15 ივნისს ე. წ. ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღიარების შესახებ გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეთა ერთობლივი განცხადება



**აშკარაა, რომ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ ინიცირებული ჩერქეზული წარმოშობის ხალხთა ე. წ. გენოციდის თემის განხილვა სახელმწიფო სტრუქტურების დონეზე და ამ ე. წ. გენოციდის ოფიციალური და საზეიმო აღიარება პარლამენტის მიერ განპირობებულია საქართველოსა და რუსეთს შორის ამჟამად არსებული ურთულესი სიტუაციით. საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს გამოუცხადა ერთგვარი „ცივი ომი“, უკვე დიდი ხანია, ხელისუფლების წარმომადგენლები რუსეთის მუდმივ ოპონენტებად იქცნენ, რაც ხშირ შემთხვევაში ელემენტარული დიპლომატიური ეთიკის ფარგლებსაც კი სცილდება. კონფერენციის მიზანი მხოლოდ იმის დადგენა იყო, თუ რამდენად შეიძლება, საქართველოს პარლამენტის მიერ ჩერქეზთა ე. წ. გენოციდთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება იყოს საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, ანუ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისი.**

ჩვენ გავითვალისწინეთ საკითხის ამგვარი დასმისთვის შესაძლო კრიტიკა ჩვენი მისამართით. მავანთ შეიძლება უარყონ ჩერქეზული ხალხების საკითხის განხილვის ანტირუსული სარჩული და განაცხადონ, რომ ე. წ. გენოციდის აღიარება ჭეშმარიტების დადგენისა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენისთვის გაკეთდა, რაც თავისთავად უნდა მოვიაზროთ საქართველოს ინტერესების შესაბამისად. მაგრამ ირკვევა, რომ საქართველოში საკითხი არ იქნა სიღრმისეულად განხილული, ხოლო ხელისუფლების მიერ მოწვეულ ქართველ მკვლევართა ჯგუფს, რომლის დასკვნების საფუძველზეც პარლამენტმა ფორმალურად აღიარა ე. წ. გენოციდი, არ გააჩნია იმის კომპეტენცია, ამა თუ იმ მოვლენას მისცეს ისეთი პრობლემური კვალიფიკაცია, როგორიც გენოციდია.

რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის, მათ შორის, ყაბარდოს შემოერთება დრამატული, მაგრამ ამასთან მსოფლიო ისტორიისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. რუსეთის მიერ კავკასიის მთიანეთის დაპყრობა და ათვისება ოსმალეთის იმპერიის გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა, ოსმალეთი კი რუსეთთან ამ გეოპოლიტიკურ ჭიდილში, როგორც ცნობილია, რელიგიურ ფაქტორს აქტიურად იყენებდა. ჩერქეზული ხალხების ზერელე, ფორმალური, მაგრამ მაინც ისლამიზაცია საკმარისი იყო იმისათვის, რომ ისინი რუსეთს აქტიურად დაპირისპირებოდნენ, ოსმალური იმპერიის წაქეზებით. რუსეთის იმპერიას ყაბარდო-ჩერქეზთა მიმართ იმაზე მეტი არაფერი ჩაუდენია, რაც არ ჩაუდენიათ ევროპელ კოლონიზატორებს ყველა დანარჩენ კონტინენტზე. დასავლეთის კოლონიზატორული პოლიტიკის პირობებში მსოფლიოში სისხლის ზღვა დადგა, მრავალი ცივილიზაცია და კულტურა გადაშენდა, აღარ არსებობს ბევრი ეთნოსი და ენა, რომლებიც უწინ არსებობდა. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ თანამედროვე სახელმწიფოებმა დაიწყონ მსოფლიო ისტორიის ცალკე აღებული ვრცელი ეპიზოდების კვალიფიცირება გენოციდად. გამოდის, რომ მთელი მსოფლიო ისტორია გენოციდის უამრავი ფაქტისგან შედგება, რაც თავად ამ ტერმინის გაუფასურებასა და ნიველირებას ახდენს, არღვევს მის განსაკუთრებულობას, სიმძიმეს უკარგავს მას.

რაც შეეხება ე. წ. ჩერქეზთა გენოციდის აღიარების სარგებლობა-მავნებლობას საქართველოსათვის, ჩვენი აზრით, პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქართულ სახელმწიფოს აყენებს რამდენიმე სერიოზული პრობლემის წინაშე, რომლებიც თავს იჩენს როგორც ახლო, ისე შორეულ პერსპექტივაში.

**პირველი.** საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც გამოიჩინა „ორიგინალობა“ და აღიარა ე. წ. ჩერქეზთა გენოციდი. მოსალოდნელი არ არის, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფო საქართველოს მხარს აუბამს. ამრიგად, გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს მარგინალიზაციისკენ საერთაშორისო არენაზე.

**მეორე.** რუსეთის ფედერაციაში ჩრდილოკავკასიელ ხალხებს, მათ შორის, ჩერქეზებს, ყაბარდოელებს, ადიღელებს — აქვთ საკუთარი ავტონომიური რესპუბლიკები, რომლებიც მოსკოვის დოტაციებზე არიან დამოკიდებულნი. ამ რესპუბლიკებს არავითარი ინტერესი არ გააჩნიათ, აუმხედრდნენ რუსებს ისტორიულ საკითხებთან დაკავშირებით. თურქეთისა და არაბული ქვეყნებისგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ ჩრდილოკავკასიელებს აქვთ თავიანთი ავტონომიები, სკოლებში მშობლიურ ენებზე განათლების მიღების საშუალება, უმაღლესი სასწავლებლები, ეროვნული კულტურის კერები... მოსწონს საქართველოს ხელისუფლებას თუ არა, ეს ხალხები ლოიალურად არიან განწყობილი რუსეთის მიმართ და არ ამჟღავნებენ ტენდენციას, აჰყვნენ საქართველოს ხელისუფლებას, რაც ისევ და ისევ ამ უკანასკნელს აგდებს უხერხულ მდგომარეობაში და ამით საქართველოს ინტერესები ზარალდება. საქართველო ვარდება ერთგვარად კომიკურ ვითარებაში, როდესაც იგი ცდილობს, ჩრდილოკავკასიელ ხალხებს მოახვიოს თავისი შეხედულებები მათ საკუთარ ისტორიასთან დაკავშირებით. მაგრამ საფრთხე მხოლოდ ამაში არ მდგომარეობს. სავსებით შესაძლებელია, რომ „გენოციდის აღიარებამ“ საქართველოს მიმართ აღნიშნული ხალხები უფრო ნეგატიურად განაწყოს, რადგან მათ შეუძლიათ, ეჭვი შეიტანონ ქართული მხარის გულწრფელობაში და იგი მათსა და რუსეთს შორის ეროვნებათაშორისი შუღლის ჩამოგდებისა და პროვოკაციის მცდელობაში დაადანაშაულონ. თბილისში მოწვეული ზოგიერთი უცხოური დიასპორის წარმომადგენლის აზრი ვერ გადაფარავს ჩრდილოკავკასიელთა რეალურ განწყობებს. ეს აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორია. საქართველოს შეიძლება ბევრად უფრო აქტიურად „შეახსენონ“, რომ ჩრდილოკავკასიელთა ძალისმიერი დამორჩილება ხშირ შემთხვევაში ქართველთა ხელით ხორციელდებოდა და აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების ხსენებული გადაწყვეტილებით „გენოციდში“ ქართველების დადანაშაულების წინაპირობა შეიქმნა.

**მესამე.** საქართველოს ხელისუფლება არ ითვალისწინებს, რომ რუსეთის იმპერიას თავის დროზე არანაკლებ რთული ურთიერთობა ჰქონდა აფხაზ ეთნოსთან, რომლის დიდი ნაწილი აიყარა და ოსმალეთში გადავიდა. აფხაზებს ისტორიის ეს მონაკვეთიც კარგად ახსოვთ, მაგრამ მთლიანობაში აფხაზები რუსეთის მიმართ მეტად ლოიალურად არიან განწყობილნი და მძიმე ისტორია მათ ხელს არ უშლით, ორიენტაცია რუსეთზე აიღონ და არა საქართველოზე. საქართველოს ხელისუფლების ლოგიკით, თუკი ე. წ. ჩერქეზთა გენოციდი იქნა აღიარებული, მაშინ აფხაზთა მუჰაჯირობაც „გენოციდად“ უნდა შეფასდეს. საქართველოს ხელისუფლება აღიარებს „აფხაზთა გენოციდს“ თუ არ აღიარებს, იგი 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური და 2008 წლის ქართულ-ოსური ომის შემდეგ ერთობ გროტესკულ ვითარებაშია მოქცეული.

**მეოთხე.** ჩერქეზთა „გენოციდის“ საკითხი 1990-იანი წლებიდან მსოფლიოს მასშტაბით აშშ-ის შექმნილმა საერთაშორისო სტრუქტურებმა წამოჭრეს, ამ პროცესში ძალიან მალე დაუფარავად ჩაერთნენ აშშ-ის სპეცსამსახურების წარმომადგენლები (მაგალითად, პოლ ჰენზე), გამოიცა ტენდენციური მასალები ე. წ. ჩერქეზთა გენოციდთან დაკავშირებით, ადიღეურ-ჩერქეზული დიასპორების წარმომადგენლებს აშშ-მა და ევროკავშირმა გრანტები გამოუყვეს,… ხოლო 2010 წლის ნოემბრის ბოლოს ამერიკული ჯეიმსთაუნის ფონდისა და ილიას უნივერსიტეტის ორგანიზებით თბილისში ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „მიჩქმალული ერები — ბოროტმოქმედებები გრძელდება. ჩერქეზები და ჩრდილოკავკასიელი ხალხები წარსულსა და მომავალს შორის“. სწორედ ამ კონფერენციაზე მიიღეს მიმართვა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისადმი. ყოველივე ეს იძლევა საფუძველს, ვთქვათ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ ე. წ. ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ამ კამპანიის შემადგენელი ნაწილია, არ არის დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და ემსახურება საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად დაძაბვას. ამასთან, რა თქმა უნდა, როგორც ეს უკვე ნაწილობრივ აღინიშნა, აშშ თვითონ არ აპირებს წინა პლანზე გამოჩნდეს და რაიმე „გენოციდი“ აღიაროს ჩრდილოეთ კავკასიაში.

**მეხუთე.** ე. წ. ჩერქეზთა გენოციდის აღიარება უხერხულობას ქმნის მეზობელ სომხეთთანაც, რომლის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია თურქეთში სომეხთა გენოციდის აღიარება. საქართველოში ე. წ. ჩერქეზთა გენოციდის აღიარების საკითხი დააყენეს ჩერქეზთა ერთ-ერთი დიასპორის ცალკეულმა წარმომადგენლებმა, რომლებსაც ოფიციალურ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში არავითარი სტატუსი არ გააჩნიათ. განსხვავებით ე. წ. ჩერქეზული გენოციდისგან, სომხების გენოციდის აღიარების საკითხს აყენებს სომეხთა სახელმწიფოს (როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის) ოფიციალური ორგანოები და ეს ზოგიერთი სახელმწიფოს პარლამენტმა აღიარა, საქართველოს კი ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს. ჩვენ არ ვაფასებთ, მართებული იქნება თუ არა სომეხთა გენოციდის აღიარება საქართველოს მიერ, მაგრამ ფაქტია, რომ პრიორიტეტი ცალმხრივად მიენიჭა ჩერქეზთა საკითხს. ამ ფონზე „ჩერქეზთა გენოციდის“ აღიარებამ შეიძლება სომხეთის, ისევე, როგორც გავლენიანი სომხური დიასპორების გაკვირვება, განაწყენება და გააქტიურება გამოიწვიოს, რაც ქართულ მხარეზე შესაბამისი ზეწოლის პროვოცირებას მოახდენს.

**მეექვსე.** ლოგიკის მიხედვით, ჩვენი საკუთარი ისტორიის გადასახედიდან უნდა შევაფასოთ გარკვეული ეპიზოდები „გენოციდად“. საქართველოში ისტორიული მეხსიერება არ ჩამკვდარა და ერს ახსოვს მრავალსაუკუნოვანი ეროვნული უბედურება, რომელიც საქართველოს ისტორიაში „ლეკიანობის“ საერთო სახელწოდებით შევიდა, როდესაც ჩრდილოკავკასიური ტომები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სისტემატიურად არბევდნენ ქართულ სამეფო-სამთავროებს და ამან ასეულობით ათასი ქართველის გატაცების, დამონების, ხოცვა-ჟლეტის აურაცხელი ფაქტი განაპირობა. ქართველ ხალხს ისიც ახსოვს, რომ ამ საშინელებისგან ხსნას ქართველი მეფეები რუსეთის იმპერიასთან მჭიდრო თანამშრომლობაში ხედავდნენ და საბოლოოდ სწორედ რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის მიერთებამ შეწყვიტა საქართველოს ხალხისა და მიწა-წყლის დაუნდობელი ძარცვა და გაჩანაგება.

ჩვენ, კონფერენციის მონაწილეები, მივიჩნევთ, რომ ისტორიული მეხსიერების აფორიაქების მცდელობა ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივების მიზნით, სისხლიანი კონფლიქტების პროვოცირება და მათი გამოყენება ცალკეული ქვეყნების გეოპოლიტიკურ ინტერესებში კატეგორიულად მიუღებელია. ეს განსაკუთრებით სახიფათოა კავკასიაში — მრავალეროვნულ რეგიონში, რომლის ხალხებს ერთმანეთთან ურთიერთობის რთული ისტორია აქვთ. საქართველოს ხელისუფლების სწრაფვა, კავკასიის რეგიონში შორეული ქვეყნების ინტერესები და მითითებები განახორციელოს, გამოუსწორებელ ზიანს აყენებს საკუთარ ხალხს და ართულებს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობას, რაც ცალსახად მიუღებელია და დაგმობის ღირსია.

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:** „მე თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჩერქეზების გენოციდი ეღიარებინა. მაშინვე ვთქვი, რომ პარლამენტში სხვა ეროვნების წარმომადგენლების რიგი დადგებოდა იმავე მოთხოვნებით და ასეც მოხდა. უკვე იმავეს ითხოვენ სომხების, ქურთებისა და მუსლიმანი მესხების წარმომადგენლები. **საქართველოს ხელისუფლების აღნიშნული გადაწყვეტილება სოჭში დაგეგმილი ოლიმპიადის წინააღმდეგაა მიმართული და ის სუფთა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ჩერქეზებთან დაკავშირებით მესიჯი უცხოეთიდან მოდის და ამის უკან სერიოზული ძალები დგანან.** საქართველომ ამ გადაწყვეტილების მიღებით წააგო, სხვებმა კი მოიგეს“.

**თემურ ქორიძე, აიპ „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მთავარი რედაქტორი:** „ეს აღიარება იყო საქართველოს ხელისუფლების უზარმაზარი შეცდომა, მან ამ ნაბიჯით ბევრი რამ დაკარგა. უეჭველია, რომ ეს იყო ნაბიჯი რუსეთის წინააღმდეგ“.

**ნანა დევდარიანი, ექსპერტ-პოლიტოლოგი:** „ეს გადაწყვეტილება მცირერიცხოვანი ჯგუფის წრეში მომწიფდა, რაც დაუშვებელია. გარდა ამისა, ხელისუფლებამ, რომელიც საკუთარი ხალხის გენოციდზე არ დაახამხამებს თვალს, სხვისაზე როგორ უნდა ისაუბროს“...

**როლანდ ჯალაღანია, გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი:** „ვიდრე საქართველოს რუსეთთან კარგი ურთიერთობები აკავშირებდა, მას მყარი პოზიციები ჰქონდა კავკასიაში და ამაზე რუსეთიც უნდა დაფიქრდეს. რაც შეეხება ჩერქეზებს, ყველამ, ვინც ისტორიაში გარკვეულია, კარგად იცის, რომ არანაირი მტკიცებულებები გენოციდთან დაკავშირებით არ არსებობს. ეს არ იყო გენოციდი“.

**დარეჯან ანდრიაძე, ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ პასუხისმგებელი რედაქტორი:** „ჩრდილოკავკასიელებთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ფიქრი აუცილებელი იყო, თუმცა არა რუსეთის გალიზიანების ხარჯზე. საქართველომ ეს საკითხი ძალიან მარტივად გადაჭრა, რითაც ქვეყანა ახალი რისკების წინაშე დააყენა. წარმოუდგენელია, რამდენად ავად შეიძლება მოუტრიალდეს ეს ერს“.

**ირაკლი უბილავა, პუბლიცისტი:** „ვუერთდები ჩემ წინ გამომსვლელთა მოსაზრებას, რომ ეს ნაბიჯი საქართველოს რუსეთთან კონფრონტაციის მეტს არაფერს მოუტანს. ჩრდილოკავკასიელი ხალხი წარმოადგენს გარკვეულ ბუფერს, რაც მას პროამერიკული ქვეყნებისგან განასხვავებს და მისი რუსეთისგან გამოყოფა ჩერქეზეთის აღიარებითა და სხვა დაუფიქრებელი ნაბიჯებით ჩვენთვის დადებით შედეგებს არ მოიტანს“.

**კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ, ასევე, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ კორესპონდენტი ბაია ამაშუკელი, პუბლიცისტი ზურაბ ჯამბურია და სხვები. კონფერენციის დასასრულს მონაწილეებმა ერთობლივი შემაჯამებელი განცხადება მიიღეს.**

**„საქინფორმი“**

ტერორიზმი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95




ყველაფერი გეგმის მიხედვით არ მოხდა. ვერტმფრენებიდან ერთ-ერთი ძალზე სწრაფად დაეშვა და კუდი შენობის კედელს მოსდო. ამის შემდეგ ვერტმფრენი ოპერაციას გამოეთიშა. თავდაცვის დეპარტამენტის სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ეს მოხდა უფრო მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით, ვიდრე მოსალოდნელი იყო. კიდევ ერთი მიზეზი შენობის ირგვლივ შემოვლებული კედლების სიმაღლე გახდა. ამ ყველაფერმა განაპირობა ამწევი ძალის ვარდნა, მაგრამ შესაძლოა სხვა მიზეზებიც ყოფილიყო.

# ბენ ლადენის ლიკვიდაციის

„დისქოვერის“ ფილმის სიუჟეტი რეალურ მოვლენებს ეფუძნება და მასში ამერიკაში ყველაზე ძებნილი ტერორისტის — უსამა ბენ ლადენის შეპყრობის ისტორიაა მოთხრობილი. ეს ეროვნული უშიშროების სამსახურის უმნიშვნელოვანესი დავალება იყო უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. მასში აშშ-ის ყველაზე კარგად ნავარჯიშები ჯარისკაცები — საზღვაო ქვეითთა სპეცდანიშნულების რაზმის წევრები მონაწილეობდნენ და, პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ მისიის ჩავარდნის უფლება არავის ჰქონდა. ფილმში აღწერილია, თუ როგორ მიმდინარეობდა „ალ ქაიდას“ ლიდერის განადგურების ოპერაცია. ეს იყო დავალება, რომელიც ისტორიაში დარჩება.







გაგრძელება. დასაწყისი იხ. №21

სპეცრაზმელების ჯგუფი ჯალალაბადში მდებარე ამერიკული სამხედრო ბაზიდან აბოტაბადისკენ გაემართა.

**ტიმ ბრაუნი, globalsecurity.org:**

— სპეცრაზმს ღამით უჯობს მუშაობა, რადგან ამ დროს სამიზნეს სძინავს და სწრაფად რეაგირებას ვერ შეძლებს.

ჯარისკაცები დანიშნულების ადგილას ორი ერთეული ბლეკჰოუკისა და ორი ერთეული ჩინოკის ტიპის ვერტმფრენებით ჩაიყვანეს. ჩინოკებში ისხდნენ საშტაბო პერსონალისა და დამატებითი ძალების წარმომადგენლები, ამავე ვერტმფრენებით გადაჰქონდათ კავშირგაბმულობის საშუალებებიც. ვერტმფრენ ბლეკჰოუკებს კი დამრტყმელი ჯგუფები გადაჰყავდა. ასეთი ჯგუფი სულ ორი იყო და თითო 12 ადამიანისგან შედგებოდა.

**ჯიმ მიკლაშევსკი, NBC news:**

**— ძირითადად, ესენი საზღვაო ქვეითთა სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ, როგორც ჩვენ გვითხრეს, ოპერაციაში მათ გარდა მონაწილეობდნენ ჯგუფ „დელტას“ წევრებიც.**

მისია „ნეპტუნის შუბის“ პირველი მიზანი რადარებისთვის შეუმჩნევლად გადაადგილება იყო. თუ სპეცდანიშნულების რაზმს აღმოაჩენდნენ მანამ, ვიდრე ძირითად სამიზნემდე მიაღწევდა, პაკისტანის არმია მისი მიმართულებით გამანადგურებლებსა და სახმელეთო ძალებს გაგზავნიდა. აშშ-ის გამანადგურებლები მზადყოფნაში იყვნენ. მაგრამ, სცენარის ამგვარად განვითარების შემთხვევაში, მისია ჩაიშლებოდა, მისი შედეგები კი სერიოზული საფრთხის წინაშე დადგებოდა.

რადარებისთვის რომ შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ, რუკაზე 250-კილომეტრიანი გზა მოინიშნა.

**ტიმ ბრაუნი, globalsecurity.org:**

**— ჩვენმა სპეციალისტებმა დეტალურად დაამუშავეს რუკა, რომელზეც ზედმიწევნით იყო დატანილი რადარების პოზიცია და ასევე ზუსტად იყო განსაზღვრული, თუ როგორ შეიძლებოდა მიზნამდე მიღწევა უსაფრთხოდ.**

პილოტები ღამის ხედვის მოწყობილობებსა და თბოვიზორებს იყენებდნენ. შტაბი მათ ეხმარებოდა, მიწის ზედაპირიდან რაც შეიძლება დაბალ სიმაღლეზე ეფრინათ. შენიღბვისთვის ადგილობრივ რელიეფს სრული დატვირთვით იყენებდნენ.

**მაიკლ დურანტი, ბლეკჰოუკის მფრინავი:**

**— იმისათვის, რომ რადარებს არ შევემჩნიეთ, რაც შეიძლება დაბალ სიმაღლეზე უნდა გვეფრინა. ხანდახან პირდაპირ ხეებს შორის გვიწევდა გაფრენა, ზოგჯერ ყველაფერი გეგმის მიხედვით არც გამოდიოდა.**

სპეცდანიშნულების ამ ჯგუფს უპირატესობა ჰქონდა — საიდუმლო უხილავი ვერტმფრენი ბლეკჰოუკი. ამ ვერტმფრენს ბევრი საერთო აქვს ვერტმფრენ კამანჩისთან, რომლის პროგრამაც 2004 წელს დაიხურა. უხილავ ვერტმფრენზე მიღებულია სპეციალური ზომები, რათა აირეკლოს და შთანთქას რადარების გამოსხივება, შეამციროს გამონაბოლქვის ტემპერატურა და ხმაური. თითოეული ასეთი ვერტმფრენის ღირებულება 60 მილიონი დოლარია.

**დენ გორი, ლექსინგტონის ინსტიტუტი:**

**— ეს ვერტმფრენები სწორედ ამგვარი სიტუაციებისთვის შეიქმნა. მათ შეიძლება ზესრულყოფილები ვუწოდოთ.**

ერთსაათიანი ფრენის შემდეგ ბლეკჰოუკის ვერტმფრენებმა ბენ ლადენის სავარაუდო სამალავამდე რადარებისგან შეუმჩნევლად მიაღწიეს. მათ უკან მიფრინავდნენ ჩინოკები, რომლებიც სრულ მზადყოფნაში იყვნენ იმ შემთხვევისთვის, თუ რაიმე პრობლემა შეიქმნებოდა.

## ბლეკჰოუკის ვერტმფრენებმა ბენ ლადენის სავარაუდო სამალავამდე რადარებისგან შეუმჩნევლად მიაღწიეს

ვერტმფრენებიდან ერთ-ერთი სამსართულიანი შენობის თავზე უნდა დაკიდულიყო და სახურავზე სპეცრაზმელები გადაესხა. მეორე ვერტმფრენი გადმოსვამდა ჯარისკაცების იმ ჯგუფს, რომელიც შენობაში პირველი სართულიდან შეაღწევდა.

**დენ გორი:**

**— ერთი ჯგუფი ზემოდან ქვემოთ ჩავიდოდა, მეორე კი — ქვემოდან ზემოთ ავიდოდა. მსგავსი ოპერაციების განხორციელებისას ეს იდეალური ტაქტიკაა, ვინაიდან სამიზნე ხაფანგში ებმება და გასაქცევი არ აქვს.**

მაგრამ ყველაფერი გეგმის მიხედვით არ მოხდა. ვერტმფრენებიდან ერთ-ერთი ძალზე სწრაფად დაეშვა და კუდი შენობის კედელს მოსდო. ამის შემდეგ ვერტმფრენი ოპერაციას გამოეთიშა. თავდაცვის დეპარტამენტის სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ეს მოხდა უფრო მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით, ვიდრე მოსალოდნელი იყო. კიდევ ერთი მიზეზი შენობის ირგვლივ შემოვლებული კედლების სიმაღლე გახდა. ამ ყველაფერმა განაპირობა ამწევი ძალის ვარდნა, მაგრამ შესაძლოა სხვა მიზეზებიც ყოფილიყო.

**დენ გორი:**

**— ეს ბლეკჰოუკის მოდიფიცირებული ვერსიაა. შესაბამისად, მისი მართვა გაცილებით რთულია, ვიდრე ჩვეულებრივ არის ხოლმე. უფრო მეტიც, რადარებისთვის რომ შეუმჩნეველი დარჩეს, მას გარედან სპეციალური საფარი აკრავს. ვერტმფრენებს ფანჯრებზე რადიოჩამხშობი ფენა აქვს, რაც მფრინავს სივრცეში ორიენტაციაში უშლის ხელს, განსაკუთრებით ღამით.**

ამ შემთხვევის შემდეგ მისიის წარმატებულად დასრულება საფრთხის წინაშე დადგა. ის, შესაძლოა, კიდევ ერთ ჩავარდნილ ოპერაციად ქცეულიყო, როგორც უკვე მოხდა მაგადიშში. მაშინდელი წარუმატებლობა „შავი შევარდნის ვარდნის“ სახელითაა ცნობილი.

**მაიკლ დურანტი:**

**— მისია „შავი შევარდნის ვარდნა“ 1993 წლის 3 ოქტომბერს ხორციელდებოდა. მაშინ ძალზე მნიშვნელოვანი სამიზნე გვყავდა. ამ მისიის შესრულებისას დავიჭერი და ტყვედ ჩავვარდი.**

როდესაც ბენ ლადენის ლიკვიდაციის სპეცოპერაციას პირდაპირ ეთერში უყურებდნენ, თეთრი სახლის ოპერატიულ ცენტრში ეს წარუმატებელი ოპერაცია ყველას თვალწინ ედგა. პრეზიდენტი ობამა და ნაციონალური უსაფრთხოების ჯგუფი აბოტაბადში მიმდინარე პროცესებს უპილოტო საფრენი აპარატების საშუალებით ადევნებდნენ თვალს. ამავე დროს, თეთრი სახლი მოვლენების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას იღებდა ცსს-ის მეთაურისგანაც. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ოპერატიულ ინფორმაცის იღებდა ლენგლის შტაბბინაში მდებარე ოპერატიულ ცენტრში.

**ჯონ ბრენანი, ნაციონალური უსაფრთხოების მრჩეველი:**

**— როდესაც დავინახეთ, თუ როგორ დაეცა ვერტმფრენი ეზოში და ხელახლა აფრენა ვეღარ შეძლო, ჩვენი ნერვები უკიდურეს ზღვრამდე დაიძაბა.**

ბენ ლადენის შეპყრო- ▶






## ორი ჯგუფი გაერთიანდა და 24-ჯარისკაციანი შემადგენლობით შეტევაზე გადავიდა. ბენ ლადენის სახლის შტურმი დაიწყო

ჯარისკაცები ერთი მეორის მიყოლებით გადიოდნენ სხვადასხვა ოთახებში. გზად მათ ქალები და ბავშვები ხვდებოდნენ. ამ დროს ჯარისკაცები ორად იყოფოდნენ — ზოგიერთები ქალებისა და ბავშვების გაკოჭვას ახორციელებდნენ, დანარჩენები კი მთავარი სამიზნის — თავად უსამა ბენ ლადენის გამოჩენაზე იყვნენ ორიენტირებულნი.



ტერორიზმი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# გაუხმაურებელი დეტალები



◀ბის ზედმიწევნით გათვლილი გეგმა საფრთხის წინაშე იდგა. სამიზნე შენობის ტერიტორიაზე ჩამოვარდნილი ერთ-ერთი ვერტმფრენის ბორტზე დამრტყმელი ჯგუფის ნახევარი შემადგენლობა იმყოფებოდა. ვერტმფრენი მწყობრიდან გამოვიდა, მაგრამ ყველა, ვინც მის ბორტზე იმყოფებოდა, გადარჩა.

**ჰოვარდ ვასოინი, სპეცოპერაციაში მონაწილე რაზმის წევრი:**

**— სპეცდანიშნულების რაზმის ნებისმიერი ჯარისკაცი გეტყვით, რომ არც ერთ ოპერაციაზე არ ხდება ყველაფერი ზუსტად ისე, როგორც წინასწარ დაიგეგმა.**

ჯგუფი იძულებული გახდა, გეგმა შეეცვალა. სახურავზე დესანტირება ვერ მოხერხდა. ამის ნაცვლად სპეცრაზმელები შენობის ირგვლივ მდებარე ნაკვეთზე ჩამოვიდნენ ვერტმფრენიდან. ახლა ამ ჯგუფს კედლის იქით გადასვლა უნდა მოეხერხებინა.

**დენ გორი:**

**— კედელში გასასვლელის გაკეთება იყო საჭირო. ამისათვის საჭირო იყო აფეთქების სპეციალისტები, რომლებმაც კედელში გასასვლელი აფეთქების საშუალებით გააკეთეს.**

ორი ჯგუფი გაერთიანდა და 24-ჯარისკაციანი შემადგენლობით შეტევაზე გადავიდა. ბენ ლადენის სახლის შტურმი დაიწყო. თითოეულ სპეცრაზმელს საკუთარი დავალება ჰქონდა შესასრულებელი.

**ტომ ვალენტინი, საზღვაო ქვეითების სპეცრაზმის ოფიცერი:**

**— მათ შორის იყვნენ მედიკოსები, მსროლელები, იყო ინსტრუმენტალური დაზვერვის რამდენიმე სპეციალისტიც.**

სპეცრაზმელებს მსუბუქი ჯავშანჟილეტები ეცვათ, ეკეთათ სათვალეები, რითაც სიბნელეში გადაადგილება იყო შესაძლებელი, და აღჭურვილი იყვნენ შეიარაღების რამდენიმე ტიპით.

**დენ გორი:**

**— თითოეულს ჰქონდა ინდივიდუალურად დაკომპლექტებული შაშხანა სპეციალური სამიზნით. სავარაუდოდ, მათ ასევე ჰქონდათ ყუმბარმტყორცნები დაპროგრამებული ასაფეთქებლებით. ამის წყალობით, მაგალითად, თუ მოწინააღმდეგე იდგებოდა კედელს ან კარს მიღმა, შესაძლებელი იქნებოდა ამ წინაღობის მეორე მხარეს ყუმბარის გაშვება, ის გადაიფრენდა წინაღობას, ჰაერში აფეთქდებოდა და მოწინააღმდეგეს გაანადგურებდა.**

დამრტყმელ ჯგუფში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი წევრი ჰყავდათ — უმაღლეს დონეზე გაწვრთნილი ძაღლები.

**დენ გორი:**

**— ძაღლებს ორი მიზნით იყენებდნენ, პირველ რიგში, — ასაფეთქებლების აღმოსაჩენად, მეორეც, თუ მიწის ქვეშ ბუნკერია, ძაღლი იქ სამიზნის პოვნაში საუკეთესო დამხმარეა.**

ისინი ორ ჯგუფად გაიყვნენ. პირველი ნაწილი სამსართულიანი შენობისკენ გაემართა, მეორე კი — სასტუმრო სახლისკენ, საიდანაც სპეცრაზმელებს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს.

**ჯიმ მიკლაშევსკი:**

— სწორედ ის იყო ბენ ლადენის დამაკავშირებელი. კალაშნიკოვიდან ისროდა, მაგრამ საზღვაო ქვეითებმა მალე მოახერხეს მისი გაუვნებელყოფა. ჯერ თავად დამაკავშირებელი მოკლეს, შემდეგ კი — მისი ცოლიც.

ძირითადი შენობის მძიმე, დაჯავშნული კარი დაკეტილი იყო.

**ჯიმ მიკლაშევსკი:**

**— საჭირო იყო კარის შემტვრევა ან აფეთქება, იმიტომ, რომ ის, ფაქტობრივად, მიუვალი იყო.**

სპეცრაზმელები შენობის პირველ სართულზე შეცვივდნენ. იქ მათ დახვდათ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ცალი ხელი ზურგს უკან ჰქონდა დამალული. იგი მაშინვე მოკლეს, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ მამაკაცს იარაღი არ ჰქონდა.

**ჰოვარდ ვასოინი, სპეცოპერაციაში მონაწილე რაზმის წევრი:**

**— ლეტალური იარაღის გამოყენება ამგვარ შემთხვევებში გამართლებულია — ან მე უნდა მოვკლა, ან მე მომკლავენ.**

უპილოტო საფრენი აპარატები ვიდეომასალას პირდაპირ ვაშინგტონს გადასცემდნენ, მაგრამ მათ კამერებს, ცხადია, არ შეეძლო იმის გადაღება, რაც სახლში ხდებოდა. რამდენიმე უსასრულო წუთის განმავლობაში თეთრი სახლი სრულ გაურკვევლობაში იმყოფებოდა. სურათი, რომელიც მასმედიის საშუალებებმა გამოაქვეყნეს და რომელიც თეთრი სახლის ოპერატიულ ცენტრში შეკრებილებს ასახავს, სავარაუდოდ, სწორედ გადამწყვეტ მომენტშია გადაღებული.

**ჯონ ბრენანი, ნაციონალური უსაფრთხოების მრჩეველი:**

**— სუნთქვაც კი შევაჩერეთ. გვინდოდა, შეგვენარჩუნებინა რწმენა, რომ მისია გრძელდებოდა და მოწინააღმდეგეს არ აღმოვუჩენივართ.**

სინამდვილეში საზღვაო ქვეითების სპეცდანიშნულების რაზმი მოწინააღმდეგეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. სამიზნე შენობასთან ახლომახლო მცხოვრებმა პროგრამისტმა ტვიტერში განათავსა ცნობა იმის თაობაზე, რომ მისი სახლის ირგვლივ ვერტმფრენები დაფრინავდნენ.

პროგრამისტი წერდა: ღამის პირველ საათზე აბოტაბადის თავზე ვერტმფრენები ფრინავენ. ასეთი რამ იშვიათად ხდება.

არც ისე ბევრი დრო რჩებოდა იქამდე, ვიდრე პაკისტანის ხელისუფლება მიმდინარე სპეცოპერაციის შესახებ შეიტყობდა და აბოტაბადის მიმართულებით არმიასა და პოლიციას გაგზავნიდა, ამიტომ



**ცსს-ს მეთაურმა ლეონ პანეტამ თეთრ სახლს მოხსენება გაუგზავნა. მოხსენებაში ნათქვამი იყო: ჩვენ გვაქვს «ჯერონიმოს» ვიზუალური დადასტურება. «ჯერონიმო» უსამა ბენ ლადენის კოდური სახელწოდება იყო**

დამრტყმელ ჯგუფს რაც შეიძლება სწრაფად უნდა ემოქმედა. ამ დროს ჯარისკაცები ერთი მეორის მიყოლებით გადიოდნენ სხვადასხვა ოთახებში. გზად მათ ქალები და ბავშვები ხვდებოდნენ. ამ დროს ჯარისკაცები ორად იყოფოდნენ — ზოგიერთები ქალებისა და ბავშვების გაკოჭვას ახორციელებდნენ, დანარჩენები კი მთავარი სამიზნის — თავად უსამა ბენ ლადენის გამოჩენაზე იყვნენ ორიენტირებულნი.

**ტომ ვალენტინი:**

**— ისინი გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ და შენობის სიღრმისკენ მიიწევდნენ, რათა ბენ ლადენი ეპოვათ.**

სპეცრაზმელები სწრაფად და აგრესიულად გადაადგილდებოდნენ. მაგრამ ბენ ლადენის თავშესაფარში ოთახები დაჯავშნული კარით იყოფოდა ერთმანეთისგან. ამ კარების მთავარი მიზანი სწორედ თავდამსხმელებისგან დაცვა იყო.

**ჯიმ მიკლაშევსკი:**

**— ზოგიერთი გასასვლელი თითქოს ამოქოლილი იყო. ამიტომ, მომდევნო ოთახში რომ გასულიყვნენ, სპეცრაზმელებს კედლების განგრევა უხდებოდათ.**

**დენ გორი:**

**— ამ სახლში ბევრი იყო ბუტაფორიული კარები. ჩვენ გვითხრეს, რომ ბენ ლადენის სახლი ნამდვილი ლაბირინთია. არავინ დავობს, რომ ეს იყო ყველაზე რთული შეტევა, რომელსაც სპეციალური დანიშნულების რაზმი შეეჯახა.**

ბოლოს და ბოლოს ჯარისკაცებმა მეორე სართულისკენ დაიწყეს გადაადგილება. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამ სარისკო დავალებისთვის თავის არიდება გახდებოდა შესაძლებელი.

**დენ გორი:**

**— სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ზემოთ უხდებოდათ გადაადგილება ნაცვლად იმისა, რომ ქვემოთ დაშვებულიყვნენ. ეს კი გაცილებით უფრო რთული საქმეა.**

კიბეზე ასვლისას სამი სპეცრაზმელი ბენ ლადენის შვილს გადააწყდა. იგი დაუფიქრებლად მოკლეს.

**ჯიმ მიკლაშევსკი:**

**— ამ დროს თავისი საძინებლიდან მესამე სართულის კიბესთან გამოვიდა და ქვემოთ გადმოიხედა თავად უსამა ბენ ლადენმა. მან უმალ სროლა დაიწყო. ბენ ლადენი უცებ თავის ოთახში შევარდა, რათა ტყვიებისგან დაეცვა თავი.**

ამ მომენტში პირველად გაჩნდა უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ უსამა ბენ ლადენი ნამდვილად შენობაში იმყოფებოდა. ცსს-ს მეთაურმა ლეონ პანეტამ თეთრ სახლს მოხსენება გაუგზავნა. მოხსენებაში ნათქვამი იყო: ჩვენ გვაქვს „ჯერონიმოს“ ვიზუალური დადასტურება. „ჯერონიმო“ უსამა ბენ ლადენის კოდური სახელწოდება იყო.

ადამიანს, რომელიც პასუხისმგებელია 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარ ტერორისტულ აქტებზე, როგორც იქნა, მიაგნეს.

**ჯიმ მიკლაშევსკი:**

**— ორიოდე წამის შემდეგ საზღვაო ქვეითები უკვე შენობის მესამე სართულზე იყვნენ. კიბეზე ასვლისას მათ დაინახეს ორი პატარა გოგონა, რომლებიც ყვირილით გამორბოდნენ მათკენ.**

ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ორივე გოგონა ხელში აიყვანა და სახიფათო ზონიდან გაიყვანა. დანარჩენი ორი ჯარისკაცი კი ბენ ლადენსა და მის ცოლს შეეჩეხა.



**პრეზიდენტი ობამა და ნაციონალური უსაფრთხოების ჯგუფი აბოტაბადში მიმდინარე პროცესებს უპილოტო საფრენი აპარატების საშუალებით ადევნებდნენ თვალს**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**იმის აღიარების შემდეგ, რომ კონფლიქტი აშშ-ისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისა არაა, ნორვეგიამ გამოაცხადა, რომ 1 აგვისტოს ომში მონაწილეობას შეწყვეტს. გასულ კვირას ნატოს გენერალური მდივანი ალიანსის მომავალშიც კი დაეჭვდა, რადგან, მისი თქმით, „ევროპელებს სურთ, ამერიკელ გადასახადების გადამხდელებს დააკისრონ ხარჯები, რაც მათი შემცირებული თავდაცვითი ბიუჯეტების კომპენსირებას მოახდენს“.**

# სულელების ლაშქრობა ტრიპოლში

**ლიბიაში მიმდინარე ომი მატარებლის დაღუპვას იმდენად არ ჰგავს, რამდენადაც — მსუბუქ ავტოსაგზაო შემთხვევას. დისკომფორტი არის, მაგრამ სერიოზული ტრამვები არ შეინიშნება. როგორც ჩანს, ყველა ამერიკელი პრეზიდენტი ერთ ომს მაინც იწყებს. მართალია, ჯორჯ ბუშმა ორი ომი წამოიწყო, მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, იგი არც თუ მთლად ადეკვატური, იმპულსური და სულელი იყო. მან უზარმაზარი ზარალი მოიტანა, მაგრამ, სხვა თუ არაფერი, მნიშვნელოვან საკითხებს მაინც აყენებდა. ბარაკ ობამა სრულიად საპირისპირო შემთხვევაა. მან მხოლოდ ერთი ახალი ომი წამოიწყო და თანაც ისეთი, რომ ამერიკას განსაკუთრებულ მსხვერპლად და ძალისხმევად არ უჯდება. გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, ეს ომი ბევრად უფრო უხერხულია, მაგრამ რაიმე საბედისწერო დარტყმებს არავინ ელის.**




გასაგებია, რომ მუამარ კადაფი თავების მჭრელია, მაგრამ იგი პენსიაზე დიდი ხნის წინათ უნდა გაეშვათ და არა რეაბილიტაცია მოეხდინათ მისი, თორემ რაღაც უხერხულად გამოდის. **სენატის წამყვანი ქორების სამეული — ჯონ მაკეინი, ჯო ლიბერმანი და ლინდსი გრემი — ორი წლის წინათ „სასიამოვნოდ იჭიმებოდნენ“ ტრიპოლში, ხელს ართმევდნენ მრისხანე დიქტატორს და სამხედრო მხარდაჭერას სთავაზობდნენ.**

**ბრიტანეთმა კადაფის რეჟიმი დემონსტრანტების დარბევის საშუალებებით მოამარაგა და ყველა მშვიდად ყიდულობდა თავის ნავთობს.**

და უცებ, მიმდინარე წლის დასაწყისში, მოკავშირე ხელისუფლებებმა შენიშნეს, რომ კადაფი დასუსტდა და მას ვიღაც აუჯანყდა. თავად კადაფი კი — ჩრდილოკორეელების დასაცინი გულუბრყვილო სულელი — უკვე უარს აცხადებს ტერორიზმზე, ამცირებს რაკეტების რაოდენობას და აჩერებს ბირთვულ პროგრამას. სულაც არაა გასაკვირი, რომ დასავლეთმა სიტუაციით ისარგებლა და დემოკრატიის გავრცობას შეუდგა. ცხადია, ყველაზე დიდი დაჟინებით ნიკოლა სარკოზი გამოირჩევა — მისთვის აუცილებელია, არჩევნებამდე როგორმე წამოწიოს განუხრელად დაღმავალი საკუთარი რეიტინგი.

**რატომ შეუერთდა ამ კამპანიას პრეზიდენტი ობამა? ამას მხოლოდ მკითხაობით თუ დავადგენთ. შესაძლოა, მას გულწრფელად სჯერა, რომ მისი რიტორიკა ქმნის რეალობას.**

ყოველ შემთხვევაში „შესაძლო გენოციდის“ გამო ღელვა ბევრად უფრო „სიმპათიური“ მიზეზია, ვიდრე ბუშის დროინდელი მითი ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის თაობაზე. თუმცა, როდესაც საუბარი იყო ბენღაზზე, არავინ ამხელდა, რომ **კადაფის რიტორიკა მეამბოხეებისკენ იყო მიმართული და არა სამოქალაქო მოსახლეობისკენ, მის ჯარებს კი „მკვლელობათა ორგიები“ არ მოუწყვიათ, ისინი ქალაქებიდან ერეკებოდნენ მათ, ვინც ამ ორგიებს აწყობდა. სინამდვილეში ობამამ ფაქტების ფალსიფიცირება მოახდინა, სწორედ ისევე, როგორც თავის დროზე — ბუშმა.**

**ახლა ნატო ჩრდილოეთ აფრიკის უცნაურ ჩიხშია. ალიანსის თვითმფრინავები, რაკეტები და უპილოტო საფრენი აპარატები ლიბიელებს ხოცავს, ფული სადღაც მიდის, მთავარი მიზანი კი, როგორც ჩანს, ისაა, რომ გაგრძელდეს სამოქალაქო ომი, რომელმაც უკვე შეიწირა ათიდან თხუთმეტი ათასამდე ლიბიელი და გვირაბის ბოლოს არანაირი სინათლე, არავითარი სწრაფი გამარჯვება და საერთოდაც არანაირი გამარჯვება არ ჩანს.**

როგორც ჩანს, ამ ომს დაჟინებით მონდომებულმა ფრანგებმა და ბრიტანელებმა ივარაუდეს, რომ მოვიდოდა კეთილი ამერიკის შეერთებული შტატები და მთელ სამუშაოს მათ ნაცვლად შეასრულებდა. როგორც ჩანს, პრეზიდენტი ფიქრობდა, რომ კადაფი მეორე მილოშევიჩია, რომელიც ომის გამოცხადების შესახებ განცხადების გაგონებისთანავე გატყდებოდა. რაიმე „გეგმა ბ“ კი საერთოდ არ არსებობდა. „კადაფი უნდა წავიდეს, კადაფი წავა“, — თავგანწირვით გაიძახიან ნატოს ჩინოვნიკები. ეს ფრაზა მათ ერთადერთ იმედად, ოცნებად და ლოცვად იქცა.

**დღეს აშშ-სა და ნატოსთვის საუკეთესო გამოსავალი ისაა, თავიანთი ბარგი აკრიფონ და სახლში წავიდნენ. მართალია, ევროპაში ამერიკის რეპუტაციას ეს ვერ გაამყარებს, მაგრამ რეპუტაციის მხრივ დანაკარგის დიდი ნაწილი მას უკვე ჯიბეში უდევს.** თუ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძლიერმა კოალიციამ სამი თვის მანძილზე ისიც კი ვერ გაიგო, თუ როგორ უნდა ჩამოაგდოს მუამარ კადაფი, მაშინ ამ ადამიანებზე სერიოზულად საუბარიც კი არ შეიძლება. და რაც უფრო დიდხანს გრძელდება კონფლიქტი, მით უფრო სულელებად გამოიყურებიან ალიანსის წევრები.

არსებობს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გაკვეთილი: არ დადო ფსონად საკუთარი ავტორიტეტი, თუ საკუთარ ძალებში დარწმუნებული არ ხარ. გერმანია სერიოზულად რისკავდა, როდესაც გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე კენჭისყრისას ხმის მიცემისგან თავი შეიკავა, მაგრამ ახლა ლიბიის ომის ყოველი დღე ადასტურებს, რომ ბერლინი სწორად მოიქცა. პრეზიდენტი კი სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდა: მან გადაწყვიტა, სწრაფად და ლამაზად დახმარებოდა ნატოს, კონფლიქტი კი „არასწორი“ აღმოჩნდა და მთელი ამერიკული დახმარებაც არაა საკმარისი.

**აბსოლუტურად სულელურად გამოიყურებიან საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, რომლებმაც, როგორც გაირკვა, იმდენად შეამცირეს საკუთარი შეიარაღებული ძალები, რომ ბრძოლა აღარ შეუძლიათ. ნატოს დანარჩენმა წევრებმა დაადასტურეს, რომ ქაღალდის ვეფხვები არიან და მწყობრში სათამაშო ჯარისკაცები უყენიათ.**

**მოკავშირეები ურთულეს ლიბიურ კონფლიქტში ისე გადაეშვნენ, რომ რეგიონის რეალიებში საერთოდ არაფერი გაეგებოდათ**

მაგრამ მოკავშირეებს, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი საერთოდ არ ესმით. ორიოდე დღის წინათ ჯეი კარნიმ, თეთრი სახლის პრესმდივანმა, განაცხადა: **„ჩვენ ვთვლით, რომ ეს პოლიტიკა მუშაობს“.** დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ლიამ ფოქსმა, არ დაიჯერებთ და, ეს ყოველივე **„უკიდურესად წარმატებულად“** შეაფასა.

არადა, უკანასკნელი მოვლენები შემდეგნაირია:

უკვე დიდი ხანია, პრეზიდენტი ობამა გაიძახის, რომ **„კადაფი უნდა გადადგეს და ხელისუფლება ლიბიელ ხალხს გადასცეს. ვიდრე ეს არ მოხდება, ზეწოლა მხოლოდ გაიზრდება“.** ნატოდან ანონიმურმა, მაგრამ ოფიციალურმა წყარომ ისიც კი თქვა, რონ **კადაფი „კანონიერი სამიზნეა“. რეალურად, რუსებისა და ჩინელების კითხვებზე პასუხის გაცემისას მოკავშირეებმა უკვე აღიარეს, რომ ისინი დამნაშავენი არიან 1973 წლის რეზოლუციის დარღვევის გამო.** მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ მარტში ადმირალმა მაიკლ მულენმა განაცხადა, რომ მისიის მიზანი კადაფის განადგურება არაა. პრეზიდენტმა კი მაშინვე გადაჭრით უარყო ლიბიელი ლიდერის წასვლის აუცილებლობა და განაცხადა, რომ **„ლიბია ერაყი არ არის და ის, რისი გაკეთებაც აუცილებელი იყო ერაყში, არაა აუცილებელი ლიბიაში“.**

მოკავშირეებმა კი კადაფის დაპატიმრებისა და მისი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის გადაცემის მოთხოვნა დაიწყეს. როგორც ჰიუ რობერტსმა აღნიშნა, ამგვარი მიდგომა პრაქტიკულად იმის გარანტიაა, რომ **„ისინი აპირებენ, ბოლომდე დარჩნენ ლიბიაში და ისე გააფართოონ სამხედრო მოქმედებები, როგორც საჭიროდ ჩათვლიან“.**

მაგრამ ვინ მართავს ახალ ლიბიას, თუ ნატო და აშშ ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებენ? ეს არავინ იცის. **მოკავშირეები ურთულეს ლიბიურ კონფლიქტში ისე გადაეშვნენ, რომ რეგიონის რეალიებში საერთოდ არაფერი გაეგებოდათ.**

აღმოსავლეთის რეგიონები ბუნტის ერთადერთი საყრდენი და ამჟამად „მეამბოხეებად“ წოდებული ისლამისტი ბოევიკების მშობლიური სახლია.

მარტში ადმირალმა ჯეიმს სტავრიდისმა, ნატოს ძალების სარდალმა, განაცხადა: **„დაზვერვის მონაცემების თანახმად, იქ „ალ ქაიდასა“ და ჰეზბოლას უამრავი აქტივისტია“.** ლიბიური „ალ ქაიდას“ ყოფილმა მეთაურმა პირდაპირ განაცხადა, რომ „ამბოხებულების“ ჯარი სავსეა ჯიჰადისტებით, რომლებმაც სასწრაფოდ გამოაცხადეს თავი ოპოზიციად. ცსს-ის დირექტორმა ლეონ პანეტამ აღნიშნა, რომ არსებობენ „ექსტრემისტები“, რომლებთან მიმართებაშიც აშშ, უბრალოდ, ვალდებულია, „უკიდურესად ყურადღებიანი“ იყოს. ცხადია, ბენღაზში დემოკრატებიც არიან, მაგრამ ამგვარი ადამიანები, როგორც წესი, აუცილებლად გავარდებიან ხელისუფლებიდან საომარი მოქმედებების დასრულების შემდგომ.

**არის კი იმედი, რომ ჩვენს იქაურ მოკავშირეებს შორის გაიმარჯვებენ „კარგი ბიჭები“, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი? პასუხი იგივეა: არავინ იცის.** ადმირალი მაიკ მალენი დარდობს: **„პრობლემაა იმის გარკვევა, თუ ვის შეიძლება ენდო“,** ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უილიამ ჰეიგი კი აღიარებს, რომ ომი, შესაძლოა, მომდევნო წელსაც გაგრძელდეს: **„ჩვენ არ ვაპირებთ უკიდურესი ვადის დაწესებას. შობაზე მეკითხებით, მაგრამ ვინ იცის?“.**

არადა, პრეზიდენტი ხომ დაგვპირდა, რომ კონფლიქტი რამდენიმე დღეში მოგვარდებოდა, და ყველანაირი ვადა უკვე ამოწურულია. **უკანასკნელი გამოკითხვების შედეგებმა აჩვენა, რომ ამერიკელთა 60%-ს ლიბიაში ომი არ მოსწონს. ომის წინააღმდეგია უმრავლესობა — მათ შორის დემოკრატებიც, რესპუბლიკელებიც და დამოუკიდებლებიც.**

გაკოტრების ზღვარზე მყოფი ამერიკელები და ევროპელები განაგრძობენ ლიბიის ოპოზიციისთვის „ჰუმანიტარული დახმარების“ გაგზავნას და კიდევ 1,3 მილიარდი დასავლეთში გაყინეს. თუ კადაფი თავის ადგილას დარჩება, ცხადია, ამ ფულს არავინ დააბრუნებს, ლაპარაკიც აღარაა აშშ-სა და ბრიტანეთისთვის უკვე მილიარდს მიღწეულ სამხედრო დანახარჯებზე.

**ალიანსის ერთადერთი სტრატეგია ნელ-ნელა ესკალაციაა. კონფლიქტის 11 კვირის შემდეგ ინგლისმა და საფრანგეთმა, ბოლოს და ბოლოს მოიფიქრეს, საქმეში დამრტყმელი ვერტმფრენები ჩაერთოთ.** ნატოს ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდან საკითხის განსჯის პრინციპია: **„ახლა კი შეშინდება კადაფი და წავა!“**

ახლახან ევროპაში ყოფნისას გეიტსმა მოკავშირეებს მოუწოდა, მონდომება გამოეჩინათ. უპირველესად, გერმანიასა და პოლონეთს გულისხმობდა. ისინი შეგნებულად გაურბიან ფიასკოს, მაგრამ იგულისხმებოდა სხვა ქვეყნებიც, რომლებიც არასამხედრო დახმარებით შემოიფარგლებიან. ამასთან, მან ვერაფრით მოახერხა ამ მოთხოვნის საფუძვლიანობის ახსნა და ბოლოს „სოლიდარობა“ მოიშველია. **იმის აღიარების შემდეგ, რომ კონფლიქტი აშშ-ისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისა არაა, ნორვეგიამ გამოაცხადა, რომ 1 აგვისტოს ომში მონაწილეობას შეწყვეტს. გასულ კვირას ნატოს გენერალური მდივანი ალიანსის მომავალშიც კი დაეჭვდა, რადგან, მისი თქმით, „ევროპელებს სურთ, ამერიკელ გადასახადების გადამხდელებს დააკისრონ ხარჯები, რაც მათი შემცირებული თავდაცვითი ბიუჯეტების კომპენსირებას მოახდენს“.**

ამავე დროს ამბოხებულები მოკავშირეებს არასაკმარის დახმარებაში ადანაშაულებენ და მთელი ეს პრეტენზიები აშშ-ს ეხება.

ამ ფონზე ჯორჯ ბუში მშვენივრად გამოიყურება. ლიბიის ომი თავისთავადაც სისულელეა, მაგრამ კიდევ უფრო სულელურია მისი წარმოების პრინციპი. ჩნდება სურვილი, ითქვას, რომ უარესი არ არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებობს.

**რაც დრო გავა, უფრო და უფრო მეტი ლიბიელი მოკვდება უსასრულოდ გაჭიანურებულ სამოქალაქო ომში და მით მეტი ამერიკული და ევროპული რესურსები გადაიყრება წყალში უაზროდ, მით უფრო დაეცემა დასავლეთისადმი ნდობა, მით მეტი ეყოლება მას მტერი ისლამურ სამყაროში.**

თუ კადაფი ბოლოს და ბოლოს მაინც დაეცემა, ეს სამოქალაქო ომი ახალ სამოქალაქო ომში გადაიზრდება და მოკავშირეებს მოუწევთ, კვლავ ჩაერიონ, ხელისუფლებაში არასაჭირო ხალხი რომ არ მოვიდეს. მაშინ აშშ-სა და ნატოს მოუწევს, ბოლოს და ბოლოს „ნაციონალური მშენებლობით“ დაკავდეს უკვე მესამე მუსლიმანურ ქვეყანაში და ეს ათწლეულობით გაგრძელდება.

**დუგ ბანდოუ**
nationalinterest.org

**ბრიტანეთმა კადაფის რეჟიმი დემონსტრანტების დარბევის საშუალებებით მოამარაგა**

**თავსატეხებს ქმნის ერაყი, საიდანაც მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე სულ 46 ათასი ამერიკელი სამხედრო უნდა გავიდეს. მეთაურები დაუფარავად შიშობენ, რომ კუვეიტის გავლით გასასვლელი გზები ძალზე სახიფათოა შიიტი ბოევიკების მხრიდან შესაძლო თავდასხმების მხრივ. რაც უფრო ახლოვდება ჯარების გაყვანის დრო, მით უფრო მატულობს ძალადობა. გასულ კვირას ხუთი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს და არავინ იცის, როგორ უნდა დაიცვან 17 ათასი ამერიკელი დიპლომატი და სამოქალაქო პირი, რომლებიც იქ უნდა დარჩნენ.**

დაიჯესტი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# სანახევრო ზესახელმწიფოები

**ყოფილი და პოტენციური ზესახელმწიფოების სტატუსის განსაზღვრა დღეს ყველაზე ადვილად ერთი კრიტერიუმით — მათ საკუთრებაში არსებული ავიამზიდების ფლოტით განისაზღვრება. აშშ ამ მხრივ ყოველთვის უფრო მეტ სამხედრო შესაძლებლობებს ფლობდა, ვიდრე მსოფლიოს ყველა დანარჩენი ქვეყანა ერთად. ჩინელებმა, მართალია, უკრაინელებისგან იყიდეს სანახევროდ მზა ავიამზიდი, მაგრამ უახლოესი პერიოდის განმავლობაში მხოლოდ სასწავლო მიზნებისთვის შეძლებენ მის გამოყენებას.**



ბრიტანულ ფლოტს უახლოეს ათწლეულში საკუთრებაში არც ერთი ავიამზიდი არ ეყოლება. ამასთან დაკავშირებით ორიოდე დღის წინათ 1982 წლის არგენტინის წინააღმდეგ ომის დროინდელმა აწ გადამდგარმა მთავარსარდალმა წინასწარმეტყველურად განაცხადა, რომ ამჟამად ბრიტანელები ვერ შეძლებენ ფოლკლენდის ხელში ჩაგდებას.

რჩება მხოლოდ საფრანგეთი თავისი „შარლ დე გოლით“. ვერაფერს იტყვი, ლამაზი გემია, მაგრამ ის ორჯერ პატარაა თავის ამერიკელ კონკურენტებთან შედარებით და, შესაბამისად, შეზღუდულ საბრძოლო შესაძლებლობებს ფლობს.

ამგვარი გემების უკიდურესად რთული და მგრძნობიარე დანადგარები სინამდვილეში დიდი ხნით ძლებენ მნიშვნელოვანი ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის გარეშე, მაგრამ ხანგრძლივი დრო სჭირდებათ იმისათვის, რომ სამუშაო რეჟიმში ჩადგნენ. ამ დროის განმავლობაში კი ისინი ფაქტობრივად მწყობრიდან არიან გამოსული.

ამიტომ **სამხედრო ზესახელმწიფო, რომელიც ერთადერთ ავიამზიდს ფლობს, სანახევროდ ასრულებს თავის მოვალეობებს. ამან შეიძლება იქამდე მიიყვანოს საქმე, რომ ავიამზიდი ტექნიკური მიზეზებით მწყობრიდან გამოვიდეს სწორედ სერიოზული კონფლიქტის მომენტისთვის. ეს კი, ცხადია, სულაც არ შეესაბამება გლობალური ლიდერის სტატუსს.**

**სწორედ საფრანგეთისა და ინგლისის მსგავსი საშუალო დონის ზესახელმწიფოები არიან ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში. ავღანეთის ომმა ისინი აიძულა, თავიანთი სამხედრო შესაძლებლობების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოეყენებინათ მაშინ, როდესაც ნაციონალური პრესტიჟი მოითხოვდა, რომ რამენაირად მუდმივად შეენარჩუნებინათ დიადი ზესახელმწიფოს იმიჯი, ზესახელმწიფოსი, რომელსაც ძალის გლობალური პროექცია შეუძლია. ამ ტერმინში იგულისხმება სახელმწიფოს შესაძლებლობა, აწარმოოს ეგრეთ წოდებული ექსპედიციური ომი. არც თუ იშვიათად ამგვარი ამოცანები ავიამზიდების დახმარებით ხორციელდება.**

თალიბანის ნერვებზე თამაში და ამავე დროს ჩინელების შეკავება უახლოეს მომავალში აღარც ერთ ევროპულ საშუალო დონის ზესახელმწიფოს აღარ შეეძლება. ბრიტანეთის სამხედრო საზღვაო ძალების ადმირალმა მარკ სტენჰოუპმა თავისი ხელისუფლება ორიოდე დღის წინათ გააფრთხილა, რომ ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები კლასის მიხედვით მეოთხე დონის ქვეყანასთან, ლიბიასთან სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობას საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ 90 დღის განმავლობაში შეძლებენ, თუ კონფლიქტის ინტენსივობა დღევანდელ დონეზე შენარჩუნდება.

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც უძველესი ბირთვული ზესახელმწიფოები ძირითადად წარსული ბრწყინვალების ხარჯზე განაგრძობენ ცხოვრებას, ახალბედები კი, ისეთები, როგორიც ჩინეთი, ინდოეთი ან ბრაზილიაა, უახლოეს მომავალში კანდიდატების სტატუსით დარჩენას ვერ გაექცევიან, მიუხედავად იმისა, ცუდია ეს თუ კარგი, ერთადერთ მსოფლიო ზესახელმწიფოდ რჩება ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც კიდევ რამდენიმე წლით მოიმზადა ამ სტატუსის შესანარჩუნებელი გარანტიები.

**TAGEBLATT**

# პატარა ჭუჭყიანი საიდუმლო:
## მართლა მიდის აშშ ერაყიდან და ავღანეთიდან?

**თეთრ სახლსა და პენტაგონში დახურულ კარს მიღმა ჯარების სრულ გაყვანასთან დაკავშირებით დიდი ბრძოლაა. უკან დამხევი არმია იოლი ნადავლია — ეს გაკვეთილი კარგად დაისწავლეს ბრიტანელებმა, რომლებსაც 1842 წელს ქაბულიდან წასვლა ძვირად დაუჯდათ. ბარაკ ობამა, რომელიც საეჭვოა, რომ თვითკმაყოფილი გენერლის — ელფინსტოუნის მემკვიდრე გახადეს, ახლა ორი სხვადასხვა პრობლემის წინაშე დგას: როგორ გაიყვანოს ამერიკული ჯარი ავღანეთიდან და ერაყიდან მაქსიმალურად სწრაფად და მინიმალური სისხლისღვრით და როგორ აიცილოს თავიდან ქვეყნის დაცემა ჯარების გაყვანის შემდგომი ქაოსისას.**



უბრალო პასუხები არ არსებობს. ავღანეთში რამდენიმე ფაქტორი იმაზე მიანიშნებს, რომ ობამამ, შესაძლოა, მომდევნო თვიდან ჯარების შემცირების ტემპი დააჩქაროს. **ომის დანახარჯები, რაც ყოველკვირეულად 2 მილიარდ დოლარში, ყოველწლიურად კი 110 მილიარდში გამოიხატება, ამერიკისთვის სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდება.**

გარდა ამისა, ახლოვდება 2012 წლის არჩევნები, ამერიკელები კი, ისევე, როგორც ბრიტანელები, ძალიან დაიღალნენ მუდმივი ადამიანური დანაკარგებით.

ბენ ლადენის ლიკვიდაციამ „საქმის დასრულების“ შეგრძნება გააჩინა და, ობამას აზრით, ამ განწყობისთვის წინააღმდეგობის გაწევა იოლი საქმე არ იქნება.

ამჟამად ავღანეთში დისლოცირებულია დაახლოებით 100 ათასი ამერიკელი სამხედრო. ისეთი გავლენიანი ადამიანები, როგორიც სენატორი კარლ ლევინია, მოითხოვენ, რომ წლის დასასრულამდე ჯარისკაცების რაოდენობა 15 ათასით მაინც შემცირდეს. ზოგიერთ დემოკრატს სურს, რომ დადგენილ ვადამდე — 2014 წლამდე — ყველა ჯარისკაცი სახლში დაბრუნდეს. ობამა ამბობს, რომ საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ თვის ბოლოს გააკეთებს განცხადებას.

მაგრამ თეთრი სახლისა და პენტაგონის დახურულ კარებს მიღმა ბრძოლაა გაჩაღებული. **ავღანეთში ყოფილი სარდალი, გენერალი დევიდ პეტრეუსი, რომელიც ცსს-ს დირექტორი გახდა, მიიჩნევს, რომ წელს რამდენიმე ათასი ჯარისკაცის გაყვანა საფრთხის ქვეშ დააყენებს ამბოხებულებთან ბრძოლის მის ნაქებ სტრატეგიას.** ერაყის გმირი პეტრეუსი თავისი მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლებისთვის ლამის წმინდანადაა შერაცხული.

მიმავალი, მაგრამ ჯერ კიდევ გავლენიანი აშშ-ის თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი პეტრეუსის სკამზე ზის. **„მინდა, ჩვენი ბრძოლისუნარიანობის ამაღლება მოვსინჯო, ვიდრე ეს პროცესი გრძელდება. ვფიქრობ, არანაირი საფრთხე არ არსებობს“,** — განაცხადა მან გასულ კვირას ავღანეთში. მას ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი შეეწინააღმდეგა და ჯარების შემადგენლობის გაზრდის წინააღმდეგ გამოვიდა.

ობამამ კი სხვა ფაქტორებიც უნდა გაითვალისწინოს. მაგალითად, ავღანეთის ჯარისა და არმიის შესაძლებლობა, საკუთარ თავზე აიღოს ქვეყნის უსაფრთხოება. ამის მზადებაზე პასუხისმგებელმა გენერალმა უილიამ კალდველმა რამდენიმე დღის წინათ გაწელილ პროცესზე, რეიტინგის ვარდნის პრობლემაზე, დეზერტირობასა და კორუფციაზე ისაუბრა. **კიდევ ერთი პრობლემა პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის მმართველობის ხანგრძლივობა და საეჭვო საიმედოობაა. ობამამ უნდა გაითვალისწინოს თალიბანის მონაწილეობით მშვიდობიანი პროცესის სიცოცხლისუნარიანობის გაურკვეველი პერსპექტივები და ჯარების გაყვანის შემდეგ ბოევიკებზე ზეწოლის მეთოდები.**

ორიოდე დღის წინათ გამოქვეყნებულ თავის მოხსენებაში სენატმა ავღანეთში მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის შესახებ გაფრთხილება გაავრცელა. კრიზისი შესაძლოა დადგეს იმ შემთხვევაში, თუ ჯარების გაყვანის შემდეგ ქვეყანა აშშ-ის ფინანსურ დახმარებას აღარ მიიღებს. ცალკეული კვლევების მონაცემებით, ჯარების გაყვანის შემდეგ ავღანეთში ქვეყნის რეკონსტრუქციისთვის მილიარდობით დოლარი აშშ-დან მხოლოდ იმიტომ აღარ გაიგზავნება, რომ რეკონსტრუქციის გაგრძელებისთვის არანაირი გეგმა არ არსებობს.

**ზუსტად ანალოგიურ თავსატეხებს ქმნის ერაყი, საიდანაც მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე სულ 46 ათასი ამერიკელი სამხედრო უნდა გავიდეს. მეთაურები დაუფარავად შიშობენ, რომ კუვეიტის გავლით გასასვლელი გზები ძალზე სახიფათოა შიიტი ბოევიკების მხრიდან შესაძლო თავდასხმების მხრივ. რაც უფრო ახლოვდება ჯარების გაყვანის დრო, მით უფრო მატულობს ძალადობა. გასულ კვირას ხუთი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს და არავინ იცის, როგორ უნდა დაიცვან 17 ათასი ამერიკელი დიპლომატი და სამოქალაქო პირი, რომლებიც იქ უნდა დარჩნენ.**

არსებობს კიდევ ერთი წინააღმდეგობა. ერაყში, ისევე, როგორც ავღანეთში, სავსებით რეალურია მომავლში აშშ-ის კვაზირეგულარული სამხედრო ბაზების დამკვიდრება. ასე რომ, **ჯარების გაყვანის შესახებ ყველა საუბრის უკან ეს პატარა, ჭუჭყიანი ტყუილი იმალება: იანკები სახლში წასვლას არ აპირებენ.**

**GUARDIAN**

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ვორონცოვი იყო ბევრი სასიკეთო საქმის ინიციატორი. თბილისი მშვენდებოდა. მისი ქუჩების დიდი ნაწილი ქვაფენილით დაიფარა. შემდგომ აქ ბრწყინვალე თავადს მ. ს. ვორონცოვს ძეგლს დაუდგამენ. თავად ხელმწიფემ ამისთვის სამი ათასი მანეთი გაიღო. 1876 წელს ძეგლი გაიხსნა, როგორც აღიარება იმ ადამიანის დამსახურებისა, რომელმაც 1854 წელს დატოვა კავკასია და რომელზეც, როგორც ჭეშმარიტ სახელმწიფო მოღვაწეზე, მსჯელობა შეიძლება იმ კეთილი საქმეებით, რომლებიც მან თავისი ძალაუფლების ქვეშ არსებულ მიწებზე გააკეთა.

# ვორონცოვის დროის თბილისი
## კულტურა, ხელოვნება, განათლება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №20-21

მეცხრამეტე საუკუნის შუა წლები ქართული კულტურის, საზოგადოებრივი აზრისა და საერთოდ, ეროვნული ენერგიის აღდგენისა და განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისად არის მიჩნეული. იმჟამინდელმა ქართველობამ, გარეშე მტერთაგან თავდახსნილმა და ფეხზე წამომდგარმა, „თავისი დაკარგული ვინაობის აღდგენაზე“ ფიქრი დაიწყო და ძიებებით აღსავსე გზას დაადგა.

„ქართველ საზოგადოებას XIX საუკუნის პირველ ნახევარში, — როგორც ამას არჩილ ჯორჯაძე შენიშნავდა, — ეროვნულად გარკვეული ფიზიონომია აღარ ჰქონდა. ძველ დროში თუ იყო რაიმე კულტურის ნასახი, თითქოს წაშლილიყო. პოლიტიკურად დასნეულებული ეროვნული სხეული დასნეულდა ზნეობრივად და გონებრივადაც. ორმოციან წლებში უკვე დასრულებული იყო დეზორგანიზაცია ეროვნულ ცხოვრებისა“. ამის შემდეგ კი, ე.ი. XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან, „მიძინებული ერი თითქოს გამოფხიზლდა და დეზორგანიზაციაში მოყვანილი საზოგადოებრივი სხეული გამთლიანებისა და განკურნების იმედმა შეიპყრო... ვორონცოვის ხანა შეიქნა ქართული კულტურის აღორძინების ხანად“.

ასე გაჩნდა ქართულ სინამდვილეში გამოთქმა „ვორონცოვის ხანა“...

კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი (1782-1856) უაღრესად საინტერესო ფიგურად წარმოგვიდგება.

შევეცდებით, ვრცლად მოგითხროთ ვორონცოვის მიერ საქართველოში გატარებული რეფორმების, ქალაქმშენებლობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილის შესახებ, რის გამოც ქართულმა საზოგადოებამ მას თბილისში ძეგლიც კი დაუდგა.





29 სექტემბერს სტუმარი თბილისიდან გავიდა. 1 ოქტომბერს ვანის სომხურ ტაძარში ჩატარდა ლიტურგია. კურთხევის შემდეგ სასულიერო პირები მონასტრის ეზოსკენ გაეშურნენ, სადაც ღარიბი ხალხისთვის, რომელიც ტაძრის შესასვლელთან შეგროვილიყო, 1500 კაცზე გაშლილი სუფრა არქიეპისკოპოსმა მინასმა აკურთხა. მღვდელმა პატკანოვმა გააცნო მათ დღესასწაულის მიზეზი. ტახტის მემკვიდრის მისამართით მხიარული შეძახილები ხალხში დიდხანს გაისმოდა. საპატიო მოქალაქეები გაჭირვებულებს ურიგებდნენ ღვინოს, პურს, მწვანილს, ხორცს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის სამხედრო გუბერნატორი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები.

რუსეთის ტახტის მემკვიდრე ეწვია ეჩმიაძინის მონასტერსაც. ჩრდილოეთ ჭიშკრამდე არმისული, 200 საჟენის მოშორებით მას შეეგებნენ მონასტრის სასულიერო პირები. სტუმარი პატრიარქ ნერსესთან ერთად შევიდა მონასტერსა და ტაძარში.

ეკლესიიდან ტახტის მემკვიდრე პატრიარქის პალატებში გაეშურა, სადაც სპეციალური მისთვის გამზადებული იყო ოთახები.

საღამოს ცხრა საათისთვის შედგა ვახშამი. უფლისწულს მარჯვნივ ნერსესი უჯდა ორ არქიეპისკოპოსთან ერთად, მარცხნივ — თავადი ვ.ო. ბებუთოვი და სხვები. ვახშმის შემდეგ ნერსესი და უფლისწული ცალკე ოთახში განმარტოვდნენ, ყავას მიირთმევდნენ და თერთმეტ საათამდე რუსულად საუბრობდნენ.

მეორე დღეს, 7 ოქტომბერს, ლიტურგიის შემდეგ მისმა უდიდებულესობამ ეჩმიაძინის ტაძრის ღირსშესანიშნაობანი დაათვალიერა; შევიდა სატრაპეზოში, ეჩმიაძინის სინოდის შენობაში და უძველეს სამონასტრო ბიბლიოთეკაში, შემდეგ პატრიარქთან მიირთვა ჩაი, გამომშვიდობებისას მადლობა გადაუხადა მის უწმინდესობას და ერევანში გაემგზავრა.

1850 წლის 29 დეკემბერს თავადი ვორონცოვი პატრიარქ ნერსესს სწერდა: „მისი იმპერატორობის უდიდებულესობა აღფრთოვანებული საუბრობდა ეჩმიაძინზე და თქვენს მასპინძლობაზე; ჩვენც უნდა გვიხაროდეს, რომ დიდი თავადი გვესტუმრა და, უფლის წყალობით, ტახტის მემკვიდრეს საუკეთესო შთაბეჭდილებები შეექმნა ყველაფერზე, რაც მან კავკასიაში ნახა, კარგია ისიც, რომ კავკასიის მცხოვრებლებმა თავისი თვალით ნახეს მომავალი ხელმწიფე და გაიგეს, რამდენად ღირსია იგი მეფობისა“.

როგორც მ.პ. შჩერბინინი აღნიშნავდა, თბილისში მოწყობილი ყოველკვირეული საღამოების, მეჯლისებისა და კონცერტების მიზანი ამ მიწაზე მცხოვრებთა და რუსთა შორის მტრული დამოკიდებულების აღმოფხვრა, მათი შეკავშირება იყო.

არისტოკრატული ცერემონიების ხარჯები თავად ვორონცოვის პირადი სახსრებიდან ნაღდდებოდა.

1845 წელს ამიერკავკასიის მხარის შემოსავალი 1 მილიონ 649 ათას 151 მანეთს აღწევდა; 1849 წელს — დაახლოებით 2 მილიონ მანეთს, ხოლო 1852 წელს — 6 მილიონ 226 ათას 492 მანეთს.

ჩამოსვლის პირველივე დღიდან ვორონცოვმა მის კეთილმოწყობაზე დაიწყო ზრუნვა. ქალაქი იზრდებოდა: თუ 1835 წელს აქ 25 ათასი მცხოვრები იყო, 1847 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობამ 43 ათას 862 კაცს მიაღწია.

ვორონცოვი იყო ბევრი სასიკეთო საქმის ინიციატორი. თბილისი მშვენდებოდა. მისი ქუჩების დიდი ნაწილი ქვაფენილით დაიფარა. შემდგომ აქ ბრწყინვალე თავადს მ. ს. ვორონცოვს ძეგლს დაუდგამენ. თავად ხელმწიფემ ამისთვის სამი ათასი მანეთი გაიღო. 1876 წელს ძეგლი გაიხსნა, როგორც აღიარება იმ ადამიანის დამსახურებისა, რომელმაც 1854 წელს დატოვა კავკასია და რომელზეც, როგორც ჭეშმარიტ სახელმწიფო მოღვაწეზე, მსჯელობა შეიძლება იმ კეთილი საქმეებით, რომლებიც მან თავისი ძალაუფლების ქვეშ არსებულ მიწებზე გააკეთა.

**„ჟამი ხსნისა“, ნაწილი მეექვსე**



გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთვრამეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით იყო სახელგანთქმული სახლი თავად ალექსანდრე ჭავჭავაძისა, რომელიც გახლდათ რუსეთში საქართველოს უკანასკნელი ელჩის შვილი, სამამულო ომის მონაწილე, შემდგომ გენერალ-ლეიტენანტი, მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი. ის უფრო მეტად ცნობილია, როგორც ბრწყინვალე ქართველი პოეტი და საუკეთესო ოჯახის მამა. მისი უფროსი ქალიშვილი ნინო იყო გრიბოედოვის ცოლი; მეორე — ეკატერინე სამეგრელოს მთავრის, თავად დავით დადიანის მეუღლე გახდა.

მემკვიდრეობა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# მეფისნაცვლის დამოკიდებულება მოსახლეობასთან, სასულიერო და ადგილობრივ ლიდერებთან

**მრავალმხრივ განათლებულმა ადამიანმა მ. ს. ვორონცოვმა ნოვოროსიაში, ბესარაბიის მხარესა და კავკასიაში ადგილობრივი მოსახლეობის სულიერი და კულტურული ტრადიციებისადმი ღრმა პატივისცემა გამოამჟღავნა, ცდილობდა, მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა სხვადასხვა რელიგიური კონცეფციის წარმომადგენლებთან.**



მიხეილ სიმონის ძეს მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებდა სომეხთა პატრიარქ ნერსეს მეხუთესთან. 1803 წლის თებერვალში არქიმანდრიტი ნერსესი, შემდგომში ერევნის ხანის წარგზავნილი, თბილისში ჩავიდა, რათა მოლაპარაკებოდა კავკასიის მთავარსარდალს, თავად პ. დ. ციციანოვს ეჩმიაძინის პატრიარქის თანამდებობაზე რუსეთის მომხრის — არქიეპისკოპოს დანიელის დანიშვნის თაობაზე. მოუსმინა რა ნერსესს, ციციანოვმა ერევანში თავისი ადიუტანტი, პორუჩიკი გრაფი მ. ს. ვორონცოვი გაგზავნა რუსეთის ხელისუფლების ბრძანების შესრულების მოთხოვნით. გამგზავრების წინ გრაფმა გაიცნო არქიმანდრიტი ნერსესი. ვორონცოვის მისია წარუმატებლად დასრულდა, რის გამოც თავადი ციციანოვი ერევანზე გალაშქრებას ჩაუდგა სათავეში. ვორონცოვის მეგობრობა ნერსესთან სპარსეთთან ომის დაწყებამდე, განჯის აღებისას განმტკიცდა, როცა ისინი ერთ კარავში ცხოვრობდნენ.

წლების შემდეგ ძველი მეგობრები ბედმა ნოვოროსიაში შეახვედრა ერთმანეთს. ბესარაბიის ოლქის ეპარქიის უფროსი ნერსესი ვორონცოვის სანახავად კიშინიოვიდან ოდესაში ხშირად ჩადიოდა.

ძველი მეგობრების საუბრის საყვარელი თემა იყო კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეები და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები.

ნერსესის შუამდგომლობით ვორონცოვს ერევნიდან და ნახჭევნიდან ყურძნის 35 ჯიშის ლერწები გამოუგზავნეს. მოგვიანებით ვორონცოვმა ჩინეთიდან ჩაის ბუჩქები და სხვა ტროპიკული მცენარეები მიიღო, მან ნაწილი ერევანში გასაგზავნად ნერსეს გადასცა.

**1843 წელს სომხებმა ნერსესი პატრიარქად აირჩიეს. იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა არა მარტო დაამტკიცა ეს არჩევანი, არამედ ნერსესი პეტერბურგში მიიწვია, რათა პირადად გაეცნო იგი.**

**მძიმე ავადმყოფობამ ლამის ორი წელი შეაფერხა ნერსესის ერევანში დაბრუნება. 1845 წლის დეკემბერში პატრიარქი ნერსესი თბილისში ჩავიდა. ძველი მეგობრების გულთბილმა შეხვედრამ გარშემო მყოფთა აღფრთოვანება გამოიწვია.**

**იმყოფებოდა რა 1846 წლის გაზაფხულის ბოლომდე თბილისში, საღამოების უმეტესობას ვორონცოვებთან ატარებდა, რომლებსაც თავადაც უყვარდათ პატრიარქთან სტუმრობა.**

1846 წლის დასაწყისში ვორონცოვი დაკავებული იყო თბილისში კომერციული სასწავლებლის გახსნით. თბილისელ ვაჭართა კრებული სიხარულით გამოეხმაურა პატრიარქის წინადადებას და დაადგინა: **„სომეხთა საზოგადოების სახსრებზე დაარსდეს კომერციული სასწავლებელი ამიერკავკასიაში“, ხელმწიფე-იმპერატორის — ნიკოლოზ პირველის მიერ 1837 წელს ეჩმიაძინის ტახტის მონახულების სამახსოვროდ“.** პატრიარქმა ნერსესმა თავად შეადგინა „კომერციული სასწავლებლის წესდების“ პროექტი.

თავის ანგარიშში იმპერატორს ვორონცოვი სწერდა: **„პატრიარქ ნერსესის მიერ სომხურ ეკლესიაში ახალი დანიშვნების განხორციელება სასიკეთო გამოდგა სომხური ეკლესიისთვის და მისი საქმეების მოგვარებისთვის. ამ ადამიანის დაუღალავმა მოღვაწეობამ და მზრუნველობამ გზა მისცა მრავალ სასარგებლო წამოწყებას, რაც მანამდე ერთ ადგილას იყო გაყინული. თუკი ის მოასწრებს, განახორციელოს თავისი დიდი ხნის სურვილი ეჩმიაძინში სასულიერო სომხური სემინარიის გახსნის თაობაზე, მაშინ ამ სასწავლებელს ფრიად სასარგებლო შედეგები მოჰყვება როგორც თავად სომხური სულიერებისთვის, ისე პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რამეთუ ამ სასწავლებელში სომხები კონსტანტინოპოლიდან, ინდოეთიდან და აღმოსავლეთის სხვა ადგილებიდან თავიანთ შვილებს აუცილებლად გამოგზავნიან განათლების მისაღებად. პატრიარქი, ასევე, დაკავებული იყო თბილისში არსებული სომხური სემინარიის გაუმჯობესებითა და გაფართოებით, რასაც მან საძირკველი ჩაუყარა (როცა აქ ეპარქიას უდგა სათავეში) და რომელიც მას შემდეგ მთლიანად მივიწყებული იყო“.**

მალე თბილისში კომერციული გიმნაზია გაიხსნა, სადაც სწავლობდნენ ვაჭარ სომეხთა შვილები.

1846 წლის გაზაფხულზე პატრიარქი ნერსესი ეჩმიაძინში გაეშურა, სადაც 9 ივნისს უნდა გამართულიყო მისთვის საზეიმო მირონცხება. საომარ მოქმედებებში მონაწილეობამ ხელი შეუშალა ვორონცოვს, ცერემონიას დასწრებოდა. მეფისნაცვლის მიერ ზეიმზე ოფიციალურად წარგზავნილ იქნა იმერეთის გუბერნატორი გენერალ-მაიორი ჟერებცოვი. ვორონცოვის ადიუტანტმა, პოლკოვნიკმა მიკვიცმა პირადად მიულოცა პატრიარქს თავადისა და მისი მეუღლის სახელით.

1846 წლის შემოდგომაზე ეჩმიაძინში გამართულ საეკლესიო ცერემონიალზე პატრიარქი ფრიად კმაყოფილი დარჩა ცნობილი მოგზაურის ა. ნ. მურავიოვის სტუმრობით. სამტომიან ნაშრომში „საქართველო და სომხეთი“ (1848 წ.) მურავიოვმა განსაკუთრებული თავი მიუძღვნა კათოლიკოს ნერსესის პიროვნებას.

პატრიარქ ნერსესის ერთ-ერთი გამოკვეთილი თვისება იყო მისი სტუმართმოყვარეობა. კვირაში ერთხელ მასთან, თბილისში, იკრიბებოდნენ რუსი ჩინოვნიკები — ხანიკოვი, გრაფი სოლოგუბი, თავადი გაგარინი, პოლონსკი, ტოკარევი, მაქსიმოვიჩი, ბერჟე; სასულიერო სასწავლებლის ყოფილი მოსწავლეებიდან: თავადი გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანსკი და ესაძე. არც თუ ისე იშვიათად სტუმრობდნენ ცნობილი ქართველი თავადები მეუღლეებითა და ქალიშვილებით. ვორონცოვები ყოველთვის სიხარულით იღებდნენ პატრიარქის მიწვევებს. გულუხვი მასპინძელი სტუმრებს შირვანის ღვინითა და იშვიათი საუკეთესო სასმელებით უმასპინძლდებოდა.

1853 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა წიგნი „ეგიშ ვარდაპეტის ისტორია“, რომელიც სომხურიდან რუსულად პ.ს. შანშიევმა თარგმნა. შრომა პატრიარქ ნერსესს მიეძღვნა.

**ვორონცოვი ერთნაირად მეგობრობდა მრავალეროვანი კავკასიის როგორც ქრისტიან, ისე მაჰმადიან მოსახლეობასთან.**

თავადი ვორონცოვი ეხმარებოდა საქართველოს ეგზარხოს ისიდორეს, შემდგომში სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტს, რომლის მიმართ იგი უდიდეს პატივისცემას გრძნობდა. შენდებოდა ახალი და რესტავრაცია უკეთდებოდა უძველეს ქრისტიანულ ტაძრებს.

**1853 წელს თავადმა გ. გ. გაგარინმა სიონის საკათედრო ტაძარი მოხატა, რომლის მშენებლობა ვახტანგ მეფის (446-499 წწ.) დროს დაიწყო და VII საუკუნის პირველ ნახევარში დასრულდა. ტაძარი, რომელიც ინახავდა უდიდეს სიწმინდეს — „წმ. ნინოს ჯვარს“, არა ერთხელ დარღვეულა.**

თავადი გაგარინი, რომელიც 1859 წელს გახდა სამხატვრო აკადემიის ვიცეპრეზიდენტი (ეჭირა ეს თანამდებობა 1872 წლამდე), თავის დროზე აღფრთოვანებული იყო ბიზანტიური ხელოვნებით და მისი ნიმუშების მოძიებაში ევროპული და აზიური თურქეთი და იტალია შემოიარა. ის ცდილობდა, ჩასწვდომოდა ბიზანტიური ხელოვნების სულს. თავადმა გაგარინმა მოხატა სიონის ტაძარი ბიზანტიურ სტილში, პირველმა გამოიყენა რა რუსეთში ფრესკული ფერწერის ე.წ. კაუსტიკური მეთოდი, საღებავები მომზადებული იყო განსაკუთრებული ესენციით. მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, გონებამახვილი მხატვარი გაგარინი საქართველოში 1848 წელს ჩამოვიდა, მონაწილეობდა სამხედრო ექსპედიციებში, ბოლოს გენერლის ჩინიც მიიღო.

**კავკასიის მხარის სამოქალაქო მმართველობაში ერთ-ერთი პირველი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ამიერკავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსად და მთავარი სამმართველოს საბჭოს თავმჯდომარედ თავად ვ.ო. ბებუთოვის დანიშვნა. ეს გახლდათ გამორჩეული ნიჭის, უმაღლესი ხელისუფლებისათვის თავგანწირული ადამიანი, კარგად განათლებული და გამოცდილი მმართველი.**

ამ თანამდებობაზე ბებუთოვი ბრწყინვალე კანდიდატურა იყო, მით უფრო, რომ ქართველ მეფეთა დროს თბილისის პოლიცმეისტერის თანამდებობა ბებუთოვების ოჯახში მემკვიდრეობით გადადიოდა, ამიტომ თავად ვასილ ოსიპის ძის დანიშვნა ერთგვარი მლიქვნელობაც იყო, ერთი მხრივ, სომეხთა ბუნებრივი პატივმოყვარეობისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, არ იწვევდა ქართველი არისტოკრატიის გულისწყრომას.

ამგვარად, ხელსაყრელი კანდიდატურის არჩევა საშუალებას აძლევდა მეფისნაცვალს, მხარის პრობლემების კურსში ყოფილიყო და იმავე დროს ადგილობრივი არისტოკრატიის ინტერესებიც გაეთვალისწინებინა. ამას ემსახურებოდა თბილისის გუბერნიის უფროსის თანამდებობაზე საქართველოს უკანასკნელი მეფის საყვარელი ქალიშვილის ვაჟის, გენერალ-მაიორის, თავად ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის დანიშვნა. მართალია, განათლებით ის ბებუთოვს ვერ გაუტოლდებოდა, მაგრამ იყო კეთილსინდისიერი, თავისი საქმის პირნათლად შემსრულებელი გუბერნატორი. ტალანტურ ხელმძღვანელს შეუძლია, თავის გარშემო შექმნას ისეთი გარემოცვა, რომ ნებისმიერი სიტუაციიდან იპოვოს გამოსავალი.

**განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით იყო სახელგანთქმული სახლი თავად ალექსანდრე ჭავჭავაძისა, რომელიც გახლდათ რუსეთში საქართველოს უკანასკნელი ელჩის შვილი, სამამულო ომის მონაწილე, შემდგომ გენერალ-ლეიტენანტი, მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი. ის უფრო მეტად ცნობილია, როგორც ბრწყინვალე ქართველი პოეტი და საუკეთესო ოჯახის მამა. მისი უფროსი ქალიშვილი ნინო იყო გრიბოედოვის ცოლი; მეორე — ეკატერინე სამეგრელოს მთავრის, თავად დავით დადიანის მეუღლე გახდა.**

ქმრის სიკვდილის შემდეგ, 1853 წელს, იგი დაინიშნა სამეგრელოს მმართველად და მონაწილეობდა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, დარჩა რუსეთის მოკავშირე, მიუხედავად სულთნის მიერ შემოთავაზებული ხელსაყრელი წინადადებებისა. მესამე ქალიშვილი სოფიო ცოლად გაჰყვა ბარონ ა. პ. ნიკოლაის. 1848 წელს ის იყო მეფისნაცვლის სალაშქრო კანცელარიის დირექტორი, შემდგომში კი — სახელმწიფო საბჭოს წევრი, ხოლო 1881 წელს განათლების მინისტრი გახდა.

საინტერესო და დრამატულია თავად ორბელიანთა ბედი. თავადი ილიკო ორბელიანი, რომელიც 1842 წელს შეიპყრეს, რვა თვის განმავლობაში შამილის ტყვე იყო; მოგვიანებით ის გმირულად დაიღუპა ბაშ-კადიშლართან. თავადის მამა კი ამ დროს ტყვედ სპარსელებს ჰყავდა.

ქორწინებიდან წელიწადნახევრის შემდეგ, 1853 წლის 20 დეკემბერს, თბილისში თავადის ქალმა ვერა ილიკოს ასულმა ორბელიანმა ქმარი და შვილი ერთ საფლავში დამარხა, ხოლო ექვსი თვის შემდეგ დები — ანა ილიკოს ასული ჭავჭავაძე და ვერა ილიკოს ასული ჭავჭავაძე და ვერა ილიკოს ასული ორბელიანი (ქალიშვილები ქართველი უფლისწულისა და შვილიშვილები გიორგი XII-ისა) — მთიელებმა მოიტაცეს კახეთიდან, ჭავჭავაძეთა წინანდლის მამულიდან.

შამილმა ბრძანება გასცა, ტყვეთათვის არ ეწყენინებინათ და თავის მოკვეთით დაემუქრა მას, ვინც თუნდაც თითს დააკარებდა ქალბატონებს.

ჩვენს ტყვეებს შამილი არასდროს უნახავთ. შამილმა მათ შეუთვალა, რომ მათი დატყვევება შვილის (რომელიც რუსებს ჰყავდათ ტყვედ) გათავისუფლების მიზნით მოხდა.

**შამილის პირველი ვაჟიშვილი სოფელ გიმრებში დაიბადა. 1839 წელს რვა წლის ჯამალედინი რუსული რაზმის უფროსის, გენერალ გრაბეს მძევალი გახდა.**

**პეტერბურგში ჩაყვანის შემდეგ პირადად იმპერატორმა მიიღო იმამის ვაჟი და კადეტთა კორპუსში განამწესა. 1840 წლის იანვარში ბიჭი გადაიყვანეს რუსეთის ერთ-ერთ უძველეს სასწავლო დაწესებულებაში — პირველ კადეტთა კორპუსში.**

**შამილის ვაჟმა სწრაფად ისწავლა რუსული, მისგან არ მოუთხოვიათ რელიგიის შეცვლა, ნება დართეს, კავკასიური ტანსაცმელი ეტარებინა.**

1852 წელს ახალგაზრდა კაცი პორუჩიკი გახდა, იგი ელისაბედ ოლენინზე უნდა დაქორწინებულიყო. იმპერატორი დაჰპირდა, რომ ხელისმომკიდე იქნებოდა მის ქორწილში, მაგრამ მალე ყველა გეგმა დაიმსხვრა — შამილმა შვილის დაბრუნების სანაცვლოდ რუსებს თავადის ქალების — ორბელიანისა და ჭავჭავაძის გათავისუფლება შესთავაზა.

ჯამალუდინმა გადაწყვიტა, დაბრუნებულიყო მთებში და გადაერჩინა ტყვე ქალები. მამასთან დაბრუნების შემდეგ, 1858 წლის სექტემბერში, იმამის ვაჟი გარდაიცვალა. მას ვერც რუსმა ექიმმა უშველა, რომელიც შამილის თხოვნით მეფის მმართველობამ რუსეთიდან გაუგზავნა.

ბავშვობიდან მოწყვეტილი იყო რა მშობლიურ მიწას და აღზრდილი იყო სხვა კულტურულ გარემოში, ჯამალუდინი ვერ შეეგუა მთიელი ტომის ნახევრად ველურ ყოფას. რუსებმა, წაართვეს რა შვილი შამილს, აღზარდეს იგი სულ სხვა ცივილიზაციის ადამიანად და სწორედ ამით მოსწყვიტეს შამილის ფესვებს, უპირველეს ყოვლისა, მისი სულიერებითა და მსოფლმხედველობით.

**ჯამალუდინის ორი ძმა გენერალი გახდა: მუჰამედ-შეფი (1839-1906) — მეფის რუსეთის არმიაში, მუჰამედ-კამილი (1863-1951) — თურქეთში, ხოლო კაზი-მუჰამედმა (1833-1902) სამხედრო სამსახური თურქი მარშლის ჩინით დაამთავრა.**

ყველა ვაჟი მამის ერთგული იყო, რომელსაც ჯერ კიდევ კავკასიის ომის დროს თურქებმა გენერალსიმუსობა უბოძეს.

ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე მირზა კაზემ-ბეგი ამბობდა, რომ „შამილი არა მარტო გმირი იყო, არამედ გმირთა შემქმნელიც“.

**„ჭაში ხსნისა“, ნაწილი მეექვსე**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## ნაგვის გემი

**ტაივანში ერთჯერადი ბოთლებისგან, ძველი სარეკლამო ბანერებისა და სხვადასხვა ტიპის გადამუშავებული ნაგვისგან გემი ააგეს.** გემს „პოლი-ბოტი“ დაარქვეს და ის პირველად 8 ივნისს, ოკეანის მსოფლიო დღეს, გამოსცადეს. იდეის ავტორების თქმით, გემს აქვს მცირე ზომის ელექტროძრავი, რომელიც მზის ელემენტებზე მუშაობს და უქარო ამინდში გემის მოძრაობას უზრუნველყოფს.




## ხელოვნება ფულით

**ჯასტინ სმიტი 1971 წელს სომერსეტში დაიბადა.** 1990 წელს კოლეჯში კურსის დამთავრების შემდეგ ხელოვნების სკოლაში სასწავლებლად ლონდონში გადავიდა. ამ ადამიანის ნიჭმა ნამდვილად დაიმკვიდრა განსაკუთრებული ადგილი მსოფლიოს თანამედროვე ხელოვნებაში — იგი სხვადასხვა სახის სკულპტურებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფულის კუპიურებისაგან ქმნის. ჯასტინის ნამუშევრები უკვე მთელ მსოფლიოშია წარმოდგენილი.














## ორი ახალი ელემენტი

**მენდელეევის ელემენტთა პერიოდულ სისტემას ორი ახალი ელემენტი — 114-ე და 116-ე დაემატა. აღმოჩენა თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირმა უკვე დაამტკიცა.**

ელემენტთა ცხრილში 113-ე და 115-ე უჯრები ჯერჯერობით ცარიელია. რუსმა მეცნიერებმა 113-ე და 115-ე ელემენტები დიდი ხნის წინათ აღმოაჩინეს, თუმცა დამამტკიცებელი საბუთების უკმარისობის გამო ეს აღმოჩენა ჯერ არ დადასტურებულა.

114-ე და 116-ე ელემენტები ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის რუსმა მეცნიერებმა და ლოურენსის სახელობის ლივერმორის ნაციონალურ ლაბორატორიაში მათმა ამერიკელმა კოლეგებმა 2004-2006 წლებში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად აღმოაჩინეს. ორივე ელემენტი საკმაოდ არასტაბილურია და დაშლამდე მხოლოდ რამდენიმე წამის განმავლობაში არსებობდა.

## ჩაის კაბა

**ბრიტანეთის ქალაქ კემბრიჯშირში მცხოვრები დიზაინერი, 52 წლის გრეის რობინსონი გამოყენებულ ჩაის პაკეტებს სამოსისა და აქსესუარების შესაქმნელად იყენებს.** გრეისს ჩაი ძალიან უყვარს, პაკეტის გამოყენების შემდეგ კი მათ აგროვებდა და ბუნებრივად აშრობდა, შემდეგ კი დიზაინერული მიზნებისთვის იყენებდა. როდესაც გრეისის მეგობრებმა მისი გატაცების შესახებ შეიტყვეს, ჩაის პაკეტების შეგროვება მათაც დაიწყეს, რის შემდეგაც გრეისმა მუშაობა გააათკეცა.







## უკრაინაში ლორის მუზეუმი გაიხსნა

**უკრაინის ქალაქ ლვოვში მსოფლიოში ერთადერთი ლორის მუზეუმი გაიხსნა.** მუზეუმის შექმნაზე გერმანიაში მცხოვრები უკრაინელი მხატვარ-დიზაინერი ბორის ბერგერი მუშაობდა. მუზეუმში კონცერტები და ფესტივალები, ლიტერატურული საღამოები, პერფორმანსები, ცნობილი უკრაინელი და უცხოელი მხატვრების გამოფენები, ვიდეოარტები, ფოტოგამოფენები და მოდის ჩვენებები გაიმართება.

მუზეუმის დამთვალიერებლებს თანამედროვე ხელოვნების მრავალი ნიმუშის ნახვა შეეძლებათ. მუზეუმში გამოფენილია ლორისგან დამზადებული მალევიჩის კვადრატი.

გამოფენაზე უფრო ცნობილი ექსპონატებიცაა წარმოდგენილი, მათ შორის „ლორის გული“. ის უკრაინის გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი, როგორც ყველაზე დიდი ორგანო მსოფლიოში. ექსპონატების დაგემოვნება მუზეუმთან ახლოს მდებარე რესტორანშია შესაძლებელი.

## შროშანების პორტრეტი

**მეყვავილეებმა 1800 შროშანისგან მომღერალ ლილი ალენის პორტრეტი შექმნეს.** პორტრეტი ენდი უორჰოლის სტილშია გადაწყვეტილი და მის შექმნაზე ექვსმა მეყვავილემ 9 საათის განმავლობაში იმუშავა. ნამუშევარი ფლორისტებმა ლილი ალენის შაბათს დაგეგმილ ქორწილს მიუძღვნეს. პორტრეტის ასაწყობად მეყვავილეები ჰოლანდიიდან ჩამოიყვანეს. ძირითადად გამოიყენეს აზიური შროშანები, რომლებსაც ყველაზე რომანტიკულ, ქალურ და სპეტაკ ყვავილად მიიჩნევენ.



## ქორწინება 30-ჯერ

**ბრიტანელმა წყვილმა ალექს პელინგმა და ლიზა გრანტმა გადაწყვიტეს, ქორწილი 30 სხვადასხვა ქვეყანაში გადაიხადონ და ყველა საქორწინო ცერემონია ამ ქვეყნების ტრადიციების შესაბამისად გამართონ.**

პელინგის თქმით, იმისათვის, რომ ასეთი მასშტაბური საქორწინო მოგზაურობა მოეწყოთ, მან საკუთარი ბიზნესი გაყიდა, მაგრამ ამას არ ნანობს და აცხადებს, რომ ამ უჩვეულო გადაწყვეტილებით თავისი საყვარელი ადამიანის გახარება სურს. წყვილი ქორწილებით მსოფლიოს შემოვლას 2 წლის განმავლობაში გეგმავს. ამ პერიოდში პელინგი და გრანტი ჩინეთში, სამხრეთ აფრიკაში, მაროკოსა და სხვა ქვეყნებში აპირებენ ჩასვლას. პირველი ქორწილი მანჩესტერში გაიმართა.

## ყველაზე დიდი ნახატი მსოფლიოში

**პალესტინელმა ჯამალ ბადვანმა კიევში მსოფლიოში ყველაზე დიდი ნახატი დახატა.**

მხატვარმა ნამუშევარი ზეთის საღებავებით შეასრულა. მისი სიგრძე 20 მეტრია, სიგანე — 15 მეტრი. მთლიანობაში ტილოს ფართობი 310 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ნამუშევარი კიევის რეკორდების წიგნში შევიდა. ნახატის ცენტრში გამოსახულია მეჩეთი, ქრისტიანული ტაძარი და სინაგოგა. ტაძრები მტრედის გაშლილ ფრთებზე დგანან. ტილოს ქვემოთ და გვერდებზე ბიბლიური სიუჟეტებია გამოსახული. ავტორის თქმით, ნახატს სიმბოლური დატვირთვა აქვს. „დედამიწაზე მხოლოდ ერთი ეროვნება — ადამიანი ცხოვრობს და მხოლოდ ერთი რელიგია არსებობს, რომელსაც სიყვარული ჰქვია“, — აბობს იგი.



# გული, რომელიც არ ფეთქავს



**აშშ-ში მეცნიერებმა ადამიანს პირველად გადაუნერგეს ხელოვნური გული, რომელიც არ ფეთქავს. მისი თავისებურება ის არის, რომ სისხლს უწყვეტად ტუმბავს, ამგვარად ადამიანს არც გულისცემა აქვს და არც პულსი ესინჯება. დღემდე ასეთ ხელოვნურ გულს მხოლოდ ცხოველებს უნერგავდნენ.** უჩვეულო ექსპერიმენტს დათანხმდა უიმედო ავადმყოფი, რომლის გადარჩენაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. აპარატმა მას სიცოცხლე 5 კვირით გაუხანგრძლივა. ოპერაციის შემდეგ პაციენტი საავადმყოფოში იწვა. როდესაც ის მეუღლეს ესაუბრებოდა, სამედიცინო აპარატები უჩვენებდა, რომ კომაში იყო. მას პულსი არ ესინჯებოდა.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



# ყველაზე უგემოვნო მამაკაცი

**დიდი ბრიტანეთის პრინცი უილიამი გაერთიანებულ სამეფოში ყველაზე უგემოვნო მამაკაცად დაასახელეს.** ყველაზე გემოვნებიანი მამაკაცის ტიტული კი ფეხბურთელ დევიდ ბექჰემს ხვდა წილად. ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობამ პრინცი უილიამი ყველაზე უგემოვნო მამაკაცად შორტებისა და ჟაკეტების მიმართ სიყვარულისთვის დაასახელა. მათი აზრით, უილიამი მათ ერთმანეთთან აბსოლუტურად უგემოვნოდ ახამებს. უგემოვნოთა სიაში მოხვდნენ ასევე პრინცი ჩარლზი, როდ სტიუარტი და საიმონ კოუელი.

რაც შეეება გემოვნებიან მამაკაცებს, გამოკითხულთა უმრავლესობამ ორი ცნობილი მამაკაცი გამოარჩია: ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი და ფილმ „ბინდის“ ვარსკვლავი რობერტ პატინსონი.




# ყველაზე დიდი ქვიშის კოშკი

**ედ ჯარეტმა მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვიშის სასახლე ააგო. მისი სიმაღლე 37 ფუტია.**

ჯარეტი, უკვე დიდი ხანია, ქვიშის კოშკების მშენებლობითაა გატაცებული. მან მსგავსი სასახლეები 2003 და 2007 წელსაც ააშენა, მაგრამ მის ბოლო ნამუშევარს მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ედს ამ იდეის განსახორციელებლად 1500 მოხალისე, 2500-საათიანი თავდაუზოგავი შრომა და 1600 ათასი ფუტი ქვიშა დასჭირდა. მოხალისეებთან ერთად სასახლის მშენებლობაზე მუშაობა ჯარეტმა 1 აპრილიდან დაიწყო და მხოლოდ ახლა დაასრულა.





# ცაციები გენიოსები არ ყოფილან

**საკუთარი კვლევის საფუძველზე ავსტრალიელმა მეცნიერმა დაასკვნა, რომ მითი იმის შესახებ, თითქოს ცაციები უფრო ჭკვიანები არიან, მცდარია.** ფლინდერსის უნივერსიტეტის პროფესორმა მაიკ ნიკოლსმა, რომელიც თავადაც ცაციაა, 5 წლის ასაკის 5 ათასი ბავშვი გამოიკვლია. მეცნიერმა შეისწავლა სკოლაში ცაციების აკადემიური მოსწრება და ასევე მოისმინა მასწავლებლების შეფასება. კვლევის შედეგად, ნიკოლსი ასკვნის, რომ ცაციები უფრო ცუდად სწავლობენ, ვიდრე ჩვეულებრივი ბავშვები. აღმოჩნდა, რომ ცაციებს გუნდური მუშაობაც უჭირთ. მსოფლიოს მოსახლეობის 10% ცაციაა. ცაციებს შორის არიან ცნობილი ადამიანები: ლეონარდო დავინჩი, ალბერტ აინშტაინი, პრინცი უილიამი, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი, აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, მსახიობები ანჯელინა ჯოლი და რობერტ დენირო, მუსიკოსი პოლ მაკარტნი და სხვ.





# აბსტრაქციონიზმი თუ მაიმუნების ნახატები?

**კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერმა მიხეილ სიმკინმა განაცხადა, რომ მაიმუნების ნახატები აბსტრაქციონისტების შედევრებისგან მხოლოდ მცირედით განსხვავდება.** სამეცნიერო ჟურნალ Psychological Science-ში დაიბეჭდა ამერიკელი მეცნიერების ანჯელინა ჰაული-დოლანისა და ელენა უინერის სტატია, რითაც 32 სტუდენტზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგები ფართო საზოგადოებას გააცნეს.

სტუდენტებს 30 წყვილი ნახატი მისცეს შესასწავლად. მათი ნაწილი ბავშვების, მაიმუნების ან სპილოების მიერ იყო შესრულებული, ნახევარი კი ცნობილ აბსტრაქციონისტ მხატვრებს ეკუთვნოდა. მონაწილეებს წარმოდგენილი ნამუშევრებიდან ის უნდა ამოერჩიათ, რომელიც მოსწონდათ. მხოლოდ 67%-ს მოეწონა პროფესიონალი მხატვრის ნახატები, დანარჩენებმა უპირატესობა ბავშვებისა და ცხოველების ნამუშევრებს მიანიჭეს.



# დამანგრეველთა კლუბი

**აშშ-ში დამანგრეველთა კლუბი გაიხსნა. კლუბში ადამიანებს, რომლებსაც აგრესია დაუგროვდათ და განმუხტვა სჭირდებათ, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ძვირადღირებული ნივთების განადგურების უფლება ეძლევათ.**

სერვისით უამრავი ადამიანი სარგებლობს. მათ შეუძლიათ გაანადგურონ მაცივრები, სარეცხი მანქანები, სხვადასხვა მსხვრევადი საგნები. მომხმარებლებს დასალეწად აუცილებელი იარაღითაც უზრუნველყოფენ. ვინც მეტ თანხას გადაიხდის, უფლება ეძლევა, ძვირადღირებული საგნები — მაგალითად, 2000 აშშ დოლარის ღირებულების როიალი, ძვირფასი ავტომანქანები და იშვიათი დისკების კრებული გაანადგუროს.

სანამ კლუბში ჩაეწერებიან, მომხმარებლები ხელს აწერენ სპეციალურ კონტრაქტს და ვალდებულებას იღებენ, არ გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი, არ მოიხმარონ ალკოჰოლი და ნარკოტიკული ნივთიერებები. კლუბის წევრები ყოველწლიურად იხდიან გარკვეულ თანხას იმ ნივთის ღირებულების ანაზღაურების ჩათვლით, რასაც ანადგურებენ.

# ნუდისტური ლაშქრობა

**გერმანიაში ნუდისტებისთვის ახალი სერვისი შემოიღეს. ამიერიდან შიშვლად სეირნობის მსურველებს შეუძლიათ ქალაქ დანკეროდის მიმდებარე ტყეებსა და მთებში მანამდე იარონ უსამოსოდ, ვიდრე არ მოსწყინდებათ. ქალაქის მერი მონიკა რაუტი ამ ინიციატივას მიესალმება.** ამ გადაწყვეტილებამ შვეიცარიაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. არ არის გამორიცხული, გერმანელების მაგალითს შვეიცარიელებმაც მიბაძონ, საკითხს შვეიცარიის სასამართლო განიხილავს. აქტიური დასვენების მოყვარული ნუდისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანი შიშველი უნდა იყოს იმისთვის, რომ თავისუფლება სრულად შეიგრძნოს.



# გამჭვირვალე თვითმფრინავი

**დიდ ბრიტანეთში, გრინვიჩში კომპანია Airbus-ის ინჟინერმა ჩარლზ ჩემპიონმა მსოფლიოში პირველად უნიკალური გამჭვირვალე თვითმფრინავის მოდელი წარმოადგინა. მისი აწყობა 2050 წლისთვის იგეგმება. თვითმფრინავის შექმნის მთავარი მიზანი ის არის, რომ ადამიანებმა ფრენისას ირგვლივ არსებულ სილამაზეზე დაკვირვება შეძლონ.**

მგზავრებს აბსოლუტურად ყველაფრის დანახვა შეეძლებათ. გამჭვირვალე იქნება თვითმფრინავის ჭერიცა და კედლებიც, მთლიანობაში კი ის ულტრათანამედროვე ტექნიკით იქნება აღჭურვილი.

მგზავრებისთვის დამონტაჟებულ სავარძლებს ახალი ფუნქციაც დაემატება — შესაძლებელი იქნება, ჩაირთოს თავის უკან გადაწევის სერვისი იმისთვის, რომ მსურველები ზეცით დატკბნენ.

თვითმფრინავში იქნება კონცეფციის ოთახიც, რომელიც მგზავრებს ვიტამინებს მაიწვდის და მოადუნებს. აქვე ხელმისაწვდომი იქნება არომათერაპიისა და ანტიდოქსანტებით გამდიდრებული ჰაერის სერვისები. ამასთან, თვითმფრინავში დამონტაჟებული იქნება სპეციალური განათება, რომელიც მგზავრების რელაქსაციაზე დადებითად იმოქმედებს. თვითმფრინავის ერთ-ერთ ფლანგში განალაგებენ ინტერაქტიულ ზონას, სადაც მგზავრები სხვადასხვა ტიპის თამაშებით შეიქცევენ თავს. გონიერი ტექნოლოგიის ზონაში კი მგზავრებს ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს დაუკმაყოფილებენ და ცხოვრების ისეთ სტილს შესთავაზებენ, როგორითაც ისინი დედამიწაზე ცხოვრობენ.





# მორიგი სისულელე სააკაშვილის რეჟიმზე

**ახლახან ჩემი ყურადღება EuropeanVoice.com-ზე გამოქვეყნებულმა ერთმა სტატიამ მიიპყრო, რომელიც ევროპისა და საქართველოს ურთიერთობებს ეხება. სტატიის ავტორი აცხადებს, რომ ის ჟურნალ Economist-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საკითხების კორესპონდენტია, მაგრამ საკუთარ ვინაობას არ ამხელს. მიუხედავად ამისა, სინამდვილეში სტატია ძალიან ჰგავს ბოლო დროს ჟურნალ Economist-ში საქართველოზე გამოქვეყნებულ სტატიებს. ამ გამოცემამ, როგორც ჩანს, უარი თქვა ობიექტურობის ილუზიის შექმნაზეც კი და დაიწყო სააკაშვილის რეჟიმის სადიდებელი ოდების გამოქვეყნება, რომლებიც, ჩანს, დაკვეთითაა დაწერილი. ასეთი სტატიის ტიპური მაგალითის ნახვა აქ შეგიძლიათ.**



ზემოხსენებული სტატიის მთავარი გზავნილი ის არის, რომ ევროპამ არ უნდა შეიმჩნიოს ადამიანის უფლებების მრავალრიცხოვანი დარღვევები, დემოკრატიის დეფიციტი და საქართველოს არაპროგნოზირებადი საგარეო პოლიტიკა და ამის ნაცვლად კვლავ მჭიდრო კავშირი უნდა იქონიოს ამ გზააბნეულ კავკასიელ „მოკავშირესთან“. **ჩვენ გვეუბნებიან, რომ, თუკი ევროპა საქართველოს მხარდაჭერისგან თავს შეიკავებს, ეს რუსეთს „წააქეზებს“, რაც, ამ სტატიის თანახმად, „სახიფათო პრეცედენტს“ შექმნის. თუ არ ჩავთვლით ცივი ომის სულისკვეთებით გამსჭვალულ მარტივ თხრობას და თამაშს ნულოვანი საწყისით, თვით სტატია საქართველოს მიმდინარე სიტუაციაზე იმდენად სავსეა დამახინჯებული ფაქტებითა და აშკარა ტყუილებით, რომ არც კი ვიცი, რით დავიწყო.**

მაგალითად, ავტორი ამბობს, რომ საქართველოს მთავრობის რეაქციას ოპოზიციის ბოლოდროინდელ საპროტესტო აქციებზე, რისი კულმინაციაც 26 მაისს დემონსტრაციის სასტიკი დარბევა და რამდენიმე ადამიანის დაღუპვა გახდა, „სამაგალითოს“ უწოდებს და, იმეორებს რა მთავრობის ვერსიას, აცხადებს, რომ მსხვერპლი უშუალოდ ოპოზიციის ქმედებებს მოჰყვა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საპირისპირო მტკიცებულებები. **მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მართალია, როდესაც უარყოფს ქართული ოპოზიციის სულელურ განცხადებებს იმის თაობაზე, რომ ქვეყანას დიქტატურა მართავს, ის არ იმჩნევს საქართველოს რეიტინგების ვარდნას დემოკრატიულ ღიაობასთან, სიტყვის თავისუფლებასთან და კორუფციასთან დაკავშირებით. არადა, ამ ვარდნას, ბოლო რამდენიმე წელია, აღიარებენ ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა Freedom House, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ და Transparency International-ი.**

**მეტიც, ავტორი აქებს საქართველოს „დიპლომატიას“ გამოყოფილ რეგიონებთან – აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით და არაფერს ამბობს იმაზე, რომ ის შეწყდა ამ ტერიტორიების გამო გაჩაღებული 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, ომის, რომლის ინიცირებაც სააკაშვილის რეჟიმმა მოახდინა და რაც აღიარა ევროკავშირის დამოუკიდებელმა კომისიამაც კი, რომელიც ამ მოვლენებს იძიებდა.** გარდა იმისა, რომ ამ ომს რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში აბსოლუტური კრიზისი მოჰყვა, მან მოსპო ის მცირედი ნდობა, რომელიც საქართველოსა და გამოყოფილი ტერიტორიების მოსახლეობას შორის არსებობდა, რაც, ფაქტობრივად, თვალსაწიერ მომავალში შეუძლებელს ხდის საქართველოსადმი ამ ტერიტორიების „ლოიალურობის“ აღდგენას. **საქართველოს ბოლოდროინდელმა ძალისხმევამ — ცხვირი ჩაყოს იქ, სადაც მისი ადგილი არ არის, კერძოდ, ფეთქებადსაშიშ ჩრდილოეთ კავკასიაში, შეაშფოთა საქართველოს დასავლელი პარტნიორები. აღარაფერს ვამბობ ჩრდილოეთ კავკასიელებზე.**

მეტიც, არასერიოზულია ავტორის დაჟინებული განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქართველო **„საბაზრო, მრავალპარტიული, სამართლებრივი წარმატების ისტორიაა, შემდეგი გაჩერება [...] სამხრეთ კორეის შემდეგ“,** განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც საქართველოს მთავრობა ცნობილია მისი ძალისმიერი მიდგომებით ეკონომიკური განვითარებისადმი, რაც მოიცავს ზეწოლას კერძო ინვესტორებზე წარმოუდგენელი საგადასახადო პრეტენზიებისა და პოლიტიკურად მოტივირებული ანტიკორუფციული ხაფანგების დახმარებით.

**საქართველოში სასამართლო თავისუფალი არ არის და გამამტყუნებელი განაჩენების 99%-ს იწონებს, რაც, უბრალოდ, წარმოუდგენელია ნებისმიერი განვითარებული დემოკრატიის ქვეყანაში. სიცოცხლით სავსე მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის ნაცვლად, საქართველოს პარლამენტში დომინირებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, რაც ქვეყანას რეალურად ერთპარტიულ სახელმწიფოდ აყალიბებს.**

ცილისმწამებლური კამპანიები პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ სულ უფრო გახშირდა, ხოლო აფეთქებების სერია საქართველოს დედაქალაქ თბილისში და სხვა ქალაქებში, რაშიც რუსეთის სპეცსამსახურებს ადანაშაულებენ, რომლებიც თითქოს აფხაზეთის ტერიტორიიდან მოქმედებენ, აბსოლუტურად შესაძლებელია იყოს „ოპერაცია სხვისი დროშის ქვეშ“ საქართველოს მთავრობის მონაწილეობით. თუკი ეს მართლაც ასეა, ეს პირველი შემთხვევა არ არის.

და ბოლო, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი: **ავტორი აზვიადებს საქართველოს ეკონომიკის ფისკალურ სიჯანსაღეს და არაფერს ამბობს იმ ფაქტზე, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში საქართველოს ეკონომიკის შედარებითი სიჯანსაღე დიდწილად ფართომასშტაბიან საგარეო სესხებსა და დასავლეთის ქვეყნების სერიოზულ ეკონომიკურ დახმარებას ეფუძნება. ამ დახმარებამ მოიცვა 4,6 მილიარდი დოლარის ერთჯერადი ტრანში უმალ 2008 წლის ომის შემდეგ იმ რამდენიმე ასეულ მილიონ დოლართან ერთად, რომელსაც ქვეყანა ყოველწლიურად იღებს.**

**ამ დახმარებამ მახინჯი გავლენა მოახდინა შიდა პოლიტიკურ სიტუაციაზე, გაუხანგრძლივა რა სააკაშვილის რეჟიმს სიცოცხლე იმ ვადის მიღმა, როდესაც მას თავისი პოლიტიკური შეცდომების გამო კრახი უნდა განეცადა.**

თუმცა, შესაძლოა, განკითხვის ჟამი ახლოვდებოდეს, რადგან დასავლეთის ფინანსური დახმარება იწურება, ხოლო საქართველოს სუვერენული ვალის მომსახურება, რომელიც დღეს ცხრა მილიარდ დოლარს აჭარბებს და მშპ-ს დაახლოებით 25-30%-ს შეადგენს, რთული იქნება უახლოეს მომავალში პირდაპირი ინვესტიციების დაბალი დონის, იმპორტისა და ექსპორტის მზარდი დისბალანსის გამო.

მთლიანობაში საქართველოსადმი ან, უფრო ზუსტად, სააკაშვილის რეჟიმისადმი ახალი უპირობო მხარდაჭერა, რომლისკენაც ავტორი ევროპას მოუწოდებს, ძალიან არადროული იქნება და საბოლოო ჯამში გააძლიერებს მთელ რიგ ნეგატიურ ტენდენციებს ქვეყანაში. ეს ტენდენციები მოიცავს პრობლემათა ისეთ სპექტრს, როგორიცაა დემოკრატიასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მდგომარეობის გაუარესება, უცხოურ დახმარებაზე გახანგრძლივებული დამოკიდებულება და არაპროგნოზირებად პოლიტიკურ თავგადასავლებსა და სახიფათო კონფრონტაციაზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა. ეს დაძაბულობის ატმოსფერო გრძელვადიან პერსპექტივაში კარგს არ მოუტანს არც ევროპას და არც საქართველოს მოსახლეობას.

**რიჩარდ ბერგი**
**ANTIGEOPOLITICS**

**რიჩარდ ბერგმა** ბაკალავრის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებებსა და ქართულ ენაში ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლური და აფრიკული კვლევების სკოლაში მიიღო. პოლიტიკის, უსაფრთხოების და ინტეგრაციის საკითხებში მაგისტრის ხარისხი მას ლონდონის გლობალური უნივერსიტეტის სლავური და აღმოსავლეთევროპული კვლევების სკოლაში მიანიჭეს. 2009 წელს მუშაობდა ბაქოში, ნორვეგიის საელჩოში აზერბაიჯანში, 2010 წელს კი საქართველოში, თბილისში უმცირესობების საქმეების ევროპულ ცენტრში, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას ადამიანის უფლებების, ინფორმაციის თავისუფლების და უმცირესობების უფლებების საკითხებს უთმობდა.


წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru





საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო
საქინფორმი
www.saqinform.ge

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net